

ალექსანდრე შოცხიშვილი

ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოებრიობა

წიგნი იბეჭდება ანტონ პირველი ბაგრატიონის დაბადებიდან 275 წლისთავის მომწიფობი სახელმწიფო-საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით.

თბილისი – 1996 წელი

გამომცემლობა „ვეფხისტყაოსანი“

წინამდებარე წიგნი ძირითადად იმეორებს ავტორის 1990 წელს გამოცემულ შრომას „პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო“. მას დამატება: „წინასიტყვაობის შავიერ“ – დასაწყისში და ორი პარაგრაფი: 1. „მეცნიერული არაკეთილსინდისიერების გზით“, 2. „პასუხი თ.უთურგაიძეს“ – ბოლოში.

წიგნში, რასაკვირველია, არასრული, მაგრამ საერთო შთაბეჭდილებისათვის მაინც საკმაო მასალა იმისათვის, რომ მკითხველმა წარმოედგინა იქონიოს ანტონ პირველი ბაგრატიონის შესახებ არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე და დარწმუნდეს, რაოდენ არაასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ მას საშუალო სკოლაში, ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაშიც, რაც არცთუ შინცდამაინც დიდი ცვლილებებით გრძელდებოდა უკანასკნელ დრომდე.

ავტორის მეცნიერული კომპეტენციისადა კვლად წიგნში განხილულია ანტონის მოღვაწეობის მხოლოდ ორი უბანი – ლიტერატურა და ენათმეცნიერება. რადგან წიგნში ანტონის დასაცავად დაწერილი და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, როგორც წესია, უცვლელად შევიდა, გამეორებების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა – საწუხ არს ესე“.

წინასიტყვაობის მახვირ

სამწუხაროდ, 70 წლის მანძილზე არსებობდა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა და რომლის გაბატონებული იდეოლოგია ემყარებოდა კოსტულატს – ადამიანთა საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. რადგან ეს სახელმწიფო საკუთარ თავს „დაჩაგრული“ კლასების ინტერესების დამცველად წარმოადგენდა, მისი იდეოლოგიები ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ ყველასა და ყველაფერს, რაც „მშრომელი“ კლასის ხელიდან არ გამოსულა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „მშრომელი კლასი“ – მონები და ყმა-გლეხები – ათეული საუკუნეების განმავლობაში, ხოლო მოგვიანებით მუშებიც, ძირითადად წერაკითხვის უცოდინარი მასა იყო. გასაგებია, რა მემკვიდრეობაზე უხდებოდათ ხელის აღება კომუნისტულტურტრევერებს. ამ სატანური იდეოლოგიის თანამიმდევრული დაცვა-გატარების შედეგი იყო ის უბედურება, რომ ერთ დროს ქართველი „მშრომელი ხალხის“ ინტერესების დამცველები ებრძოდნენ თავადაზნაურთა შემოქმედებას, მათ შორის, განსაკუთრებული გააფთრებით ილია ჭავჭავაძეს და, ასე განსაჯეთ „ვეფხისტყაოსანსაც“ ეი.

უფრო გვიან, როცა განუზომელი უგნურება თავად შენიშნეს და ქართული სულიერი კულტურის ისტორიის მშენებელ-მოღვაწეთა შემოქმედებას ტაბუ ახსნეს, კლასობრივი ბრძოლის აუცილებელ არენად მეცნიერება და რელიგია მიიჩნიეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ გენეტიკური კოდის არსებობა უარჰყვეს, ე. ი. უარჰყვეს ის, თითქოსდა სრულიად უცილობელი ჭეშმარიტება, რომ შვილი მამასა ჰგავს და შვილიშვილში ბაბუისა და ბებუის სისხლის ნაწილი ჩქეფს.

ამ ბნელეთისმოციქულური იდეოლოგია-პოლიტიკის გამოძახილი იყო ანტონ პირველი ბაგრატიონის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის უკეთ „დასაბუთების“ მიზნით ყურით მოთრეული ბრალდებები, რომელთა შესახებაც ამ წიგნშია მსჯელობა. ბრალმდებლების აზრით, თუ ქართველი საზოგადოებრიობისათვის ანტონის დავიწყება ვერ მოხერხდებოდა, იმისთვის მაინც უნდა მიეღწიათ, რომ იგი ყოველგვარი პროგრესულის ხელისშემშლელ და წინააღმდეგ მებრძოლ ერთ ურეაქციონერეს მოღვაწედ დაეხატათ.

საქართველოდ, კომუნისტურმა პროპაგანდამ ბევრ შემთხვევაში მიზანს მიაღწია – ქართველი საზოგადოებრიობის უმეტეს ნაწილში, ანტონის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებენ დღემდე.

ამ წივნის შესავალში მოთხრობილია იმის შესახებაც, თუ როგორ უშედეგოდ ცდილობდა მეცნიერთა ერთი ნაწილი ანტონის რეაბილიტაციას.

საბედნიეროდ, კომუნისტური ხუხულა დაინგრა და შესაძლებლობა მოგვეცა ანტონის რეაბილიტაციის საკითხი დღის წესრიგში დაგვეყენებინა; მოახლოვდა დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 275 წლისთავიც. სახელმწიფო მრჩეველ ბატონ კობა იმედაშვილთან სიტყვიერი მოლაპარაკების შემდეგ მოხსენებითი ბარათით მივმართეთ სახელმწიფოს მეთაურს.

აი, ეს ბარათიც:

**„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს
ბატონ ელშარდ შიშარდნაძეს**

ანტონ ბაბრატიონის (ანტონ I კათალიკოსის) დაბადებიდან
275 წლისთავის იუბილის მოწყობის ღონისძიებათა შესახებ

ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ანტონ ბაბრატიონს სრულიად განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია, რაც განპირობებულია ამ ბუმბერაზი მეცნიერისა და განმანათლებლის არა მხოლოდ თეორიული მოღვაწეობით, არამედ დაუღალავი პრაქტიკული შრომითაც თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის (XVIII საუკუნის მეორე ნახევრის) განმავლობაში. ერეკლე II გვერდით (იგი ერეკლეს კბილა და მამიდაშვილი იყო – ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ) ანტონი მთელს უზარმაზარ ენერჯიასა და პატრიოტულ შემართებას ქართული სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და ისტორიის ბედუკუღმართობით ქართული სამეცნიერო ცხოვრების ექვსასაუკუნოვანი გაწყვეტილი გზის აღდგენა-განვითარებას ახმარდა.

მისი საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობის უბრალო ჩამონათვალიც კი აშკარას ხდის ამ თავადაკლული მამულიშვილის დამსახურებას ჩვენი ერის წინაშე, მამულიშვილისას, რომელსაც სრული საფუძველი ჰქონდა თავისი ცხოვრების გზის შესახებ ეთქვა: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და არა მოვიცალე საქართველოს მსახურებისგანო.“

აი, ნუსხა იმ მეცნიერებათა, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ანტონ ბაბრატიონმა (სასულიერო სფეროში): ჰაგიოგრაფია, ლიტურგიკა, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, პომილეტიკა, ასკეტიკა, კანონიკა; სამოქალაქო მეცნიერებათა დარგში: მეტაფიზიკა, ონტოლოგია, ლოგიკა, შემეცნებითი თეორია, ნატურფილოსო-

ფია, ეთიკა, ფიზიკა, ლიტერატურის ისტორია, ისტორია, ენათმეცნიერება.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ენათმეცნიერება. ანტონი მესაძირკველად ახალი ქართული ენათმეცნიერებისა – იგია ავტორი ჩვენამდე მოღწეული პირველი ფუნდამენტური ქართული გრამატიკისა, რომლის დებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა საუფუძლად უდევს თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურას.

ახლა პრაქტიკული მოღვაწეობა: ბრძოლა ეკლესიის ძლიერების აღსადგენად, ამავე დროს დაუნდობელი ომი თავება ეპისკოპოსების წინააღმდეგ, რომლებიც ქართული საეკლესიო ცხოვრების დაქსაქსვისაკენ მიისწრაფოდნენ; სწავლა-განათლების ევროპულ გზაზე დაყენება (თბილისში საფილოსოფოსო სკოლის, თბილისსა და თელავში სასულიერო სემინარიების გახსნა); დიპლომატიური მოღვაწეობა – იყო ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იმ დელეგაციისა, რომელიც რუსეთს დაიგზავნა 1772 წელს რუსეთ-საქართველოს სამეგობრო ხელშეკრულების მოსამზადებლად.

ამიტომაცაა, რომ მე-18 საუკუნეს, სრულიად დამსახურებულად, ანტონის საუკუნეს უწოდებენ. მას დღეს ილია ჭავჭავაძეს ადარებენ, მაშინ როცა სულ რაღაც ოცი წლის წინათ ანტონის ხსენება თუ დანაშაულად არა, პოლიტიკურ შეცდომად მაინც ითვლებოდა.

აქ ახლა არც დროა, არც ადგილი და, ვკონებ, არც საჭიროება იმისა, რომ დაწვრილებით მოგახსენოთ ყოველივე ამის შესახებ, ოღონდ კი უნდა ითქვას, რომ ქართველი საზოგადოების ერთ ჯგუფს ანტონის იუბილის მოწყობა ჯერ კიდევ 1970 წელს გვინდოდა, როცა მისი დაბადებიდან 250 წელი შესრულდა. თითქო ყველაფერი კარგად მიდიოდა, იუბილის დასკვნითი ნაწილი ოპერის თეატრში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ საიუბილეო საღამოს გამართვამდე, რამდენიმე დღით ადრე... იგი აკრძალეს და ყველაფერი ოციოდე კაცის შეკრებითა და რამდენიმე მოხსენების მოსმენით დამთავრდა. 1988 წელს კვლავ გადავწყვიტეთ იუბილის გამართვა (გარდაცვალებიდან 200 წლისთავთან დაკავშირებით). ამჯერადაც თითქო ყველაფერი კარგად წავიდა, მაგრამ საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, თავგადაკლულმა ათეისტმა, სინამდვილეში არაფერი იღონა საქმის ბოლომდე მისაყვანად და ე. წ. „სესიაზე“ შეკრებილ რამდენიმე კაცს უნივერსიტეტში თავისუფალი აუდიტორიაც არ დაგვხვდა.

ამჯერად, რასაკვირველია, იუბილის ჩატარებას ხელს ვერავინ შეუშლის, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი უნდა ჩატარდეს სახელმწიფო ღონისძიებების დონეზე, რაც აშკარა დადასტურება იქნება იმისა, რომ დღევანდელი საქართველო არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც აპირებს სიარულს ჭეშმარიტების გზით, რაშიაც თქვენი მხარდაჭერის სრული იმედი გვაქვს.

აღბათ, საჭირო იქნება საგანგებო დადგენილების მიღება სამთავრობო საიუბილეო კომისიის შექმნისა და სამუშაო რეჟიმის განსაზღვრისათვის, რაც გამოქვეყნდება რადიო-ტელევიზიითა და პრესის საშუალებებით.

ჩემი აზრით, კომისია, ასეთი შემადგენლობისა უნდა იყოს: თავმჯდომარე – ვიცე-პრემიერი.

მოადგილე – პროფ. ალექსანდრე ფოცხიშვილი: გ. ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდენტი.

კომისიის წევრები:

1. აკადემიიდან – აკად. ანდრია აფაქიძე – ვიცე-პრეზიდენტი, აკად. თამაზ გამყრელიძე და პროფ. ვახტანგ პარკაძე

2. ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან:

აკად. როინ მეტრეველი – რექტორი, პროფ. გურამ ლორთქიფანიძე – კულტურის ისტორიის კათედრის გამგე

3. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნივერსიტეტიდან:

პროფ. ვახტანგ სართანია – რექტორი

4. ა.წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან:

პროფ. მაგალი თოდუა – რექტორი, პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე

5. შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან:

პროფ. აზიზ ახვლედიანი – რექტორი, ფილ. მეცნ. დოქტორი – შუშანა ფუტყარაძე – ქართული ენის კათედრის პროფესორი

6. ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტიდან:

პროფ. როინ ჭიკაძე – რექტორი

7. ფილოსოფიის ინსტიტუტიდან – პროფ. სერგი ავალიანი – განყოფილების გამგე

8. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან – პროფ. რევაზ ბარამიძე – განყოფილების გამგე

9. ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან – პროფ. გუჩა კვარაცხელია – დირექტორი

10. ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან – აკად. წევრ. კორესპონდენტი შოთა ნადირაშვილი – დირექტორი

11. აკად. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტიდან – პროფ. ზაზა ალექსიძე – დირექტორი

12. სასულიერო აკადემიიდან – მეუფე აბრამი – რექტორი

13. ყოველთა ქართველთა კონგრესიდან – რეზო ჩხეიძე – პრეზიდენტი

14. მწერალთა კავშირიდან: გურამ ფანჯიკიძე – გამგეობის თავმჯდომარე

15. რადიო-ტელევიზიიდან: არჩილ გოგელია – დეპარტამენტის თავმჯდომარე

16. „სამოთ ქიმიის“ კონცერნიდან: ნიკოლოზ ცხაკაია – გენერალური დირექტორი

17. აღორძინების და განვითარების ფონდიდან: სოლიკო ხაბეიშვილი – პრეზიდენტი

18. „საქართველოს ბანკიდან“: ვლადიმერ პატეიშვილი – პრეზიდენტი

19. საპატრიარქოდან?

20. განათლების სამინისტროდან?

21. პარლამენტის განათლების კომისიიდან?

სამთავრობო კომისიისა და სახელმწიფოს მეთაურის აპარატს შორის ურთიერთობის კოორდინატორ-მომწესრიგებელი და განმკარგულებელი – კობა იმედაშვილი – სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი

საიუბილეო ღონისძიებათა განრიგსა და სამუშაო გეგმას, რასაკვირველია, თავად კომისია შეიმუშავებს, მაგრამ წინასწარი მონახაზის სახით იგი მე ასე წარმომიდგენია: ოქტომბრის თხუთმეტ რიცხვამდე აკადემიის ინსტიტუტებსა და სასწავლო დაწესებულებებში ჩატარდება იუბილარის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები. ოქტომბრის 15-სათვის მოვიწვევთ სტუმრებს:

1. ლინგვისტიკის ისტორიის მსოფლიო საზოგადოების წევრი ქვეყნებიდან (ამერიკა, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი);

2. სასურველია, სტუმრები მოიწვიოს საპატრიარქომ: მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები; ვატიკანიდანაც, რუსეთის სინოდიდან და აუცილებლად ვლადიმირის ეპარქიიდან, სადაც ანტონი მთავარეპისკოპოსად იყო 1757-62 წ. წ.

3. შეიძლება მოგვეწვია ბაგრატიონთა ოჯახების წევრებიც და

4. ცნობილი ქართველოლოგებიც.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმ შემთხვევაში, თუ ფინანსები გამოჩნდებოდა მათ გასამასპინძლებლად (ჩემი აზრით, სტუმრად უნდა ველოდეთ დაახლოებით 25-30 კაცს).

16-ში ჩატარდება აკადემიისა და უნივერსიტეტების გაერთიანებული სესია სტუმართა მონაწილეობით. საღამოს შეიძლება რაიმე სპექტაკლიც ვუჩვენოთ.

17-ში გავემგზავრებით თელავს. გადავიხდით პანაშვიდს ალავერდში, ჩავატარებთ სამეცნიერო სესიას და დავბრუნდებით თბილისში. 18-ში გავემგზავრებით ბათუმში. საღამოს დავესწრებით რაიმე წარმოდგენას. 19-ში ჩავატარებთ სესიას უნივერსიტეტისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თანდასწრებით და წამოვალთ ქუთაისში. 20-ში დილით გადავიხდით პანაშვიდს გელათის ტაძარ-

ში, შევხვდებით ქუთაისის საზოგადოებრივ-მეცნიერულ წრეებს და, თუ მოვასწრებთ წამოვალთ თბილისში. 21-ში თბილისში გაიმართება შეხვედრები დღისით, საღამოს კი ოპერის თეატრში მოეწყობა დასკვნითი საღამო და კონცერტი. 22-ში გაავაცილებთ სტუმრებს.

ამას გარდა, საჭირო იქნება ანტონის შრომების გამოფენის მოწყობა, ალბათ, ხელნაწერთა ინსტიტუტში (მისი შრომების უმეტესი ნაწილი გამოუცემელია). ღონისძიებებში მეტად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რადიო-ტელევიზიამ და პრესამ, აგრეთვე განათლების სამინისტრომ. ბოლოსდაბოლოს ქართველმა საზოგადოებრიობამ უნდა გაიგოს სიმართლე ამ ბუმბერაზი მეცნიერისა და მამულიშვილის დეაწლის შესახებ. საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ქართული ლიტერატურისა და ენის მასწავლებელთა შორის ლექცია-მოხსენებების ჩატარებას. მათ ანტონს თავის დროზე ლამის საქართველოს მტრად უხატავდნენ.

რასაკვირველია, მე არავითარი პრეტენზია არა მაქვს ეს მოსაზრებები უთუოდ გაიზიაროს სამთავრობო კომისიამ. კომისია ალბათ თავად გადაწყვეტს, რა გაკეთდეს და – როგორ, მაგრამ საორიენტაციოდ ალბათ გამოდგებიან.

პატივისცემით – ალექსანდრე შოცხიშვილი
გ.ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის
საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი.

ბატონი კობა იმედაშვილის გულმოდგინე მცდელობის შემდეგ „მოხსენებითი ბარათი“ დროზე და დადებითი რეკომენდაციებით სახელმწიფოს მეთაურის მაგიდაზე აღმოჩნდა. რეზოლუციამაც არ დააყოვნა:

„ბატონ ოთარ ფაცაციას!

გთხოვთ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან და შესაბამის დაწესებულებებთან ერთად შეიმუშაოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება“

ე.შემპარღნაძე.

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ო. ფაცაციამ რეზოლუციანი მიმართვა ბატონებს იმენაღარიშვილსა და დ. ბურჭულაძეს დააწერა: „გთხოვთ მოამზადოთ სამთავრობო დადგენილების პროექტი და წარმოადგინოთ მინისტრთა კაბინეტის ღონისძიებათა გეგმასთან და საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობასთან ერთად“.

მინისტრთა კაბინეტში წარმოდგენილმა პროექტმა დადგენილების სახე მიიღო და საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა:

ანტონ პირველის დაბადების 275 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს გ. ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების წინადადება და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 27 ივლისის №137/23-01 დავალების შესაბამისად 1996 წლის ოქტომბერში აღინიშნოს დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწისა და მეცნიერის ანტონ პირველის დაბადების 275 წლისთავი.

2. დამტკიცდეს ანტონ პირველის დაბადების 275 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი მენაღარიშვილი – საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ალექსანდრე ფოცხიშვილი – გ.ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდენტი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

სერგი ავალიანი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

ზაზა ალექსიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი;

ანდრია აფაქიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

აზიზ ახვლედიანი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

დავით ბურჭულაძე – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხთა მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

თამაზ გამყრელიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი;

მეუფე აბრამი (გარმელია) – თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი;

მაგალი თოდუა – ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი;

გურა კვარაცხელია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი;

როინ მეტრეველი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

ოთარ ჟორდანიანი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორი;

ვახტანგ სართანია – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი;

ნუკ ზარ ფოფხაძე – ედუარდ შევარდნაძის ფონდი „დემოკრატია და ადორძინების“ პრეზიდენტი;

რეზო ჩხეიძე – ყოველთა ქართველთა კონგრესის პრეზიდენტი;

ლალი ჭანტურიშვილი – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო მრჩეველი;

როინ ჭიკაძე – თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

3. საიუბილეო კომისიამ შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს ღონისძიებათა გეგმა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად განიხილოს 1996 წელს საიუბილეო ღონისძიებებისათვის სახსრების გამოყოფის საკითხი.

5. მიღებულ იქნეს გ. ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების წინადადება ანტონ პირველის სახელობის მედლის დაწესების შესახებ. მედლით დაჯილდოვდებიან პირნი, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ქართული ენის დაცვასა და განვითარებაში. ამ ჯილდოს მინიჭების დებულების შემუშავება და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში დასამტკიცებლად წარმოდგენა დაევალოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და გახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებას.

6. ანტონ პირველის სახელობის 50 მედლის დამზადება დაევალოს საქართველოს მხატვართა კავშირს.

7. ეთხოვოს საქართველოს საინფორმაციო და ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციებს გააშუქონ ანტონ პირველის ცხოვრება, სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება.

საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ მინისტრი ო. შატავაძე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საიუბილეო ღონისძიებები 1996 წლისათვის გადატანილი იქნა ფინანსთა მინისტრის, ბატონ ლავინთაძის ინიციატივით, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შემდეგ მინისტრთა კაბინეტი გაუქმდა, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ბ. ნი. იმენაღარიშვილი კი საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს, პრეზიდენტს მოუხდა ახალი განკარგულების გამოცემა:

საქართველოს პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№107 1996 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

„ანტონ პირველის დაბადების 275 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 5 ოქტომბრის №626 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ანტონ პირველის დაბადების 275 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 5 ოქტომბრის №626 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. ანტონ პირველის დაბადების 275 წლისთავი აღინიშნოს 1996 წლის 13-18 ოქტომბერს.

2. ანტონ პირველის დაბადების 275 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისიის თავმჯდომარედ ირაკლი მენაღარიშვილის ნაცვლად დამტკიცდეს ზაზა შენგელია – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

3. კომისიის შემადგენლობაში დამატებით შეყვანილ იქნენ:

არჩილ გოგელია – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომავწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე

კობა იმედაშვილი – სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილების უფროსი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი

თამაზ კვაჭანტირაძე – საქართველოს განათლების მინისტრი

ნუგზარ პაპუაშვილი – ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

გიორგი წერეთელი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრეზიდენტი.

ქ. შვიპარღნაძე

სახელმწიფო-საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა შედგა ბ-ნი ზაზა შენგელიას კაბინეტში 1996 წლის 25 აპრილს. სხდომამ მიიღო ღონისძიებათა გეგმა:

ანტონ პირველის (ბაგრატიონი) დაბადებიდან 275 წლისთავის საიუბილეო ღონისძიების ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა

საჭიროა:

1. დაიხატოს ანტონის ფერწერული პორტრეტი;

2. დამზადდეს ანტონის ბიუსტი (ან ძეგლი);

3. დაიხატოს ანტონის მედლის ესკიზი;

4. დამზადდეს 50 ცალი მედალი;

5. დაიბეჭდოს ანტონის ცხოვრების ამსახველი ფერადი ფოტობუკლეტი;

6. დაიბეჭდოს სარეკლამო პლაკატი საიუბილეო დღეებისათვის;

7. საიუბილეო დღეებისათვის დაიბეჭდოს მოსაწვევე ბარათები და პროგრამები;

8. მომზადდეს და დაიბეჭდოს როგორც თავად ანტონის, ისე მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომები;

9. ჩატარდეს სამეცნიერო სესიები როგორც სამეცნიერო-კვლევით, ასევე სასწავლო უმაღლეს სასწავლებლებში;

10. მოეწყოს ერთჯერადი შეკრება-სემინარები ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე ისტორიის მასწავლებლების მონაწილეობით ქალაქებსა და გუბერნიის ცენტრებში, რომლებზედაც ლექციებით გამოვლენ ცნობილი ანტონოლოგები;

11. რადიო-ტელევიზიით გადაიცეს ანტონის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოსვლები;

12. დაწესდეს ანტონის სახელობის სტიპენდიები როგორც საერო, ისე სასულიერო უმაღლეს სასწავლებლებში;

13. გადაღებული იქნეს დოკუმენტური ორნაწილიანი კინოფილმი;

14. ჩატარდეს საიუბილეო დღეები ერთი კვირის განმავლობაში შემდეგ ქალაქებში: თბილისი, მცხეთა, გორი, ქუთაისი და თელავი;

15. დაერქვას ანტონის სახელი ერთ-ერთ მთავარ ქუჩას თბილისსა, ქუთაისსა და თელავში.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
პროფ. ალ. შოცხიშვილი.

24/IV-1996 წ.

I. შესავალი

არა მგონიხ, ქვეყნად არსებობდეს მეორე ერი, რომელიც ისე გულგრილად და უყურადღებოდ მოქცეოდა საკუთარ ისტორიას, როგორც ქართველები. ჩვენ, ვეფხისტყაოსნის დამწერ ერს, უამრავი ჭირის გადატანსა და გამარჯვებებისა და ღზინის მომსწრეს, ჩვენ ნაძღვრე მოღწეული 15 საუკუნოვანი დამწერლობის მქონეს, ჩვენი ისტორიის არც ერთი მონაკვეთის ეჭვმიუტანელი და მეტნაკლებად სრული ისტორია არა გვაქვს.

რადგან საკუთარი ისტორიისათვის ვერ მოვიცალეთ, სხვისი ხელის შემყურედ დავრჩით ფა, რა გასაკვირია, მეზობელი თუ შორეული, როცა გაყოფა და ჩამორიგება მის ნება-სურვილზეა. გემრიელ ლუკმას თავისაკენ ექაჩება. არად აგდებს ამ ლუკმის მოპოვებაში შენს წილს თუ წინაპართა მონაგარს. ნამდვილი ფაქტებით შემაგრებული და ეჭვმიუტანელი ისტორიის უქონლობა კი ურთულესი და უმძიმესი დილექმის წინაშე აყენებს მომავალ თაობებს; გონიფრული დასკვნების გამოსატანად ისინი იძულებულნი ხდებიან უფრო გუმანსა და გეშს დაეყრდნონ, ვიდრე დადასტურებულ მოცემულობებზე დამყარებულ მსჯელობის შედეგად მიღებულ დასკვნებს.

ნამდვილი ისტორიის უქონლობა, რატომღაც, თითქო შეცდომისათვის საგანგებოდ ვესჯისო განეება, როგორც წესი, ფსევდო-ისტორიის მშობელია მუდამ და ამის დასანახავად შორს წასვლა არ გვჭირდება, დღევანდელი დღე შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ჭეშმარიტი ისტორიის უგულვებლყოფას.

შორეულ წარსულში უგერგილოდ ვწერეთ ისტორია. ახალში — უკულმა ვწერეთ იგი. დღეს? როგორ ვიქცევით დღეს? — ვწერთ იმას, რაც უკვე დაწერილია. არადა საინტერესო და მნიშვნელოვანი მეტწილად სწორედ ისაა, რაც თავის დროზე არ დაუწერიათ. ასეთი კი ჩვენს ახლო წარსულში ძალიან ბევრი იყო და მე მინდა, მკითხველს აქ ზოგი ისეთი რამ მოვუთხრო, რაც არ დაწერილა, მას კი ჩვენი ცხოვრების წესის ისტორიისათვის ზოგადად, კერძოდ კი, ანტონ ბაგრატიონის სახელთან დაკავშირებული ამბების სწორად გასაგებად, მეტად ფასეული მნიშვნელობა აქვს.

მკითხველი ალბათ თვითრეკლამაში არ ჩამითვლის, თუ ამ ისტორიას პირველი პირით მოვყვები და მასში ერთ-ერთი მოქმედი თავად ვიქნები, სამაგიეროდ, ფაქტების ჭეშმარიტებაზე ვაგებ პასუხს საკუთარი სინდისის, საზოგადოებისა და ღმერთის წინაშე.

საშუალო სკოლაში იმ დროს (ომამდე) ვსწავლობდი, როცა იღია ჭავჭავაძე რეაქციონერ მწერლად ითვლებოდა, ხოლო მისი „პოეტის“ სიტყვები ღმერთთან მისთვის ვლამარაკობ“... – რეაქციული აზრების გამოხატულებად. გვითხრეს თუ არა რაიმე ანტონ I-ზე მაშინ ან, თუ გვითხრეს, კერძოდ რა – არ მახსოვს, ე. წ. „კრიტიკული სახელმძღვანელოებით“ გათამამებული არ ვყოფილვარო, ყოველ შემთხვევაში, მე ისინი არ მინახავს.

ანტონ ბაგრატიონი (ანუ, როგორც ჩვეულებრივ, მას ვუწოდებო, ანტონ პირველი კათალიკოსი) სასკოლო სასწავლო პროგრამაში ცალკე არასდროს შესულა, მაგრამ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მისი სახელი ლიტერატურის სახელმძღვანელოებში თითქმის ყოველთვის იხსენიებოდა, განსაკუთრებით 40-იანი წლების შემდეგ და, როგორც წესი, იგი ყოველთვის უარყოფითად ხასიათდებოდა; უფრო მეტიც, ყოველგვარი პროგრესიულის წინააღმდეგ მებრძოლ პირად წარმოგვიდგებოდა.

ანტონის მიმართ ასეთ განწყობილებას ორი მიზეზი განაპირობებდა:

1. ჩვენი საზოგადოების ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, ათეიზმის საყოველთაო გამარჯვებისათვის. ასეთ პირობებში საჭირო იყო არა მხოლოდ ქრისტეს მოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლა და ქრისტიანული მოძღვრების უსაფუძვლობის „თეორიული“ დასაბუთება, არამედ თვალნათლივ ჩვენება ქრისტიანული მოძღვრების მიხედვართა, მღვდელმსახურთა და განსაკუთრებით გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედების მხარეებისა თუ თავად ამ პირთა დანაშაულებრივი ქმედებებისა. რა დასამალია და, არაიშვიათად საქმე მიდიოდა ფაქტების გაყალბებამდე, ნაშრომების ფალსიფიკაციამდე, ხშირად უბრალოდ უსირცხვილო ცილისწამებამდე. რადგან დამცველი არავინ იყო (ვინ გაბედავდა?!), საქმეში ჩაუხედავი საზოგადოების დარწმუნება იოლი ხდებოდა, მით უფრო, თუ საზოგადოება უდიდესი ოპტიმიზმით იყო განწყობილი იმ მომავლის მიმართ, რომლის მხოლოდ ვარდისფერებში დახატულ სამყაროს ეწეოდა ყოველნაირი საშუალებებით აგიტაცია.

რელიგიური წარმოდგენები ყოველგვარი მეცნიერულისა და პროგრესულის მოწინააღმდეგედ იყო მიჩნეული და იდეოლოგიური ბრძოლის ამ გზაზე უპირველესი ცეცხლი სწორედ იმ მოღვაწეების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებიც არცთუ შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ და ხალხისა და მეცნიერული საზოგადოების თვალში ავტორიტეტებად ითვლებოდნენ. ანტონი სწორედ ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო და ამიტომაც ბრძოლა მის წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმძლავრით გააჩაღეს.

2. მარქსისტული თეორიის მიხედვით, საზოგადოების განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა კლასთა ბრძოლაა. კლასთა

ბრძოლას სოციალისტური რევოლუცია მოჰყვა. რევოლუციის შემდეგ დაპარცხებული და განადგურებული იქნა დიდგვაროვანთა წარმომადგენლები, რომლებიც მუშათა და გლეხთა დაუძინებელ მტრად ითვლებოდნენ, არავითარი კომპრომისი მათ მიმართ დასაშვები არ იყო.

ანტონ ბაგრატიონი ამ თვალსაზრისითაც ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გამორჩენილი სამიზნე გახლდათ – ქართული ეკლესიის მეთაური, კათალიკოსი, მეფის გვარის წარმომადგენელი.

ერთი სიტყვით, ანტონის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროც იყო და სასურველიც, მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება განხორციელება სასურველი და საჭირო ოცნებისა. ანტონის შემთხვევაში კი ბრძოლის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყოველი ქართველი, ვინც 40-50-იანი წლების შემდეგ, საშუალო განათლებას საქართველოში ეზიარა, დაჯერებულია, რომ ანტონზე უარესი პიროვნება, რეაქციონერი და ანტიქართველი ჩვენს ერს არაა ჰყოლია.

ანტონის წინააღმდეგ ძირითადად ორი უმძიმესი ბრალდება იყო წამოყენებული:

1. მან დააწვევინა ვეფხისტყაოსნის ნაბეჭდი ცალები; 2. ანტონმა მთელი საუკუნით შეაჩერა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება.

პირველი ბრალდება მე-19 საუკუნის 50-იან წლებში იშვა, მეორე – ჩვენი საუკუნის 30-იან-40-იანში.

პირველ ბრალდებას ფაქტის არარსებობის გამო გადმოცემები ასაზრდოებდა, მეორეს – ენის კლასობრივ მოვლენად აღიარება.

პირველი ბრალდების დასასაბუთებლად ანტონის „წყობილსიტყვაობიდან“ იშველიებდნენ ცნობილ იამბიკოს, რომელიც შოთა რუსთაველს ეხებოდა, უფრო სწორად, ამ იამბიკოს მხოლოდ ერთ ტაეპს „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს, ესე“ (რადგან დანარჩენი ოთხი ტაეპი ვეფხისტყაოსნის ავტორის მხოლოდ ქებას შეიცავდა).

ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ე. წ. კლერიკალური წრეებისა და ანტონ I-ის ბრძოლის შესახებ ჩვენს დროში, თუ არ ვცდები, პირველად ე. წ. საიუბილეო გამოცემის (1937 წ.) წინასიტყვაობაში იყო ნათქვამი: „... ცნობილია, რომ გვიან ეპოქაში, ასე მე-18 საუკუნეში, შოთას პოემის გარშემო კლერიკალურ წრეებში შექმნილი იყო დიდი ოპოზიცია. თვითონ ანტონ I კათალიკოსმაც კი გაილაშქრა შოთას წინააღმდეგ. აუტო-და-ფე გაუმართა შოთას პოემას და თავის წყობილსიტყვაობაში არ დააეიწყა აღენიშნა, რომ „შოთა ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“, – წერდა პ. ინგოროყვა.

აუტო-და-ფე პორტუგალიური სიტყვაა და იგი იხმარებოდა შუა საუკუნეებში პორტუგალიასა და ესპანეთში ინკვიზიტორების მიერ „ერეტიკოსებისა და მათი თხზულებების საჯარო დაწვის“ მნიშვნელობით და, თუ ანტონმა ვეფხისტყაოსნის აუტო-და-ფე მწოუწყო,

თავად განსაჯეთ, როგორი უნდა ყოფილიყო და (თუ ასეთი რამ მართლა მოხდა) როგორი უნდა იყოს ანტონის მიმართ ქართველი საზოგადოებრიობის დამოკიდებულება.

სხვათა შორის ამ აზრის გამოძახილს ჩვენში თითქმის უკანასკნელ წლებამდეც ვხვდებით. რამდენიმე წლის წინათ პოეტი მედვაკახიძე ერთ-ერთ ლექსში წერდა: „იყო დრო, როცა წიგნი სალოცავი კოცონზე დაწვეთ ვეფხისტყაოსანი“. „კოცონზე დაწვა“ აუტოდა-ფუც ქართული შესატყვისია. ასეთი ბრალდება კი ქართული ეკლესიისა და, კერძოდ, ანტონ პირველის მიმართ უბრალოდ ცილისწამებაა.

ანტონს, უდიდეს ბიბლიოფილს, რომლის ბიბლიოთეკაც, ადამიანმად-ხანის შემოსევების დროს განადგურებული, 7000 ტომს შეიცავდა, ანტონ I-ს, რომლის მეცადინეობითაც მე-18 საუკუნის საქართველოში საფუძველი ჩაეყარა და აღსდგა საუკუნეების განმავლობაში შეწყვეტილი კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრება, ვაბრალებდით ვეფხისტყაოსნის წიგნების კოცონზე დაწვას – შთამომავლობის უმადურება ამაზე შორს ნამდვილად ვერ წავა.

პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება თითქმის უცვლელად იქნა გადატანლი „ ძველი ქართული ლიტერატურის“ სახელმძღვანელოში და 1973 წლამდე მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ, რომ ანტონმა დააწვევინა ვეფხისტყაოსანი, ხოლო ქართული ეკლესია პოემას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა.

1937 წელს დაიწერა არნ. ჩიქობავას შრომა: „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“. მასში გატარებული იყო იმ დროისათვის გაბატონებული, მარქსისტულ დებულებად გასაღებული, თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ენა კლასობრივი მოვლენაა, რომ ფეოდალების ენა განსხვავდებოდა დაბალი კლასების, გლეხების, ენისაგან. ამის გამო კეთდებოდა მეტად მრავალმნიშვნელოვანი „ლოგიკური“ დასკვნა, თუცა არაპირდაპირი, მაგრამ ფაქტიურად მუდამ ნაგულისხმევი: ის, რაც მაღალი კლასის წარმომადგენლის ხელიდან გამოდიოდა, რა თქმა უნდა, უფარგისი და რეაქციული იყო – ანტონი მაღალი კლასის წარმომადგენელი იყო, მაშასადამე, მისი ენაც და მისი ენობრივი პოლიტიკაც მანკიერია და მიუღებელი.

არნ. ჩიქობავა წერდა: „ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმალურ განვითარებას გზა გადაუღობა ანტონ კათალიკოზმა და მისმა სკოლამ; ეს სკოლა განაგებდა სალიტერატურო ქართულის ბედს მთელი საუკუნის მანძილზე მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე. სამი სტილის თეორიამ მეცნიერებისა და ლიტერატურის სარბიელიდან განდევნა ენა „დავითიანისა“, საბასი, პაპუნა ორბელიანისა, ამ დარგებში დამკვიდრდა ენა ღვარჯნილი, როსულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზნეობით ღარიბი, გასაგებად ძნე-

ლი, ძველი ქართულის თავისებური სუროგატი. ლიტერატურისა და მეცნიერების ენას ანტონის სკოლამ მიატოვებინა ხალხური მეტყველების მიწაზე სიარული და სქოლასტიკური რიტორობის ოჩოფეხაზე შეაყენა“.

სქოლიოში ავტორი შენიშნავდა: — ამ თეორიის (იგულისხმება „სამი სტილის“ თეორია — ა.ფ.) თანახმად, როგორც ცნობილია, ენა უნდა ყოფილიყო განსხვავებული იმისდა მიხედვით, თუ რაგვარ საგანზე გვექნებოდა მსჯელობა: „მაღალმატერებზე“ — „მაღალი სტილით“ უნდა გველაპარაკა, უფრო ორდინარულ მოვლენებს საშუალო ენა („სტილი“) შეეფერებოდა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის „დაბალი სტილი“ იყო განკუთვნილი.

სამი სტილის თეორია ჯერ კიდევ ძველმა რომმა იცოდა: გასავალი ჰქონდა მას საშუალო საუკუნეებში და შემდეგ უფრო მეტიც — აღორძინების ხანაში. რუსეთში მას დიდი პატივი მოუპოვა ლომონოსოვმა. მისი „განსჯა საეკლესიო წიგნების სარგებლობისათვის“ პირველად 1757 წელს გამოქვეყნდა.

ანტონ კათალიკოსი 1762 წელს დაბრუნდა რუსეთიდან. სადაც იგი ხუთი წლის განმავლობაში ვლადიმირის ეპარქიას მღვდელმთავრობდა.

ლომონოსოვის გავლენა ანტონ კათალიკოსზე სამი სტილის საკითხში უდაოა“.¹

ჯერ ერთი, ლომონოსოვის გავლენა ანტონ კათალიკოსზე არა თუ უდაო არ არის, არამედ სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, არავითარი საერთო მათ შორის არაა. დამტკიცებულია, ანტონი არ იცნობდა ლომონოსოვის ამ თეორიას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ანტონს „სამი სტილის“ შესახებ ლაპარაკი ჰქონდა პირველ გრამატიკაში, რომელიც დაიწერა ლომონოსოვის ცნობილი სტატიის დაწერამდე (1753 წ.), ვიდრე ანტონი რუსეთში წავიდოდა. მეორეც: თუ დაუშვებთ, რომ ანტონი განიცდის ლომონოსოვის გავლენას, რით უნდა აიხსნას ამ ორი მეცნიერის მოღვაწეობის სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასება? რუსულ ენათმეცნიერებაში ლომონოსოვის თეორია მეტად დადებითად ფასდება, ქართველები კი ანტონს უარყოფითად აფასებენ. ხომ არ შეიძლება ორივე მართალი იყოს?

საცნაურია ისიც, რომ არნ. ჩიქობავასეული დაყოფა „სამი სტილისა“ მეტად აბსტრაქტულია და არ იძლევა საშუალებას კონკრეტული ნაწარმოების შესახებ ვთქვათ, რომელი სტილის ნიმუშია, რადგან ძნელი დასადგენია, რომელი ნაწარმოებია „მაღალიმატერების“ რიგისანი; ან რომლები განეკუთვნებიან „ორდინარულ მოვლენებს“, რომელსაც საშუალო სტილი სჭირდება; ანდა რატომ

¹ არჩიქობავა, ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1938, გვ.4.

არ უნდა ეკუთვნოდეს ასეთ მოვლენებს „ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხები“ — „მდაბალი სტილის“ სფერო? ისიც გაუგებარია, რა განსაზღვრავს სტილთა შორის სხვაობას ანტონთან (ლომონოსოვი ამ განსხვავებაზე კონკრეტულად მიუთითებდა). არც ის ვიცით, არნ. ჩიქობავამ საიდან აიღო ასეთი სტილური დაყოფა, რადგან იგი არ ემთხვევა ანტონის მოდელს, რომელიც თვითონ ანტონის მხითარ სებასტიელის მიბაძვით ჰქონდა შეტანილი გრამატიკაში.

როგორც ვნახეთ, არნ. ჩიქობავას აზრით, „სამი სტილის“ თეორიამ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზა გადაკეტა მთელი საუკუნით, მე-18 საუკუნის სამოციანი წლებიდან მე-19 საუკუნის სამოციან წლებამდე. ეს რომ ასე იყოს, ანტონს ხომ უნდა ეთქვა რაიმე „სამი სტილის“ თეორიაზე იმ გრამატიკაში, რომელიც მან სწორედ მე-18 საუკუნის 60-იან წლებში, კერძოდ, 1767 წელს დაწერა, ანუ მეორე გრამატიკაში, რომელი გრამატიკითაც იგი და მისი მოწაფეები ასწავლიდნენ თბილისსა და თელავის სემინარიის მსმენელებს.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველი გრამატიკის ხელნაწერი ორიოდე ცალია შემორჩენილი, ე. ი. ეს გრამატიკა დიდად გავრცელებული არ უნდა ყოფილიყო, რაც სულაც არაა გასაკვირი: ის ხომ ანტონის საქართველოდან გაძევებამდე დაიწერა და გაძევებულ და ექსორიკაში იქნა კაცის ნაშრომს, იგულისხმება, დიდი მოწონება არ ექნებოდა, თუ საერთოდ არ აუკრძალავთ. რუსეთიდან დაბრუნებული ანტონი ჩქარა წერს მეორე გრამატიკას, რომლის უამრავი ხელნაწერია შემორჩენილი და რომელიც დაიბეჭდა 1885 წელს. სწორედ ამ გრამატიკაში არაფერია ნათქვამი „სამ სტილზე“.

ერთი სიტყვით, ე. წ. „სამი სტილის“ თეორიის შესახებ, რომელიც მხოლოდ პირველ გრამატიკაში იყო მოცემული, ქართველმა საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი იცოდა მანამ, ვიდრე ამ გრამატიკაზე ცნობები არ გამოაქვეყნა ალ. ცაგარელმა თავის წიგნში „ო გრამატიკისკოთი ლიტერატურე გრუზინსკოგო იაზიკა“ 1873 წელს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს წიგნი პეტერბურგში დაიბეჭდა რუსულ ენაზე, უნდა დავუშვათ, რომ მას საქართველოში ცოტა ვინმე იცნობდა.

ანტონს არავითარი „სამი სტილის“ თეორია არ შემოუტანია და მით უფრო, არ დაუმკვიდრებია; ასეთი მტკიცებისათვის არავითარი საბუთი არა გვაქვს. არადამაჯერებელია მტკიცება იმის შესახებაც, თითქოს ამ ე. წ. თეორიამ გადაკეტა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზა და მისი განვითარება მთელი ასი წლით შეაჩერა. ამ განცხადებას, ისე როგორც თავად სტილებად დაყოფას, კონკრეტული მაგალითები არ ახლავს, იგულისხმება, გამონაკლისიც კი დაუშვებელია და რა გამოდის? **თანე ბაგრატიონის**

„კალმახობა“. რომანტიკოსების უბადლო ქმნილებები (თვით „ბედი ქართლი-ხახ“-ს ჩათვლით) უფრო მეტიც. ადრეული რეალიზმის წარმომადგენლები: გ. ერისთავის, დ. ქონჯაძისა და სხვათა ნაწარმოებების ენა განვითარებაშეჩერებული ქართული ხალიტერატურის ენის ნიმუშებია და „ღვაჭნილი“. ქართული თაა დაწერილი, რადგან ყველა ეს ნაწარმოები სწორედ იმ ავად-სახსენებელ ქართული სალიტერატურო ენის პერიოდზე მოდის.

როგორც ჩანს, არნ.ჩიქობავას თავადაც შეპარვია ეჭვი ამ დებულების ჭეშმარიტებაში და დაუსვამს კითხვა: „შეწყდა თუ არა ახალი ქართულის ისტორია ანტონის ზეგავლენით?“ და ჩვენდა გასაკვირად უპასუხნია. „არა. ახალ ქართულს წაართევს ლიტერატურა და მეცნიერება. მაგრამ მას დარჩა დაბალმატერიათა ხამყაროჲ პრაქტიკულ ყოველდღიური საქმიანობის ხამწერლო ენად იგი კელაჲ იხმარება. ახალი ენა აღარ არის ხალიტერატურთ, მაგრამ ხამწერლოდ მაინც რჩება „განაპირა უბნებში“, – მესამე სტილის საჭიროებისათვის (იქვე, გვ.6).

აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს მეცნიერება წინასწარ შემუშავებული ყალიბით რომ ხდება ფაქტების ანალიზი, ე. ი. არსებულა ცალკე „ხალიტერატურთ ენა“ და ცალკე „ხამწერლობთ ენა“ ეს უკანასკნელი თურმე „განაპირა უბნების“ – მესამე სტილის საჭიროებისათვის ყოფილა განკუთვნილი.

მაშინ საკითხავია, რაღა უფლებით ვლამარაკობთ სალიტერატურო ქართულში „სამი სტილის“ შემოღებაზე? უნდა გვეთქვა ორ სტილზე, რომელიც უპირისპირდება „სამწერლო ენას“ ანუ „განაპირა უბნების“ ენას.

არსებობს კი ხალიტერატურთ და ხამწერლო ენები ცალ-ცალკე, განსხვავებულად? – ასეთ განსხვავებას მეცნიერება არ იცნობს.

„ხამწერლო“. მწერლობისათვის განკუთვნილი – „ხალიტერატურთ“ – გვეუბნება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომლის მთავარი რედაქტორი თავად არნ. ჩიქობავა გახლდათ.

“ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ კი, რომლის საენათმეცნიერო ნაწილსაც არნ. ჩიქობავა ხელმძღვანელობდა, „ხამწერლობთ ენა“ საერთოდ არაა შეტანილი, ხოლო „ხალიტერატურთ ენის“ შესახებ ვკითხულობთ: „ხალიტერატურთ ენა. ხაერთთ ხახალხო ენის განვითარების უმადლები ფორმა. დამუშავებული. დახვეწილი ენა. რაც გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ხალიტერატურთ ენას იყენებენ მხატვრულ ლიტერატურაში, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში. თვისციალურ ხამქმეთა წარმოებაში და ხაერთოდ. კულტურის ყველა ხვეროში. რაც ენაში ჰოეებს გამთხატულებას“ – (ტ.8, გვ. 693) სხვათა შორის, სტატიის ბოლოს მითითებულ ლიტერატურაში მხოლოდ არნ. ჩიქობავა დასახელებული.

ახლა ვნახოთ ის მაგალითები, რომლებიც „სამწერლობთ“ ენის ნიმუშადა აქვს მოტანილი არნ.ჩიქობავას: „აი, განჩინების წიგნი ახალი ქართულით შესრულებული:

„1801, აპრილის 29 – ქციხისთვის შვილის იოსების ეზოში ღორი გაერეკა ამისი სახლის კაცის შერმაზანის მელორეს. ამ იოსების შვილს გამოერეკა; ამ შერმაზანის გაელახა ის ყმაწვილი. ეს იოსები შინ არ იყო; როდესაც მისულიყო და შეეტყო, თავის სახლის კარზე გამოსულიყო და ლანძღვა დაეწყო...“ განჩინება შეუდგენია მდივანბეგ სვიმონს („საქსიძეელები, ტ. I, გვ. 199)“¹

არნ. ჩიქობავა განაგრძობს: „ან განჩინების ენა ხალხურზე ხალხურია: სანიმუშოა თავის სისადავით – არა მხოლოდ სასამართლოს კანცელარიისათვის, – იგი სავსებით გამართული წიგნის ენაა: არც ერთი მორფოლოგიური თუ სინტაქსური ცთომილება (ახალი ქართულის ნორმათა თვალსაზრისით). ეკუთვნის ეს განჩინება 1801 წ. როცა ანტონის ხოლა მძვინვარებდა“. (იქვე – ხაზი ჩემია – ა. ფ.).

თუ მეფის კანცელარია წიგნის ენით წერს (ან სხვანაირად როგორ შეიძლება) და ეს ენა სავსებით გამართული და „სანიმუშოა თავისი სისადავით“, სადღაა „ანტონის ხოლის მძვინვარება“, მაგრამ უფრო საოცარი ისაა, რომ თურმე „ასეთივე სადა ენით წერს თვით კათალიკოზის კანცელარიაც“.

1797, თებერვლის 18 ქ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ არხიმანდრიტო ხოფისავ, დოსითეოს! მერმე ამ ხოფის საარქიმანდრიტო ხომ ჩვენი სამწყსო არის, რომელზედაც რომ არხიმანდრიტად ჩვენ გაკურთხეთ შენ და დაგადგინეთ და იმისი ყმა და მამული. ყოველივე შენ გარწმუნეთ და მოგეცით. ახლავ შენ მასალა უნდა იშოვნო და ან, რაც ეკლესიის კურთხევაში ესაჭიროება, ისინიც და ეგ ხოფის ეკლესიაც უნდა განაახლო. შენთვის ნება მომიცია და ჩვენის შენდობით აკურთხე: ... თებერვლის იმ, წელსა ჩღუზ... კათალიკოზი ანტონი“ („საქსიძე“ II გვ.465).

მართლწერა ორივესი სადაა, ზედმეტი ასოები არ იხმარება. კათალიკოზის კანცელარია გარკვეულ შემთხვევაში მარტივად მეტყველებს“ (იქვე) – დაასკვნის არნ. ჩიქობავა.

შეიძლება დავიჯეროთ, რომ კათალიკოსის კანცელარიის ენა (მოცემულ შემთხვევაში თვითონ კათალიკოსის ხელმოწერით გაგზავნილი ბრძანება ეპარქიის მეთაურისადმი) „ყოველდღიური ხაყოფაცხოვრებთ ენის“ ნიმუშია? ამიტომაც ახეთი დოკუმენტის შეხადგენად გამოიყენეს „მეხამე ხტილი“?

და როცა ახეთი ხტილით წერდა კათალიკოზი (მისი ხელმოწერით გაგზავნილი დოკუმენტი, იგულისხმება, ესადაგებოდა თვითონ კათალიკოსის ენასა და აზროვნების ფორმას), მოხალოდნელია პოეტური

¹ არჩიქობავა, დანახ ნაშრ, გვ.4 (ხაზი ვეულგან ავტორისაა)

შეტყველებისათვის რაღაც განსაკუთრებით მკითხველს ხტილის გამოყენებას მოითხოვდნენ?

შემდეგ არნოდლ ჩიქობავას მოაქვს ორი ისტორიული დოკუმენტის ენის მაგალითები, რომელთაგან თეიმურაზ ბატონიშვილის ქართული „მაღალი შტილის“ ნიმუშადაა აღიარებული: „შემდგომად დიდისა მის მეფისა თამარისა შოთა რუსთაველი, რომელიც იყო მთავარი რუსთავის ქალაქისა და თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი, იყო კაცი განსწავლული და ყოველითა კეთილზნეობითა, სრული ფილოსოფოსი და უსწორო პიტიკოსი...“ ხოლო „მეთვრამეტე საუკუნის ისტორიული თხრობის ენა (ავტორი დასახელებული არაა – ა. ფ.) – „დაბალისად“: „გამოვიდა რუსი ელჩი ყაენთან მისასვლელად. მოუვიდა ბრძანება კახ-ბატონს მეფეს ერეკლეს „ქართლისა და კახეთიდამ ათასი კაცი აარჩიე და წინ მიეგებეო“. შექმნეს მზადება ქართველთა და კახთა, წაბძანდა მეფე ერეკლე ათასის კაცით რუსის ელჩის წინ იქიდამ დაბრუნდა“. (იქვე, მე-5 გვ.).

ჯერ ერთი, თეიმურაზის ენა არც მაიცდამაინც „მაღალი შტილია“, მაგრამ, თუნდაც ასე იყოს, რატომ წერს მეორე ისტორიკოსი „მდაბალი სტილით“, სადღაა გამძვინვარებული ანტონის სკოლა? თუ ერთისთვის ისტორიული თხზულება მაღალი სტილით უნდა დაიწეროს, მეორე ავტორი რატომ არ ემორჩილება ანტონის „გაბატონებულ სკოლას?“ საგანი ხომ ორივე შემთხვევაში ერთია?!

აშკარაა, საგნის მიუხედავად, ტექსტის ავტორი წერს ისე, როგორც თვითონ მიიჩნევს შესაფერისად, რაც იმას ნიშნავს, რომ არავითარი შემზღულდველი „ანტონის სკოლა“ არ არსებულა.

შემდეგ ავტორი ეხება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამართულ „ბრძოლას“ ენის საკითხებზე და წერს: „მესამოცე წლებში ანტონის სკოლის მიმდევართა შორის ენის საკითხში რევიზიონისტულმა მიდრეკილებამ იჩინა თავი: ეს ცხადად ჩანს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილში: „ქართული უბნობა ანუ წერა“ (ცისკარი“, 1860, ტ. II, მაისი).

„ცისკარში“ ერთნაირი წერა უნდა იყოსო, ამბობს ავტორი, სახელდობრ როგორი? წერა სამგვარია. ეკლესიური, დარბაისლური და გლეხკაცური. აქედან ერთ-ერთი უნდა ამოვირჩიოთ, იმაზე შემოვიღოთ წერა და ლაპარაკი... ეკლესიური ძნელია, მას ვერ შემოვიღებთ. „მე საშუალოს ენას ამოვირჩევე, დარბაისლურ ენას“... ამ ენაზე უწერიათ უწინდელი საერო წიგნები: რუსუდანიანი, ვისრამიანი, დავრიშიანი, სიბრძნესიცრუვე, ყარამანიანი... ვეფხისტყაოსანი“, „ნუ იქნება სიჭრელე“ „ცისკარში“ არა სამი სტილი, სამი წიგნური ენა, არამედ ერთი, იმ ენით ვილაპარაკოთ, იმ ენით, ვწეროთ, ამ ენად დარბაისლური ენა იყოს მისი გრამატიკა ვთხოვოთ ბაქარ ქართლელს, რომ შეადგინოსო“ (გვ.7 - 8).

მეტად საინტერესო მოსაზრებაა იმის გასაგებად, თუ როგორ ესმოდათ ე. წ. ანტონის მიმდევრებს „სამი სტილი“.

პირველი, ანუ „მაღალი სტილი“, ესაა საეკლესიო წიგნების ენა; მეორე სტილი, ანუ „დარბაისლური“ ენაა საერო ნაწარმოების (მათ შორის „სიბრძნე სიცრუისა“) ენა; მესამე სტილი გლეხკაცის ენაა. ამ სტილისათვის ჯამბაკურ-ორბელინს საილუსტრაციო მაგალითი დასახელებული არა აქვს და საიდუმლოებაც სწორედ აქ იმალება: ასეთი მაგალითის დასახელება მას არ შეეძლო, რადგან ასეთი მაგალითები ბუნებაში არ არსებობენ – საბას იგავ-არაკებზე უფრო უბრალო და გასაგები ენა მწერლობის ენაში არ არსებობდა, ამდენად ყოველგვარ „სამ სტილზე“ ლაპარაკი ყურმოკრულ ამბებს ეყრდნობოდა და არაავითარი ლიტერატურული ფაქტებით შემაგრებული არ იყო.

ამ კონტექსტში საინტერესოა ბაქარ ქართლელის (დიმიტრი ბაქრაძის) მოსაზრება: „ვეფხისტყაოსნის“ ენას ვერ დაუვბრუნდებით, ის ისტორიის კუთვნილებაა, ისევე როგორც ბერძნები არ უბრუნდებიან ჰომეროსის ენას. ჩვენ საშუალო ენა უნდა დავაკანონოთ („უკეთესი საზოგადოების ენა“) იქვე, გვ. 6.

ე. ი. „მეორე სტილი“ არის „უკეთესი საზოგადოების ენა“, რომელიც უპირისპირდება, ყოველ შემთხვევაში, განსხვავდება ვეფხისტყაოსნის ენისაგან.

საკითხავია, მამ რა უნდა ვიგულისხმოთ „უკეთესი საზოგადოების“ ენაში? ალბათ მაღალი კლასის ნაწერების ენა, მაღალი კლასის სალიტერატურო ენა, რომელიც აგრეთვე განსხვავდება გლეხკაცის ენისაგან – გლეხკაცის სალიტერატურო ენისაგან (რადგან სამ სტილად სწორედ სალიტერატურო ენაა დაყოფილი)?

მერედა არსებობდა ასეთი განსხვავებული სალიტერატურო ენები? ანდა გაუგონია ვინმეს გლეხკაცის სალიტერატურო ენა, იმ გლეხკაცისა, რომელმაც როგორც წესი, წერა-კითხვა საერთოდ არ იცოდა?

მეცნიერი განაგრძობს დიმ. ბაქრაძის მოსაზრებათა ციტირებას: „დაბალი ანუ გლეხური ენა სათქმელი არ არის გლეხების საუბარი (მიაქციეთ ყურადღება ლაპარაკია „საუბარზე“ – ა.ფ.) ვერ შეიძლება მაღალთა საგანთა გამოხატვისა შუამავლობასა“ („ცისკარი“ ტ. II, 329).

სრულიად ჭეშმარიტი მოსაზრებაა, თუ მას განვიხილავთ აგრეთვე ჭეშმარიტი ენათმეცნიერული პოზიციებიდან: გლეხის ენა, რომელიც ერთი ენათმეცნიერის გამოანგარიშებით აქტიურ მარაგში არსებული სამასიოდე სიტყვით კმაყოფილდება, ვერ გამოდგება „მაღალი მატერიების“ გამოხატვის მოსაშუალებედ და ამაში გლეხის, როგორც დაბალი წრის წარმომადგენლის დამამცირებელი, რა თქმა უნდა, არაფერია. გლეხი ასე ცოტა რაოდენობის სიტყვას იმი-

ტომ კი არ ხმარობს, რომ მისი გონება საერთოდ შეზღუდულია და მეტის შეთვისება არ შეუძლია, უბრალოდ იმიტომ, რომ მას თავისი ცხოვრების წესის გამო, მეტი არ სჭირდება.

ახლა ენახოთ, როგორ კომენტარს უკეთებს დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებას არნ. ჩიქობავა: „იშვიათად თუ გამოვლენილა ახე აშკარად კლასობრივი თვალსაზრისი ხალიტერატურთ ენის პოლიტიკისა და კერძოდ სტილის საკითხებში“ (იქვე, გვ.9).

ე. ი. იმის აღნიშვნა, რომ გლეხის სალაპარაკო ენა (სხვა ენა კი გლეხს არ ჰქონდა) არ გამოდგება „მაღალი მატერიის“, ვთქვათ, მეცნიერების ენად, თურმე კლასობრივი განკერძოებულობის გამოზნატველია – დიმიტრი ბაქრაძე თვითონ თავადზანაურობის წარმომადგენელი გამოხატავს თავისი კლასის ინტერესებს. რადგან მას არ მოსწონს გლეხიკის ენა, ეს იმას ნიშნავს, რომ „სამი სტილის“ თეორია ენის კლასობრიობის გამოვლენაა: – დიდგვაროვანი თავიანთი „მაღალი სტილით“ უპირისპირდებიან დაბალი ფენის წარმომადგენელ გლეხებს – „მესამე სტილის“ მქონეთ.

სინამდვილეში კი დიმიტრი ბაქრაძის „მესამე სტილი“, ანუ გლეხიკის მეტყველება, ისე როგორც ჯამბაკურ-ორბელიანის „მესამე სტილი“, გულისხმობს არა გლეხიკის „სალიტერატურო ენას“ – ბუნებაში არარსებულს, არამედ დიალექტურ მეტყველებას, გაუნათლებელ, უსწავლელი კაცის საუბრის ენას, რომელიც, რასაკვირველია, არ გამოდგებოდა მეცნიერების ენად.

სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ „გლეხის ენა“, რომელიც ცალკე სტილს ქმნის და უპირისპირდება „დარბაისლური საზოგადოების“ ენას, ენას იმ საზოგადოებისა, რომელიც მეტნაკლებად განათლებული იყო, იცოდა წერა-კითხვა და შეთვისებული ჰქონდა სალიტერატურო ენაში გამოყენებული ლექსიკა და გრამატიკული ფორმები, საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელი განათლებული კაცისათვის გასაგები.

ერთი სიტყვით, „სამი სტილის“ თეორიაში ჯერ ამოვიკითხეთ იმის მარწმუნებელი საბუთი, რომ ენას შეძლებული (გაბატონებული) კლასების წარმომადგენლები გამოიყენებდნენ კლასობრივი ბრძოლისათვის და მერე, რაღა გასაკვირია, ბრძოლა გამოგვეცხადებინა მისთვის, როგორც რეაქციული თეორიისათვის. და, რადგან ეს თეორია რეაქციულ თეორიად იქნა მიჩნეული, ყველაზე უფრო შთამბეჭდავი და დასაჯერებელი იქნებოდა, თუ ამ თეორიის ავტორად, შემომტანად და დამამკვიდრებლად გამოცხადდებოდა ანტონ ბაგრატიონი. ქართული ქრისტიანული რელიგიის მამათავარს, მაღალი კლასის წარმომადგენელს, რასაკვირველია, იდეებიცა და პრაქტიკული მოღვაწეობაც რეაქციული იქნებოდა – კეთდებოდა აპრიორი დასკვნა. თორემ ანტიონის გრამატიკაში მოხსენებული „სამი სტილი“ სრულიად განსხვავებული იყო „ცისკრელების“ სამი სტი-

ლისაგან. იგი სალიტერატურო ენის გამოსახატავ სხვადასხვა სფეროსათვის სხვადასხვანაირ სტილს მოითხოვდა ასეთი განაწილებით: 1. „მაღალი სტილი“ – მეცნიერების ენა; 2. „საშუალო სტილი“ – საღმრთო წერილის ენა; 3. „დაბალი სტილი“ – მხატვრული ლიტერატურის ენა, ე. ი. ენა ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები და რომ „ცისკრელებს“ ნამდვილი „სამი სტილის“ თეორიის არსი სცოდნოდათ, ჟურნალის ენის საკითხი არც უნდა დასმულიყო, მისთვის განკუთვნილი იყო „მესამე სტილი“ – სტილი ყველასათვის გასაგები.

ახლა, ვფიქრობ, ნათელია საიდან იღებს სათავეს „სამი სტილის“ თეორიის წინააღმდეგ ასეთი ერთობლივი ამხედრება, რასაც უთუოდ ხელი შეუწყო იმანაც, რომ არნ. ჩიქობავამ „ილია ჭავჭავაძის ენაში“ წარმოდგენილ ზემოთ განხილული დებულება სიტყვასიტყვით გაიმეორა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ I ტომის შესავალ წერილში 1950 წელს, რითაც ეს მოსაზრება საბოლოოდ დააქანონა. „ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსის (ანტონ პირველის) და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე“ (ქგლ, ტ. I, გვ. 020) „... იშვიათად თუ გამოვლენილა ასე მწვავედ და აშკარად კლასობრივი თვალსაზრისი სალიტერატურო ენის განვითარების საკითხში, საერთოდ და სტილის საკითხში, კერძოდ“ (იქვე, გვ.24).

არნ. ჩიქობავას ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით საშუალო სკოლის IX კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში შეტანილია დებულება: „მიუხედავად იმისა, რომ ქართული რომანტიზმი უხვად სარგებლობს ხალხური შემოქმედებით, ქალაქური ფოლკლორით, სამწერლო ენის მხრივ ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოკლებით, მეტწილად არქაიზმის დამცველად გვევლინება. ამ გარემოებას ხელი შეუწყო ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებულმა „სამი სტილის“ თეორიამ, რომელმაც გადაკვეთა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ის ხწორი გზა, რომელსაც ჯერ კიდევ სულხან ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა დაუდგეს სათავე“ 3 (3) („ქართული ლიტერატურა“, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1973, გვ. 22.) „ახალი სალიტერატურო ქართული ენის ბუნებრივ განვითარებას გზა გადაუღობეს ანტონ კათალიკოსმა და მისმა მიმდევრებმა. მათი ენა იყო ხელთვისური, დამძიმებული“¹.

¹ ქართული ლიტერატურა, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1973, გვ. 22.

—მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი არისტოკრატია, რომელიც დაშორებული იყო ხალხს, ცდილობდა ენა გამოეყენებინა თავისი ინტერესები-სათვის“ (იქვე, გვ. 198).

1977 წელს გამოცემულ იმავე სახელმძღვანელოში პირველი ცი-ტატის მხოლოდ მესამედია წარმოდგენილი, მაგრამ მეორე ციტატა უცვლელადაა დატოვებული და სკოლებში ასწავლიან: 1. ანტონ კათა-ლისკოშა გზა გადაუღობა ქართული ენის განვითარებას; 2. ქართული არისტოკ-რატია ენას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა.

და მიუხედავად იმისა, რომ ანტონ ბაგრატიონის ღვაწლი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე, ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე თითქმის სრულადაა გამოვლენილი გამოჩენი-ლი ქართველი მეცნიერების: კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ალ. ფრანგიშვილის, აპ. როგავას, ვ. პარკაძის, დ. ლაშქარაძის, ალ. კა-ლანდაძის, ს. ავალიანის, თ. კუკავას, მ. ქავთარიას, რ. ბარამიძის, ივ. ლოლაშვილის და სხვათა შრომებში, იმის გამო, რომ ეს შრო-მები მეტწილად მცირე ტირაჟიან მეცნიერულ გამოცემებშია მოთავ-სებული, ფართო საზოგადოებრიობა მას ნაკლებად იცნობს და ძი-რითადად საზრდოობს საშუალო სკოლიდან მიღებული უარყოფითი და თანაც ცალმხრივი ინფორმაციით.

მართალია, სახელმძღვანელოს ავტორებს, როგორც დავინახეთ, ქ. გ. ლ-ში გამოთქმული მოსაზრებები ცოტათი შეუმსუბუქებიათ, განუვითარებელ ქართულ ენაზე მწერალთა სიიდან ნ. ბარათაშვი-ლიც ამოუღიათ, მაგრამ როგორ უნდა მოეხერხებინა ქართული სიტყვიერების მასწავლებელს გრ. ორბელიანის ენა განვითარებაზე ჩერებული ქართული სალიტერატურო ენის ნიმუშად ჩაეთვალა, ან რანაირად მოეხერხებინა მოსწავლეების დაჯერება იმაში, რომ იგი-ვე გრ. ორბელიანი ენას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა, რო-გორც იტყვიან, ღმერთისათვის მიუხდვიათ.

თუმცა, შეიძლება იკითხონ, განა ფაქტი არ არის, რომ მე-18 საუ-კუნესა და მეცხრამეტე საუკუნის საკმაოდ დიდ პერიოდში ნამდვი-ლად იქმნებოდა მდარე ხარისხის ნაწარმოებები არც თუ შანინცდა-შანინც მდიდარ და გასაგებ ქართულზე? დიახ, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მისი მიზეზი ანტონისათვის დაბრალებული „სამი სტი-ლის“ თეორია კი არ გახლდათ, არამედ ის, რომ არ დაბადებულან და არ ცხოვრობდნენ ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის მსგავსი ნიჭიერი ადამიანები. თვითონ ჩვენი ერის ცხოვრებაც არ იძლეოდა „იდეათა აფეთქების საფუძველს“ — მთე-ლი ერი გამოურკვეველი, დუნე ცხოვრებით ცხოვრობდა: ძველ ფე-ოდალურ კარჩაკეტილ მეურნეობას ნიადაგი ეცლებოდა, ახალი — ბურჟუაზიული — დამკვიდრებული არ იყო. ძველი სწავლა-განათ-ლების ცენტრების, თბილისისა და თელავის სემინარიების, ფუნ-ქციონირება შეწყვეტილი იყო (ერთადერთი საკეთილშობილო სას-

წავლებელი და ასევე ერთადერთი სასულიერო სემინარია ფუნქციონირებდა მოელი 30 წლის განმავლობაში საქართველოში), ე. ი. ძველი ყაიდის განათლება დაეიწყებულ იყო, ახალს – ფრთა ვერ გაეშალა.

პოეტობისადმი დაუოკებელი მიდრეკილების მქონე ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, რომელთაც ღვთისგან მომადლებული ნიჭი ხელს არ უწყობდათ, ძველი ქართულის ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით აჭრელებული ანბანთქებები თუ სალონური ქათინაურები პოეზიად წარმოედგინათ.

როგორც ყველა დროისათვისაა დამახასიათებელი, ამ უნიჭოთა პოეზია მიმბაძველობით საზრდოობდა. ყველაზე უფრო გამოჩენილი მისაბაძი კი მათი თანამედროვე (თუ ახლო წინაპარი) სახელგანთქმული ანტონი იყო. ისინიც დაუფარავად და თავმოწონებით ბაძავდნენ ანტონის „ფრასის ბრწყინვალებას“ და არავენ განსჯიდა: 1. შეიძლებოდა თუ არა ერთნაირი ენით დაწერილიყო: ფიზიკა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ლინგვისტიკა (რომელთაც ანტონი ზოგჯერ თავიდან ქმნიდა) და საალბომო პოეზია – მიმბაძველ-ეპიგონთა ობიექტი. თუმცა უფრო უცნაური ისაა, ანტონს რატომ უნდა ვადანაშაულებდეთ იმაში, რომ ვიღაც უნიჭო მას ბაძავდა?!

ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძე ებრძოდა არა იმდენად ძველ ენას, რამდენადაც უნიჭობასა და უმოძრაობას.

საკმარისი იყო, დაბადებულიყვნენ ნიჭიერები და ქართულმა ენამაც ფრთები გაშალა. ძალა გამოაჩინა. მისი განვითარება რომ ასი წლით შეჩერებულიყო, რომანტიკოსები ვერ შესძლებდნენ ისე უცებ და საჭირო პირობების უქონლად (როგორც ცნობილია, ჩვენი იმ დროს თითქმის არ არსებობდა ჟურნალ-გაზეთები), ჩვენი ენის უდიდესი შესაძლებლობა, სიმდიდრე წარმოეჩინათ. არას ვამბობ გიორგი ერისთავსა, დანიელ ჭონქაძესა და სხვებზე.

მაგრამ ყველაზე მთავარი და უარესი ის იყო, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებს ანტონის პიროვნების შეურაცხყოფითა და მისი შემოქმედების გაბიაბრუებით გატაცებულთ, სავსებით ავიწყდებოდათ ის უზარმაზარი დამსახურება, რომლის შესახებაც თავის დროზე ილიამაც აღნიშნა; ავიწყდებოდათ, რომ სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ანტონი იყო ავტორი ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული გრამატიკისა, რომლის ძირითადი დებულებებიც (განსაკუთრებით ტერმინოლოგია) უცვლელად მეორდება დღევანდელ სასკოლო გრამატიკებში.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგი ენათმეცნიერის შრომაში დღესაც განმეორებულია „სამი სტილის“ თეორიაზე ზემოთ უკვე განხილული არასწორი შეხედულებები და ამ „თეორიის“ დამმკვიდრებლად ქართულ სინამდვილეში კვლავ ანტონია მიჩნეული. მხედველობაში გვაქვს 1987 წელს გამოსული ბჟორბენაძის წიგნი „ბალავა-

რი მწერლობისა". რომელშიც ბევრი საინტერესო საკითხია ახლებურად დასმული და პასუხგაცემული, მაგრამ „სამი სტილის“ თეორიის განხილვასთან დაკავშირებით განმეორებულია ენათმეცნიერთა ერთ ჯგუფში ტრადიციად ქცეული შეხედულება ამ თეორიის უარყოფითად შეფასებისა.

ნარკვევში „ილია ჭავჭავაძე ქართული ენის შესახებ“ ავტორი, ვიდრე განიხილავდეს ილიას დამსახურებას ქართული სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის გამარტივების საქმეში, საჭიროდ თვლის წარმოადგინოს ილიას წინადროინდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული მდგომარეობის სურათი დებულებების სახით.

ბ. ჯორბენაძე წერს: „1. პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, ნასაზრდოები ფეოდალური პარტიკულარიზმით, გარეშე მტერთა განუწყვეტელი შემოსევები, შინაური აშლილობა, მეზობელ ტომთა მეკობრული თარეში – აი, მიზეზი საქართველოს უკიდურესი დაუძლურებისა.

2. XVIII საუკუნეს უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მომავალი ბედი: ან სრული გადაგვარება, გაქრობა, ან უნდა გამოძებნილიყო შინაგანი ძალა აღორძინებისათვის.

3. ერის აღორძინება სულიერი აღზევებით იწყება ყოველთვის;

4. ენის ერთობა ამ აღზევების ერთ-ერთი არსებითი გამოვლინებაა.

5. არაა შემთხვევითი – ერის გადაგვარების მოსურნეთ უპირველესად ყოვლისა ეროვნულ ენაზე მიაქვთ იერიში.

6. სულიერი დაკნინება ენის დაკნინებასაც იწვევს.

დარბაისლური მეტყველება გარმიანული ჟარგონით იცვლება. ენა კარგავს ეროვნულ ნიშანს, იესება ბარბარიზმებით, უცხოური კალკებით, იფიტება, მოუქნელი, მყიფე ხდება. ეს საფრთხე დაუდგა ქართულ ენასაც XVIII საუკუნეში“.¹

როგორც ვხედავთ, ამ ამონაწერში საკმაოდ ბევრი დებულებაა წამოყენებული და ყველა მათგანის ანალიზი შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მთავარი და თვალში საცემი ისაა, რომ უმეტესობა, რაც აქაა ნათქვამი, მე-18 საუკუნის საქართველოს სულიერ და პოლიტიკურ ვითარებასთან ნაკლებ კავშირშია.

პირველი დებულების შესავალი ნაწილი ზოგადად სწორია, ოღონდ დასკვნაა სრულიად მიუღებელი: მე-18 საუკუნის საქართველო ერეკლეს საქართველოა და მისი „უკიდურეს დაუძლურებულ“ ქვეყნად გამოცხადება ფაქტების დამახინჯებაა. ის, რასაც დ. გურა-

¹ ბ. ჯორბენაძე ბალაჯარი მწერლობისა, თბ., 1987, გვ.39 (დებულებები წიგნ დავნომრით – ა. უ.)

მიშვილი „ქართლის ჭირში“ აღწერს, მე-18 საუკუნის დასაწყისს ეხება მხოლოდ და არავითარ შემთხვევაში მთელ მე-18 საუკუნეს.

ასევე მიუღებელი და მოულოდნელია მეორე დებულებაც, თითქოს მე-18 საუკუნეში ჩვენ „ხრული გადაგვარება და გაქრობა“ გვემუქრებოდა. ვერც იმ დებულებას დავეთანხმებით, რომლის მიხედვითაც „ერის აღორძინება ხულიერი აღწევებით იწყება ყოველთვის“ – ერის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ძლიერება იწვევს სულიერ აღზევებას, მაგრამ მეორე პირველს წინ ვერ უსწრებს.

მე-4 და მე-5 დებულებები სწორია, ოღონდ ამ კონტექსტთან ნაკლებ კავშირში არიან.

ისიც სწორია, რომ „სულიერი დაკნინება ენის დაკნინებასაც იწვევს“ და რომ დაკნინებული ენა „იფიტება, მოუქნელია, მყიფე ხდება“. ოღონდ დაუსაბუთებელი და მცდარია დებულება თითქოს: „ახეთი ხაფრთხე დაუფდა ქართულ ენასაც XVIII საუკუნეში“.

ამას გარდა, როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია, არა ქართული სალიტერატურო ენის რომელიმე უბანზე, ვთქვათ, მეცნიერების ან მხატვრული ლიტერატურის (კერძოდ, პროზის ან პოეზიის) ენაზე, არამედ საერთოდ ქართულ ენაზე და ეს უბრალო შეცდომა კი არაა, არამედ ბრალდებაა ქართული მაშინდელი სულიერი ყოფის მიმართ საერთოდ. შემთხვევითი არ იყო, რომ ქართული სინამდვილის სწორედ ასეთი დახასიათების წინააღმდეგ, რომელიც ქიშიშვილის წიგნში იყო მოცემული, სასტიკად გაილაშქრა ილ.ჭავჭავაძემ ცნობილ „ქვათა ღაღაღში“.

ავტორი განაგრძობს, „ენის ამ დაკნინებას შველა უნდოდა. ხსნა არსაიდან ჩანდა თითქოს (!) ეს გახდა მიზეზი იმ რეფორმისა, რომელიც ანტონ კათალიკოსის სახელთანაა დაკავშირებული. ამ რეფორმის თეორიული საფუძველი ხამი სტილის თეორია იყო, რომელიც სათავეს ანტიკურ საბერძნეთში იღებს, ხოლო საქართველოში კი რუსეთის გზით შემოაღწია“ (გვ.40).

ჯერ აქ შევჩერდეთ.

თუ ამ მოსაზრებას დაეუჯერებთ, ანტონს მიეწერება ქართული ენის რეფორმატორობა, რომლის თეორიული საფუძველი ხამი სტილის თეორია ყოფილა, ოღონდ გადასაწყვეტია საკითხი, რა მიმართულება მიიღო რეფორმამ, საით აიღო გეზი, გართულებსაკენ, გაძნელებსაკენ, რაც ენობრივი მშენებლობის პოზიციიდან რეაქციული ქმედება იქნებოდა, თუ ენის გამარტივება-გაიოლებსაკენ, რაც პროგრესულ ქმედებად ჩაითვლება. ამის მიხედვით შეფასდება ამ „რეფორმის თეორიული საფუძვლის ხამი სტილის“ რეაქციულობა-პროგრესულობის საკითხიც.

რაც შეეხება „ხამი სტილის“ თეორიის რუსეთიდან შემოსვლას, ამაზე ზემოთაც ითქვა, რომ არავითარი საბუთი ასეთი მტკიცებო-

სათვის არ არსებობს – უსაბუთო მტკიცება კი მეცნიერების სფეროს ვერ განეკუთვნება.

„თუმიცაო – განაგრძობს ბ. ჯორბენაძე – პრაქტიკულად მას („სამი სტილის“ თეორიას – ა. ფ.) გარკვეული წინამძღვრები საკუთრივ ქართულ სინამდვილეშიც კქონდა: ცნობილია, რომ თვით სულხან-საბა ორბელიანიც მიმართავდა სხვადასხვა სტილს სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში: „საბა ორბელიანი, ავტორი „სიბრძნე სიცრუის წიგნისა“, რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას „სწავლანი ანუ ქადაგებანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს... კითხულობთ ამ ნაწარმოებს და ხედავთ, რომ ძველი ქართული მორფოლოგიურ-სინტაქსური, აგრეთვე ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ნორმები უმეტეს წილად დარღვეულია, მაგრამ წინადადებათა წყობა, წინადადებებში სიტყვათა წყობა და სტილებრივი თავისებურებები იმდენად კარგადაა დაცული, რომ გამოუცდელი კითხველი ამ ნაწარმოებს ვერ გაარჩევს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის რომელიმე ძეგლისაგან“ (ი. გიგინეიშვილი)¹

ანტონმა ამ ტენდენციის დაკანონება განიზრახა. (იქვე, გვ. 4).

ე. ი. საბას უწერია „სამი სტილის“ თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად, ანუ სარეფორმო თითქოს არაფერი ყოფილა. უფრო სწორად, რეფორმა ყოფილა გატარებული, ანტონს კი ხელი შეუწყვია მის „დაკანონებაში“.

ახლა ვიკითხოთ: ის ფაქტი, რომ ხაბას „სიბრძნე სიცრუისა“ და „ქადაგებანი“ ხსვადასხვა ენითაა დაწერილი, ვითომ იმის მამტკიცებელია, რომ ხაბამ „სამი სტილის“ თეორია იცოდა და ამ თეორიის მიმდევარი იყო? ანდა ასეთი თეორია რომ საერთოდ არც არსებულებოდა, ამ თარი ნაწარმოების ენა შეიძლებაოდა ერთმანეთს დაითხვეოდა? „ხოფლის მაშენებლების“ ენა „ქადაგებანის“ ენად გამოდგებოდა?

ავტორი განაგრძობს: „სამი სტილის დამკვიდრებისას ანტონი აქტიურად ჩაერია მაღალი სტილის გამომუშავებაში. მან აშკარად მიანიჭა უპირატესობა ძველ ქართულს, როგორც სასულიერო თხზულებების ენას, კერძოდ იოანე პეტრიწის სტილს, ოღონდ ეს მხოლოდ საყრდენი იყო, გარკვეული ბაზისი, რომელსაც დაეფუძნა ანტონ კათალიკოსის მიერ თავისივე თეორიული წინამძღვრების მიხედვით შემუშავებული მძიმე, ღვლარტნილი, უკიდურესად გართულებული მეტყველება“ (იქვე)²

მაშასადამე, ანტონის რეფორმა გავრცელებულია მხოლოდ მაღალ სტილზე (სამწუხაროდ, ავტორი არ მიუთითებს, რა იგულის-

¹ როგორც ამ წიგნის მეოთხე თავში ნახავს კითხველი, სწორედ ა. გიგინეიშვილის ამ წეროლზე ეწინააღმდეგება მითითება ამავე თეზისის დასაცაად.

² აღბათ, ლავუს კალამთან გვაქვს საქმე არაეინ იცის, როგორ მეტყველებდა ანტონი.

ხმება „მაღალ სტილში“), „საშუალო“ და „დაბალი“ ხელუხლებელი დარჩენილა. მაშინ, რაღას ვერჩით ანტონს? მას ხომ ქართული ენა მთლიანად არ „გაუფუჭებია“ – მხოლოდ ერთი უბანი „დაუმახინჯებია“: დანარჩენი ორი სტილი („საშუალო“ და „დაბალი“) თუ ხელუხლებელია დარჩა, როგორღა იგი „ხაში სტილის“ თეორიის დამკვიდრებელი?

მაგრამ უფრო მთავარი მაინც ისაა, ანტონ კათალიკოსის რა „თეორიულ წინამძღვრებზეა“ ლაპარაკი? სადღაც ხომ უნდა იყოს ეს თეორია? ვილაცა ხომ უნდა იცნობდეს მას? კონკრეტულად არ უნდა მივეუთითოთ, რა გვაქვს მხედველობაში?

მთლად სწორი ალბათ არც ეს დებულებაა: „იმავდროულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით გრამატიკული სისტემა ქართული ენისა ანტონმა ძირითადად მართებულად ააგო“.

ქართული ენის გრამატიკული სისტემა ანტონმა კი არ ააგო ათასეული წლებით გამოუმუშავებული ეს გრამატიკული სისტემა შარუბულადა აღწერა. მაგრამ ეს ისე, სხვათაშორის.

ძირითადი ავტორის შეხედულებებში მაინც ისაა, რომ ისიც იმეორებს ადრე გამოთქმულ და ჩვენს მიერ ერთხელ უკვე გაკრიტიკებულ აზრს: „ანტონის მიერ დამკვიდრებული ხაში სტილის თეორია თითქმის მთელი ხაუკუნის განმავლობაში ბატონობდა“ (იქვე, გვ. 4-5).

აქ, მართალია, აღარაა ნათქვამი, რომ ამ ასი წლის განმავლობაში გაწყდა ქართული ენის განვითარების ხაზი, მაგრამ აპრიორი, შეიძლება ითქვას, ავტორი ენდობა მკითხველის „განსწავლულობას“, რომელმაც სკოლაში და ქ. გ. ლ-ში ამის შესახებ არაერთხელ წაიკითხა და მოისმინა, ამიტომ თავისთავად იგულისხმება, ენის განვითარების შეჩერება, ანუ ანტონის ბრძოლა ყოველგვარი პროგრესიულის წინააღმდეგ. ე. ი. გამეორებულია ყველა ის ბრალდება, რაც „საში სტილის“ წინააღმდეგ და მის ავტორად და მამკვიდრებლად მიჩნეულ ავტორს ედება.

ასეთი მოსაზრებების ავტორი რომ არასპეციალისტი იყოს, იქნებ ყურადღება არ მიგვექცია, ვიტყვოდ, რა მისი ბრალია, ასე ასწავლეს სკოლაში, ასე წაიკითხა ქ. გ. ლ-ში და დაუჯერა ავტორიტეტებს-მეთქი, მაგრამ როცა დღეს სპეციალისტი ასე მსჯელობს, გაჩუმება არ შეიძლება. ბოლოსდაბოლოს, აღარც დღევანდელმა სპეციალისტმა უნდა ჩათვალოს თავი ვალდებულად, რომ კონკრეტული მაგალითის მოტანით უჩვენოს, სად უწერია ანტონს სამი სტილის შესახებ და რა უწერია? როგორი იყო იმ „გამძვინჯარებული სკოლის მოთხოვნები“ და, კერძოდ, რას მოითხოვდნენ? როგორ აისახა ეს მოთხოვნები (თუ აისახა) ანტონის პერიოდისა და შემდგომდროინდელ ტექსტებში? ანდა როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ენის განვითარების შეჩერება რამდენიმე ადამიანის თუ „სკოლის“ მიერ?

მე ზევით აღვნიშნე, რომ ილია ებრძოდა არა „სამ სტილს“, არამედ უნიჭობასა და ურაობას. ახლა დაუუმატებ, რომ ენობრივი სი-

ახლის საჭიროება სწორედ იმან მოიტანა, რასაც ილია, სამწუხაროდ, უარყოფდა. ახალი სტილის საჭიროებამ ახალმა ცხოვრებამ, „ახალმა ხაგანმა“ მოიტანა. კაპიტალისტურმა ცხოვრების წესმა მოიტანა ვაჭრობა-მრეწველობის ცნობების გამომხატველი ენა და გერისთავის კომედიების დაწერაც განაპირობა. შეიძლება დაეუფვით რომ. თუნდაც ანტონი ხაერთოდ არ დაბადებულაიყო „გაყრის“ მხგაეხი ენით მე-18 საუკუნის შუა წლებში, აღარას ვამბობ უფრო ადრეულ პერიოდზე. ვინმეს ნაწარმოები შეექმნა?

ვფიქრობ, დროა ისტორია დაეწეროს და წავიკითხოთ ისე, როგორც ის იყო და არა ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

ამ ხარვეზის ამოსავსებად რამდენიმეჯერ ვცადე (ჯერ 1967 წელს – ანტონის „ქართული გრამატიკის“ დაწერის 200 წლისთავთან დაკავშირებით, მერე, 1968 წელს – ანტონის გარდაცვალების 180 წლისთავთან დაკავშირებით) კოპულარული სტატია გამოქვეყნებინა, მაგრამ ჟურნალ-გაზეთების რედაქციაში ანტონის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ სურდათ.

1970 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ წარუდგინე საკმაოდ ვრცელი წერილი „ანტონ პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმცენიერების თვალთ“. იგი დაიბეჭდა... მხოლოდ იმიტომ, რომ რედაქტორთან შუამდგომლობას აკად. გ. ახვლედიანი მიწვედა (ამის შესახებ ვწერდი კიდევ „თბილისში“ 1987 წ. 20 IV).

ამ სტატიამ მნიშვნელოვანი გამოხმაურება კპოვა, რასაც სასიკეთო ცვლილებებიც მოჰყვა: 1973 წლიდან „ძველი ქართული ლიტერატურის“ სასკოლო სახელმძღვანელოში ანტონი აღარ იხსენიება (ქართულ ეკლესიას ბრალდება, სამწუხაროდ, მაინც არ მოეხსნა). მე-9 კლასის სახელმძღვანელოშიც, როგორც ვნახეთ, ანტონის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების ტონიც ოდნავ შერბილდა. თუმცა ყველა გამოხმაურება დადებითი როდი იყო. იმავე „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა წერილი: „ანტონ პირველი, მისი გრამატიკა და ერთი კომენტარი“, რომელშიც ჩემი ცდა ანტონის რეაბილიტაციისა და მის გრამატიკაში მოცემული მეტად მნიშვნელოვანი დებულებების გამომხეურებისა „ამაო შრომად“ იყო მიჩნეული. ამ წერილზე გამოქვეყნებული ჩემი პასუხი აქვე იბეჭდება და მასზე აღარ შეეჩერდები.

იმავე 1970 წელს შესრულდა ანტონის დაბადებიდან 250 წლისთავი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით (პრაქტიკულ საკითხებს პროფ. ვ. პარკაძე უძღვებოდა) დაიწყო მზადება. გადაწყვეტილი იყო, იუბილე გადაეხადათ რომელიმე აკადემიური თეატრის შენობაში „მაღალ დონეზე“. უნდა ჩატარებულყო სამეცნიერო სესიაც. მოხსენება სხვებთან ერთად უნდა წაეკითხა ამ სტრიქონების ავტორსაც, მაგრამ მოხდა მაშინდელი დროისათვის

ჩვეულებრივი ამბავი, ვიღაცამ ზემდგომ ორგანოებში იჩივლა: იუბილის ორგანიზატორებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმდევრობას და რელიგიის აპოლოგეტობას აბრალებდა, რადგან მათ გადაეწყვიტათ იუბილე გადაეხადათ კათალიკოსისათვის. რეაგირება უსწრავესი იყო – დაგეგმილი იუბილე დაყვანილ იქნა სესიისმაგვარ შეკრებამდე, რომელსაც მომხსენებლის გარდა (მე მოხსენება, რა თქმა უნდა, არ წამიკითხავს) კიდევ რამდენიმე კაცი ესწრებოდა.

1988 წელიც ანტონის საიუბილეო იყო – გარდაცვალებიდან 200 წლისთავი.

ამჯერადაც დაიწყო მზადება იუბილისათვის, ამჯერადაც მას სათავეში მეცნიერებათა აკადემია ჩაუდგა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა – პროფ. ს. ავალიანს დაევალა.

თითქოს ყველაფერი კარგად კეთდებოდა. საიუბილეო სხდომები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით „მაღალ დონეზე“ უნდა ჩატარებულიყო; გათვალისწინებული იყო პრესისა და ტელევიზიის აქტიური მონაწილეობა; სესიისათვის 12 მოხსენება შეირჩა, მაგრამ, როგორც კი საიუბილეო კომისია შედგა (მასში 26 კაცი შეიყვანეს (!) თავმჯდომარედ კი აკად. გ. ჯიბლაძე დანიშნეს) სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. კომისიის წევრთა შორის ბევრი ისეთი იყო, ანტონ ბაგრატიონის შესახებ არაფერი იცოდა და არც აინტერესებდა, ბევრი კი (მათ შორის კომისიის თავმჯდომარეც) თანამდებობრივი მდგომარეობისა თუ იდეური მრწამსის გამო მთელი ცხოვრება ანტონ ბაგრატიონს ებრძოდა. ს. ავალიანი კომისიაში ერთ-ერთ ნაკლებუფლებიან წევრად აღმოჩნდა. ამიტომაც რესპუბლიკის მასშტაბით გათვალისწინებული ღონისძიებები ორსაათიან შეკრებად გადააკოდა, 12 მოხსენება კი 4-მდე დავიდა.

„სესიის“ დღეს – 1988 წლის 12 მარტს – უნივერსიტეტში შევიკრიბეთ. ერთი საათი დაგვეჭირდა ლოდინი, ვიდრე ცარიელ აუდიტორიას ვიპოვნიდით, თუმცა ჩვენ აუდიტორიაც არ გვეჭირდებოდა, „სესიას“ სულ 27 კაცი ესწრებოდა.

როცა ს. ავალიანს ვკითხეთ, თუ რატომ არ იკითხებოდა 12 მოხსენება, მან გვაგრძნობინა, ასეთ გადაწყვეტილებას თავადაც არ ეთანხმებოდა და თქვა: კომისიამ ჩათვალა, მოხსენებები ერთიმეორეს ემთხვევა და დაადგინა: უმჯობესია, მათგან მხოლოდ 4 დაეტოვოთ. როცა ჩვენი კატეგორიული მოთხოვნით თორმეტივე მოხსენების დასათაურება წაიკითხა, აშკარად აღმოჩნდა, რომ არც ერთი მოხსენება ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ისიც ცხადი იყო, რომ საიუბილეო კომისია ძველებურად მოქმედებდა და სულაც არ იყო დაინტერესებული ანტონის დამსახურების ჩვენებით და მისი პიროვნების რეაბილიტაციით, თუმცა ამჯერად არავის არ უჩივლია.

ამ ე. წ. სესიის შემაჯამებელ სიტყვაში საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე იძულებული გახდა ელიარებინა, რომ კომისიამ ბე-

რი შეცდომა დაუშვა და საქმეს თავი ვერ მოაბა. იგი შეგვეპირდა გათვალისწინებული იუბილე შემოდგომაზე გაიმართებოდა. ცოტა ხნის შემდეგ გ. ჯიბლაძეს აკადემიაში მივაკითხე და პირობის შესრულების გარანტია მოვთხოვე. როცა მისმა პასუხმა მხოლოდ ეჭვები აღმიძრა, აკადემიის პრეზიდენტთან შევედი. პრეზიდენტმა ჩემი განცხადება ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგეს აკად. შ. ძიძიგურს გადასცა. შ. ძიძიგურმა დამამედა, რომ საეტეო არაფერია, იუბილე შემოდგომაზე ნამდვილად გაიმართება თანაც „მეტად მაღალ დონეზე“. მაგრამ ეს დაპირებაც ჩვეულებრივი ტყუილი აღმოჩნდა. არავითარი იუბილე არც „მაღალ“ და არც „დაბალ დონეზე“ არ გამართულა, თუმცა უმადურობა იქნებოდა არ აღმენიშნა, ამ წიგნაკის გამოცემა სწორედ შ. ძიძიგურის ინიციატივით გახდა შესაძლებელი და ამის გამო მადლობის მეტი რა მეტქმის.

5.VI. 1988 წელი

II. ანტონ პირველი და მისი ბრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთ¹

სანამ საკითხს შევეხებოდეთ, რამდენიმე სიტყვა თვით ანტონის პიროვნებაზე. ეს იმიტომაცა საჭირო, რომ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში ვერ ვიპოვით სხვა მოღვაწეს, რომლის დაშახსურება და სახელი ასე ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს.

თავის დროის უგანათლებულესი ადამიანი, უდიდესი ბიბლიოგრაფი. ქართველთა შორის სწავლა-განათლების გავრცელებისათვის თავდადებული მებრძოლი, ბუნებით არაჩვეულებრივად ფაქიზი და სათნო კაცი – „ვეფხისტყაოსნის“ დამწველად და მინეული; ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ფილოსოფიური ტრაქტატი – „საქეაღის“, ქართული გრამატიკის ავტორი; ალექსანდრე შაქედონელის ისტორიის, არისტოტელეს კატეგორიების, ბაუმაისტერის ფილოსოფიისა და ლოგიკის, მხითარ სებასტიელის რიტორიკის, ვოლფის ფიზიკისა და სხვა მრავალი წიგნის მთარგმნელი, თავი რომ დაგანებოთ თეოლოგიური ხასიათის მრავალ შრომას, ქართული ენის განვითარების შემაჩერებლად და მინეული. თუ ამას დაუმატებთ „სამი სტილის“ თეორიის ავტორობას, რომელსაც მას მიაწერენ და, რაც საქმეში ჩაუხედავ კაცს რეაქციონერობის უპირველეს საზომად მიიჩნია, აშკარა გახდება მიზეზი იმ უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომლითაც ქართველი საზოგადოებრიობა ანტონ ბაგრატიონს ეკიდება.

რუსთველოლოგიაში დიდი ხანია ცნობილია, რომ ანტონს არც დაუწვავს და არც შეეძლო დაეწვა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ეს ჭეშმარიტება რატომღაც უგულვებელყოფილია გრ. ბარამიძისა და გრ. ჯაკობიას სასკოლო სახელმძღვანელოში „ქართული ლიტერატურა“ VIII კლასისათვის, რომელიც ათეული წლების მანძილზე ასეულობით ქართველ ახალგაზრდას ასწავლიდა: „მე-18 საუკუნეში ანტონ კათალიკოსი წერდა შოთას შესახებ:

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყვარე ფრიად.

ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის

თუ რამ სწადოდა, ღვთის-მეტყველიცა მაღალ

უცხო საკვირველ ბიიტეკოსი შესტიხე.

მაგრამ ამოდ დაშვრა, საწუხ არს ესე...

¹ სტატია დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ – 1970 წ. 20.III.

და არაფერს ეუბნება რა ამ იამბიკოს ნამდვილი აზრის თაობაზე, განაგრძობს: „მაგრამ ასეთი განცხადებითაც არ კმაყოფილდებოდნენ ეკლესიის წარმომადგენლები. გადმოცემით იმავე ანტონ კათალიკოსის ბრძანებით ცეცხლს მისცეს ვახტანგ VI მიერ დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. ასე ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა სამღვდლოება გენიალურ პოემას“.

და რა გასაკვირია, ასეთი კომენტარების შემდეგ ანტონის იამბიკოს პირველ ოთხ ტაეპში ნაქები შოთას პიროვნება ჩეხუთე ტაეპის ფორმამ დაჩრდილოს და დილეტანტის ვონებაში ანტონის ხსენებაზე მხოლოდ „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“ ამოატივტივოს. დილეტანტს სულაც არ აინტერესებს, როგორ შეეძლო პირველ ოთხ ტაეპში ასე ექო ანტონს შოთა, თუ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა ამო შრომა იყო. სინამდვილეში ხომ სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერისთვის იყო ქების ღირსი რუსთაველი. ხოლო ამო შრომა საღვთისმეტყველო თხზულებათა დაუწერლობას გულისხმობდა!

ხომ კარგადაა ცნობილი, რომ იმავე ანტონ ბაგრატიონის მიერ პირველი სემინარიის გახსნამდე საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) სწავლა-განათლების კერები მხოლოდ ეკლესია-მონასტრებთან იყო და ყველა დღემდე შემონახული ხელნაწერის გადაწერი იქ იზრდებოდა.

ამ წერილში არც შესაძლებლობა გვაქვს და არც განზრახვა ანტონის ქომაგობისა, მისი დამსახურების ბევრი მხარე ბრწყინვალედაა გაშუქებული სახელოვანი მეცნიერების: კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ა. ფრანგიშვილის, დ. ლაშქარაძის და სხვათა შრომებში, მაგრამ, რადგან ეს შრომები მეტწილად სპეციალისტთათვისაა ცნობილი, ხოლო ფართო საზოგადოებრიობა ჯერჯერობით საშუალო სკოლიდან მიღებული შთაბეჭდილებებით საზრდოობს, ჩვენ ერთი საბუთი მაინც გვინდა მოვიტანოთ.

ცნობილი გრამატიკა ანტონმა სასკოლო სახელმძღვანელოდ (სემინარიაში სასწავლოდ) შეადგინა, ამიტომ მასში დიდი ადგილი დაუთმო სავარჯიშოებს, რომელთა უმრავლესობა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ან მის მიერ თარგმნილ თხზულებებიდან ამოკრიბა. ბევრი სავარჯიშო კი თვითონ შეუდგენია. თავის შეთხზულ ერთ სავარჯიშოში ანტონი წერს „შენ გენება ჯდთჲად ხაჲარძელხა ზედა. მას ენება გალობად შაირნი შოთახნი“ (ხაზი ანტონისაა – ა.ფ.).

უეჭველია აქ „შაირნი“, რომელსაც გალობენ, „ვეფხისტყაოსანზე“ მიუთითებს, ხოლო შოთა მისი ავტორია.

როგორ აეხსნათ ეს ფაქტი? შეიძლება დავიჯეროთ, რომ ანტონმა „ცეცხლითა და მახვილით“ გაანადგურა „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მისი შაირის გალობაზე საგანგებოდ მიუთითა სასკოლო სახელმძღვანელოში, ამასთან იმავე წიგნში – ერთადერთი ქართველი –

მის მიერვე განადგურებული წიგნების ავტორი მოიხსენია? თანაც ასეთ მომხიბვლელ სიტუაციაში? – ვგონებ არა!

რაც შეეხება სამი სტილის თეორიას, იგი ანტონის მოგონილი არ არის, მას სათავე ანტიკური ხანის რიტორიკაში უდევს. ჩვენში კი მისი ერთი პირველი პროპაგანდისტი იოანე პეტრიწი იყო, რომლის გაკლენას ანტონი უთუოდ განიცდიდა, მაგრამ საკიოხავია, არის თუ არა რაიმე რეაქციული სამი სტილით წერის მოთხოვნაში?

ანტონის მოღვაწეობის პერიოდში, საერო მწერლობის გვერდით საეკლესიო მწერლობა არსებობდა, ამიტომ ორი სტილი უკვე ფაქტი იყო, თუ ამას დავუმატებთ მეცნიერულ თხზულებათა ენას, სამ სტილს თავისთავად ვღებულობდით. ანტონმა, უფრო სწორად, დააკანონა ის, რაც უკვე არსებობდა.

სალიტერატურო ენაში სხვადასხვა „სტილის“ ასეთმა არსებობამ საფუძველი დიდი ხანია დაკარგა, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ყოველგვარ საგანზე ერთი სტილითა და ერთი წერა შეუძლებელია.

მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია, ანტონი მძიმე ენით წერდა, ეს მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი მანკი იყო და თუ, ამით ვინმე დაზარალდა, უპირველესად თვითონ ანტონი. ენის სიბნელის გამო, ბევრი ბრწყინვალე აზრი დღესაც უყურადღებოდ თვლემს მის უამრავ ხელნაწერში. რა თქმა უნდა, მძიმე ენამ ზიანი მიაყენა ქართულ სალიტერატურო ენის გამარტივების საქმესაც. ანტონის უზარმაზარი ავტორიტეტის გამო წლების განმავლობაში ბაძავდა მას ცოტად თუ ბევრად განათლებული ქართველი და შედეგად ვღებულობდით დამძიმებულ სალიტერატურო ქართულს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ენის სიმძიმის მიუხედავად მისი გრამატიკით სარგებლობდა მომდევნო ხანის გრამატიკოსთა მთელი პლეადა, რომელთაც არაერთი დებულება ისესხეს ამ შრომიდან.

აი, ამაზე უნდა ველაპარაკოთ თანამედროვე მკითხველს, იმიტომ, რომ ანტონის ნამოღვაწარიდან უვარგისი დიდი ხნის წინათ ჩაბარდა ისტორიას, ხოლო ვარგისი და საღი ჯერაც არ ჰქარგავს მნიშვნელობას.

ანტონ იესეს ძე ბაგრატიონი (ერისკაცობაში თეიმურაზი) დაიბადა 1720 წელს. იგი ძმისშვილი იყო ვახტანგ მეექვსისა.

მამამისი ერთი ყველაზე უფრო თავაწყვეტილი და ზნედაცემული მეფე იყო გამაჰმადიანებულ ქართლის მეფეთა შორის. წლების განმავლობაში ეცილებოდა ტახტს ვახტანგს და, როდესაც მიზანს მიადწევდა, სამეფო კარის უწმინდურობისა და სისასტიკის ბუდედ იქცეოდა.

და თითქოს ბუნებამ გამოისყიდა იესეს შეცოდებანი. მას სახელოვანი შვილის – ანტონის გარდა, არანაკლებ სახელოვანი შორეული მემკვიდრეობა მისცა: გამოჩენილი მხედართმთავარი პეტრე

ბაგრატიონი; მისი ძმა – გენერალ-მაიორი, 1912 წლის ომის გმირი და პარიზის აღების მონაწილე – რომან ბაგრატიონი და ამ უკანასკნელის შვილი – გამოჩენილი ფიზიკოსი და გამომგონებელი, აგრეთვე გენერალ-მაიორი, პეტრე ბაგრატიონი.

სათნო დედის გავლენით თეიმურაზი თვინიერი და კეთილი ხასიათის ყმაწვილი გამოდგა.

სწავლა-განათლება მან დავით გარეჯის მონასტერში მიიღო განათლებული ქართველი დიდებულებისა და მისთვის საგანგებოდ დაქირავებული მასწავლებლების ზედამხედველობით.

თხუთმეტი წლის თეიმურაზი ქართლის გავლენიანი თავადის გივი ამილახურის ქალზე დანიშნეს, მაგრამ ეს ქორწინება არ შედგა, ვინაიდან ამილახურის ქალი სპარსეთის შაჰმა თავისი პარემისათვის გაითხოვა.

ამ ამბავმა საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო სამეფო გვირგვინისათვის გამზადებული ახალგაზრდა და საერო ცხოვრებაზე სამუდამოდ ხელი ააღებინა.

1738 წელს იგი დედასთან ერთად მოსკოვს მიემგზავრება, სადაც ნათესაეები – ვახტანგ მეექვსის შთამომავალნი ეგულება, მაგრამ იძულებულია ასტრახანიდან უკანვე დაბრუნდეს და გელათის მონასტერში ანტონად წოდებული ბერად შედგეს.

ანტონი ჩქარა წინაურდება, ჯერ გელათის წინამძღვრად, ხოლო 1740 წელს ქუთაისის მიტროპოლიტად. 1744 წელს ანტონი საქართველოს კათალიკოსად დასვეს მცხეთაში ანტონ I-ის სახელით. ეს პირველი შემთხვევა იყო საქართველოს ისტორიაში, როცა უმაღლესი მღვდელმთავრის (კათალიკოსის) სკიპტრა ეჭირა 24 წლის ჭაბუკს, რაც, ვფიქრობთ, გახდა საბაბი ზოგი ისტორიკოსისათვის, მისი დაბადება 1714 წლით, ხოლო აღსაყდრება 1747 წლით დაეთარილებინა, რადგან, როგორც ცნობილია, მღვდელმთავარი 30 წლის ნაკლებისა არ უნდა ყოფილიყო.

ანტონი მაშინვე შეუდგა თეიმურა II-ის – ქართლის მეფისა და ერეკლე II-ის – კახეთის მეფის, პოლიტიკის გამარჯვებისთვის ბრძოლას.

როგორც საყოველთაოდ აღიარებული და ცნობილი ფაქტია, ქრისტიანული რელიგია პროგრესული მოვლენა იყო საერთოდ, საქართველოში კი მისი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ამ რელიგიამ უთუოდ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის გადარჩენის საქმეში. ასეთი საშიშროების წინაშე კი ქართველი ხალხი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არაერთხელ დამდგარა და ქრისტეს ჯვარი ისევე მიუძღოდა წინ, როგორც დამოუკიდებლობის დროშა. ზოგს ერთმანეთისაგან ვერ განუსხვავებია ცრურწმენანი, იმ მაღალი იდეალისაგან, რისთვისაც ქართული ქრისტიანული რელიგია იბრძოდა ქართველი ხალხის სულიერი შე-

კავშირებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს მტერი კი თითქმის მუდამ არაქრისტიანი იყო.

ქართველი კაცის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მის გონებაში იყო აგრეთვე ბრძოლა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად და ამიტომაც მე-18 საუკუნეში თეიმურაზისა და ერეკლეს თავდადებული ბრძოლა ირან-ოსმალებისა და ჩრდილოკავკასიელი მუსულმანი ტომების წინააღმდეგ აუცილებლად საჭიროებდა ქრისტიანული რელიგიის სიყვარულით შეკავშირებული ქართველი ხალხის მხარდაჭერას.

ასეთი რწმენის აღდგენა და გამოჭედვა შეეძლო დიდი განაოლების, ავტორიტეტისა და ნების მქონე რელიგიურ მონარქს, როგორც დაც სწორედ ანტონ I გვევლინება.

ანტონი იყო ერთი უგანათლებლესი სასულიერო პირი, რომელსაც მტკიცედ გადაეწყვიტა საქართველოსათვის სამსახურს მტლად დასდებოდა: „მოვიცილე სხუათა ყოველთა კეთილთაგან და არა მოვიცილე საქართველოსა მსახურებისაგანო“ — აცხადებდა ანტონი.

აიღო თუ არა ხელში კათალიკოსის კვერთხი, ანტონმა გადაწყვიტა, აელაგმა თავკერძა მიტროპოლიტები და დაემორჩილებინა ისინი ცენტრალური სასულიერო გამგებლობისათვის. შეუმცირა მათ საეკლესიო მიწებისა და ყმა გლეხებისაგან შემოსავალი, რითაც საერო ხაზინის გაძლიერებას მიაღწია. თუმცა, როგორც ცნობილია, გადაამტერა ბევრი სასულიერო პირი, რომელთაც მრავალი უსიამოვნება მიაყენეს მას. ანტონი სასწრაფოდ შეუდგა ქართლ-კახეთის მთელს ტერიტორიაზე სასწავლებლების ორგანიზაციას. ამ შრომის გვირგვინი გახლდათ სემინარიები თბილისსა (1755 წ.) და თელავში (1782 წ.), რომელთათვისაც მან დაწერა, თარგმნა და გადმოაკეთა სახელმძღვანელოთა აბსოლუტური უმრავლესობა, თვითონვე ასწავლიდა თბილისის სემინარიაში, ამ სემინარიებში ისწავლებოდა მისი გრამატიკაც.

ქართველთა შორის სწავლა-განათლების გაუმჯობესების სურვილმა ანტონი დააკავშირა მაშინ თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან, რომლებიც ეუროპიდან იყვნენ მოსულნი და, რომელთაც ამ საქმეში დიდი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ. ამ კავშირმა საბოლოოდ მისი პიროვნული ტრაგედია გამოიწვია: მიიღო კათოლიკობა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩათ მეფის კარზე და რის გამოც 1755 წლის 16 სექტემბერს იგი გადააყენეს კათალიკოსობიდან და მხოლოდ მის შემდეგ, რაც მოინანია დანაშაული, შეიწყალეს და რუსეთს წასვლის ნება დართეს.

რუსეთში ანტონი წარუდგა იმპერატორ ელისაბედს და წმინდა სინოდს, დაამტკიცა მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ერთგულება და მიიღო ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსობა, სადაც დარჩა 1762 წლამდე.

1762 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე იგი გამოიწვია საქართველოში და კვლავ წააბარა საქართველოს კათალიკოსის გვირგვინი; რასაც სიკვდილამდე – 1788 წლამდე – აღარ გამოთხოვებია.

რუსეთში ყოფნის დროს ანტონი უზარზამარ მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობას ატარებს, თარგმნის სახელმძღვანელოებს და ხევეწს ადრე დაწერილებს. ამ პერიოდშია ძირითადად შექმნილი გრამატიკის მეორე ვარიანტიც.

1772 წელს იგი კიდევ ერთხელ მიემგზავრება რუსეთში, ამჯერად დიპლომატიური მისიით, როგორც ერეკლე მეფის ერთ-ერთი წარმომადგენელი, 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის შესამუშავებლად.

უკვე სრულიად დამაჯერებლად შეიძლება იმის თქმა, რომ ანტონის გრამატიკის შესაქმნელად ქართულ ენაზე დაწერილი არავითარი წიგნი არ გამოუყენებია, არც საგანგებო ენათმეცნიერული განათლება მიუღია მას. ამიტომ იძულებული იყო ესარგებლა უცხო ენათა გრამატიკებით და როგორც თვითონაც მიუთითებს, საჭირო მასალებს კრეფდა ჯერ ლათინური და სომხური, მერე კი რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ბერძნული ენების გრამატიკებიდან, ამიტომ სრულიად ცხადია, ანტონი ვერ შეძლებდა შეუძლებელს და ზოგ რამეში ჭეშმარიტების გზიდანაც გადაუხვევდა, მაგრამ მისი უდიდესი მეცნიერული დამსახურება გამოიხატება იმაში, რომ მან ქართული ენის ბუნებაში შენიშნა ბევრი ისეთი მოვლენა და ფაქტი, რომლებიც სრულიად უცნობი იყო იმ ენების სისტემებისათვის, რომელთა გრამატიკებსაც მიმართავდა.

ამიტომ ანტონის, როგორც გრამატიკოსის და ენათმეცნიერის მოღვაწეობა უნდა შეფასდეს არა იმის მიხედვით, თუ რა ვერ შეამჩნია მან, ან რაში შეცდა იგი, არამედ იმის მიხედვით, თუ რა აღმოაჩინა მან პირველმა.

აი ზოგი რამ მისი აღმოჩენებიდან:

ქართული ენის ბგერები დაჰყო ხმოვნებად, საშუალო ხმოვნებად და თანხმოვნებად (მისი ტერმინით უხმოდ), მოგვცა უხმოთა ზოგადი დახასიათება წარმოშობის ადგილის მიხედვით და ზოგიერთი შენიშვნა ბგერათა ასიმილაციაზე.

გამოჰყო მეტყველების ნაწილები: სახელი (ნაცვალსახელი, ზინა, მიმლეობა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული) და მეტწილად სწორად გაანაწილა სიტყვები ამ ჯგუფებში. აღწერა სიტყვათწარმოების ფორმები (მისი ტერმინით სხმით-გარდასვლითი) და გამოჰყო მათი შინაარსობრივი ჯგუფები.

ძირითადად გადაწყვიტა სახელთა ბრუნების საკითხი: გამოჰყო ბრუნებები – წრფელობითი და სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, მოთხრობითი, წოდებითი.

ბრუნვათა შორის მოთხრობითის დასახელება, მისი ნიშნის გამოყოფა და ფუნქციის დადგენა უნდა ჩაითვალოს უდიდეს აღმოჩენად, დასახელებულ ბრუნვებში არ გვაქვს დღევანდელი ვითარებითი, თუმცა ანტონმა სწორად გამოჰყო მისი ნიშნები და, სამართლიანად, მიცემითს მიაწერა. შენიშნა ფუძის კვეცა და კუმშვა. საზოგადოდან გამოჰყო საკუთარ სახელთა ბრუნება. მიუთითა ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებაზე და აღნიშნა ზედსართავისა და რიცხვითის ბრუნვათა განუსხვავებლობა არსებითის ბრუნვისაგან. ჩამოთვალა ბრუნვის ნიშანთა ყველა ვარიანტი როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში. მიუთითა იმაზე, რომ ქართულში სახელები საერთოდ ერთნაირად იბრუნვიან.

ზმნებში სწორად გამოჰყო რიცხვის კატეგორია და მიუთითა მის მაწარმოებელ ყველა ნიშანზე. ჩამოთვალა თითქმის ყველა ნიშანი პირისა როგორც სუბიექტურის, ისე ობიექტურისათვის, იმაზეც კი მიუთითა, რომ „მოხვალ“ ზმნაში ხ მეორე პირის ნიშანია, რაც აგრეთვე უდიდესი მიკვლევაა. ძირითადად სწორად გამოჰყო და დაახასიათა გვარის (ნათესავის) კატეგორია სამი შემადგენლობით (მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო (უმეშვეობით). საშუალიდან გამოჰყო ხატუმეშვეობითი და ხატვნებითი. სწორად დაახასიათა კონტაქტის (მასთან სხმით-გარდასვლითი) კატეგორია და მოგვცა მისი მაწარმოებლები. გამოჰყო ზმნის დროები: აწმყო, ნამყო უსრული (ნამყო უწყვეტელი), ნამყო სრული (წყვეტილი); ნამყო უსრულის (თურმეობითი) ნამყო უუსრულის (თურმეობითი II) და მყოფადი. შეამჩნია დრონაკლობა, პირნაკლობა, რიცხვნაკლობა და ფუძემონაცვლეობა.

მიმღეობები დაჰყო გვარისა და დროის მიხედვით, მოგვცა მათი მაწარმოებლები. მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოჰყო ზმნიზედების, კავშირების, თანდებულებისა და შორისდებულების ჯგუფები. მიუთითა თანდებულიან ბრუნვებზე და აღნიშნა ზმნიზედათა და თანდებულთა ფუნქციური მონაცვლეობა და მრავალი სხვა.

ანტონის გრამატიკაში ლაპარაკია სინტაქსის საკითხებზეც, რა თქმა უნდა, იმ კუთხითა და მოცულობით, რაც იმ დროისათვის იყო შესაძლებელი (ჩვეულებრივ საკითხი ეხებოდა ორი სიტყვის ურთიერთობას: ზმნისა და სახელის ურთიერთობა, სახელისა და ზედსართავის ურთიერთობა: „რომელიც“ ნაცვალსახელის შეთანხმება მის წინამავალ წევრთან, კითხვა-მიგების საკითხები) და სხვა;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვემდებარის (მისი ტერმინით უფლის) და დამატების (საძიებოს) ბრუნვათა (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ერთის მხრივ და სახელობითი და მიცემითი, მეორეს მხრივ) სწორედ გამოიყოფა, რაც აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ანტონის უდიდესი დამსახურებაა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნა, მას ეკუთვნის ასო, ხმოვანი, მარცვალნი, ძირი, მორფი, ნაკვეთი, არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზედშესრული სახელი, ზმნა, მიმღეობა. სახელზმნა, საზოგადო სახელი, დადებითი ხარისხი, მდებარეობითი, მამრობითი, მარტივი, რთული, კინობითი, უკუთქმითი, ორობითი, ბრუნვის ნიშანი, ჩვენებითი ნაცვალსახელი, ვითარებითი, ზმნიზედა, კავშირი, თანდებული, შორისდებულნი, ბრუნვა, წრფელობითი, სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, მრავლობითი, დრო, აწმყო, მყობადი, ნამყო, პირი, პირის ნიშანი, მწარმოებელი, ბრუნვის ნიშანი, მოქმედებითი (შემოქმედებითი) ვნებითი, ბრძანებითი, პირნაკლი, მძიმე, წერტილი, ორწერტილი, ფრჩხილი და მრავლისგან მრავალი სხვა.

საკმარისია ჩაუხედოთ საბას ლექსიკონში და ვნახავთ, რომ არც ერთი ეს ტერმინი იქ არ გვხვდება და, თუ ერთი ორი მაინც არის – სულ სხვა მნიშვნელობითაა. ამიტომაც საჭიროა წარმოვიდგინოთ უზარმაზარი შრომა, რაც დასჭირდა ამ ტერმინების შემუშავებას და მათი მნიშვნელობის ზუსტად დადგენას. თანაც უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ყველაფერი ეს სრულიად ახალი იყო ქართული ენისათვისაც და ამ ენის პირველი გრამატიკის შემოქმედისათვისაც.

ამიტომ ჩამოთვლილი სიახლის პოვნას ანტონის გრამატიკაში დიდი და გულმოდგინე შრომა სჭირდება. ანტონის გრამატიკა მოგვაგონებს იმ სათბურს, რომლის ძალუმად გაკოხიერებულ ნიადაგზე საჯიშე ჩითილის გვერდით გაუხარია სარეველასაც. საჭიროა უდიდესი გულისყური და სიფრთხილე, რომ სარეველას ჩითილიც არ ამოვაყოლოთ, მით უფრო თუ სათბურში ბნელა. ანტონის გრამატიკაშიც საკმაო სიბნელეა, რასაც ძველი ქართულის ფორმებთან ერთად, ხშირად ხელოვნური და გაზვიადებული მრავალსიტყვაობა ქმნის, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, გაცილებით იოლია იპოვოთ გრამატიკული ფორმები საგანგებოდ, თუნდაც რთული ენით დაწერილ შრომაში, ვიდრე ეს ფორმები თვით ენის წიაღში აღმოაჩინოთ.

ეს არ ნიშნავს, ანტონის გრამატიკაში ყველაფერი იყო მოცემული ქართული ენის გრამატიკული წყობის შესახებ და გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენილიყო. ანტონის შემდეგ ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე არანაკლებ ორი ათეული გრამატიკოსის შრომა მიეძღვნა ქართული ენის კვლევის საქმეს, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უამრავი რჩებოდა და მოვიდა ჩვენი დროის უდიდესი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე, რომელმაც ყველაფერი მანამდე გაკეთებული წესრიგში მოიყვანა, მას დაურთო საკუთარი ეპოქალური აღმოჩენები და მოგვცა „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც

თამამად დგას გრამატიკული ლიტერატურის მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

ამ ზოგადი მსჯელობის გვერდით გვინდა შევეხოთ ერთ კერძო საკითხს ანტონის გრამატიკიდან, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ანტონის ნააზრევის შეფასებისათვის თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთახედვით.

თანამედროვე ენათმეცნიერების – სტრუქტურალიზმის პოსტულატთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ფონემის თეორიასა და ენობრივი ნიშნის პრობლემას, რაც ძირითადად ნ.ტრუბეცკოისა და ფ. დე-სოსიურის შრომებშია მოცემული ჩვენი საუკუნის 20-40-იან წლებში.

ანტონის გრამატიკის გულდასმით შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ორივე ამ მეცნიერის შრომების გამოქვეყნებამდე თითქმის მთელი საუკუნენახევრით ადრე მასთან გვაქვს ელემენტები როგორც ფონემის, ისე ნიშნის თეორიისა.¹

მოკუსმინოთ თვითონ ანტონს:

„ნივთი უკვე ღრამატიკისანი არიან თქმაობანი კაცობრივი ხოლო თქმაობა უკვე კაცობრივი ორთა სახეთა მიერ განიყოფების ე.ი. საუბრისა მიმართ და წერისა. ხოლო წარმოსდგებიან ესენი მრავალთა სიტყვათაგან და სიტყვანი მრავალთა ლექსთაგან და ლექსნი მარცვალთაგან და ეგ-სახედ მარცვალთა – წიგნთაგან („ღრამატიკა“ გვ. 115). ე. ი. გრამატიკის საგანი ყოფილა ადამიანის ენა ზოგადად, რომელიც იყოფა სამეტყველოდ (სასაუბროდ) და წერილად. ენა შედგება წინადადებისაგან, წინადადებები – სიტყვებისაგან, სიტყვები – მარცვალთაგან, მარცვლები – წიგნთაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ენის გამოვლენა წინადადებებით ხდება – იგია ენის ძირითადი და უდიდესი ერთეული, ანტონი გრამატიკის გასიხილვას სრულიად სამართლიანად უმცირესი ერთეულით – წიგნით იწყებს.

ანტონის აზრით, „წიგნი არს ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელ ყოველისა წერილისა (ხაზი ავტორისა), ხოლო, ახალი, ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგ-ფერთა ლექსთა, რომელნიც სახელმოდგამსა ხმასა დაჰნიშენენ“ (იქვე, გვ.116).

ანტონი ორი გრამატიკის ავტორია. პირველი ვარიანტი 1753 წელს დაიწერა, მეორე გასწორებული და შევსებული – 1767 წელს.

მოტანილი განსაზღვრება მეორე ვარიანტიდანაა ამოღებული. პირველ ვარიანტში შესაბამის ადგილს ვკითხულობთ: „წიგნი არს

¹ ჩვენი ეარალი გამართლდა ასეთი დაშვების საფუძვლიანობა დაგვიდასტურეს მსოფლიოში ცნობილმა ენათმეცნიერების ისტორიკოსებმა – პროფ. რობერტ რობინსმა და ვივიენ სალმონმა 1996 წლის სექტემბერში ოქსფორდში ენათმეცნიერების ისტორიკოსთა მსოფლიო VII კონფერენციაზე ჩვენი ჟღერისას.

ღრამი რაიმე მდგომარეობის მინიშნელოვნად ასოსი, ხოლო ასო ითარგმნების კავშირად. ესე არს უკვე აღმოჩენილად რაიმე ნებითი და ნაწვერობითი, რომელთაც ძალუძთ აღმოჩენილად კაცთა“.

მეორე ვარიანტში „ყოველისა წერილისა“ სწევს პირველ ვარიანტში მოცემული „ასოს“ მაგივრობას და იქმნება ილუზია კითხვის დასრისა: ხომ არ არის აქ „ასო“ ნახმარად დღევანდელი გაგებით (რუსული ბუკვა-ს მინიშნელობით)? რა თქმა უნდა, არა და რომ არა, თვითონ ანტონიცი ხომ გვეუბნება: „ასო ითარგმნების კავშირად“-ო. უფრო კარგადაა იგი განმარტებული მეორე ვარიანტში: „ასო უკვე იწოდა ძველთაგან ღრამატიკოსთა ვითარმედ რეცა ნებით რაიმე ვითარ იგი ასონი, რომელნიცა სტიხიონი, ესე იგი: პაერი, წყალი, ქვეყანა, არიან დასაბამნი და მაწარმოენი სხეულთანი, ეგ-სახელ ასონი არიან დასაბამნი და მაწარმოენი ხმათა“, „ხმა“ მეორე ვარიანტში მოცემული „მოგონების“ (ცნების) მინიშნელობის გადმომცემია:

მაშასადამე, „ასო“ არის უმცირესი ნაწილი მინიშნელობისა (ცნებისა) ისევე როგორც „ასო“ – კავშირი (პაერი, ცეცხლი...) უმცირესი ერთეული – შემადგენელი სხეულისა.

ერთი სიტყვით „ასო“ სუბსტანციაა, სუბსტანცია ბგერისა, როგორც უმცირესი ნაწილი აგრეთვე უმცირესი ნაწილისა.

ახლა შეგვიძლია აღვადგინოთ „წიგნის“ განსაზღვრის უფრო ნათელი სურათი: „წიგნი არს ღრამი, ნაკვეთი რაიმე მინიშნელი ცნების (მინიშნელობის) უმცირესი ნაწილისა“ და ამას მოჰყვება მეორე ვარიანტში საგანგებოდ ჩამატებული აზრი შენიშვნის სახით – „ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგ-ფერთა ლექსთა, რომელნიც სახელმოდგამსა ხმასა დაწინაშენენ“.

ამ შენიშვნაში უპირველესად ყოვლისა განმარტებას საჭიროებს ტერმინი „სახელ-მოდგამი“. საბასთან იგი ნიშნავს: „სახელითა ვითნიმე ზიარნი, ხოლო საზღვრითა განყოფილნი, ნ. ჩუბინაშვილთან „სახელმოდგამი არს რომელთა სახელი საზოგადო, ხოლო საზღვარ სხვა: ქვაბი სპილენძის საგბოლისი და ქვაბი ნაპრალი კლდისა“. პიოსელიანთან განმარტება უფრო დაზუსტებულია: „არიან სხვანიცა ლექსნი წოდებულნი სახელ-მოდგამად ამისათვის რომელ იხმარებიან სხვათა და სხვათა მინიშნელობათა შინა ვითარცა სერი (ნადიმი) და სერი (ბორცვი), ქვაბი (კლდისა ნაპრალი) და ქვაბი (საგბოლველი) („... ღრამატიკა“ 1863 წ. გვ. 25).

ამჟამად „სახელ-მოდგამი“ ომონიმის ქართული შესატყვისია.

მაშასადამე, „ახალი ესე განსაზღვრება არ შეიწყნარებს ეგ ფერთა ლექსთა (ისეთ სიტყვებს), რომლებიც სახელ-მოდგამსა ხმას დაწინაშენენ (ომონიმურ მინიშნელობებს გადმოსცემენ“) უფრო მართივად: ჩვენი ეს ახალი განმარტება არ ვრცელდება ომონიმებზე, ვერ იწყნარებს ომონიმებსო.

ჩვენი აზრით, ყველაფრის გასაღები აქ უნდა ვეძიოთ, რატომ დასჭირდა ავტორს ენის ყველაზე უფრო მცირე ერთეულის განსაზღვრისას ომონიმებზე აქელაცია, ხომ არც ერთ გრამატიკაში შესაბამის ადგილას მსგავსი არაფერია ნახსენები? ვფიქრობთ, სწორედ იმიტომ, რომ მან „წიგნი“ განმარტა, როგორც ენის უმცირესი ერთეული – „ღრამი“, „ნაკვეთი“ – მნიშვნელობის მქონე („წიგნი არს ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი“) და ისიც იცოდა, რომ ამ აზრს ენაში არსებული ერთნაირი ბგერებით შედგენილი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები (ომონიმები) ეწინააღმდეგებიან.

„წიგნი“ რომ მნიშვნელობის მქონე ერთეულია, ვფიქრობთ, სხვა ადგილიდანაც ჩანს: „... უხმონი ითქმიან წიგნად და ბრჯგუდ, ანუ ღრამად, უხმოდ არა თუ არა რაიმე მნიშვნელობისათვის, არამედ თავით თვისით ვერ გამოღებისათვის ხმისა“ ანუ უხმონი (თანხმოვნები) იწოდებიან წიგნად, ბრჯგუდ, ღრამად და არა იმიტომ, რომ რაიმეს არ ნიშნავენ (ე. ი. რალაცას ნიშნავენ – ა. ფ.) არამედ იმიტომ, რომ დამოუკიდებელად ვერ წარმოიქმნებიან.

ამრიგად „წიგნი“ არის მნიშვნელობის მქონე უმცირესი ერთეული ენისა. იგი გადმოგვცემს ცნების (მნიშვნელობის) უმცირეს ერთეულს „ასოს“.

„წიგნის“ ეს განსაზღვრა ფონემის განსაზღვრას ემთხვევა.

ასეთსავე ასპექტში გვხვდება ჩვენ ანტონის გრამატიკის მეორე ვარიანტში მოცემული ლექსის (ანუ სიტყვის) განსაზღვრაც: „ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“ (გვ. 120).

განსაზღვრიდან განმარტებას მოითხოვს სიტყვა „მოგონება“ იგი ანტონის გამოხატვის ანუ იდეის ე. ი. ცნების ბადალი ტერმინია.

მაშასადამე „ლექსი (ანუ სიტყვა) არის ნიშანი ცნებისა ნებისაებრ ჩვენისა“.

თუ რას ნიშნავს „ნებისაებრ ჩვენისა“ ანტონი გვიხსნის: „... ითქვა რა ნებისაებრ ჩვენისა ესე არს ესე, ვითარმედ რაიცაღა გნებავს ვიტყვით ნებისაებრ ჩვენისა და შევაერთებთ ნებითა ჩვენითა გამოხატვასა – თანა ლექსსა მნიშვნელსა არსისა მისთანა, რომელიცა გვაქვს გამოხატულ გონებასა შინა და ლექსთა მისთანა შეერთებულითა ვაგულისხმებთ მსმენელთა“ (იქვე). ანუ რაცა გვაქვს გონებაში ცნება, მას ჩვენი ნებით შევაერთებთ სიტყვასთან და ასე გავაგებინებთ მსმენელს ე. ი. ცნებასთან სიტყვის კავშირი ნებისმიერია.

როცა მეორე ვარიანტში სიტყვის ასეთ განსაზღვრას იძლევა, ანტონი ამბობს, რომ იგი ფილოსოფიურიაო და მიუთითებს ბაუმაისტერის ლოგიკაზე, სადაც შესაბამის პარაგრაფში ნათქვამი ცნებებს, რომლებიც განაცხადდება ჩვენი გონება (აზრი) სხვებს ვატყობინებთ სიტყვებით, მაშასადამე, სიტყვები წარმოადგენენ ცნებათა ნიშნებს და გადმოიცემიან (გამოიხატვიან) ბგერების საშუალებით...

ნიშანია ის; რაც ამა თუ იმ საგნის ცნებას ცხადყოფს (აღძრავს, წამოატივტივებს) ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული დავარქვათ საგანს, რომელიც გვსურს სახელი, ანუ, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, სიტყვები არის ცნების ნებისმიერი ნიშანი“ (ბაუმისტერი, ლოგიკა, მოსკოვი, 1807 წ. გვ. 47 რუსულ ენაზე). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანტონმა ბაუმისტერის ლოგიკა პირდაპირ ლათინურიდან თარგმნა უფრო ადრე, ვიდრე იგი რუსულად ითარგმნებოდა.

ვფიქრობთ, ბაუმისტერის ეს აზრი, რომელმაც პირდაპირი ასახვა პოვა ანტონის გრამატიკაში ფ. დესოსიურის ნიშნის თეორიის ადექვატურია: „კავშირი, რომელიც აერთებს მნიშვნელს აღსანიშნთან, ნებისმიერია, ანუ უბრალოდ შეგვიძლია ვთქვათ: ენობრივი ნიშანი ნებისმიერია“ („ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“, მოსკოვი, 1932 წ. გვ. 79, რუსულ ენაზე).

ნათქვამის გამო ვასკენით:

ფონემის ანტონისეული გაგება ახლოსაა „პრადის სკოლისეულ“ განსაზღვრასთან.

ნიშნის სოსიურისეული ელემენტები ბაუმისტერის ლოგიკაში ყოფილა მოცემული. ანტონმა კი იგი გრამატიკაში შეიტანა.

ანტონი იყო პირველი ენათმეცნიერი, რომლის გრამატიკაშიც ასახვა პოვა ორივე დებულებამ.

ანტონი არა მხოლოდ ქართული გრამატიკული აზრის, არამედ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელიცაა. მის ნააზრეში აისახა მეტად მნიშვნელოვანი დებულებები, თუმცა მათ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტა თანამედროვე ენათმეცნიერებაში პოვენს.

III. კვლავ ანტონ ბაბრატიონის დასაცავად¹

როგორც ჩანს, საჭიროა უფრო მეტი ითქვას ამ უდიდესი მოაზროვნის და ჭეშმარიტი მამულიშვილის მოღვაწეობის თაობაზე, რათა ბოლო მოეღოს იმ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა მისი პიროვნების გარშემო.

ამიტომ ჩვენც მადლობის მეტი რა გვეთქმის დოც. ელ. ბაბუნაშვილის მიმართ „ლიტ. საქართველოს“ ა. წ. 21 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული წერილისათვის, გნებავთ იმიტომაც, რომ კიდევ ერთხელ მოგვცა შესაძლებლობა ქართველ საზოგადოებას ობიექტურად წარვუდგინოთ, რა თქმა უნდა, მეტად მცირე ნაწილი ანტონის მოღვაწეობიდან, ამასთან ვაჩვენოთ ისიც თუ, როგორი მოგონილი ბრალდებებით იქნა შელახული სახელი ამ უანგარო მოამაგის, კაცისა, რომლის მთელი ცხოვრება ქართველი ერის კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების წინსვლის საქმეს შეეწირა, რომლისთვისაც არ არსებობდა არც ცოლი, არც შვილი, არც ოჯახი, არავეითარი პირადული და ცხოვრობდა მხოლოდ საქართველოს ბედნიერებით.

ზოგადი შენიშვნები

მკითხველს, იქნებ, ახსოვს, ამა წლის 20 მარტს „ლიტ. საქართველოში“ გამოქვეყნდა ჩვენი წერილი – „ანტონი პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთ“.

წერილის მიზანი იყო ეჩვენებინა ანტონის ღვაწლი ქართული ენათმეცნიერებისა და კერძოდ, გრამატიკული აზრის სფეროში, მაგრამ რადგან ვიცოდით, რომ ანტონის სახელი ქართული საზოგადოებრიობის თვალში, მეტწილად საშუალო სკოლის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოთა წყალობით მეტად უსამართლოდ და დაუმსახურებლად იყო შელახული, რა თქმა უნდა, ზერელედ შევეხეთ კიდევ ორ საკითხს. 1. გამოგონილ ბრალდებას ვეფხისტყაოსნის დაწვის შესახებ და 2. ე. წ. სამი სტილის თეორიას.

¹ სტატია ხათაურით – „ქახუხი რუკინზენტს“ დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ 1970, №XL

ყველასათვის ცნობილია, რომ საგაყითო სტატიაში მთელი სისრულით ვერ ხერხდება სამეცნიერო აპარატურის გამოყენება და ყოველთვის იმის მითითება, თუ ვინ სად რა თქვა, მაგრამ ჩვენი რეცენსიონტი ამას არ ითვალისწინებს და გვისაყვედურებს: „ავტორი (ე. ი. მე) თავის მოვალეობად თვლის დაასახელოს სტატიაში ანტონის დამსახურების „ბევრი მხარის“ გამჭუქებულნი (კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ა. ფრანგიშვილი და სხვა) მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მაგრამ ავიწყდება ანტონის გრამატიკული მემკვიდრეობის შემყვასებელი მეცნიერების, თუნდაც: ალ. ცაგარელის, ივ. ჯავახიშვილის, ილ. აბულაძის, არნ. ჩიქობავას, ა. შანიძის დასახელება“.

ამავე უფლებით ხომ ჩვენც შეგვიძლია ვკითხოთ ელ. ბაბუნაშვილს, რატომ მხოლოდ ავტორიტეტები დაასახელა და დაივიწყა ანტონის გრამატიკისადმი მიძღვნილი მშვენიერი გამოკვლევების შედარებით დაბალრანგიანი ავტორები: თ. ბეროზაშვილი, ლ. ლეჟავა და მ. მაჭავარიანი.

ჩვენ არც ერთი ენათმეცნიერი არ დაგვისახელებია და ეგ შემთხვევით არ მოგვსვლია, არც ერთი მათგანის შრომაში არაა ანტონის გრამატიკა და მისი დამსახურება განხილული მთელი სიგრძესიგანით ისე, როგორც მითითებული მეცნიერების შრომებშია მათთვის საინტერესო საკითხები განხილული. მაგალითისათვის ავიღოთ ა. ფრანგიშვილის შრომა „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან ხაქართველოში“. ამ წიგნში ანტონს ეთმობა 137 გვერდი, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენ, ენათმეცნიერებს, ერთად აძებულს, ანტონზე დაგვიწერია და ასეთი შეფარდებაა მაშინ, როცა ანტონი ჩვენი მეცნიერების ფუძემდებელია, ჩვენი გრამატიკული აზროვნებისა და ტერმინოლოგიის შემქმნელია, ფსიქოლოგიური შრომა კი საგანგებოდ არ დაუწერია.

ენათმეცნიერების მოუხსენებლობით ჩვენ, მართალი რომ ვთქვათ, გამოეხსახეთ გულისტკივილი საერთოდ ქართველი ენათმეცნიერების მიმართ, რომლის საკმაოდ დიდი არმიის ერთი პატარა ჯარისკაცი თავად ვართ.

მითხველს ვთხოვთ, კვებნაში ნუ ჩამოგვართმევს და ისე კი უნდა ვთქვათ, რომ არცერთი ჩვენი სხვა წერილის მიმართ იმდენი კეთილი სიტყვა არ გვსმენია, რამდენიც ამ სტატიის მიმართ. გაზეთში გამოხმაურებასაც ველოდით და ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავიხარეთ, როცა „ლიტ. საქართველოს“ გვერდებზე თვალი მოგვარით სათაურს „ანტონ პირველი, მისი გრამატიკა და ერთი კომენტარი“ ელ. ბაბუნაშვილის ხელმოწერით, რადგან ჯერ კიდევ 1965 წელს დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ანტონის გრამატიკაზე ელ. ბაბუნაშვილი ამზადებდა მონოგრაფიას, ჩვენ სწორედ მის წერილში ველოდით საკითხის უფრო დაწერილებით განხილვას და ავტორისაგან მხარში ამოდგომის იმედი გვქონდა.

სამწიხაროდ, მოლოდინი სავსებით გაგვიქარწყლდა, ავტორი სტატიის ბოლო აბზაცამდე ჩვენს კრიტიკას მოუნდა და სრულიად დაივიწყა, რომ სტატიის სათაური ანტონისა და მისი გრამატიკის შესახებ პოზიტიური დებულების გამოთქმასაც ითვალისწინებდა.

რეცენზენტმა დაიწყო იმით, როგორც მკაცრმა აღმზრდელმა ონავარ ბავშვს, ყურები აგვიწია, რადგან ჩვენ წერილში ვილაპარაკეთ არა იმ საკითხებზე, რომლებზედაც მისი აზრით უნდა გველაპარაკა: „ქარგი იქნებოდა სტატიის ავტორს თავისი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით წარემართა და დაწერილებით და საფუძვლიანად ეჩვენებინა, რატომ აქვს წაყენებული ანტონს ასეთი ბრალდება (ვეფხისტყაოსნის დაწვისა – ა. ფ.) და რატომ არ შეიძლება, ვერწმუნოთ ამ ბრალდების სისწორეს. თითქოს დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამის ჩვენება შესაძლებელიც იქნებოდა, საინტერესოც, სასარგებლოც და ამასთან, ვფიქრობთ, სავსებით საკმარისიც ანტონის რეაბილიტაციისათვისო“ – წერს ოპონენტი.

მართალია, ჩვენ არ ვიცოდით რას ფიქრობდა ელ. ბაბუნაშვილი, მაგრამ ვიცოდით, რომ ასეთი კვლევა-ძიება უკვე დიდი ხანია ჩატარებულია და დადგენილია ანტონის აბსოლუტური უდანაშაულობა, ამიტომაც იყო ვწერდით: „რუსთველოლოგიაში“ დიდი ხანია ცნობილია, რომ ანტონს არ დაუწვავს და არც შეეძლო დაეწვა ვეფხისტყაოსანი“ და იქვე სინანულით აღვნიშნავდით, რომ ეს ჭეშმარიტება საშუალო სკოლის ზოგ სახელმძღვანელოში უგულვებელყოფილია და ასეულ ათასობით მოსწავლეს ვაწვდით ყალბ ცნობებს ჩვენი წარსულის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ.

აგრეთვე ვთქვით ორიოდ სიტყვა „სამი სტილის“ თეორიის თაობაზე „რაც შეეხება სამი სტილის თეორიას, იგი ანტონის მოგონილი არ არის, მას სათავე ანტიკური ხანის რიტორიკაში უდევს. ჩვენში კი მისი ერთი პირველი პროპაგანდისტი იოანე პეტრიწი იყო, რომლის გავლენას ანტონი უთუოდ განიცდიდა“. (ასეა დაბეჭდილი) დედანში კი ეს ციტატა გრძელდებოდა: „მაგრამ საკითხავია, არის თუ არა რაიმე რეაქციული, „სამი სტილით“ წერის მოთხოვნაში, ასეთ მოთხოვნას ხომ თავის დროზე ღმომონოსოვიც აყენებდა?

ანტონის მოღვაწეობის პერიოდში საერო მწერლობის გვერდით სასულიერო მწერლობა არსებობდა, ამიტომ ორი სტილი უკვე ფაქტი იყო. თუ ამას დავუმატებდით მეცნიერულ თხზულებათა ენას, სამ სტილს თავისთავად ვღებულობდით. ანტონს უფრო სწორად შეეძლო დაეკანონებინა ის, რაც უკვე არსებობდა.

თანამედროვე ლინგვისტიკისთვის სრულიად ცხადია, ყოველგვარ საგანზე ერთი სტილით წერა შეუძლებელია: „დიალექტიკური ლოგიკის“ კატეგორიებსა და წიწილის გამოყვანის პირობებზე ერთი სტილით ვერ დაიწერება“.

დედანი შევამცირეთ და სამწუხაროდ ამ ადგილის ამოღება მოგვიხდა, თუმცა რეცენზენტის პრეტენზიებს, ალბათ მაინც ვერ დავაკმაყოფილებდით, ახლა კი მით უმეტეს, იგი კვლავ ყურში გეწვდა: „ჩვენი აზრით – წერს ელ. ბაბუნაშვილი – ასეთი განცხადება იძლევა საფუძველს ფეიქრობთ, რომ ავტორი შემდეგ

მსჯელობაში დააპირებდა იმის მტკიცებას, რომ ანტონი არც ქართული ენის განვითარების შემფერხებელია და არც სამი სტილის თეორიის ავტორი, რომ ერთი და მეთრეც ანტონის მოღვაწეობის ზერეულე შემფახებელთა მოგონილია“ (ხაზი ჩვენია – ა. ფ.).

გვიკვირს რატომ იოანე პეტრიწის მოღვაწეობის დახასიათება არ მოგეთხოვა რეცენზენტმა და, რადგან ამ ახირებას გადავურჩით, ანტონის შესახებ სიამოვნებით მოვახსენებთ ცოტა ქვემოთ. აქ კი ზოგი ანბანური ჭეშმარიტების დავიწყებას თუ მიჩქმალვას უნდა შევებოთ.

მას მოაქვს ჩვენი სტატიიდან ციტატა: „მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია, ანტონი მიძე ენით წერდა და ეს მიხა დამახახათებელი მანკი იყო (აქ რატომღაც გაწყვეტილია ციტატა – ა. ფ.), რახაკვირეულია, ამ მიძე ენამ აუნო ქართული ხალიტერატურო ენის გამარტივების ხაქმეხაც. ანტონის უზარმაზარი ავტორიტეტის გამო ათეული წლების განმავლობაში ბაძავდა მას ცოტად თუ ბერად განათლებული ქართველი და შედეგად ვღებულობდით დამძიმებულ სალიტერატურო ქართულს“. (ხაზი ყველგან ელ.ბაბუნაშვილისაა).

ჩვენ საგანგებოდ ვცდილობთ, რომ რაიმე დამამცირებელი ეპითეტი არ წამოგვცდეს რეცენზენტის მიმართ, მაგრამ ზემოთ მოტანილი ციტატიდან ისეთი დასკვნის გამოტანა, როგორც ელ.ბაბუნაშვილს გამოაქვს ენათმეცნიერების ანბანური ჭეშმარიტების უცოდინარობაა მხოლოდ.

იგი ასკვნის: „არა გეგონია, ეს ციტატი უარყოფდეს დებულებას, რომ ანტონი ქართული ენის განვითარების შემფერხებელია“ (ხაზი ჩვენია ა. ფ.).

განა „ქართული სალიტერატურო ენის გამარტივების ხაქმის შეფერხება“ (რასაც ჩვენ ვაძობთ) და „ქართული ენის განვითარების შეფერხება“ (რასაც რეცენზენტი ჩვენ მოგვაწერს) ტოლფარდი ცნებებია?!

ქართული ენა ესაა ენა ქართველი ხალხისა, მისი არსებობიდან დღემდე. ქართული სალიტერატურო ენა კი, ყოველ შემთხვევაში ჯერ ცნობილი მასალით ხუთმეტი საუკუნისაა.

ქართული ენა ქართველი ხალხის საერთო-სახალხო ენაა, მთელი ქართველი ხალხის გონების სარკე და ქართული ბუნებისა და ხასიათის ძნელად ჩასაწვდომი, მაგრამ ცხადზე უცხადესი გამოხატულებაა მისი ისტორიის მთელს მანძილზე. სალიტერატურო ენა კი არც თუ დიდი ხნის წინათ ჩვენი ხალხის მეტად მცირე ნაწილის – წერა-კითხვის მცოდნეთა – საკუთრება იყო მხოლოდ.

ქართული ენა ცოცხალია, მოძრავია, ცვალებადია, მის მდინარე-ბას განუწყვეტლივ უერთდება დიალექტების მარადმაცოცხლებელი თავანკარა წყაროები; ქართული სალიტერატურო ენა თითქმის უძრავია და უსიცოცხლო, იგი კანონ-დეკრეტების შემყურა და ქალღმერთისა და მეღმერთის იმედითაა ძირითადად.

ქართულ ენაში ცვლილებების შეტანას მთელი ქართველი ხალხის თანხმობა უნდა, მიუხედავად ამისა ცვლილება ხშირია – ზოგჯერ ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზეც აშკარად შესამჩნევია: ქართული სალიტერატურო ენის საკმაოდ მოძველებულ და გაცვეთილ ქურქს მეტწილად რამდენიმე თაობა ატარებს, სანამ არ მოვა ვინმე ახალთმცოდნე და ამ ქურქს სანაგვეზე არ მოისვრის, ისე როგორც ეს თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ გააკეთა.

ღიახ – ეს ორჯერ ორი ოთხია – ყველამ იცის, მაგრამ ელ. ბაბუნაშვილს მისი ცოდნა არ სურს. მან ჯერ ანტონს დასდო ბრალი ქართული ენის განვითარების შეფერხებაში და მერე საქმე ისე გამოიყვანა, რომ ამ აზრის თანავეტორად ჩვენც დაგვსახა, თანაც თვით დაჯერებით განაცხადა: „როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტი“.

მიყვებით რეცენზენტის შეგონებას და ზედმეტი კომენტარებისაგან ამჯერად ჩვენც თავს ვიკავებთ.

„სამი სტილის“ თეორიის შესახებ

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია: იგი ეხება როგორც ფიქრობენ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილ მოვლენას – გასულ საუკუნის 60-იან წლებში – „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის გამომწვევე ერთ-ერთ მიზეზს – და მას ჩვენც უფრო დაწვრილებით შევხებით.

უკვე თქმულის გარდა: რეცენზენტს ჩვენს მიმართ სხვა შენიშვნებიც ჰქონდა. იგი გვისაყვებურობდა: „— განა ოდესმე ვინმეს უთქვამს, რომ ნაირსტილოვანი ენის თეორია ანტონმა მოიგონა? ხათანადო ხაყალიურ ლიტერატურაში ამის მხგავსი არხად გვეგულება“ (ხაზი ჩვენია – ა. ფ.).

რაც რეცენზენტმა არ იცის – არარსებული როდია.

აი რას ვკითხულობთ საშუალო სკოლის IX კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში: „მიუხედავად იმისა, რომ ქართული რომანტიზმი უხვად სარგებლობს ხალხური შემოქმედებით: ქართული ფოლკლორით, სამწერლო ენის მხრით: ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოკლებით, მეტწილად არქაიზმის დამცველად გვევლინება, ამ გარემოებას ხელი შეუწყო ანტონ კათალიკოსის მიერ დაშკვიდრებული „სამი სტილის“ თეორიამ, რომელმაც გადაკვეთა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ის ხწორი გზა, რომელმაც ჯერ კიდევ ხუღბან ორბელიანმა და დაიწყო გურამიშვილმა დაუფო ხათავე“ (1969 წლის გამოც. გვ. 23, ხაზი ჩვენია – ა. ფ.).

წინასწარვე ვიცით, რომ ელ. ბაბუნაშვილი შემოგვედავება, სად წერია იქ, რომ „ანტონმა მოიგონა სამი სტილის თეორიაო“ დიახ, აქ ეს არ წერია, მაგრამ არც მასწავლებლები უსახელებენ ბავშვებს სამი სტილის „მომგონებელს“ და „ბრალი“ რა თქმა უნდა, „დამშვიდრებელ“ ანტონ ბაგრატიონს ედება.

მაგრამ ჩვენ იმის მაგალითის მოტანაც შეგვიძლია, სადაც ანტონს პირდაპირ მიეწერება სალიტერატურო ენის „სამ სტილად“ დაყოფა.

პროფ. ალ. ცაგარელი 1873 წელს გამოცემულ წიგნში „О грам. лит. Грузинского языка“ წერს: „თავისი პირველი გრამატიკის ერთ ადგილას ანტონი გამოთქვამს მოსაზრებას სალიტერატურო ენის ხასიათისა და რაგვარობის ანუ სტილის შესახებ... ძნელი არაა, რა თქმა უნდა, შევნიშნოთ, რომ სალიტერატურო ენის დაყოფა მაღალ, ხაშუალ და დაბალ ხტილებად (აქედან თვით ლიტერატურული ნაწარმოებებისაც), რომელიც ანტონმა მოგვცა. არაფრით განსხვავდება იმ დაყოფისაგან, რაც ჩვენს დროში ჩვეულებრივ რიტორიკაშია მიღებული“ (გვ. 4, ხაზი ჩემია - ა. ფ.).

როგორც ვხედავთ, იქ აშქარადაა ნათქვამი, რომ: ანტონი ყოფს სალიტერატურო ენას მაღალ, საშუალო და დაბალ სტილად, მაგრამ რეცენზენტს შეუძლია გვითხრას: ეს ნაშრომი ასი წლის წინათ დაიწერა, ახლა კი ამ აზრს არავინ იზიარებსო.

კეთილი, ბატონო! ჩვენ მოვიტანთ ადგილს ასი წლის შემდეგ დაწერილი შრომიდან:

„ანტონ პირველი - XVIII საუკუნის საქართველოს ცნობილი მოღვაწეა. მას ჰყავდა მრავალი განმგრძელებელი და დამფასებელი თავის თანამედროვეთა და შემდგომ თაობათა შორის. იგი არის ავტორი „სამი სტილას“ თეორიისა“. რომელმაც სპეციალისტთა საფუძვლიანი მოსაზრებით, დიდი ზიანი მიაყენა ქართული წიგნის გამოცემის საქმეს, შეაჩერა ქართული ენის ბუნებრივი განვითარება“. (გვ. 6, ხაზი ჩემია - ა. ფ.).

ეს ციტატა ამოღებულია რ. ცუცქერიძის სადისერტაციო შრომის ავტორფერატიდან. შრომა ეძღვნება მართლწერის საკითხებს ქართულ გრამატიკებში და წარმოდგენილი იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

საინტერესო ამბავი მოხდა დაცვაზე, რომელიც შედგა 1970 წელს ივნისში ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სიტყვაში გამოვიდა მ. ვ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ნ. მ. შანსკი, რომელიც დაცვას ესწრებოდა, როგორც ოფიციალური ოპონენტი სხვა დისერტანტისა.

პროფ. ნ. შანსკიმ გაოცება გამოთქვა ავტორფერატის ამ ადგილის გამო და აღნიშნ, რომ „ის, რაც თქვენ ანტონის დანაშაულად

მიგინევიათ, როგორც ცნობილია, ლომონოსოვის დიდ დამსახურებად ითვლებათ“.

საინტერესოა: რას უპასუხებდა პატ. ელ. ბაბუნაშვილი პროფ. ნ. შანსკის ამ სრულიად დამსახურებულ და საფუძვლიან შენიშვნას?

როგორც ვხედავთ: ჩვენი გამოკონილი არაა „სამი სტილის“ თეორიის ავტორად ანტონის გამოცხადება.

ახლა კი უნდა შევეხოთ თვით ელ. ბაბუნაშვილის მოსაზრებას „სამი სტილის“ თეორიის გარშემო, რომელიც გამოთქმულია მის სტატიაში „სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში“ (სტატია დაიბეჭდა თსუ შრომების 96-ე ტომში 1963 წელს).

ელ. ბაბუნაშვილს მოაქვს ივ. გიგინეიშვილის დებულება, რომ: საბას ლექსიკონში ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო მწერლობაში ნახმარი სიტყვები განმარტებულია ძველი ქართულით, ხოლო ქართული ენის ძირითადი ფონდის სიტყვები – ახალი ქართულით.

ეს ფაქტი, ივ. გიგინეიშვილს ასე შეუფასებია: „გამორიცხული არ არის (საბას) ზოგი რამ სცოდნოდა ნაადრევი კლასიციზმის წარმომადგენელთა და მათ შეხედულებათა შესახებ სწორედ ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორიის თვალსაზრისით“.

ელ. ბაბუნაშვილი კი ფიქრობს: „ასეთი მოსაზრებაც შესაძლებელია, მაგრამ უდავოდ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ საბას, ქართული საერო და სასულიერო მწერლობის შესანიშნავ მცოდნეს, არ შეეძლო არ შეემჩნია ის სიტყვები სხვაობა, რომლითაც იმიჯნებოდა ერთმანეთისაგან სასულიერო და საერო ნაწარმოებები მის წინადროინდელ მწერლობაში. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ის უფრო თავისი ლიტერატურული წინაპრების ტრადიციას იცავდა, ვიდრე ევროპაში ნაადრევი კლასიციზმის წარმომადგენელთა გავლენას განიცდიდა. ამ დებულებას ის ფაქტიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ საბას ნაწარმოებები უპირატესად ორი განსხვავებული სტილით არის დაწერილი და არა სამით: როგორც ამას ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის მომხრეები მოითხოვდნენ“ (გვ. 26).

მაშასადამე, საბას უნდა მოეხსნას „ბრალდება“ სამი სტილის თეორიის გავლენისა და სრულიად სამართლიანად, მისი სტილის თავისებურება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიულ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ.

ანტონს?

ანტონს ეს ბრალდება მაშინაც კი ედება, როცა იგი ნამდვილად არც იცნობდა „სამი სტილის“ თეორიას!

„ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ამ ასპექტში იმ ფაქტის აღნიშვნაც – განაგრძობს ბაბუნაშვილი – რომ თვით ანტონი, შემდგომში მამამთავარი და დამამაკვიდრებელი ქართულ მწერლობაში ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორიისა, ჯერ კიდევ მა-

შინ წერდა უაღრესად მიძიმე, ძნელად გასაგები, ხელოვნური, მისი აზრით, ძველ საეკლესიო სამწერლობო ენასთან ახლო მდგომი ენით, როცა ის არც იცნობდა სამი სტილის თეორიის არსს!

ე.ი. სრულიად ერთნაირი ფაქტი - საბაცა და ანტონიც წერენ მიძიმე ენით - საბას მიმართ სხვანაირად ფასდება: მან იცოდა ქართული ენის ისტორია და ითვალისწინებდა მის ტრადიციას, ხოლო ანტონის მიმართ სრულიად სხვანაირად: თითქოს ანტონმა დაბადებულადვე იცოდა, რომ „სამი სტილის“ თეორიას გაეცნობოდა და განგებ წერდა მიძიმე ენით.

ღიახ, ასეთი დასკვნა კეთდება ყოველთვის, როცა წინასწარაა გადაწყვეტილი, თუ ვისი ნაშრომი როგორ შეფასდეს.

აი, ასეთი შეფასების სხვა მაგალითიც: ელ. ბაბუნაშვილი განიხილავს ლომონოსოვისა და ანტონის ურთიერთმიმართებას „სამი სტილის“ თეორიის საკითხი და წერს: „... ამრიგად, როგორც ანტონმა, ისე ლომონოსოვმა გაიზიარეს იმ დროისათვის საკმაოდ მოარული ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია და აუცილებლად მიიჩნიეს სალიტერატურო ენაში სამი განსხვავებული სტილით წერის საჭიროება. ეს არის ერთადერთი, რაც აერთიანებს მათ შეხედულებებს ამ საკითხზე: დანარჩენში კი მათი შეხედულებები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ლომონოსოვისათვის სტილებს შორის განსხვავებას ქმნის სალიტერატურო ენაში ძველი საეკლესიო მწიგნობრული სიტყვებისა და რუსული სასაუბრო მეტყველების კუთვნილი სიტყვების სხვადასხვა ოდენობით გამოყენება, ხოლო ანტონისათვის, მხითარის და კვალად, განსხვავების კრიტერიუმი გაუგებრად და გასაგებად წერაშია“ (აბა, ანტონი კარგს რამეს დაწერდა?! - ა. ფ.).

მაგრამ ავტორის მიკერძება ამით როდი თავდება, იგი განაგრძობს: „ცნობილია, იგი 1762 წლის დასაწყისიდანვე გამოემგზავრა რუსეთიდან - ა. ფ.). შეუძლებელია, რომ ამ დროს არ გასცნობოდა ლომონოსოვის წერილს (რატომაა შეუძლებელი, რომ არავითარი საბუთი არ არის ამის დამამტკიცებელი?! - ა. ფ.) მიუხედავად იმისა და წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, ანტონმა თავის გრამატიკის II რედაქციაში, რომელიც მან 1760 წელს დაამთავრა (არ არის სწორი. მეორე გრამატიკა ანტონმა 1767 წელს დაამთავრა - ა. ფ.) სულ აღარ შეიტანა მსჯელობა სამი სტილის თეორიის შესახებ. ხაფიქრებელია. ანტონმა ეს გააკეთა ხრულიად შეგნებულად და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ძალაში დაეტოვებინა ხამი სტილის თეორიის სქოლასტიკური ძველი მხითარისხეული გაგება და არაფერი ეთქვა იმავე თეორიის ლომონოსოვისხეულ გაგებაზე“ (ხაზი ყველგან ჩვენია - ა. ფ.).

შეცდომა ვის არ მოსდის, მაგრამ, როცა მეცნიერი საგანგებოდ ჩადის სიყალბეს, ეს არ ეპატიება.

მიყვებით ელ. ბაბუნაშვილის აზრებს: ანტონი თავიდანვე ჩიძიქე სტილით წერდა, სამი სტილის თეორიას გაეცნო 1753 წელს. პირველი გრამატიკის შედგენისას და გახდა მისი „მამამთავარი და დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში“ (თუმცა ორი წლის შემდეგ იგი „დაამხეს“ და რუსეთს გააძევეს, საიდანაც დაბრუნებისთანავე შეუდგა მეორე გრამატიკის წერას – ა. ფ.) ახლა მოსალოდნელია ეს თეორია შეიტანოს ახალ გრამატიკაში, მაგრამ მეორე გრამატიკაში „სამი სტილის“ ხსენებაც არაა.

ლოგიკის ელემენტარული კანონის მოთხოვნით მეოცე საუკუნის მკვლევარს ეს ფაქტი უნდა შეეფასებინა იმის მტკიცე საბუთად, რომ ანტონმა „სამი სტილის“ თეორიაზე, როგორც გრამატიკის ობიექტზე მეორე გრამატიკის შედგენისას ხელი აიღო და სხვაგანაც არასდროს ამ საკითხს აღარ დაბრუნებია, ამიტომ ანტონისათვის „სამი სტილის“ თეორიასთან რაიმე კავშირის მიწერა სრულიად დაუსაბუთებელია, ელ. ბაბუნაშვილი კი გააკვირვებულა: „წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა იქცევა ანტონი“.

ანტონი ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო. პატ. ოპონენტი კი იქცევა მეცნიერისათვის შეუფერებლად – უკანა რიცხვით ჭკუას არიგებს სხვებს და როცა აღმოაჩენს, რომ მისი არა სჯერათ, ირონიით შენიშნავს: „ამაოდ დაშვრა საწუხ არს ესეო“.

მკითხველმა გვაპატიოს, ციტატები გრძელ-გრძელი გამოგედის: „ანტონისათვის – განაგრძობს ელ. ბაბუნაშვილი – ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია მიხაღები იყო იმდენად, რამდენადაც ეს თეორია მას შეხატლებლობას მიხცემდა ეწერა და ხაერთოდ გაეერცელებინა მალაღი, ხელოვნური ხტილი. საშუალო და განსაკუთრებით დაბალი ხტილი მიხთვის არხებობდა მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკულად კი ის მოითხოვდა მიძე მწიგნობრული ენით წერას“.

ყველაფერი ეს თავიდან ბოლომდე მოგონილია, არსად და არასდროს ანტონს არ მოუთხოვია, ვის რანაირად ეწერა, მაგრამ როცა ცილი დასწამეს (ანტონს თავის დაცვა არ შეუძლია – ორასი წლის წინათ გარდაიცვალა) „საბრალდებო დასკვნაც“ მზადაა: „ამდენად ანტონის ნორმატიულმა ხტილახტიკურმა თეორიამ (აკი ვინ თქვა, ანტონს თეორია პქონდაო?! – ა. ფ.) რომელიც არხებითად უგულვებელყოფდა ცოცხალ ხახაუბრო ენას ლიტერატურახა და მეცნიერებაში, უარყოფითი დალი დაასვა მისი დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას და მის შემაფერხებლად მოგვევლინა“.

სამწუხაროდ, ანტონის ეს თეორია (კვლავ „ანტონის თეორია“! – ა. ფ.) ანტონის ავტორიტეტისა და მისი სალიტერატურო სკოლის გავლენით მთელი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა და გზას უჩწობდა ცოცხალ ხახაუბრო მეტყველების ფორმების ხმარებას ხალიტერატურო ენაში, ანტონის გრამატიკის მიხედვით დაიწერა ყველა ქართული გრამატიკა

კა, რომელიც კი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა (ესეც ანტონმა მოითხოვა?! – ა. ფ.) ანტონის მძლავრ გავლენას განიცდიდნენ ქართული ლექსის ისეთი უბადლო ოსტატები, როგორც იყვნენ ჩვენი რომანტიკოსები: ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გროზბელიანი – მაგრამ მაღალი სტილის უკუღმართო შედეგები განსაკუთრებით მხატვრული პროზის დარგში აღმოჩნდა ხაყალალო”.

აი, რას არ ათქმევინებს წინასწარ აკვიატებული აზრისათვის ბრმად მიყოლა ადამიანს: ქართული ლექსის უბადლო ოსტატების – ალ. ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის შემოქმედება ხაყალალო ფაქტადაა აღიარებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში! განვაგრძობთ ციტირებას.

„ყველაზე უფრო სამწუხარო ამ მხრით ის იყო, რომ რადგანაც ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია ანტონის ინტერპრეტაციით არ იძლეოდა სტილებრივი სხვაობის არავითარ წესებს და ამდენად არ არსებობდა განსაკუთრებით საშუალო და მაღალი სტილის ერთმანეთისაგან გამიჯვნის არავითარი ობიექტური კრიტერიუმი, აღარავის შეეძლო გაერჩია ერთმანეთისაგან მაღალი, საშუალო თუ დაბალი სტილით ნაწერი. სამი სტილის თეორია მხოლოდ თეორიულად არსებობდა, არსებითად კი საკითხი იდგა გაუგებრად და გასაგებად, წიგნიერად და უწიგნურად (ანტონი, რა თქმა უნდა, ალბათ უწიგნურად წერას მოითხოვდა – ა. ფ.) წერის ურთიერთობისა მხოლოდ. ლიტერატურული ნაწარმოებების (რა ჟანრისაც უნდა ყოფილიყო ეს ნაწარმოები) დაბალი სტილით წერას, რადგანაც ის ჩვეულებრივ, ბუნებრივ ხახუბროთ შეტყვევებას ემყარებოდა. შედარებით ერიდებოდნენ. თუმცა ზოგჯერ შინაც მიმართავდნენ მას (როგორც ქვემოთ ენახეთ ეს დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მწერალზე) გვ. 30–31 (ხაზი ყველგან ჩვენია ა.ფ.).

კი მაგრამ, თუ მწერალზე იყო დამოკიდებული, რა სტილით დაწერდა, სადღაა იქ ანტონისა და მისი „სამი სტილის“ თეორიის გავლენა? ეს ლოგიკური უკუღმართობა როგორ არ ესმის მეცნიერ-ფილოლოგს?!

თუმცა ეს ცოტაა, უფრო საკვირველი ისაა, რომ თუ „ლიტერატურული ნაწარმოების (რა ჟანრისაც არ უნდა ყოფილიყო ეს ნაწარმოები) დაბალი სტილით წერას ერიდებოდნენ“ ხომ მთლად დაუშარხავთ ანტონი და მისთვის მიწერილი სამი თეორია?! თვითონ ელ. ბაბუნაშვილი არ გვეუბნებოდა: „პირველი სახის ნაწერები (ე. ი. დაბალი სტილისანი – ა. ფ.) ნაკლებად შეიცავს რჩეულ-სიტყვაობას, მაგრამ ყველასათვის ადვილი გასაგებია, ასეთია, ანტონის აზრით, სვინაქსარისა და მოთხრობების ენა (ე. ი. მხატვრული ლიტერატურის ენა ა. ფ.) ... ისევე, როგორც მხითარი. ანტონი შოთხმოდ, რომ ნაწარმოების ხახიათი განხაზღვრავდეს ნაწარმოების სტილს, თუ ნაწარმოები ხალხისათვის არის განკუთვნილი, იგი პირველი ხახის ენით უნდა იწერებოდეს. თუ ნაწარმოები

სწავლას ან მოძღვრებას გადმოგვცემს, ანდა წმინდანთა წერილებს განმარტავს, საჭიროა მეორე სახის ენა, რომ სიტყვათა კეთილშობილება წინადადებათა კეთილშობილების შესაბამისი იყოს და ღრმა აზრმა უბიძგოს მეცნიერთა გონებას მეტი სიღრმისაჲს, ხოლო თუ ნაწარმოები არც სხვის განსწავლას ეხება და არც მღაბი-ორთათვის არის განკუთვნილი, არამედ ბრძენთა და განსწავლულთათვისაა დანიშნული, მაშინ ის უნდა იწერებოდეს მესამე სახის ენით, რადგანაც სიტყვათა ბრწყინვალეობა და ფრაზების მკვერმეტყველება მკითხველების გონებას გადააჩვევს სიზარმაცეს, აღაფრთოვანებს და ამგვარად უფრო დააინტერესებს მათ ასეთი ნაწარმოებებით“ (გვ. 27-28 ხაზი ჩვენია ა. ფ.).

ამაზე იტყვიან: „სამართალმა პური ჭამაო“ ბოლოს და ბოლოს ელ. ბაბუნაშვილიც კი იძულებული გახდა ერთხელ მაინც ეთქვა სიმართლე.

დიახ, ეს გახლავთ სამი სტილის თეორიის ნამდვილი არსი და ამ თეორიას ხელს მოაწერს ყველა დროის ლიტერატურათმცოდნე, ვისთვისაც ძვირფასია ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი, ვინც აფასებს ხელოვნების ნამდვილ ქმნილებას.

შემთხვევითი არაა, რომ ამ თეორიის შემქმნელები და მამამთავრები გახლდათ: არისტოტელე, ციცერონი, კენტილიანე და ზოგიც სხვა მსოფლიოში უდიდესი ფილოსოფოსი და ორტორი.

ამის შემდეგ, თუ სამართალია, ანტონს ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ მან უდიდესმა და უნიჭიერესმა მეცნიერმა, ვერ დაინახა აუცილებლობა იმისა, მკაცრად დაეცვათ სამი სტილის მოთხოვნები და, როცა ეს თეორია სრულიად სამართლიანად, როგორც არა გრამატიკული საკითხი, მეორე გრამატიკიდან ამოიღო, საგანგებო შრომა ვერ მიუძღვნა მას.

ამ თეორიას რომ ჩვენში მტკიცე საფუძველი ჰქონოდა, „ცისკრის“ ენის საკითხი საერთოდ არც დაისმოდა: მასში როგორც ლიტერატურულ ჟურნალში, რომელიც ხალხისათვის იყო განკუთვნილი, ძირითადად პირველი სტილის, დაბალი სტილის ენა უნდა ყოფილიყო გაბატონებული, მაგრამ იმ პირობით, თუ საჭირო შემთხვევაში თემის შესაბამისად გამოყენებული იქნებოდა საშუალო და მაღალი სტილიც. მხედველობაში გვაქვს სწორედ ჩვენი სასიკადულო რომანტიკოსების ბრწყინვალე ქმნილებები.

რა თქმა უნდა ნ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ ან ერეკლესა და სოლომონის დიალოგი „ბედი ქართლისა“-დან არ დაიწერებოდა იმ ენით, რომელთაც მაჭრის დაღვინების წესებს ასწავლიდნენ „ცისკრის“ მესვეურნი გლეხებს და რომელიც ძალიან მოსწონს ჩვენს რეცენზენტს.

აი, ამ ენის ნიმუშიც: „ახალი მაჭარი თუ გინდათ ძველად გადააკეთოთ, რომ ვერავინ იცნოს, ასე უნდა: ქვაბში ჩაასხით წყალი და

ჩააწყვეთ ბუთილკები ღვინით. პირამდი წყალში იყოს, შედგით ცეცხლზე და წყალი ნელ-ნელა წამოადუღეთ და მერმე ისე გააცით, ვერაინ შეიტყობს, რომ ახალი ღვინოა“ (გვ. 34).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ლაფსუსს, ეს ენა ამჟამადაც შესანიშნავად გამოდგება იმ დანიშნულებისათვის, რისთვისაც ასზე მეტი წლის წინათ გამოუყენებიათ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი (თავისი ლექსიკითა და გამომხატველობითი საშუალებებით და არა გრამატიკული წყობით) ვერ გამოდგება თანამედროვე ურთულესი მეცნიერებების აბსტრაქტულ ცნებათა ლაბირინთების გადმოსაცემად – ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

უფრო მეტიც, ენათმეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ გლეხის ენის ლექსიკის აქტიური მარაგი სამასიოდ სიტყვას მოიცავს. ეს რიცხვი ათჯერაც რომ გავზარდოთ, პასიური მარაგის აღსანიშნავად, მეორმოცდაათედიც არ იქნება იმ რიცხვისა, რასაც ცოტად თუ ბევრად განვითარებული ენის ლექსიკური ფონდის საერთო მარაგი უდრის. ამიტომაც გასაკვირი როდია, რომ არა თუ გლეხს, არამედ უდიდესი განათლებისა და ერუდიციის მქონე მეცნიერებსაც არ მოეპხოვება იცოდეს მშობლიური ენის ლექსიკური მარაგის ყოველი სიტყვის მნიშვნელობა ე.ი. მშობლიურ ენაზე დაწერილი ყველაფერი გაიგოს და განა, რაც ჩვენ არ გვემისს, ყველაფერი საგანგებოდ ძნელადაა დაწერილი?

ჩვენ წინა წერილშიც ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ანტონი მძიმე ენით წერდა, იქნებ უფრო მძიმეთი ვიდრე საჭირო იყო, მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ანტონის შრომები (ნათარგმნი თუ ორიგინალური) შეეხო მეცნიერებათა ბევრს ისეთს დარგს (გრამატიკა, ფიზიკა), რომელთა შესახებაც მანამდე ქართულად თითქმის არაფერი დაწერილა ან ისეთ დარგებს (ლოგიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია), რომელთა შესახებაც ცნობები ძირითადად ი. პეტრიწის შრომებში თუ მოიპოვებოდა, ე. ი. ანტონს უხდებოდა მეცნიერულ ცოდნასთან ერთად შეექმნა ამ მეცნიერების ენა მთელი თავისი ტერმინოლოგიითა და გამომხატველობითი ინვენტარით.

რომელი ენისათვის უნდა მიემართა ანტონს? ჩვეულებრივ მიუთითებენ დ. გურამშიელსა და სულხან-საბა ორბელიანზე, როგორც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივი ხაზის გამგრძელებელზე, მაგრამ ივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და გრამატიკის უადრესად აბსტრაქტული ცნებებისა და კატეგორიების თუ „მზამეტყველების“ თეოლოგიური დოგმების გადმოსაცემად „ქაცვია მწყემსისა“ და „სიბრძნე სიცრუისა“ ენა ვერ გამოდგებოდა.

ამიტომ სრულიად სამართლიანი იყო ანტონის „ცქერა უკან“ –

ი. პეტრიწისკენ, რომლის მსგავსადაც მას ბევრი ხელოვნური ტერმინისა და საქცევის შემოტანა მოუხდა ქართული ენის ორგანიზმში.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ანტონი ძირითადად მწერალი არ ყოფილა. მთელი მისი თეორიული მოღვაწეობა მეცნიერების საქმეს ემსახურებოდა და თავისთავად ცხადია იგი ვერც შეაჩერებდა და ვერც გააგრძელებდა ქართული მხატვრული ლიტერატურის ენის ბუნებრივი განვითარების გზას. ამ გზას ხომ მარტო მეცნიერების ენა არ ქმნიდა.

ამ ასპექტში უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებებიც: „ცისკრის“ მოკამათოთა და არც ერთ მახრეს არც ერთხელ არ უხსენებიათ „სამი სტილის“ თეორიასთან დაკავშირებით ანტონი და მათი „სამი სტილის“ მოდელიც სრულიად განსხვავებულია იმ მოდელისგან, რომელიც ანტონის №1 გრამატიკაში იყო მოცემული.

ანტონის №1 გრამატიკაში ბმძმონდა

I. პირველი სახის ნაწერები იოლად გასაგები – სვინაქსარისა და მხატვრული ლიტერატურის (მოთხრობების) ენა.

II. მეორე სახის ნაწერები – საღმრთო წერილის ენა.

III. მესამე სახის ნაწერები ძნელად გასაგები – მეცნიერების ენა.

„ცისკარში“ გვქონდა (აღლ. ორბელიანის და დ. ბაქრაძის წერილებში)

I. საღმრთო მწერლობის ენა.

II. მდაბიური ანუ დარბაისლური ენა.

III. გლეხკაცის ენა.

2. ანტონის პირველი გრამატიკა დაიწერა 1753 წელს სასწავლო სახელმძღვანელოდ სემინარიისათვის. სემინარია გაიხსნა 1755 წელს და იმავე წელს ანტონი „დაამხეს“ და ჩამოაშორეს ყოველგვარ საქმიანობას, მეორე წელს კი საქართველოდან გაასახლეს – რუსეთს, სადაც მან დაჰყო 1762 წლამდე.

ჩვენ არ ვიცით ფუნქციონირებდა თუ არა სემინარია ანტონის რუსეთში ყოფნის პერიოდში, მაგრამ ერთი ცხადია, თუ ეს სემინარია დანაგრძობდა მოქმედებას, არა გვეგონია, ანტონის გრამატიკა დიდ მოწონებაში ყოფილიყო.

რუსეთიდან დაბრუნებისთანავე ანტონი შეუდგა ახალი გრამატიკის წერას. რადგან პირველი სრულიად უკმარად ეჩვენა და 1767 წელს დაამთავრა მეორე გრამატიკა, რომელშიაც სამი სტილის საკითხები არ შეუტანია.

ამ პერიოდიდან სემინარიებში ისწავლება ეს (მეორე) გრამატიკა და ქართველი საზოგადოებრიობაც მხოლოდ მას იცნობს, მის მიხედვით დაიწერა ყველა გრამატიკა მომდევნო ხანისა და, რა თქმა უნდა, არც ერთში არაა „სამი სტილის“ ხსენებაც კი. უფრო მეტიც:

პირველი გრამატიკის არსებობაც კი არაა ცნობილი 1873 წლამდე. სანამ იგი პროფ. ალ. ცაგარელმა არ აღმოაჩინა და „სამი სტილის“ თეორიაზედაც პირველი ცნობა არ გამოაქვეყნა.

მოუუსმინო ალ. ცაგარელს: „დღემდე, ე. ი. №1 გრამატიკის წინასიტყვაობის გამოქვეყნებამდე, წინააღმდეგობა მის აზრებში არ ყოფილა შემჩნეული და ამის შესახებ არც არაფერი იცოდა რაიმე, რამეთუ არ ყოფილა ცნობილი ანტონის №1 გრამატიკის შინაარსი“. (გვ. 12. როგორც ცნობილია, №1 გრამატიკის წინასიტყვაობა სწორედ ამ წიგნში იქნა პირველად დაბეჭდილი – ა. ფ.).

მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში 1767 წლიდან 1873 წლამდე, ქრთველმა საზოგადოებამ არაფერი იცის იმ შრომაზე, რომელშიც იყო ნახსენები „სამი სტილის“ საკითხები, ჩვენ კი ვამტკიცებთ, ანტონის გამოგონილმა თუ დანერგილმა „სამი სტილის“ თეორიამ ასე წლით შეაჩერა ქართული ენის თუ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სწორი გზაო და ერთხელაც არ ვკითხულობთ: საიდან, როგორ, რა საბუთით?

დასკვნა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: ანტონი არც ავტორია „სამი სტილის“ თეორიისა, არც შემომტანი და არც დამნერგავი.

ამიტომ ვფიქრობ, დროა გადაისინჯოს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებული მოსაზრებები და საშუალო სკოლის მოსწავლეები ვიხსნათ არარსებული „თეორიებისა“ და ანტონის „სკოლის ბატონობის“ გავლენისაგან“.

დაბოლოს პასუხი ერთ საკითხზედაც: ელ. ბაბუნაშვილმა „ლიტ. საქართველოში“ დაბეჭდილი სტატია ასე დაამთავრა: „დასასრულ, ვიმეორებთ, რომ დღემდე არც ერთ მკვლევარს, რომელსაც კი ანტონის შრომებთან საქმე ჰქონია არ მოსვლია ერთი მხრივ უარყოფის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც მას მიუძღვის ქართული გრამატიკული აზროვნების წინაშე და, მეორე მხრივ, მიეწერა მისთვის ის, რასაც ანტონი ვერ გააკეთებდა მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის პირობებში“.

სრულიად სწორია, წარმოუდგენელია ერთსა და იმავე დროს უარყოფილი ანტონის დამსახურება და თანაც მიაწერო მას დიდი დამსახურება. ასეთი წერილი მართლაც არავის დაუწერია ჯერ. სამაგიეროდ დაიწერა წერილი, რომელშიაც ერთი სიტყვითაც არაა მოხსენიებული „ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც ანტონს მიუძღვის ქართული გრამატიკული აზროვნების წინაშე“.

ასეთი წერილიდან იყო საკმაოდ გრძელ-გრძელი ციტატები, რომ მოგვექონდა და მისი ავტორი გახლავთ ჩვენი რეცენზენტი ელენე ბაბუნაშვილი.

მკითხველს ვთხოვთ ერთი წუთით ისევე გადაავლოს თვალი იმ ციტატებს, რომლებიც ამ განყოფილებაში ელ. ბაბუნაშვილის სტატებიდან ამოვიწერეთ და იგი დარწმუნდება, რომ ანტონის მიმართ

მხოლოდ ერთხელაა გამეტებული ეპითეტი: „გამოჩენილი მოღვაწე“ ისიც, ალბათ იმიტომ, რომ ავტორს სათქმელი ჰქონოდა: ღირდა მის წინააღმდეგ ამდენი ბრძოლაო.

ვიმეორებთ ამ სტატიაში ერთი სიტყვითაც არაა მოხსენიებული ანტონის საერთოდ რაიმე დამსახურება და, რა თქმა უნდა, არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ იგი ქართული გრამატიკული აზრის ფუძემდებელია. უფრო მრავლისმეტყველია სტატიის დასასრული: „ახე დაშთავრდა ხაში ხტილის თეორიის ბატონობის უკუღმართი ხანა ქართული ხალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში“ (ხაზი ჩვენია ა. ფ.)

ეს „უკუღმართი“ ხანა გახლავთ ხანა დავით, იოანე, და თეიმურაზ ბაგრატიონების მოღვაწეობისა, ხანა იოანე ქართველიშვილის, სოლომონ დოდაშვილის, სოლომონ რაზმაძის, ჩუბინაშვილების, პლატონ იოსელიანის მოღვაწეობისა, ხანა როცა თავიანთ უკვდავ კმნილებებს წერდნენ ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ჩვენი სიამაყე ნ. ბარათაშვილი.

ამის შემდეგ თავად განსაჯეთ როგორ მონოგრაფიას უნდა მოველოდეთ ანტონის შესახებ ელ. ბაბუნაშვილისაგან.

კიდევ ერთი საკითხი:

ჩვენს ხსენებულ წერილში წარმოვადგინეთ „ლექსის“ (ე. ი. სიტყვისა) და „წიგნის“ ანტონისეული განსაზღვრა და შევეცადეთ დაგვესაბუთებინა დებულება, რომ ნ. ტრუბეცკოისა და ფ. დე-სოსიურის შრომების გამოქვეყნებამდე ანტონთან „გვაქვს ელემენტები როგორც ფონემის, ისე ნიშნის თეორიისა“.

რა საბუთები გვქონდა ასეთი მტკიცებისათვის?

ანტონის განსაზღვრით „ლექი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“.

ამ განსაზღვრაში განმარტებას საჭიროებს ტერმინი მოგონება, იგი უდრის ცნებას. მაშასადამე განსაზღვრება ასეთ სახეს ღებულობს: „სიტყვა არის ცნების ნებისმიერი ნიშანი“. ამ განსაზღვრაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიტყვა არის „ნიშანი“ და რომ იგი „ნებისმიერია“. სიტყვის განსაზღვრაში ამ კომპონენტთა არსებობამ ჩვენ გვიკარნახა გაგვევლო ანალოგია ფ. დე-სოსიურთან, რომლისთვისაც სწორედ ეს მომენტებია მნიშვნელოვანი და გადაამწყვეტი.

იმის მაგიერ, რომ პირდაპირ ეთქვა, რას უწუნებდა ჩვენს ინტერპრეტაციას, ელ. ბაბუნაშვილმა სხვა მხრიდან მოგვიარა და სიტყვების კორიანტელი დააყენა, თუმცა მნიშვნელოვანი მაინც ვერაფერი თქვა: „ცნობილია, რომ თანამედროვე ენათმეცნიერება თავის საწყისებს ეძებს არა მარტო ისტორიულ შედარებით ენათმეცნიერებაში, არამედ ე. წ. წინარემეცნიერულ გრამატიკულ აზროვნებაშიც. უძველეს გრამატიკულ ლიტერატურაში ენათმეცნიერების ისტორიკოსები ხშირად აწყდებიან იდეებსა და ცნებებს, რომლებიც ეხმარებიან ლინგვისტური მეცნიერების უახლეს თეორიებს, ამიტომ თავისთავად

ვად ეს დებულება სინამდვილესაც რომ შეეფერებოდეს არც ახალი იქნებოდა და არც გასაკვირი, მაგრამ ჯერ ერთი, შეიძლება იმის თქმა, რომ არც ერთი ზოგადი დებულება, უფრო მეტიც, არც ერთი დეფინიცია ანტონის გრამატიკაში ვერ იქნება და არც არის სინამდვილეში ანტონის საკუთრება, რადგანაც სხვა რომ არა იყოს რა, როგორც სტატიის ავტორი იძულებულია აღიაროს, ანტონს „საგანგებოდ ენათმეცნიერული განათლება არ მიუღია და თავისი გრამატიკის დაწერისას იძულებული იყო სხვა ენების გრამატიკებით ესარგებლა. აკი ის დებულებები, რომლებიც ა.ფოცხიშვილის აზრით ანტონს ფერდინანდ დესოსიურის წინამორბედად ხდის, ანტონს ბაუმისტერის ლოგიკიდან აუღია.

მეორეცა და, ვფიქრობთ, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ „ნიშნის სოსიურისეული ელემენტები მხოლოდ ბაუმისტერის ლოგიკაში ყოფილიყო მოცემული“ (ე. ი. არსად სხვაგან) და რომ „ანტონი იყო პირველი ენათმეცნიერი, რომლის გრამატიკაშიც ასახვა ჰპოვა“ ამ დებულებამ! ბოლოს და ბოლოს ჯერ კიდევ ახალ ერამდე იყო კამათი იმის შესახებ, ნებისმიერია ჩვენს მიერ საგნებისათვის შერქმეული სახელები, თუ ისინი საგანს შინაგანი თვისებებით განსაზღვრავენ (უნდა იყოს „საგნის შინაგანი თვისებებით განისაზღვრებიან“ – ა. ფ.).

აი ყველაფერი რაც თქვა ჩვენს საწინააღმდეგოდ რეცენზენტმა.

ამ მიკიბულ-მოკიბულს არ სჯობდა ეთქვა, სწორია თუ არა ჩვენი გაგება ანტონისეული სიტყვის განსაზღვრისა და იძლევა თუ არა იგი სოსიურთან ანალოგიის უფლებას? ის მაინც ეთქვა, რომ ამას წინათ ერთ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებით თვითონ ამტკიცებდა: „მოგონება“ ნიშნავს იდეა, ცნებას, წარმოდგენას“ და რომ კაცი ვერ გაიგებს სახელდობრ რომელს?

მოტანილ ციტატიდან ელ. ბაბუნაშვილის აზრი ჩვენ ასე გავიგეთ.

1. არც ერთი ზოგადი დებულება და დეფინიცია ანტონის გრამატიკაში მოცემული ანტონის საკუთრებად არ ჩაითვლება: რადგან მას საგანგებოდ ენათმეცნიერული განათლება არა ჰქონდა და ეს საკითხიც (ე. ი. ნიშნის ნებისმიერობის საკითხიც) მას ბაუმისტერის ლოგიკიდან აუღია.

ჩვენ კი გვგონია: ანტონის საკუთრებად ვერ ჩაითვლება ის დებულებები: რომლებიც მხითარის გრამატიკიდან მოდის: ისევე როგორც მხითარის საკუთრება არ არიან ისინი და ლათინური ან ბერძნული გრამატიკების სათანადო დეფინიციათა თარგმანს წარმოადგენენ, მაგრამ როცა მეცნიერების სხვა სფეროდან ანტონს ცნებები და ტერმინები შემოაქვს გრამატიკის ცნებათა და კატეგორიათა უკეთ გასამარტავად, რა თქმა უნდა, ეს მისი დამოუკიდებელი აზროვნების ნაყოფია და, რადგან მეორე გრამატიკაში მოცემუ-

ლი განსაზღვრა „ლექსი“ და „წიგნი“ ტერმინებისა და მხითარის გრამატიკიდან არ მოდის, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს, ის ანტონის საკუთრებად ჩავთვალოთ, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ელ. ბაბუნაშვილი ან ვინმე სხვა არ გვიჩვენებს გრამატიკას, რომლისგანაც ანტონს შეეძლო ამ აზრების გადმოწერა.

რაც შეეხება გულუბრყვილო მტკიცებას იმის შესახებ, რომ ანტონს საგანგებო საენათმეცნიერო განაოღება არ მიუღია, რაც თურმე ჩვენც იძულებით ვაღიარეთ და ამიტომ ვერ შესძლებდა ასეთი დებულებების დამოუკიდებლად მოფიქრებას, მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. მას რომ საგანგებო ენათმეცნიერული განათლება არა აქონდა, ეს ფაქტი ჩვენ იძულებით კი არა, სიამოვნებით აღვნიშნეთ, რითაც ერთხელ კიდევ გამოვამზეურეთ მისი უდიდესი ნიჭი და გენია. ელ. ბაბუნაშვილს მოეხსენება ალბათ, რომ არც საბას დაუმთავრებია უნივერსიტეტი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის „სიტყვის კონის“ შექმნაში, თუ „სიტყვის კონაც“ არ ჩავთვალოთ ქართული ეროვნული აზრის შემოქმედებითი გენიის მონაპოვრად?

2. ელ. ბაბუნაშვილის აზრით, – ეს დებულება მართალიც რომ იყოს „არც ახალი იქნებოდა და არც გასაკვირი, რადგან ჯერ კიდევ ახალ ერამდე იყო კამათი იმის შესახებ ნებისმიერია ჩვენს მიერ საგნებისათვის შერქმული სახელები, თუ ისინი საგანს შინაგანი თვისებებით განსაზღვრავდნენ“.

ახლა მოვუსმინოთ თვით სოსიურს:

„ნიშნის ნებისმიერობის პრინციპის შესახებ არავინ არ კამათობს. თუმცა ხშირად უფრო იოლია აღმოაჩინო ჭეშმარიტება, ვინემ მიუჩინო მას სათანადო ადგილი. ეს პრინციპი ახლა თავისში მოიცავს ენის შესახებ მთელს მეცნიერებას“ (ფ. დე-სოსიურ, ზოგადი ლინგვისტიკის კურსი, მოსკოვი, 1933, გვ. 70, ხაზი ჩემია – ა.ფ., რუსულ ენაზე).

მაშასადამე, როგორც ჩვენი წერილიდან ჩანდა, ანტონისათვის ის კი არ მიგვიწერია, რომ ნიშნის ნებისმიერობის თეორიის ავტორია (აშკარად ვწერდით, ეს დებულება მან ბაუმაისტერისაგან აიღო) არამედ ის, რომ „ამ ჭეშმარიტებას ხათანადო ადგილი მიუჩინა“, გრამატიკაში შემოიტანა და ენათმეცნიერულ ცნებად გახადა, ისეთ ცნებად, რომელიც „იქვემდებარებს მთელს ენათმეცნიერებას“.

ნიშნის ნებისმიერობის საკითხი არც ერთ ჩვენთვის ცნობილ გრამატიკაში არ გვინახავს. არ იყო არც მხითართან და არც ერთ იმ გრამატიკაში, რომლის ცოდნაც ანტონს შეეძლო. ამიტომ ამ დებულების გრამატიკაში შემოტანა ჩვენც ხოხიურიბდაკვალად მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ და ჩვენი თანამემამულის თორიგინალურ აზროვნების ნაყოფად მივიჩინეთ ისევე, როგორც თავის დროზე მეთრე გრამატიკიდან „ხამი ხტილის“ თეორიის ამოღება, როგორც არა გრამატიკული საკითხისა.

აი ეს დებულებები უნდა დაერღვია რეცენზენტს, თუ რაიმე საბუთი პქონდა.

3. ელ. ბაბუნაშვილმა ჯერ გააყალბა ჩვენი აზრი და მერე ქოქოლა დაგვაყარა. ჩვენ ვწერდით: „ნიშნის სოსიურისეული ელემენტები ბაშუმაისტერის ლოგიკაში ყოფილა მოცემული“, მან ამ წინადადებაში ხიტყვა „მხოლოდ“ ჩააპატა, მას ხაზი გაუსვა და რადგან ამ გზით „შედლომაშიც“ დაგვიჭირა, აქეთ შემოგვედავა. „არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ „ნიშნის სოსიურისეული ელემენტები მხოლოდ ბაშუმაისტერის ლოგიკაში ყოფილიყო მოცემული, ე. ი. სხვაგან არსად“.

როგორც მკითხველი ატყობს ელ. ბაბუნაშვილი ყოველ საშუალებას მიმართავს, რათა როგორმე შეამციროს ანტონის დამსახურებათა სიდიდე და გააქარწყლოს ჩვენი სტატიის შთაბეჭდილებანი. აქაც კომენტარები შედმეტია.

ახლა ბოლო საკითხი – „წიგნის“ განმარტება.

ჩვენ მოვიტანეთ ანტონის განსაზღვრა: „წიგნი არს ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელოვანი წერილისა“, ხოლო ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგ ფერთა ლექსთა, რომელნიცა სახელმოდგმასა ხმას დამნიშნავენ“.

როგორც ვხედავთ, ანტონი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს ჩვენი „ახალი განსაზღვრააო“. ამ განსაზღვრაში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ტერმინ „სახელ-მოდგამს, რომელიც არსად სხვაგან არ გვხვდება და დავადგინეთ, რომ იგი ნიშნავს „ომონიმს“.

აქედან გამომდინარე ვწერდით: „ჩვენი აზრით, ყველაფრის გასაღები იქ უნდა ვეძიოთ, რატომ დასჭირდა ავტორს ენის ყველაზე უფრო მცირე ერთეულის განსაზღვრისას ომონიმზე აქელაცია? ხომ არცერთ გრამატიკაში შესაბამის ადგილას მსგავსი არაფერია ნახსენები? ვფიქრობთ, სწორედ იმიტომ, რომ მან წიგნი განმარტა, როგორც ენის უმცირესი ერთეული – „ღრამი“, „ნაკვეთი“ – მნიშვნელობის მქონე („წიგნი არს ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელოვანი...“) და ისიც იცოდა, რომ ამ აზრს ენაში არსებული ერთნაირი ბგერებით შედგენილი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები (ომონიმები) ეწინააღმდეგებიან“. აგრეთვე ვამბობდით „ხმა“ მეორე ვარიანტში (გრამატიკისა) მოგონების“ [ცნების], მნიშვნელობის გადმომცემია“.

ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ ელ. ბაბუნაშვილი წერს: „დავიწყეთ იმით, რომ „ხმა ანტონის გრამატიკაში არსად არ ნიშნავს არც ცნებას და არც მნიშვნელობას და ამის საბუთად მისი გრამატიკიდან მრავლისგან მრავალი მაგალითის მოშველიება შეიძლება, უნდაც“.

„მარცვალი არს ხმა რაიმე, რომელი ერთითა აღმოფხვრითა გამოიღების პირისგან კაცისა (1, 83, 10, 2) ან: „ხმანი რომელიმე თავ-

სა შორის თვისისა უნიშნებელ (1, 84) (ე. ი. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონებელი, იგულისხმება ფიქსები ე. ბ.) და ა. შ.

გასაოცარი ამბავია: ჩვენ ციტატები მოგვაქვს მეორე გრამატიკიდან, რეცენზენტი კი გვეკამათება პირველი გრამატიკიდან. ამის გარდა, ჩვენ ერთხელაც არ გვიხსენებია „მარცვალი“ თვითონ კი მარცვლის განმარტებით გვიმტკიცებს, რომ „ხმა“ არ ნიშნავს „მნიშვნელობას“, მეორე გრამატიკაში მარცვლის განმარტებასთან „ხმა“ ხაერთოდ არაა. ნახსენებია: მარცვალი არხ ოხვრა რაიშე ნაწვეროფანო ახოიხა ძალით შედგული ანუ მარტივი“ (გვ. 118 ხაზი ანტონისაა – ა. ფ.).

იმის მაგიერ, რომ აელო ჩვენი ზემოთ მოტანილი ციტატა, გაენაღლიზებინა და ეთქვა: ავტორის მტკიცების საწინააღმდეგოდ „სახელმოდგამი“ არ ნიშნავს „ომონიმს“, არც ამ კონტექსტში „ხმა“ ნიშნავს „მნიშვნელობას“, ე.ი. ფოცხიშვილის მსჯელობის მოცემულობები მცდარია, ამიტომ დანასკენიც მცდარიათ – (ამას მოითხოვს ლოგიკის ელემენტარული კანონები), მან, როგორც იტყვიან, სიტყვა ბანზე აგვიგლო და ჩაიცინა, („ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესეო“).

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვაგონებთ მკითხველს მსჯელობის იმ თანამიმდევრობას, რომელმაც მიგვიყვანა დასკვნამდე „წიგნი“ მნიშვნელობის მქონე უმცირესი ელემენტია ენისა“.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის ამოსავალი იყო „სახელმოდგამის“ შემოტანა განსაზღვრაში.

მას შემდეგ, როცა მისი მნიშვნელობა დადგინდა, შესაძლებელი გახდა მთელი ციტატის მნიშვნელობის დადგენა: „ახალი ჩვენი განსაზღვრება ვერ შეიწყნარებს ისეთ სიტყვებს (ეგ-ფეროთა ლექსთა), რომელნიცა ომონიმურ მნიშვნელობას (ხმას) გადმოგვცემენ (დაპნიშნავენ) აქ „ხმა“ მხოლოდ „მნიშვნელობის“ აღსანიშნადაა უთუოდ ნახმარი. აქედან გამომდინარე „ხმის“ ეს გაგება ჩავსვით სხვა კონტექსტშიც: ასო უკვე იწოდა ძველთაგან ღრამატიკოსთა ვითარმედ, როცა იგი ნებითი რაივე ვითარ იგი აონი რომელნიც სტიხიონი ესე იგი ცეცხლი, ჰაერი, წყალი, ქვეყანა არიან დასაბამი და მაწარმოენი სხეულთანი, ეგ-სახედ ასონი არიან დასაბამი და მაწარმოენი ხმათანი“.

ჩვენ ეს ციტატა ასე გვესმის: „ როგორც ასო (ელემენტი) – ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა – არის საწყისი ყოველი სხეულისა, ასევე ასო არის საწყისი და მწარმოებელი ყოველი მნიშვნელობისა, რადგან ძველი გრამატიკოსებიც ასოს აიგივებენ ასო-ელემენტთან ე. ი. ასო არის მნიშვნელობის უმცირესი ნაწილი.

მაგრამ, რადგან „მნიშვნელობა“ – ცნების შინაარსი – ენობრივი არაა, იგი მოითხოვს ენობრივს „ენიდან მომდინარეს, სიტყვას, რომლის უმცირესს მნიშვნელობის მქონე ერთეულსაც „წიგნი“ წარმოადგენს. საიდან ვიცით? ამას გვიკარნახებს „წიგნის“ განმარტება:

„წიგნი არს ღრამი, ნაკვეთი მნიშვნელი ყოვლისა წერილისა“.
„ღრამი“ „ნაკვეთი“ უმცირესს უდრის. მაშასადამე „წიგნი არის უმცირესი ერთეული მნიშვნელი ყოვლისა წერილისა“. თუ „ყოვლისა წერილისა“-ს შეეცვლით პირველ გრამატიკაში ხმარებული „ასო“ ტერმინით, გვექნება „წიგნი არის უმცირესი ერთეული მნიშვნელი ასოსი“, ანუ თავისთავად უმცირესი ერთეულისა.

საბოლოოდ კეთდება დასკვნა „წიგნი არის მნიშვნელობის მქონე ერთეული ენისა, რომელიც უდრის აგრეთვე უმცირეს ერთეულს – მნიშვნელობის სფეროში – ასოს და ახლა ეს განსაზღვრება ვერ შეიწყნარებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ომონიმურ ცნებებს გადმოსცემენ“.

თვით ივ. ჯვახიშვილი წერდა : „ ანტონ კათალიკოსის ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისობანი რომ გარკვეული იყოს, მაშინ მისი ნაშრომის შინაარსიც ადვილი გასაგები იქნებოდა და ის ღვაწლიც რომელიც ქართული ენის შესწავლაში მას მიუძღვის უფრო ცხადი გახდებოდა“.

ღიახ, ანტონის ტერმინოლოგიის გაშიფვრა ძნელია. ამ სიძნელის დასაძლევად საჭიროა, ყოველი შესაძლებელი ლოგიკური წინამძღვარი გამოყენებული იქნეს ოპტიმალურად და მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტის კარნახით.

როგორც ყოველ მკვლევარს, ჩვენ ადგილზე მყოფს, ეჭვი არ გვეპარება საკუთარ დასკვნებში, მაგრამ რომ საწინააღმდეგო ვირწმუნოთ, ხომ რაიმე საბუთი უნდა გვიჩვენონ ჩვენმა ოპონენტმა კი, ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, არც ერთი საბუთი არ მოიტანა და რაც შეტად დამახასიათებელია მისი სტილისათვის, არც ერთი პოზიტიური დებულება არ წამოაყენა.

თუ ვისმე „წიგნის“ ეს განმარტება კვლავ საკამათოდ მოეჩვენება, რაც არაა მოულოდნელი, ვთხოვთ თავისი მოსაზრება ანტონის განსაზღვრების თავისებური ინტერპრეტაციით გვიჩვენოს და ცოტა საბუთებიც წამოიშველოს, თორემ სხვისი მოსაზრების უსაბუთო კრიტიკა გახვრეტილ მარჩილადაც არა ღირს.

IV. მონოგრაფია ანტონ ბაგრატიონის „ქართულ ბრამატიკაზე“¹

1970 წელს „მეცნიერებათა“ გამოსცა ელ. ბაბუნაშვილის „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული ანტონ პირველის „ქართული ღრამატიკის“ ორივე – ვრცელი (1753 წ.) და მოკლე (1767 წ.) – რედაქცია, გარკვეულია მათი ურთიერთმიმართება, დადგენილია ის წყაროები, რომლებითაც სარგებლობდა ანტონი თავისი გრამატიკის შედგენისას და გაანალიზებულია ანტონის გრამატიკული ნააზრევები“.

ყველა აქ ჩამოთვლილ საკითხზე პასუხი მართლაც უთუოდ უნდა გაცემულიყო მონოგრაფიაში, მაგრამ, ამათ გვერდით, ვფიქრობთ, უნდა დასმულიყო და გადაჭრილიყო ძირითადი და უმთავრესი საკითხი – რა ადგილი ეკუთვნის ანტონს ქართული გრამატიკული (resp ენათმეცნიერული) აზრის განვითარების ისტორიაში. რადგან ასეთი მიზანი ავტორს არ დაუსახაეს და ამდენად არც უჩვენებია, თუ რა ამაგი დასდო ანტონმა ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარებას, წიგნში ანტონ ბაგრატიონის მოძღვრება სრული სახით ვერ წარმოგვიდგა.

ელ. ბაბუნაშვილის შრომის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული ანტონის მოღვაწეობაზე გარკვეული (მეტწილად უარყოფითი) შეხედულება და მთელი შრომაც ამ შეხედულების დასაბუთებას ეძღვნება. ამ აზრს ამართლებს, სხვათაშორის, ავტორის იმ სტატიების მიმართულება და პათოსიც, რომლებიც მონოგრაფიის დაბეჭდვამდე გამოაქვეყნა.

თუ ანტონის გრამატიკის განხილვისა და შეფასების დროს ვიხელმძღვანელებთ ენათმეცნიერებისა და ქართული გრამატიკული აზრის განვითარების დღევანდელი დონის მონაცემებით, ორზე მეტი საუკუნის წინათ დაწერილ შრომას, რა თქმა უნდა, ბევრი ნაკლი აღმოაჩნდება. ავტორიც არ უშვებს შემთხვევას აღნიშნოს ანტონის შეცდომები. მაგრამ ქართული ენის პირველ ფუნდამენტურ გრამატიკაში ხომ უზარმაზარი ადგილი უჭირავს ბრწყინვალე მიგნებებსა და ეპოქალურ აღმოჩენებს, რაც ელ. ბაბუნაშვილს უმრავ-

¹ გადმოხვედლია წიგნიდან „ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები“, თბ., 1981 წ.

ლეს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველად არ რჩება. როგორ ექცევა მათ ავტორი? – მეტწილად კომენტარების გარეშე ასახელებს ძირითად ტექსტში ან ჩააქვს სქოლიოში და მეტად მორიდებულ კომენტარებსაც იქ იძლევა.

ასეთი სქოლიოებია მოცემული შემდეგ გვერდებზე: 15, 17, 21, 58, 59, 64, 98, 102, 103, 124, 126, 127, 128, 135, 137, 138, 165, 175, 177, 190, 192, 222 და სხვ. აი რამდენიმე მათგანი: „ანტონის ეს მსჯელობა ცხადყოფს, რომ მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული ზმნის მრავალპირიანობა“ (გვ. 128, სქოლიო); „როგორც ჩანს, ანტონისათვის პირის კატეგორია ქართული ზმნის დამახასიათებლად, სრულიად სამართლიანად, იმდენად არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ ის ზმნის განსაზღვრაშიც კი შეაქვს... ანტონი ამ შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებელი ჩანს“ (გვ. 124, სქოლიო). მკითხველი დაგვერწმუნება, რომ ეს კომენტარები ვერ გამოხატავენ საკითხის რეალურ ვითარებას აშკარად და დაისახურებულად. არაა ნათქვამი ის, რომ ანტონი პირველი მეცნიერია, რომელმაც შენიშნა ქართული ზმნის ერთი ყველაზე უფრო არსებითი და თვითმყოფადი თვისება – მრავალპირიანობა. არც ისაა გამოკვეთილად ნათქვამი, რომ ანტონი მისი წინამორბედი და გზისმკვლევე ავტორებისაგან განსხვავებით, ხედავს, რომ ქართული ზმნის განსაზღვრაში აუცილებელია შეტანილი იქნეს მისი ძირითადი და განმსაზღვრელი ელემენტი – პირო.

ნაშრომის 128-ე გვერდზე მოთავსებულ სქოლიოში ელ. ბაბუნაშვილი წერს: „საინტერესოა, რომ „გვ“ ნიშანი ანტონს რთული შედგენილობის პრეფიქსად მიუჩნევია, როგორც ცნობილია, ასე იქცევა ყველა მკვლევარი, რომელიც კი ამ პრეფიქსს შეხებია“ – ჩამოთვლილია მკვლევარები მ. ბროსე, ვ. თოფურია, კ. დონდუა, არნ. ჩიქობავა.

ავტორი ვალდებული იყო ეთქვა, რომ ჩამოთვლილი მკვლევარების შრომები დაიწერა საუკუნით და უფრო მეტით გვიან ანტონის გრამატიკაზე და ისიც, რომ მათ ანტონის აღმოჩენა შეუმჩნეველი დარჩათ.

თუ ასე არ მოიქცევი, რაღა აზრი აქვს მეცნიერული აღმოჩენის პრიორიტეტის ძიებას.

კვლავ სქოლიოებში ჩაუტანია ელ. ბაბუნაშვილს მსჯელობა ანტონის სხვა მიგნებებზე თუ აღმოჩენებზე: „ძალიან საინტერესოა დებულება, ენის ხისტემურ ხახიათზე მინიშნებით (ხაზი ჩვენია – ა. ფ.) ანტონის ენობრივი ინტუიციის დასადასტურებლად, რადგან, როგორც ცნობილია, ეს დებულება ამოსავალია ყველა ენათმეცნიერებისათვის“ (გვ. 15, სქოლიო). ამ ციტატაში ლაპარაკია იმაზე, რომ ანტონი მიუთითებს: „გრამატიკაში, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა

ენაში არსებული ყველა სიტყვის გაანალიზება, სამაგიეროდ გაანალიზებული ფორმები მოიცავენ ენის სიტყვათა მთელ მარაგს“.

98-ე გვერდის სქოლიო გვაუწყებს: „რადგან ანტონს ვითარებითი ბრუნვა ბრუნვათა რიგში შეტანილი არა აქვს, ვითარებითი ბუნების ნიშნების მიცემითი ბრუნვის ნიშნებად გამოცხადება, ე. ი. მიცემითი ბრუნვის ვითარებით ბრუნვასთან დაკავშირება, სრულიად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს“. ანტონს იმაზედაც მიუთითებია, რომ – „აჲ“ და „აჲ“ თემის ნიშნიან ზმნებს ეს ნიშნები თურმეობითში უნდა გადაჰყვეთ“ და, რა თქმა უნდა, ამაზედაც ელ. ბაბუნაშვილი სქოლიოში ლაპარაკობს (იხ. გვ. 170) და ა.შ. და ა.შ.

ვიყოთ ობიექტურნი და ვადიაროთ: დღეს რომ ვინმემ მსგავსი აღმოჩენები გააკეთოს, ამის შესახებ სქოლიოში ვილაპარაკებთ? მერე და ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორ პირობებში უხდებოდა ანტონს ქართული გრამატიკის წერა – გზა სრულიად უვალი იყო, მეგზურად კი უცხოელები ჰყავდა, რომლებმაც საკუთარი ქვეყნის გეოგრაფია იცოდნენ მხოლოდ.

ამიტომ, ვფიქრობთ, სრულიად ბუნებრივია, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდეს, რომ წიგნის ავტორი არა თუ არ ცდილა საგანგებოდ წარმოეჩინა ჩვენი დვალწმოსილი წინამორბედის დამსახურებები მთელი სიცხადით, არამედ იგი შექლებისდაკვარად ჩქმალავდა კიდევ მის მნიშვნელობას და სქოლიოებში მოხსენიებაც ამ მიზანს ემსახურებოდა.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ გადმოგვცემს ანტონის უდიდესი აღმოჩენების შესახებ (ვთქვათ, ზმნის პირის ნიშნებზე) ავტორი ძირითად ტექსტში: „რაც შეეხება პირის ნიშნებს, ანტონი ზოგადად მათ შესახებ არ მსჯელობს. პირის ნიშნების შესახებ საუბარია ყოველი დრო-კილოს ფორმების ცალ-ცალკე გარჩევისას. პირის ნიშნების კლასიფიკაცია ანტონს მეორე რედაქციაში უფრო დახვეწილი და ზუსტი სახით აქვს მოცემული და ამიტომ პირველ რიგში მეორე რედაქციაში დასახელებული პირის ნიშნებს აღვნიშნავთ.

პირველი პირის ნიშანია ვ, მეორე პირისა ის ბგერა, რომელიც ვს მოსდევს სათანადო ზმნაში. მესამე პირისა – ხ. ნ. ა. ო. მრავლობითში: პირველსა და მეორე პირში – თ, მესამე პირში – ენ. უშნ. ან. ვან. ყვ. ხ. დ. ედ. ნ. ნეხ. ნენ. ზოგ ზმნას¹ პირველ პირში მ ნიშანი აქვს, მეორე პირში ამ შემთხვევაში გ არის მოსალოდნელი, მესამე პირში კი ნიშანი იქნება გ-ს მომდევნო ბგერა ანუ უ (უ პრეფიქსი ზმნაში უქველად საჭიროებს ხ და ნ სუფიქსებსაც – უყვარხ. უყვარან). მს რიგში მრავლობითისათვის პირველ რიგში იქნება გუ. გ. მეორეში

¹ ეს „ზოგი ზმნა“ ე წ. პირნაკლი ზმნებია, ანუ ობიექტური უღლების ზმნებია. ანტონის აზრით, ვეულა მოქმედებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს პირნაკლი ე. ო. ობიექტური წყობისა – ამაზეც უნდა თქვულიყო – ა. უ.

- გ - თ, მესამეშიც თ. არსებობს ისეთი ზმნაც, რომელსაც მეორე პირის ნიშნად ზ აქვს (ხვალ), მხოლოდითშიც და მრავლობითშიც. მესამე პირში ამ ზმნას უკვე სხვა ნიშანი აქვს (ელენან). თუ მხოლოდობითში მესამე პირის ნიშნად ერთი ნ გვაქვს, მრავლობითში კიდევ ერთი ნ მიემატება (პრწამნნ) დაახლოებით ასევეა წარმოდგენილი პირის ნიშნები პირველ რედაქციაშიც, ოღონდ მეორე პირის ნიშნებად აქ გააკვრიოთ ჰ ხ და ხ-ც არის მოხსენიებული. იმავე პირველ რედაქციაში ანტონი გვ ნიშანს არ ყოფს: „... გამპიროვნებლად მრავლობითის შინა ექმნების ვ და განმამრავლებლად ექმნების გ“ (გვ.138-139).

ნათქვამს ემატება იმის აღნიშვნა, რომ პირველ გრამატიკაში მეორე პირის ნიშნებად ჰ-ს და ხ-ს რომ ნიადაგი შერყევია, ანტონს შეუმჩნევია და იმასაც მიმხვდარა, რომ პირველი და მეორე პირის ნიშნები პრეფიქსებია, მესამე კი - სუფიქსები.

აი, ყველაფერი, რაც ნათქვამია ანტონის მიერ ქართული ზმნის პირის ნიშნების გამოყოფის გარშემო. არავითარი შეფასება, არავითარი კომენტარი ამ უდიდესი აღმოჩენისა, რაც სინამდვილეში ქართული ზმნის პირის ურთულეს სტრუქტურაში აბსოლუტური სიზუსტით გარკვევას ნიშნავდა.

არას ვამბობთ იმაზე, რომ ავტორს დაუშვია რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა: ჯერ ერთი, ჰ რომ მეორე პირის ნიშნად გვხვდება, სრულიად ნათლადაა ნათქვამი მეორე რედაქციაშიც (იხ. გვ. 175-176 ზმნებთან - ჰყოფ. მხურ. მერგ) და მეორეც, ელ. ბაბუნაშვილს სრულიად გამოუტოვებია მესამე პირის ნიშნად პრეფიქსი ჰ (ზმნასთან მხურის - გვ.175) ეგევე ნიშანია მითითებული, მაგრამ ფაქტიურად მოცემულია მხ ზმნებთან „მხარცხ“, „მხწყურხ“ (გვ.176). ე. ი. ელ. ბაბუნაშვილს პირის ნიშნების სიას უნდა მიემატოს მესამე პირში ობიექტის აღმნიშვნელი პრეფიქსები ჰ. მხ. (ხ).

მაგრამ ერთ ადგილას მაინც სცადა ელ. ბაბუნაშვილმა მოეცა ანტონის გრამატიკული მოძღვრების შეფასება, იგი წერს:

„ ანტონ პირველის „ქართული ღრამატიკის“ მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამოწვლილვით არ იქნება შესწავლილი. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ანტონის გრამატიკულ კანონებს და მის საში სტილის თეორიას მეტნაკლებად და შეძლებისდაგვარად ანგარიშს უწევდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი თუ პოეტი, დაწყებული მისი თანამედროვეებიდან, ვიდრე მე- XIX საუკუნის I ნახევრამდე“ (გვ.3).

თუ ამ ციტატის ქვეტექსტს გავშიფრავთ, აღმოჩნდება, რომ ელ. ბაბუნაშვილი ანტონის გრამატიკას (როგორც ეს მოსალოდნელი იყო) საერთოდ უარყოფით შეფასებას აძლევს. საქმე ისაა, რომ შეფასებაში დადებითი ერთი არგუმენტის გვერდით (რომ ის არის „პირველი სრული სასკოლო გრამატიკა“) მოტანილია ორი უარყოფითი არგუმენტი: 1. მან მოახდინა დიდი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკაზე (ყველა ეს გრამატიკა ელ. ბაბუნაშვილის აზრით, წინარე მეცნიერულია) და 2. ამ გრამატიკისა და „სამი სტილის თეორიის“ გავლენის ქვეშ იყვნენ ქართველი მოღვაწენი XIX საუკუნის I ნახევრამდე – რის გამოც ქართული ენის განვითარება შეჩერდა მთელი საუკუნით.¹

ერთი სიტყვით, ავტორი ამბობს, თუ ანტონის გრამატიკას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგია „პირველი სრული სასკოლო გრამატიკა“ (დადებითი მხარე), არ უნდა დავივიწყოთ მისი სხვა ორი მნიშვნელობაც (სინამდვილეში ორივე უარყოფითი) და იმ შრომაზე მაშინ გვექნება ნამდვილი წარმოდგენაო.

მაგრამ ვნახოთ ახლა რად ღირს პირველი არგუმენტი, ავტორის აზრით, დადებითი, რომლის მიხედვითაც ანტონის გრამატიკა არის „პირველი სრული სასკოლო გრამატიკა“.

მართალი რომ ითქვას, ჩვენ ნათლად არც გვესმის რას ნიშნავს „პირველი სრული სასკოლო გრამატიკა“? როგორ? არასრული ან რაიმე სხვა გრამატიკა მანამდე არსებობდა? ან ენის გრამატიკული მხარე ვინ დაჰყო სასკოლოდ და არასასკოლოდ?

„სასკოლო“ და „მეცნიერული“ გრამატიკის დაპირისპირება ჩვენი საუკუნის ოციანი წლების ერთ-ერთ გრამატიკულ მიმდინარეობას – ე. წ. ფორმალისტებს – ეკუთვნის.²

მათი აზრით, სასკოლო სახელმძღვანელოებში გამოყენებულია ბევრი ისეთი ცნება და ტერმინი, რომლებიც მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებენ – ისინი უნდა შეიცვალონ მეცნიერულით. მაგ., მორფოლოგიის საკითხთა განხილვისას სახელმძღვანელოდან უნდა გადადევნოს მნიშვნელობის ფაქტორი; მორფოლოგიაში სიტყვა უნდა დახასიათდეს, როგორც წმინდა ფორმა³ (აქედან მათი სახელიც –

¹ ელ. ბაბუნაშვილი, სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში, თსუ შრომები, ტ. 96, თბ., 1963 წ.; მიხედვ. ანტონ პირველის გრამატიკა და ერთი კომენტარი, „ლიტ. საქართველო“, 1970 წ., 21 გვერდი

² დაწერილებით ის აღ. ფოცხიშვილი, „ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიად“, თბ., 1960 წ.

³ ხანტერეხია ის გარემოება, რომ ფორმალისტთა ბევრი დებულება მჭიდრო კავშირშია თანამედროვე სტრუქტურალიზმის იმ დებულებებთან, რომელიც „სიტყვას“ განიხილავს, როგორც მორფოლოგიის თანამიმდევრობას, მაგრამ მაინც ეურ ახერხებს მორფოლოგიიდან ზიტყვის მნიშვნელობის განდევნას. ეს არც მოხერხდება, რადგან თვით ზიტყვის სვემენტაცია ძირულ და აფიქსალურ სვემენტებზე უპირველესად მნიშვნელობის ცოდნიდან უნდა გამოვიდეს; ეუთავითარ მორფემებს ვერ გამოვეყოფთ ზიტყვებში მანამ, სანამ არ გვეკოდინება მისი მნიშვნელობა, ე. ა. ანალიზის დაწყებისას

ფორმალისტები). მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ მათ ასეთი ე. წ. წმინდა მიდგომა ენისადმი თვით ე. წ. მეცნიერულ გრამატიკებშიც ვერ განახორციელეს, რადგან ვერ მოახერხეს დაეწერათ წმინდა ფორმალისტური გრამატიკა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ენაში წმინდა ფორმები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა, ფუნქცია არა აქონდეთ, არ არსებობს.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ „სასკოლო“ და „მეცნიერული“ გრამატიკების დაპირისპირება, თუ შეიძლება ითქვას, გუშინდელ დღეს მოხდა და მას შემდეგ მოხერხდა, როცა სასკოლო გრამატიკის გვერდით გაჩნდა მეცნიერული და – პირუკუ.

ამიტომ არ შეიძლება, ასეთი დაპირისპირება ანტონის მოღვაწეობის ხანაზედაც გაეავრცელოთ. ხომ არსად თქმულა, თითქოს იმ პერიოდში სადმე არსებულებო, ერთი მხრით, სამეცნიერო ან რაღაც სხვა გრამატიკა და, მეორე მხრით, სასკოლო გრამატიკა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა, ვიკითხოთ, დღეს ჩვენ გვაქვს, თუ არა სასკოლო გრამატიკა? – უთუოდ უნდა გვექონდეს, რადგან გვაქვს სკოლები და ვასწავლით გრამატიკას.

ე. ი. გვაქვს ბატონი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელო – სასკოლო გრამატიკა.

რომელი შრომა დაუპირისპირდა მას, როგორც არასასკოლო?

ალბათ, ბატონი აკაკისავე „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ არსებობს მათ შორის რაიმე პრინციპული განსხვავება საკითხთა მეცნიერულად განხილვის თვალსაზრისით? რა თქმა უნდა, არა.

მათ შორის სხვაობა მხოლოდ განსახილველ საკითხთა რაოდენობაშია და იმაში, რომ სასკოლო სახელმძღვანელოში ესა თუ ის საკითხი ზოგჯერ არასრულადაა გაშუქებული, რაც მისი უთუოდ ნაკლია, მაგრამ სხვანაირად მაინც არ ხერხდება.

ერთი სიტყვით, ე. წ. სასკოლო და მეცნიერულ გრამატიკებს შორის სხვაობა მხოლოდ რაოდენობრივია და არაეითარ შემთხვევაში თვისობრივი, მაგრამ დაუშვავთ ასეც იყოს, როგორ ვიფიქროთ განსახილველ საკითხთა რაოდენობათა და სისრულით ანტონის გრამატიკა რომელ რუბრიკაში მოხედებოდა, რომელი გრამატიკისკენ გადაიხრებოდა? სასკოლოსაკენ, თუ მეცნიერულისაკენ? რა თქმა უნდა, მეცნიერულისაკენ.

და მიუხედავად ყოველივე ამისა, ანტონის დამსახურებად მხოლოდ პირველი სრული სასკოლო გრამატიკის შექმნას ვთვლით.

მაშასადამე, იმის მაგიერ, რომ თქმულიყო აშკარად და ხაზგასმულად ყველა იმ აღმოჩენაზე, რომელიც ანტონ პირველმა, ყოველგვარი წინამორბედის გარეშე გააკეთა და საფუძველი ჩაუყარა ჩვენში სრულიად ახალ მეცნიერებას – ენათმეცნიერებას (მისი წიგნი უთუოდ სცდება მარტო გრამატიკის ჩარჩოებს) – შექმნა ამ მეცნიერების ენა და ტერმინოლოგია, რომლის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი დღესაც ფუნქციონირებს; გამოამზეურა ქართული ენის გრამატიკული წყობისთვის დამახასიათებელ ნიშანთა დიდზე დიდი უმრავლესობა – ჩვენი ავტორი დასჯერდა ანტონისათვის სასკოლო გრამატიკის შემქმნელის პრიორიტეტის მიწერით და იქვე მიუთითა ამ შრომის ისეთ მხარეებზედაც, რომლითაც, ჩვეულებრივ, ანტონის მოღვაწეობას ამცირებენ და უარყოფით მოვლენად თვლიან.

ახლა დაეუბრუნდეთ ანოტაციას, რომელშიაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შესწავლილია ორივე რედაქცია და გარკვეულია მათი ურთიერთმიმართება.

თუ ურთიერთმიმართების დადგენა გულისხმობს ორივე რედაქციიდან პარალელური ტექსტების მოტანას და ამ ტექსტთა გადმოცემას თანამედროვე ქართულით? ავტორი მართალია.

მაგრამ, თუ ურთიერთმიმართების დადგენა გულისხმობს რედაქციებს შორის სხვაობის საფუძვლის ძიებასა და შეფასებას (რაც ერთადერთი უნდა იყოს ორი რედაქციის ურთიერთობის გარკვევისას), ავტორის განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება.

ელ. ბაბუნაშვილის მუშაობის მეთოდი არსებითად ასეთია: ჯერ პირველი რედაქციიდან (ორიოდე შემთხვევაში შებრუნებული თანმიმდევრობით) მოიტანს ტექსტს (ჩვეულებრივ რომელიმე გრამატიკული ცნების განმარტებას), მერე იქვე გვთავაზობს შესატყვის ტექსტს მეორე რედაქციიდან (როცა ტექსტები განსხვავებულია), თუ მათ პარალელი მხითართანაც დაეძინება – იქვე მოაქვს სომხური ტექსტი და ყველაფერ ამას ერთვის (იქნებ წინაც უსწრებდეს) ავტორისეული რემარკა ტექსტის შინაარსის გასაგებად.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ მოგვცა მეორე რედაქციამ განსხვავებული წაკითხვა და როგორ უნდა შეფასდეს ეს სხვაობა, ჩვეულებრივ ავტორს არ აინტერესებს.

აი, როგორ აყალიბებს ელ. ბაბუნაშვილი თავს, რომელსაც ჰქვია – „ანტონის გრამატიკის რედაქციათა ურთიერთობისათვის“. ავტორის განცხადებით ანტონ I გრამატიკაში თვითონ გადმოგვცემს, რომ მხითარის გარდა იყენებდა ლათინური ენის გრამატიკასაც. მეორეში კი ასახელებს – ბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს, იტალიურს, რუსულს, გერმანულს. .. ამ ასპექტში ბუნებრივია საკითხი ისმის ანტონის გრამატიკის მიმართებისა არა მარტო მხითარის გრამატიკასთან, არამედ ბერძნულ და ლათინურ გრამატიკებთან

(სრულიად სწორი დებულებაა - ა. ფ.). მიუხედავად ამისა, ნაშრომში ანტონის გრამატიკის შედარება ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებთან ზედმეტად ჩავთვალეთ შემდეგი მიზეზის გამო: ცნობილია, რომ ბერძნულ-ლათინურ ფილოლოგიურ გრამატიკის სისტემას ემყარებოდა ევროპული ენების ყველა გრამატიკა და არ შეიძლებოდა ამ გავლენას ასცდნოდა მხითარიც, რომელიც ვენეციაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ეს გარემოება, როგორც ჩანს, შეუქმნეველი არ დარჩენია ანტონსაც, ამიტომ ძირითადი წყარო მისთვის ისევ ბერძნულ-ლათინური გრამატიკების კვლად გაწყობილი მხითარის გრამატიკა დარჩა“ (გვ. 11-12). ამის გამო ყოფილა, რომ მეორე გრამატიკაც მხითარის გრამატიკის მსგავსი გამოსულა.

კეთილი და პატიოსანი.. მაშასადამე, მხითარის გრამატიკა იწერებოდა ბერძნულ-ლათინურის გავლენით და მათ დებულებებზე დაყრდნობით. მაგრამ თვითონ მხითარმა დამოუკიდებლად შექმნათუ არა რაიმე, თუ მან ყველაფერი ბერძნულ-ლათინურიდან აიღო?

თუ მხითარს საკუთარი არაფერი ჰქონია, საქმე მეტად იოლად წყდება: მხითარის გრამატიკა იგივე ბერძნულ-ლათინური გრამატიკაა და ანტონის გრამატიკაც მხოლოდ ბერძნულ-ლათინური გრამატიკის მოდელს იმეორებს, სომხური გრამატიკა აქ მხოლოდ მოსაშუაღე ენობრივი რგოლია და მეტი არაფერი. ამიტომ ანტონზე სომხური გრამატიკის გავლენა საძებნი არაა, ისევე, როგორც, ვთქვათ, თუ სომხური ენის მეშვეობით ვთარგმნეთ არისტოტელეს ფილოსოფია, რომელმაც გავლენა იქონია ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, ეს არ იქნება სომხური ფილოსოფიური აზრის გავლენა, არამედ იქნება გავლენა ბერძნული ფილოსოფიისა.

და თუ საქმე მართლაც ასეა, მაშინ რაღა ფასი აქვს ავტორის ათეულ განცხადებას: „ასეა მხითართანაც“, „ასეა სომხურშიც“, „სიტყვა-სიტყვით მისდევს სომხურს“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ან რა ესაქმება წიგნში ქართულთან შესადარებელ სომხურ ტექსტს? იქ ხომ ყველგან ბერძნულ-ლათინური უნდა იყოს?

ახლა დავუშვათ მეორე შესაძლებლობა (რაც ყველაზე უფრო ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან): მხითარმა ბერძნულ-ლათინური მოძღვრებიდან აიღო ბევრი რამ: კერძოდ, გრამატიკის აგების სქემა ზოგად-გრამატიკულ ცნებათა განსაზღვრებები და მრავალი სხვა. მაგრამ მხითარი აქ არ შეჩერებულა. თვით სომხური ენის ბუნების კარნახით (სხვანაირად სომხურ გრამატიკას ვერ დაწერდა) მან თავის გრამატიკაში უამრავი სიახლე მოგვცა.

და რადგან, ცნობილია, რომ ანტონი სარგებლობს მხითარის გრამატიკით, უპრიანია, დაისვას კითხვა: რომელი დებულებაა ანტონთან საკუთრივ მხითარისა და რომელი დებულება - ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრებიდან მომდინარე და მხითარის მეშვეობით „ქართულ ღრამატიკაში“ მოხვედრილი.

ამ კითხვაზე უნდა გაცემულიყო პასუხი და სომხური ციტატაც ქართულ ტექსტში უნდა ყოფილიყო სწორედ იქ, სადაც ანტონი მხითარის ორიგინალურ დებულებებს დაესესხებოდა. სხვაგან კი უნდა თქმულიყო, რომ ორივეს წყარო ბერძნულ-ლათინური გრამატიკააო.

რადგან საკითხი ანტონის გრამატიკის წყაროებს შეეხო, არ შეიძლება სხვა საკითხიც არ დაისვას: რა ურთიერთობაა ანტონის მეორე გრამატიკაში შემოჭრილი ბაუმიასტერის ლოგიკურ ცნებებსა და ანტონის გრამატიკულ კონცეპციას შორის; რა მოიტანა ახალი ამ ლოგიკურმა სიომ და რისთვის დასჭირდა იგი ავტორს; ჰყავდა ამ საქმეში ანტონს წინამორბედი, თუ მისი ორიგინალური შეხედულებებია საძებნი? – აი ეს კითხვებიც მოითხოვდა პასუხს ანტონის გრამატიკის წყაროების დადგენის გზაზე.

თორემ რა გამოვიდა, ვაცხადებთ საჯაროდ, რომ წიგნში დადგენილია ანტონის გრამატიკის წყაროები და მიუუთითებთ მხითარზე.

კი მაგრამ, ამას რა დადგენა უნდოდა, ეს ხომ თვითონ ანტონმა გვითხრა ორივე გრამატიკის წინასიტყვაობაში და ქართულ-სომხური მრავალი დეფინიციის ურთიერთშედარებაც ხომ ასი წლის წინათ მოგვცა ალ. ცაგარელმა?

რადგან ზემოთ ციტატებს შევეხეთ, ბარემ ისიც უნდა ვთქვათ, რომ შრომა აჭრელებულია მხითარის გრამატიკიდან მოტანილი ციტატებით, თანაც ასეთი სტილით: ჯერ მოტანილია ქართული ტექსტები (თუ ტექსტი) და ნათქვამია ასეა სომხურში (ან სხვა რედაქციით) და მოდის სომხური ციტატა.

ჩვენ არ გვესმის ამ ციტატების დანიშნულება. რომ საქმე ეხებოდეს თარგმნის იდენტიურობისა თუ ხარისხის შემოწმებას, მაშინ იქნებ გასაგები ყოფილიყო ტექსტში მათი ასე უხვად მოხმარება, ახლა კი ამ ციტატების დანიშნულებაა, დაადასტუროს ავტორის განცხადება, რომ „ასეა მხითართანაც“, რათა – მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს შეუდაროს ანტონის განსაზღვრა მხითარისას. ერთი სიტყვით, ავტორს სურს თავი დაიზღვიოს ეჭვიანი მკითხველის წინაშე: „თუ არ გჯერავს ჩემი ნათქვამისა, აგერაა სომხური ტექსტი და შეუდარეო“. თუმცა პატივცემულმა ავტორმა ძალიან კარგად იცის, რომ მისი წიგნის მკითხველთაგან ორი კაცი თუ იქნება, რომელთაც მხითარის გრამატიკის სომხური ტექსტი გაიგოს.

ამაზე არას ვიტყვოდით, ციტატა ერთი ან ორი რომ ყოფილიყო. სომხური ციტატა თითქმის ყოველ გვერდზეა და მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 17 გვერდს უდრის. და ეს მაშინ, როცა კაცმა არ იცის, ვისია ამ ციტატებში გამოთქმული აზრები, საკუთრივ მხითარის, თუ ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრებიდან მომდინარე.

დავუბრუნდეთ ისევ რედაქციების ურთიერთმიმართების დადგენის საკითხს.

ზემოთ თქმულის შემდეგ ელ. ბაბუნაშვილი მიუთითებს იმაზე, რომ „გრამატიკის ორივე რედაქციას ახლავს წინასიტყვაობები, რომლებშიაც ლაპარაკია გრამატიკის შექმნის მიზეზებზე“ (გვ.12).

შემდეგ მსჯელობაა გრამატიკების შედგენილობაზე (რა ნაწილებისგან შედგება და რაზე ლაპარაკი თითოეულ მათგანში) და გაკეთებულია დასკვნა: „თუმცა ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია აღნაგობით მხითარის გრამატიკის თითქმის ზუსტი ასახვაა, მეორე კი ამ მხრით პირველს მოჰყვება, შესაბამისი ნაწილები და თავების დასათაურების შედარება, ერთის მხრით, მხითარის გრამატიკასა და, მეორეს მხრით, ანტონის გრამატიკის პირველ და მეორე რედაქციებს შორის, ცხადყოფს, რომ მიუხედავად დიდი მსგავსებისა, შეინიშნება განსხვავებაც, რაც ვფიქრობთ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ანტონმა მეტ-ნაკლებად შეძლო თავი დაეღწია სომეხი გრამატიკოსის გავლენისათვის იქ, სადაც მას ქართული ენის გრამატიკული თვისებების გათვალისწინება უხდებოდა“ (გვ.21).

აქ მართლაც ძნელია იმის გაგება, თუ რისი თქმა სურს ავტორს. თუ პირველი გრამატიკა მხითარის გრამატიკის ზუსტი ასახვაა და მეორე მიჰყვება მას, როგორღა შეინიშნება განსხვავება და რა ფასი აქვს ამ განსხვავებას, რომელიც დგინდება „ნაწილებისა და თავების დასათაურების შედარებით“. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ დასათაურებების შედარების შედეგად მიღებული განსხვავება თურმე აიხსნება იმით, რომ „ანტონმა მეტ-ნაკლებად შესძლო თავი დაეღწია სომეხი გრამატიკოსის გავლენისათვის იქ, სადაც მას ქართული ენის გრამატიკული თვისებების გათვალისწინება უხდებოდა“.

ჯერ ერთი, ბუნდოვანია გამოთქმა: „მეტ-ნაკლებად შეძლო თავი დაეღწია... გავლენისათვის“, მით უფრო, როცა საკითხი ეხება „ქართული ენის გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინებას“, და მეორეც განა ანტონის „ქართულ ღრამატიკაში“ რომელიმე სხვა ენის თავისებურებაცაა განხილული?

თუმცა ჩვენ არ გვაკვირვებს ძირითად ტექსტში ავტორის ასეთი მიკიბულ-მოკიბული მსჯელობა, რადგან სქოლიოში მან სრულიად გარკვევით თქვა, რასაც ფიქრობდა: „ანტონის გრამატიკის სახით საქმე გვაქვს „ნორმატიული გრამატიკის ერთ - ერთი ტიპური ნიმუშის გადმოქართულებაზე“ (გვ. 21, ხაზი ჩვენია - ა. ფ.).

აი, თურმე რა გაურკვევია ავტორს: ანტონს გადმოუქართულებია სომეხური ენის გრამატიკა და შეუქმნია პირველი სრული სასკოლო გრამატიკა ქართული ენისა.

არა გვეგონია, რაიმე კომენტარები სჭირდებოდეს იმის მტკიცებას, რომ ეს აზრი ენათმეცნიერული თვალსაზრისით უბრალოდ აბსურდია.

ეს დასკვნა ჭეშმარიტიც რომ იყოს, რედაქციათა ურთიერთმიმართების საკითხს საბოლოოდ მაინც ვერ წყვეტს: რადგან გაურკვეველია, როგორ უნდა შეფასდეს საქმის ვითარება იმ შემთხვევაში, როცა მეორე რედაქცია სრულიად განსხვავებულ წაკითხვას (უფრო სწორად განსხვავებულ აზრს) გვაწოდის? იქნებ ასეთი მაგალითები არა გვაქვს და ავტორსაც გასაკეთებელი არაფერი ჰქონდა?

ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციაში „წიგნის“ განსაზღვრისას ნათქვამია: „წ ი ვ ნ ი ა რ ს ღ რ ა მ მ ი რ ა ი მ ე მ დ გ მ ო ე ბ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ა დ ა ს ო ს ა , ხ ო ლ ო ა ს ო ი ი თ ა რ გ მ ნ ე ბ ი ს ც ა კ ა ვ შ ი რ ა დ . ე ს ე ა რ ს ა ღ მ მ ო ხ ვ რ ა ი რ ა ი მ ე ნ ე ბ ი თ ი ა ნ უ ნ ა წ ე ვ რ ო ბ ი თ ი , რ ო მ ე ლ თ ა ც ა ძ ა ლ უ ც ს ა ღ მ ო ო ხ ვ რ ა დ კ ა ც თ ა , ხ ო ლ ო ნ ე ბ ი თ ი ა ნ უ ნ ა წ ე ვ რ ო ბ ი თ ი ო ქ ვ ა ი მ ი ს ა თ ვ ი ს , რ ო მ ე რ ო თ ს ა მ ა ს ძ ა ლ უ ძ ს მ ე ო რ ი ს ა თ ა წ ე ს ა დ დ ა მ ო კ ი დ ე ბ ე ღ ა დ ა ს უ ლ ი ს ა ხ მ ი ს ა გამოდებად ხოლო კეთილად უკვე ითქვა ასოდ ანუ კავშირად, რომე ვითარცა კავშირნი არიან დასაბამნი სხეულთანი, ესთევე ესენიცა არიან დასაბამნი ხმათანი“ (დაყოფა ჩვენია - ა. ფ.).

ამ განსაზღვრის განმარტებას ელ. ბაბუნაშვილი შემდეგენაირად იძლევა: „პირველი რედაქციის მიხედვით წიგნი არს ღრამში რაიმე მდგომარეობის მნიშვნელად ასოსა“. მხითარის განსაზღვრაც ასეთია (მოტანილია სომხური ციტატა - ა. ფ.), ხოლო „ასოი ითარგმნებისცა კავშირად ესე არს აღმოოხვრად რაიმე ნებითი და ნაწევრობითი, რომელთაცა ძალ უცთ აღმოოხვრად კაცთა“.

ამრიგად „წიგნი“ (ასო) თითქოს „ასოს (ბგერის) აღმნიშვნელი ნიშანია ანტონის მიხედვით“ (გვ.29).

რას ნიშნავს, რომ „ასო ითარგმნების კავშირად“ ან როგორ უნდა გავიგოთ: „ერთსა მას ძალ უცს მეორისადა წესად დ ა მოკიდებულად და სრულისა ხმისა გამოდებად“, ან კიდევ, რა იგულისხმება გამოთქმაში: „ვითარცა კავშირნი არიან დასაბამნი სხეულთანი, ესთევე ესენიცა არიან დასაბამნი ხმათანი“? - ყველა ეს კითხვა შეკვლევარმა უპასუხოდ დატოვა.

მეორე რედაქციაში ანტონი წერს, წიგნი არს ღრამი, ნაკვეთი რაიმე, მნიშვნელი ყოველისა წერილისა, ხოლო ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ

შეიწყნარებს ეგ - ფერთა ლექსთა, რომელნიცა სახელმოდგამსა ხმას და პნიშენენ“ (ანტონი, ქართული ღრამპატია, გვ.116).

ენახოთ რა თქვა ამ სიახლის თაობაზე ელ. ბაბუნაშვილმა: „მოორე რედაქციაში ანტონი წერს, რომ .. წ ი გ ნ ი ა რ ს ღ რ ა მ ი , ნ ა კ ვ ე თ ი რ ა ი მ ე , მნიშვნელი ყოვლისა წერილისა“. (რატომღაც ციტატა აქ გაწყდა და თითქოს ამავე ციტატის გაგრძელება იყოსო, მოტანილია შემდეგი გამონათქვამი), ხოლო „ასო არს წ ი გ ნ ი , შემძლებელი ნაწევრობითისა ოხერისა“ (გვ. 32). სინამდვილეში უკანასკნელი გამონათქვამი განსაზღვრის ნაწილი არაა. განსაზღვრა „წიგნისა“ მთავრდება, ჩვენს მიერ ამოწერილი ციტატით. შემდეგ მოდის ანტონის ასეთი აზრი: „აქა შესაბამნი წიგნისათვის უწყებად სიმკაცრენი პშეენიან ჩვენდა დასხმად“, რასაც მოსდევს რამდენიმე „სიმკაცრის“ (დამახასიათებელი ნიშნის - ა. ფ.) ჩამოთვლა. სულ ჩამოთვლილია ოთხი „სიმკაცრე“, თითოეული გამოყოფილია ასოებით (ა, ბ, გ, დ).

ზემოთ მოტანილი გამონათქვამი - „ასო არს წიგნი შემძლებელი ნაწევრობითისა ოხერისა“ - ა „სიმკაცრიდანა“ ამოწერილი.

მკვლევარი განაგრძობს: „ანტონი თვლის, რომ ეს არის „ახალი... განსაზღვრაი ჩვენი“, მაგრამ აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ეს განსაზღვრა არ ეწინააღმდეგება მხითარის განსაზღვრის იმ ნაწილს, - სადაც ნათქვამია „ასო ითარჯანებისო კაეშირად, ესე არს უკვე აღმოოხვრა რაიმე ნებითი და ნაწევრობითი, რომელთაც ძალუცთ აღმოოხვრად კაცთა“ (გვ. 32-33).

აქ ყველაფერი რიგზე ვერაა როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს. ანტონის ნათქვამი „ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი“ უშუალოდ მოსდევს გამონათქვამს: „წიგნი არს ღრამი, ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი ყოვლისა წერილისა“. აქ სულაც არაა ღაპარაკი იმაზე, რომ „ასო არს წიგნი შემძლებელი ნაწევრობითისა ოხერისა“.

ახალ განსაზღვრად ანტონი მიიჩნევს მხოლოდ, „წიგნი არს ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი ყოვლისა წერილისა“ და რომ ეს სიახლე უკეთ გასაგები იყოს განმარტავს: „...ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგ - ფერთა ლექსთა, რომელნიცა სახელმოდგამსა ხმას დაპნიშენენ“.

სწორედ ეს უკანასკნელი ნაწილი ამოავდო ციტატიდან რატომღაც ელ. ბაბუნაშვილმა და ჩვენი აზრით, ეს შემთხვევით არ მომხდარა.

საქმე ისაა, რომ ანტონი აშკარად მიუთითებს წიგნის აქ მოცემული განსაზღვრა ჩემეულია, ახალია და იგი არ შეიწყნარებს ისეთ სიტყვებს, რომლებიცა „სახელ-მოდგამ ხმას დაპნიშენენ“.

როცა ჩვენ ამ საკითხს შევხვით (იხ. ჩვენი წერილი – „ანტონ პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთშეწონვით“, „ლიტ. საქართველო“, 1970 წ., 20 მარტი, გვ. 3-4); ვწერდით, რომ ამ ახალი განსაზღვრის გასაღებს თავად ანტონი იძლევა, როცა ამბობს, რომ ახალი განსაზღვრა არ ვრცელდება ომონიმებზე (სახელ-მოდგამ“ სიტყვებზე).

ელ. ბაბუნაშვილი ჩვენ არ დაგვეთანხმება და იმის მაგიერ, რომ ანტონის განსაზღვრის ჩვენეული ინტერპრეტაციის გასაბათილებლად საკუთარი აზრები წამოეყენებინა, განსაზღვრის დამაბოლოებელი – განმარტებელი ნაწილი – ტექსტიდან ამოაგდო, საკითხი სულ სხვა სიბრტყეში გადაიტანა და დაასკვნა: „ამრიგად, მეორე რედაქციაში მოცემულმა „ახალმა განსაზღვრამ“ ის ნათელი დებულება, რომლის მიხედვითაც „ასო“ იყო წარმოთქმული ბგერა, ხოლო „წიგნი“ კი მისი დაწერილი ნიშანი – ასო, საკმაოდ გააბუნდოვნა და წინააღმდეგობრივი გახდა „წიგნი“ არის „ლრამში“, ე. ი. დაწერილი ნიშანი „ასო“ კი „წიგნი“ წარმოთქმული“ (გვ. 33-34, ხაზი ჩვენია – ა. ფ.).

ე. ი. თურმე მეორე რედაქციაში საქმე გაბუნდოვნებულა ახალი განსაზღვრის გამო. ჰოდა, განმარტება და გამოცნობა ხომ სწორედ ბუნდოვან საქმეს სჭირდება? ამ „გაბუნდოვანებული“ საქმის გასაღები ხომ თვითონ ანტონმა მოგვცა, როცა გვითხრა: „ახალი ჩემი ეს განსაზღვრება არ შეიწყნარებს ეგ-ფერთა ლექსთა, რომელნიც სახელ-მოდგამსა ხმას დაწინაშავს? რატომ ამოაგდო ეს ადგილი ავტორმა ციტატიდან; რატომ არ იკითხა, რად დასჭირდა ანტონს ტერმინის „სახელ-მოდგამის“ მოშველიება, რომელიც სხვაგან არ გვხვდება; რას ნიშნავს თვითონ ეს ტერმინი და ამ ტერმინის გაშიფრვის შემდეგ რანაირ სახეს მიიღებდა მოელი განსაზღვრა? – აი, საკითხთა რიგი, რომელიც უნდა დაესვა ავტორს და შეძლებისდაგვარად პასუხი გაეცა, მით უფრო რომ ამ მიმართულებით უკვე იყო ნაბიჯი გადადგმული ჩვენს მიერ. საჭირო იყო ჩვენი მოსაზრების არა ხელაღებით უარყოფა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავება, რადგან ამის საფუძველს თვითონ ანტონი გვაძლევს.

ასევე მიაფუჩერა ავტორმა ის სიახლეც, რაც – „ლექსის“ განსაზღვრას ახლდა მეორე გრამატიკაში..

პირველი გრამატიკის მიხედვით „ლექსი არს ხმაი ნიშნოვანი, ესე იგი ვითარმედ ხმაი რაიმე არს რომელი ქნიშნავს მარად საქმესა რაივესა, ანუ მოქმედებასა საქმისასა ანუ გარემოთა, ესე იგი მდევართა მათთა“.

მეორე რედაქციაში, „ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“. ეს განსაზღვრა ფილოსოფიურიაო – შენიშნავს ანტონი და მიუთითებს ბაუმაისტერზე.

ელ. ბაბუნაშვილმა ამ ორ განსაზღვრას შორის უფსკრული არა თუ არ ამოავსო, როგორც წესი, არც დაინტერესებულა მასში გარკვევით.

მან ჯერ მოიტანა პირველი რედაქციის განსაზღვრა, იქვე მიაყოლა სომხური ტექსტი და დაუმატა, „ლექსი მეორე რედაქციის მიხედვით არის ჩვენი აზრის, იდეის, ცნების, წარმოდგენის ნიშანი“ და თითქოს ანტონიც სწორედ ამას ამბობდეს, ფრჩხილებში მეორე რედაქციის განსაზღვრა მოიტანა.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ „მოგონება“ ერთდროულად არის ჩვენი „აზრი“, „იდეა“, „ცნება“ და „წარმოდგენა“, არაფერ იცის. ისიც არა ჩანს, მართლა ანტონთანაა ეს ასე, თუ ელ. ბაბუნაშვილის მოსაზრების ნაყოფია.

რაც შეეხება იმას, რომ ანტონისთვის სიტყვა არის ცნების (მრგონების) ნებისმიერი ნიშანი, ამასთან დაკავშირებით სქოლიოში შენიშნა: „როგორც ჩანს, ანტონი thesei-ს თეორიის მომხრეა და არა physei-ს თეორიისა“ (გვ.79).

კი მაგრამ არ უნდა დავინტერესებულყავით, საიდან აიღო ასეთი განსაზღვრა ანტონმა? იყო მსგავსი რამ რომელიმე გრამატიკაში და ბაზუმაისტერის მოხმობა შემთხვევითია, თუ იგია პიონერი ამ საქმეში და მას, განსხვავებით ყველა მისი დროინდელი ავტორებისაგან, და, არა მხოლოდ მისი დროის ავტორებისაგან, ეს საკითხი ფილოსოფიიდან გრამატიკაში გადმოაქვს და ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ენისა და აზროვნების მჭიდრო ურთიერთობას? ამას გარდა, იქნებ ისიც ღირდა საკვლევად, რომ ფ. დესოსიურთანაც სწორედ მსგავსი დებულება გვაქვს თანაც მთელი ენათმეცნიერების საფუძვლად აღიარებული.¹

ამ და მსგავსი საკითხების გვერდის ავლის შემდეგ არა გვეგონია, ავტორს უფლება ჰქონოდა, ეთქვა, წიგნში გარკვეულია პირველი და მეორე რედაქციის ურთიერთმიმართების საკითხი და დადგენილია ანტონის გრამატიკის წყაროები.

ასეთია საქმის ვითარება ზოგად თეორიულ თვალსაზრისით (თუ შეიძლება მას ასე ვუწოდოთ) პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელიც ანტონ ბაგრატიონის გრამატიკის განხილვას ისახავდა მიზნად.

ხომ არ ნიშნავს ნათქვამი იმას, რომ ჩვენი მტკიცებით წიგნს ღირსება არა აქვს და მასში მხოლოდ ნაკლოვანებებს ვხედავდეთ რა თქმა უნდა, არა.

ავტორს თავისთავად დიდი შრომა ჩაუტარებია, ერთის მხრით, მხითარის გრამატიკისა და მეორეს მხრით, ანტონის ორივე გრამა-

¹ Фердинанд де-Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1939, 79.

ტიკის შესასწავლად და სამივე წიგნის ტექსტების ურთიერთშესაჯერებლად. სხვა საკითხია: იყო თუ არა საჭიროება ასეთი სამუშაოს ჩატარებისა იმ ფორმით, როგორც იგი სარეცენზიო წიგნშია წარმოდგენილი და ვეთანხმებით თუ არა ავტორის ზოგად თეორიულ დასკვნებს, რაზედაც ზევით გვექონდა ლაპარაკი.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ძველი სომხურისა და ძველი ქართულის საფუძვლიანი ცოდნა ავტორს ეხმარება ძირითადად შეუცდომლად წარმოაჩინოს ფაქტობრივი მასალა ანტონის კრამატიკაში არსებული, რომელიც ანტონის ენის თავისებურებების გამო მეტად ძნელი დასანახავია.

ამ დამღლევი შრომის შედეგით უფრო გამოკვეთილად ავტორს „დასკვნაში“ მოუცია. აქვე უცდია როგორმე გაებათილებინა ის არასასიამონვო შთაბეჭდილება, რომელიც მკითხველს ნაშრომის ძირითადი ტექსტის წაკითხვის შემდეგ ანტონზე შეექმნა, მაგრამ აღრინდელი ინდიფერენტული, ზოგჯერ კი აშკარად გამოხატული უარყოფითი ტონის შემდეგ „დასკვნებში“ გაჟონილი სიტბო საქმეს ვერ შეცვლის: ანტონის როგორც მეცნიერ-კრამატიკოსის უდიდესი ღვაწლი ელ. ბაბუნაშვილის შრომაში არ გამოჩნდა.

ასეთია ფაქტები და, რადგან ფაქტები ჯიუტნი არიან, ისინი კარგად წარმოგვიდგენენ ელ. ბაბუნაშვილის პოზიციას ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობის შეფასების საქმეში. ამიტომ გაოცებას იწვევს მ. შანიძისა და თ. უთურგაიძის განცხადება იმის თაობაზე, რომ „ელ. ბაბუნაშვილის შრომებმა საფუძველი დაუდეს ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობის დადებითად შეფასებას“ (იხ. „სახალხო განათლება“, 1989 წ. №39).

როცა ამა თუ იმ საკითხის კვლევის ისტორიას ვეხებით, ალბათ, არც მოხერხდება ყველა მოსაზრების აღნუსხვა და ყველა მკვლევარის დამსახურების აღნიშვნა, თუმცა ყველასთვის ცნობილი ფაქტების საგანგებოდ მიფუნქნება მაინც არაა საკადრისი, მე კი უფრო საძრახისად ის მეჩვენება, როცა პირადი სიმამათია მკვლევარისადმი დაუძსახურებელი ღვაწლის მიწერის, უფრო სწორად, სხვისი დამსახურების მიწერის, საბაბი ხდება.

მეცნიერების სამსახური ჭეშმარიტების სამსახურია და ზნეობრივი კატეგორიის ფარგლებს განეკუთვნება, ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ.

V. ბრალდებაც კველი და უსაბუთოებაც კველებური

ჟურნალ „მაცნე“-ს 1985 წლის მე-3 ნომერი იხსნება აკად. აღ. ბარამიძის წერილით „ისევე ვეფხისტყაოსნის დაწვის საკითხის გარშემო“. წერილის პირველივე სტრიქონიდან გამოსჭვივის მეცნიერის გაკვირვება(ა და სინანულიც იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის დევნას მკვლევარნი ადრე ჩვეულებრივ უყოყმანოდ აღიარებდნენ ...ბოლო დროს საეჭვოდ, გაზვიადებულად და ხელაღებით შეთხზულადაც ერეყენებათ ვეფხისტყაოსნის დევნის ამბავი“. („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, გვ. 5. ხაზი ჩემია - ა. ფ.) და საკმაოდ ვრცელი წერილი თავიდან ბოლომდე ეძღვნება ცდას, როგორმე აღდგენილ იქნას ამ ბოლო დროს სრულიად სამართლიანად უარყოფილი და გაბათილებული ვერსია, თითქოს ქართული საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი საუკუნეების განმავლობაში დევნიდა და ანადგურებდა „ვეფხისტყაოსნის“, რომ მე-15 - მე-18 საუკუნეების მთელ ქართულ მწერლობას აღბეჭდილი აქვს ამ ბრძოლის ხასიათი. ქართველი მოაზროვნე საზოგადოება საუკუნეების მანძილზე ორ ბანაკად იყო გაყოფილი რუსთაველის პოეტური მემკვიდრეობის შეფასებისა და ათვისების საქმეში. ერთი ბანაკი... (სასტიკად) ებრძოდა ვეფხისტყაოსნისა და მის ავტორს“ (აღ.ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966 წ., გვ. 325 ხაზი ჩვენია).

საკითხავია რა მოხდა? რატომ ცდილობს პატივცემული ავტორი გააცოცხლოს „თეორია“, რომელიც“ სამწუხაროდ, საკმაოდ დიდხანს ბოგინობდა და, რომელიც ბოლო დროის მეცნიერულმა გამოკვლევებმა და საზოგადოებრივი აზრის მკვეთრმა შემობრუნებამ საბოლოოდ დაასაფლავა? იქნებ რაიმე ახალი საბუთი აღმოაჩინა და მისმა მეცნიერულმა ანალიზმა აიძულა კალმისათვის მოეკიდა ხელი?

სამწუხაროდ არა.

და საქმე რომ ვეფხისტყაოსნის - ქართველი ხალხის ამ საფიქრარ და სათაყვანებელ წიგნს არ ეხებოდეს, ხმას არ ამოვიღებდით, ბოლოსდაბოლოს ამ ქვეყანაზე ვინ გამოლევს კაცს, რომელიც „მაცნე იტყვის ჩემი ჯობსო...“

მიგრამ არის სხვა გარემოებაც, რომელიც აგრეთვე გვაიძულებს პასუხი გავცეთ ამ წერილს.

დღევანდელი მკიოხველი საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ საშუალო სკოლა 70-იან წლებამდე დაამთავრა, ე. ი. იმ დროს, როცა საშუალო სკოლაში „ძველი ქართული ლიტერატურის“ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ: „ეკლესიის წარმომადგენლები ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მხოლოდ გაცხადებებით არ ემყოფილდებოდნენ; გადმოცემით ანტონ კათალიკოსის ბრძანებით ცეცხლს მისცეს და დასწვეს ვახტანგ VI მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ტექსტები. ასე ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა სამღვდელოება გენიალურ პოემას“.

ამის გამოა, რომ დღევანდელი ქართველი საზოგადოების უმრავლესობა უარყოფითი შეხედულებისაა მე-18 საუკუნის უდიდესი მეცნიერის და განმანათლებლის, ერეკლე II უახლოესი თანამებრძოლისა და თანამოაზრის ანტონ ბაგრატიონის (ანტონ I კათალიკოსის) მოღვაწეობაზე.

აქ, ცხადია, საშუალება არ გვექნება დაწვრილებით შევეხოთ საკითხის ისტორიას და გავაანალიზოთ ყველა მოსაზრება, რაც დღემდე გამოთქმულია, მაგრამ ვეცდებით ძირითადი და აუცილებელი არ გამოვტოვოთ.

წინასწარ კი უნდა ითქვას, რომ, როგორც ყველა გენიალური ქმნილება, ვეფხისტყაოსანიც ქართველი ხალხის ყურადღების ცენტრში მოექცა თავიდანვე. ამაში გასაკვირიც არაფერი იყო. იგი ქართველი

კაცის სულიერი ხატის მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენდა და ამიტომ ჩვენს ბუნება-ხასიათს ზედმიწევნით კარგად მოერგო – თითქო უფრო კარგად, ვიდრე თვით ქრისტიანულ რელიგიური დოგმები – უცხო ხალხისათვის შექმნილი და ჩვენში უცხოეთიდან გადმონერგილი. თუმცა ისიც ცხადია, რომ ქართველმა კაცმა უმტკივნეულოდ და უკამათოდ შეითვისა ეს დოგმებიც, და თუ არ ვცდებით, მსოფლიოში ერთადერთი ძველი ერია ქრისტიანობის მაღიარებელი, რომელმაც ეს რელიგია იმ სიწმინდითა და უმანკოებით მოიტანა დღემდე, როგორც მიიღო. ასევე უდრტიწველად და უდავოდ მივიღეთ მეზობელი არაქრისტიანი ხალხების სულიერი კულტურის ქმნილებები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანის მორალურ-ეთიკური კრედო ჩვენთვის უცხო და შორეული იყო.

ახლა შორს წაგვიყვანდა ქართველი კაცის ასეთი ხელგაშლილობისა და „სტუმარმოყვარეობის“ სათავეებისა თუ არსისმიერი მიზეზ-საფუძვლების ძიება და ახსნა. კერძოდ, იმის ჩვენება, თუ ჩვენი ხასიათის რა თვისებაა გადამწყვეტი: ზერელობა თუ პირიქით მდგრადობა-სიმყარე? როგორც არ უნდა იყოს, ფაქტი ერთია: ჩვენ ვაღიარეთ ქრისტიანული რელიგია, ისე რომ არ დაუწყვეთ ჩხრეკა-ძიება მის სარჩულ-საპირე-შიგთავსს. შევიყვარეთ და საუკუნეების გზაზე გამოვატარეთ ისე, რომ ერთი ბეწო ეჭვიც არ შეგეპარვია

მის ჭეშმარიტებაში - არ გვიოთამაშია სექტური კუკუდამალობა. ასევე სიყვარულით ეპყრობოდა ქართველი კაცი მუსულმანურ თუ უფრო ადრინდელი სამყაროდან ჩვენში მოსულ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებას, ეროვნულ-რელიგიური შემწყნარებლობა-დემოკრატიზმი საგანგებო შესწავლას მოითხოვს და ამაზე აქ ვერ შევიწერდებით. ერთი კია, ისეთ ქვეყანაში, რომლის უძლიერესი ქრისტიანი მეფე თავის სატახტო ქალაქში მუსულმან მოსახლეობას ივრდომებდა და, სადაც, თანამედროვე პოეტის მოხდენილი თქმისა არ იყოს, ერთიმეორის გვერდით იყო მეწყითი, სინაგოგა და წმინდა სიონი, წარმოდგენელია ვინმე ეს რელიგიურ ნიადაგზე ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ აღეშართა ხელი. და ეს არა იმიტომ, თითქო ქართველები ანგელოზები ვიყავით და არავითარ უწმინდურ და სამარცხვინო საქმეებს არ ჩავდიოდით, როგორ გეკადრებათ! ჩვენ საკუთარ მოძმეებს ვიპარავდით და ტყვეთა ბაზრებზე ვყიდდით - ამაზე მეტი ზნედაცემულობა ალბათ წარმოდგენელიცაა, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი, იმის მამტიციკებელი, რომ საქართველოში ვინმეს ოდესმე რაიმენაირი ფორმით გაელაშქროს სულიერი კულტურის ისეთი ძეგლების წინააღმდეგ როგორც მხატვრული ლიტერატურაა. ამ მხრივ ქართველი კაცი მართლაც ანგელოზივით წმინდაა და კრავივით უცოდველი.

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ: ლაპარაკია პოემის დევნაზე, აკრძალვაზე, ფიზიკურ მოსპობაზე. ხოლო რაც შეეხება ვეფხისტყაოსანში რელიგიური დოგმების დანახვა-არდანახვას თუ მისი ლექსის მოწონება-არმოწონებას, ასეთი საკითხი, რა თქმა უნდა, დადგებოდა და დგებოდა, რადგან ვეფხისტყაოსანი ხელოვნების ძეგლია, რომლის შეფასება გონების გარდა გემოვნებით საზომსაც მოითხოვს. ამას ისიც ემატება, რომ ვეფხისტყაოსანში, როგორც ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, რელიგიური დოგმები არც იყო და არც შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი გაშიშვლებული სახით. ჩვეულებრივი თვალთ დასანახავად. რაც ეკლესიის ზოგ უვიც მსახურს საბაბს აძლევდა ეჭვი შეეტანა მის ორთოდოქსულ ხასიათში და ეფიქრა, რომ პოემის კითხვა ხელს შეუშლიდა ჭაიქიო სასუფეველის მოპოვებაში. და მიუხედავად ამისა, ვეფხისტყაოსნის შეფასებაში მერყეობა მასთან პოლემიკასა და იდეურ პაექრობას არ გაცილებია. არავის არასდროს მისი დევნა, მით უფრო, ფიზიკური განადგურება, აზრდაც არ მოსვლია და ასეთი ბრალდება, არათუ ანტონ ბაგრატიონის, არამედ ჩვენი ერის თუნდაც ერთი უბრალო, რიგითი წარმომადგენლის წინააღმდეგაც რომ იყოს გამოთქმული, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიის დამახინჯება და ხელყოფა იქნებოდა.

ახლა საკითხის ნამდვილ ისტორიას გადავხედოთ. პირველ ცნობას ვეფხისტყაოსნის ნაბეჭდი ცალების განადგურების შესახებ

გუაწვედის მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: „ეს პოემა ვახტანგ V (!) დროს დაბეჭდეს თბილისში, მაგრამ ძალე (ვსკორე) განადგურებულ იქნა, ასე რომ ამჟამად ამ ნაბეჭდ ვეზემპლარების პოვნა ძალზე ტირს“.

ე. ბოლხოვიტინოვმა არც ქართული იცოდა და არც საქართველოს ისტორია. ჩვენშიაც არასოდეს ყოფილა. მისი წიგნი შედგენილია ქართველი ინფორმატორების (ძირითადად ვარლამი მიტროპოლიტის) მონათხრობ ამბებზე დაყრდნობით, და, რადგან ბოლხოვიტინოვი არავითარ წერილობით წყაროს არ მიუთითებს, იგულისხმება ასეთი არ იცოდა მისმა ინფორმატორმაც, რომელმაც თავის მხრივ ეს ამბავი, უნდა ვიფიქროთ, აგრეთვე ვილაციისაგან გაიგონა, რაზედაც მიუთითებს ცნობის დროული შემოფარგვლა: – წიგნის განადგურება დაბეჭდვიდან „ვსკორე“ მომხდარა. ვარლამი დაიბადა 1763 წელს. თავისი თვალით ნანახი მას შეეძლო 5 წლისას დაემახსოვრებინა. ე. ი. თუ მკრეხელობა ჩადენილი იქნებოდა 1768 წლის მახლობლად და ვარლამიც თავის თვალით ნახავდა ამ ამბავს, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იგი უეჭველ ფაქტს გადმოსცემდა. მაგრამ აჩას არ უდგება „ვსკორე“, რადგან ასეთ შემთხვევაში დაბეჭდვიდან მომხდარ ფაქტამდე გასული იქნებოდა სულ მცირე 5 წელიწადი.

ერთი სიტყვით, ებოლხოვიტინოვის წიგნის ცნობას დამოწმებულ ისტორიულ ფაქტად ვერ მივიჩნევთ, მით უფრო ამ ცნობიდან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, თითქო „ბოლხოვიტინოვის ციტირებული ხატუვები გულიხსნობს ვახტანგისეული ეფესხტაოხნის შეგნებულ. გააზრებულ მოხარობა-განადგურების ფაქტს“. რასაც ასე დაჟინებით გვიმტკიცებს ალ. ბარაშიძე.

მეორე ცნობა, ეკუთვნის პლატონ იოსელიანს და თარიღდება 1852 წლით. ცნობა მოთავსებულია ტიმოთე გაბაშვილის „მიმოხილვის“ სკოლითში (წიგნი პ. იოსელიანმა გამოცა). ტიმოთეს „მიმოხილვის“ ტექსტის ერთ-ერთი რედაქციისათვის მიუწერია, რომ შოთა იყო „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდის წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“ („საღმრთო“ თარგმნაში, როგორც ფიქრობენ, ვახტანგის „თარგმანები“ იგულისხმება – ა. ფ.).

ჯერ თავად ტიმოთეს შესახებ. როგორც კალისტრატე ცინცაძე წერს: „ტიმოთე მთავარეპისკოპოსი არავითარ „დეენაზე“ არ ლაპარაკობს. ის უზიარებს „მიმოხილვის“ მკითხველებს საკუთარ აზრს ვეფხისტყაოსნის ავტორის შესახებ. ხოლო მეორე მხრით, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ტიმოთეს ქრისტიანობის შემფასებლად ჩვენ ვერ ჩავთვლით. ტიმოთეს მეტად თავისებური წარმოდგენა აქვს ქრისტიანობაზე... აღმოსავლეთის წმინდა ადგილთა

მიმოიხილველი მიტროპოლიტი ურჩევს თავის თანამემამულეთ „გან-
შორებას ქორწინებითა ძალითა შებორკილებულთ“ ვინაითგან „რომელნი
ქორწინებენ— მათ თანა არა არს შეცნიერება— ამისათვის (რომელთა) გამოი-
ხატურისნებ თავისნი (მხოლოდ იგინი) შეუდგენენ უკანა ქრახტება“. ვეუქ-
რობთ, განაგრძობს კ. ცინცაძე — ამ სტრიქონების ავტორისათვის
საესებთ ბუნებრივი უნდა იყოს რუსთაველის ჩათვლა „გამრყენ-
ლად ქრისტიანობისა“ და „მასწავლებლად სიბილწისა“, რადგან
იგი (ე. ი. რუსთაველი — ა. ფ.) არც ქორწინების წინააღმდეგია, არც გან-
ქორწინების მომხრე და არც გამოხატურისების მქადაგებელი“ (კ. ეკაშვილი,
„ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“, შოთა
რუსთაველი, ფილოლ. ძიებანი, თბ., 1966 წ. 230. ხაზი ავტორისა).

ტიმოთეს ამ მინაწერისათვის პ. იოსელიანს სქოლიოში შემზღვევი
შენიშვნა დაურთავს: „აამ პაზრისავე იყო თვით კათალიკოსი ანტონი
პირველი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტან-
გის დროსა 1710 (?) წელსა ვეფხისტყაოსანნი დაქსწენა და შოთაყ-
რევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამისა ქართველ-
თა“.

პ. იოსელიანიც არავითარ წერილობით საბუთზე არ მიუთითებს
ამ უმძიმესი ბრალდების დასამტკიცებლად. არც იმას გვამცნობს
საიდან იცის ეს (ასი წლის წინანდელი) ამბავი.

იმავე პლატონ იოსელიანის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამე-
ტისა“ (რომელიც მას 1867 წელს დაუსრულებია) ვკითხულობთ.
„(გიორგი) კათალიკოსსა ანტონის პირველსა, რომელსაცა არ სწყა-
ლობდა სიყრმიოვანვე, ვითარცა კაცსა პაპისაგან მისისა, თეიმურა-
ზისაგან შექმლებულსა, — მოიხსენიებდა არა კეთილად, რადგან
ვერ სცნო ღირსება შოთასი, რადგანაც დღესა ერთსა ზი დაბეჭდი-
ლი წიგნი ვახტანგ მეფისავე დროსა შოთაყრევინა მტკვარსა, ვი-
თარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრის-
ტიანეთა გონებისა და გრძნობისა“.

ამ ცნობის წამკითხველს, უეჭველია, გებადებათ აზრი, ისტორი-
კოსმა პ. იოსელიანმა ამჯერად დოკუმენტური საფუძველი დაუძებნა
ადრე მის მიერ ყოველგვარი საბუთის კარეშე ანტონის მიმართ წა-
ყენებულ ბრალდებას — ბოროტმოქმედების „მოწმედ“ გიორგი XIII
წარმოგვიდგინა, რომელმაც თითქოს მტკვარში ჩაყრილი წიგნების
ზუსტი რაოდენობაც კი იცოდა. მავრამ თუ გავითვალისწინებთ,
რომ პლატონს თვითონ გიორგისაგან არ გაუგონია ეს ამბავი (იგი
მეფის გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ დაიბადა), თანაც საფიქ-
რებელია, არც გიორგი იყო მომხდარის თვითმხილველი — წიგნის
დაბეჭდვიდან გიორგის ყმაწვილობამდე (იგი 1746 წელს დაიბადა)
40 წელი იყო გასული, ცნობის სინამდვილეში დაეჭვებისათვის ბე-
რი მიზეზია. თუმცა უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ გიორ-
გი XII და ტიმოთეც ანტონის მხრიდან ასეთი საქციელის მიზეზად

თვლიან იმას, რომ ეს უკანასკნელი ვეფხისტყაოსანს მიიჩნევდა ქრისტიანობის გამრყენელ „ქმნილებად“, ე. ი. ანტონმა ვერ გაიგო ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, რაც ალბათ მეტად ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

პ. იოსელიანი კიდევ ერთხელ შეეხო რუსთაველთან ანტონის დამოკიდებულების საკითხს გაზეთ „კავკაზში“ 1870 წელს, როცა განიხილა ვეფხისტყაოსანი. იგი აქაც იმეორებს ადრე ნათქვამს იმის თაობაზე, რომ „ანტონმა აკრძალა ვეფხისტყაოსნის კითხვა“, მაგრამ ამჯერად აღარ ლაპარაკობს მის „დაწვაზე“ ოუ მტკვარში გადაყრაზე“ (რასაც, რა თქმა უნდა, არავითარი ჩიშენელობა არა აქვს – პოემის კითხვის აკრძალვა ნაკლები დახაშაული არაა. უფრო მეტიც, თუ მართლა ასე მოხდა, ანტონს გაულაშქრნია არა მხოლოდ ნაბეჭდი წიგნის წინააღმდეგ, რაზედაც ადრე საგანგებოდ მიუთითებს პლატონი, არამედ საერთოდ ნაწარმოების წინააღმდეგ).

„კავკაზში“ პლატონი ახალ დებულებასაც აყენებს, მისი აზრით, ანტონის მოქმედება გამართლებული იყო, რადგან მიმართული იყო ამ დროისათვის საქართველოში მომძლავრებული სპარსული გავლენის წინააღმდეგ (თუ ასე იყო, ანტონს უპირველესად სპარსულიდან თარგმნილი „ვისრამიანი“ „ლეილმეჯნუნიანი“ და სხვები უნდა აეკრძალა, რაც არ მომხდარა), თუმცა, ასრულებს თავის მოსაზრებას პლატონი: ანტონი თვითონ იყო პოეტი და ესმოდა მისი (ვეფხისტყაოსნის) მნიშვნელობა. რუსთაველი არ ჰყვარებოდა არ შეეძლო, რასაც იგი სიტყვიერად კიდევც ეუბნებოდა თავის თანამედროვეებს, რომელთაგან მე ეს ამბები ჩემს ყმაწვილობაში მომისმენიაო“.

რა გამოდის? – ანტონი კიდევც კრძალავდა ვეფხისტყაოსანს (ალბათ წერილობით გამოცემული ბრძანებითა და ზეპირად, სიტყვიერად), მის სასარგებლოდ აგიტაციასაც ეწეოდა.

მოსალოდნელია, ასე მოქცეულიყო საქართველოს კათალიკოსი? რატომ უნდა მოქცეულიყო ასე უპრინციპოდ და ორპირულად ქართული ეკლესიის მეთაური, იმდროინდელი საქართველოს სულიერი ცხოვრების საჭეთმაყრობელი?

ასეთი რამ დაუჯერებელია.

მაგრამ ერთის წუთით წარმოვიდგინოთ, რომ პ. იოსელიანის ცნობა ჭეშმარიტია: ანტონი კრძალავდა ვეფხისტყაოსანს, როგორც ანტიქრისტიანულ ნაწარმოებს (ე. ი. მან მართლა ვერ გაიგო ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება). მაგრამ მას მოსწონდა პოემის სახისმეტყველება და ზეპირად აგიტაციას უწევდა მას, ანუ ხალხს ურჩევდა წაეკითხათ ვეფხისტყაოსანი. აქედან გამოდის, რომ იგი ებრძოდა რუსთაველს? ხომ აშკარაა, პირველწყაროდან უშუალოდ ზეპირ ნათქვამს გაცილებით მეტი დამაჯერებლობა ექნებოდა, ვიდრე წერილობით გაცემულ ბრძანებას, მით უფრო მაშინდელ დრო-

ში, როცა პრესა არ არსებობდა და ვინ იცის, როდის მივიდოდა წერილობითი ბრძანება ადრესატის ყურამდე.

ჩვენ ქვემოთ უფრო ცხადად ვნახავთ, რომ ანტონს არც შეიძლება არც არც არავი არავი შეშლია ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის შეფასების საქმეში, მაგრამ ამჯერად მხოლოდ პ. იოსელიანის მიერ დოკუმენტურად დადასტურებულ ცნობას დავჯერდეთ, რომლის მიხედვითაც ანტონი ვეფხისტყაოსნით მოხიბლული იყო და მის წაკითხვას ურჩევს ხალხს.

შემდეგი ცნობა უფრო გვიანდელია. მისი ავტორია ცნობილი ისტორიკოსი თ. ჟორდანიანი. 1884 წლის ჟურნალ „ივერიის“ მე-3 ნომერში ქართული სტამბის ისტორიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში იგი წერდა: „სხვა საერო წიგნებს შორის მხედრული შრიფტით დაიბეჭდა მეფე ვახტანგის სტამბაში უკვდავი ქმნილება რუსთაველის ვეფხისტყაოსანი. ჩვენამდის მოღწეულის ცნობებით ამ წიგნის დაბეჭდვამ დაჰბადა ცილობა მაშინდელ კათალიკოსს დომენტი მესამისა და ვახტანგს შორის. და ამ ცილობამ ორად გააყო მაშინდელი საზოგადოება. ერთი ნაწილი, რომლის მოთავე იყო ასკეტური შეხედულებისა და წმინდის ცხოვრების მიმდევარი კათალიკოსი, უწოდდა ამ წიგნს ჯოჯოხეთის კარად. გამხრწნელად ზნეობისა, თესლად უსჯულოებისა და თვით რუსთაველს „მქადაგებლად და მოციქულად ეშმაკისა; მაგრამ მეორე უმთავრესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნოდა თითონ მეფე, წინააღმდეგ ამისა, ღირსეულად აფასებდა პოეტსა და მის ნაწერს და იმ ნაწილებს მის ნაწერისას, რომლებზედაც მოწინააღმდეგენი უთი თებდნენ ალეგორიულად ხსნიდნენ („ივერია“), 1884 წ., №2, გვ. 48, შნშ). თ. ჟორდანიანმა იგივე აზრი გაიმეორა მეორე წელსაც იმავე ჟურნალში, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ამჯერად დომენტისთან ერთად ანტონიც მოიხსენია „ჩვენ გვინახავს ვახტანგ მეფის სტამბისაგან გამოსული ვეფხისტყაოსანი 1712 წელსა თვით მეფის ვახტანგის წინასიტყვაობით. ეს წიგნი ახლა ძნელი საშოვნელია, რადგან კათალიკოსმა დომენტი III და შემდეგ თვითონ განათლებულმა კათალიკოსმა ანტონიმ (პირველმა) და მრავალთა სამღვდელთაგანთა დევნა დაუწყეს მას მრავლად დასწევს“ („ივერია“, 1885, №10, გვ.109—110).

არც თ. ჟორდანიანს ცნობას ახლავს რაიმე დოკუმენტური მტკიცებულება, ეს კი სრულიად მოულოდნელია წყაროთმცოდნეობისა და ძველი ხელნაწერების შემგროვებელ-გამომცემელი მკვლევრისაგან. რაც აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ ქართული ეკლესიის მხრიდან ვეფხისტყაოსნის ნაბეჭდი ეგზემპლიარების განადგურების შესახებ არასდროს არსებულა რაიმე დოკუმენტური წყარო.

ჩვენი აზრით, თ. ჟორდანიანი ებოლხოვიტინოვს ემყარება. ორივე ცნობაში ერთი წინადადება სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. ე.

ბოლხოვიტინოვი — „ნანე რედკო მოჲნო ვიდეო პეჩატნიე ონიე ვეზემკლია-რო“. თ. ჟორდანიას — „ეს წიგნი ახლა ძნელია ხაშოვნელია“.

როგორც ჩანს, პირველი წერილის წერის დროს პლატონის ცნობებს თ. ჟორდანიას არ იცნობდა. ბოლხოვიტინოვის წიგნში მითითებულია ფაქტმა მას აპრიორი აფიქრებინა, რომ, თუ ვახტანგის ნაბეჭდი წიგნები „ესკორე“ განადგურდა, ბოროტების ჩამდენი დომენტი კათალიკოსი უნდა ყოფილიყო — სწორედ ის კაცი, რომელსაც ვახტანგის დროს ეკავა ეს თანამდებობა და მეფის წინააღმდეგ გამომსვლელთა ერთ-ერთ მეთაურად მოიხსენიება (ე. დონდუა). მაგრამ, როცა პლატონის ცნობას (თუ ცნობებს) გაეცნო, ადრე გაჩოქმულ მოსაზრებას (დომენტი კათალიკოსის ბრალეულობის შესახებ) ანტონის მონაწილეობაც დაურთო. სწორედ ამით შეიძლება გამართლებულ იქნას ერთსა და იმავე ჟურნალში ორ წელიწადში ერთსა და იმავე საკითხზე ორი წერილის გამოქვეყნება.

ბარემ აქვე უნდა ითქვას, რომ თ. ჟორდანიას ვერსია (დომენტი კათალიკოსის ბრალეულობის შესახებ) არავის გაუზიარებია ალ. ბარამიძის ბოლო წერილამდე. და ვეფხისტყაოსნის მდევნელთა მეთაურად და განადგურების ერთადერთ შემსრულებლად ანტონ კათალიკოსს მიიჩნევდნენ, რასაკვირველია, არაავითარი საბუთი პლატონ იოსელიანის ცნობებისათვის არავის მიუმატებია.

ასე გაგრძელდა ჩვენს დრომდე.

1926 წელს გამოვიდა პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“, რომელშიც ავტორმა შოთა რუსთაველი მანიქველად წარმოგვიდგინა და ამის გამო ვეფხისტყაოსნის ავტორის დევნა მის სიცოცხლეშივე დაიწყო. მარტოა შოთას მანიქველობას დიდი დღე არ ეწერა და 1937 წელს ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის შესავალ წერილში პ. ინგოროყვა ამაზე აღარ ლაპარაკობს, მაგრამ ამავე წერილში არის ქვეთავი „ვეფხისტყაოსნის დევნა“, რომელშიც ნათქვამია, რომ პოემის დევნა მე-17 საუკუნიდან იწყება. უფრო გვიან ეპოქაში, ასე მე-18 საუკუნეში, შოთას პოემის გარშემო კლერიკალური წრეებში შექმნილი იყო დიდი ოპოზიცია. თვითონ ანტონ I კათალიკოსმაც კი გაილაშქრა შოთას წინააღმდეგ. აუტო-და-ფე გაუმართა შოთას პოემას“ (გვ. XXVII).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ოცდაათიან წლებში ე.წ. კლერიკალური საზოგადოების მხრიდან ვეფხისტყაოსნის დევნის მტკიცების საქმეში პ. ინგოროყვა მარტო არ იყო. სავსებით ცხადია, რომ ამ პერიოდში ვეფხისტყაოსნის დევნის აფიშირება და დევნის ორგანიზატორად ქართული ეკლესიის უპირველესი მეთაურის ანტონის გამოცხადება კონიუქტურის საქმე იყო და არა მცნირული მტკიცებულობისა. საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ მაშინ საკითხი საგანგებოდ არავის უკვლევია. ისინი იმეორებდნენ ადრინდელ ცნობებს ყოველგვარი ეჭვისა და შენიშვნის გარეშე.

მოგვიანებით, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდა, ადრინდელი შეხედულებები წერილობით უარყვეს აკ. გაწვევლიამ და გ. იმედაშვილმა. „ანტონის სამარცხვინო საქმე“ (როგორც მას ადრე ეწოდებოდა) ერთი სიტყვითაც აღარ უხსენებია აკ. შანიძეს მონოგრაფიაში, რომელიც მან საგანგებოდ ანტონის ორთოგრაფიულ რეფორმებს მიუძღვნა.

ძველ პოზიციებზე ძველი „საბუთიანობით“ დარჩა მხოლოდ აღ. ბარამიძე და მის მოსაზრებებზე დამყარებული „ძველი ქართული ლიტერატურის“ სასკოლო სახელმძღვანელო.

30-იანი წლების „ათეისტურ აღტყინებას“ ერთვოდა ენის კლასობრივ მოვლენად მიჩნევა. ანტონი, როგორც გაბატონებული კლასის წარმომადგენელი, აქაც სანატრელი სამიზნე იყო.

და ბოლოს ე. წ. „სამი სტილის“ თეორია, რომელზედაც ანტონი თავის პირველ გრამატიკაში მსჯელობდა (დაიწერა 1753 წელს – არ გამოქვეყნებულა). ეს თეორია, იგი ანტიკური ხანის პირამო იყო) ანტონის მოგონილად და დანერგილად წარმოადგინეს. ანტონი გაუგებარი ენით წერის, ძნელი სტილის მქადაგებლად და უკიდურეს რეაქციონერად გამოაცხადეს, თუმცა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ამავე სამი სტილის თეორიის ქადაგება მ. ლომონოსოვს უდიდეს დამსახურებად ეთვლება. რაც შეეხება თანამედროვე ენათმეცნიერებას, იგი არა თუ სამს, არამედ გაცილებით მეტ სტილს აღიარებს, რადგან აშკარა ფაქტია, რომ ვოქვათ, „დიალექტიკური ლოგიკა“ და „პამიდვრის ჩითილების გამოყვანის წესები“ ერთი და იმავე ენით არ დაიწერება.

40-იანი წლებიდან მდგომარეობა გამოსწორდა, რასაც უპირველესად კ. კეკელიძის მეცნიერულმა ავტორიტეტმა და პრინციპულმა პოზიციამ შეუწყო ხელი. ნელ-ნელა იწყება ვეფხისტყაოსნისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების საკითხის საგანგებო კვლევა, რასაც მეტად კარგი შედეგი მოჰყვა. ასე მაგალითად, 1943 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVII საუკუნეებში“ ს. ყუბანეიშვილი წერდა: „არც ერთი შრომა არ მოგვემოყვება XVIII საუკუნემდის, რომელიც ადასტურებდეს, რომ მოემას ფიზიკური განადგურება განეცადოს ვინმესგან, და ეფიქრობო. ახეთი რამ არახდროს განუცდია მას“. (ლიტერატურული ძიებანი, I, 1943 წ., გვ. 115 ხაზი ჩვენია).

რაც შეეხება ანტონის წილს ვეფხისტყაოსნის დვენის საქმეში, ს. ყუბანეიშვილი წერს: „ანტონ პირველს არ შეიძლება მტრული დამოკიდებულება გამოეჩინა ვეფხისტყაოსნისადმი“ (გვ. 110) და დასძენს: „ვერც დომენტი კათალიკოსს მივიჩნევთ ვეფხისტყაოსნის ფიზიკურად განადგურებლად“. (გვ. 111).

1950 წელს ა. როგავამ წიგნში „ხახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“, კარგად წარმოაჩინა განათ-

ლების სფეროში ანტონის მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობა. და ანტონის პიროვნებას ტაბუ აეხსნა. ქვეყნდება შრომები შ. ნუცუბიძის, ა. ფრანგიშვილის, დ. ლაშქარაძის, ალ. კალანდაძისა და სხვების, რომლებშიც გადმოცემულია და გაანალიზებულია ანტონის, როგორც მეცნიერული ისე პრაქტიკული მოღვაწეობა და სათანადოდაა შეფასებული ის უზარმაზარი დამსახურება, რაც ამ უდიდეს მეცნიერსა და მამულიშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე.

1966 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოქვეყნდა არაერთი შრომა, რომლებიც მიეძღვნა ვეფხისტყაოსნის რელიგიური კონცეფციის საკითხს, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კალისტრატე ცინცაძის ზემოთ დასახელებული შრომა – მათში, კ. კეკელიძის ადრე გამოქვეყნებულ შრომებთან ერთად სრული საფუძვლიანობით იყო დამტკიცებული (რასაც ალ. ბარამიძეც სავესებით იზიარებს) რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობა თავიდან ბოლომდე ქრისტიანული რელიგიის ეთიკურ-მორალურ ნორმებს ეყრდნობა და მისი ავტორი ორთოდოქსი ქრისტიანია, რაც (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მხატვრულ ქმნილებაში) ვეფხისტყაოსანში მთლიანად აისახა. პრობლემის ასეთმა გადაჭრამ თავისთავად მოხსნა საკითხი იმის შესახებ, რომ რელიგიის ცოტად თუ ბევრად განათლებულ მსახურს ვეფხისტყაოსანში ქრისტიანობის საწინააღმდეგო აზრების ამოკითხვა შეეძლო, რაც მას პოემის დევნის საბაბს მისცემდა. მით უფრო ასეთ საბაბს ვერ იმოყვდნენ პოემაში ისეთი განსწავლული ღვთისმეტყველები, როგორიც იყვნენ დომენტი და განსაკუთრებით ანტონი.

1966 წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა მ. გუგუშვილმა საგანგებო მონოგრაფია უძღვნა სწორედ ვეფხისტყაოსანთან ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების საკითხს მეტად დამახასიათებელი სათაურით – „პოლემიკა რუსთაველის გარშემო“ (დიახ, პოლემიკა და არა დევნა!) განიხილა რა ყველაფერი, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით იყო ცნობილი, დაასკვნა: რუსთაველის წინააღმდეგ ბრძოლა არ გასცილებია მასთან პოლემიკის ფარგლებსო.

1970 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „ანტონ პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთ“, ჩვენ გულისტკივილით მივუთითებდით საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში მოცემულ არასწორ ფორმულირებაზე, თითქო ქართული ეკლესია და კერძოდ ანტონი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ ვეფხისტყაოსანს, მივუთითებდით ანტონის უდიდეს დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე და დაესძენდით: „ამ წერილში არც შესაძლებლობა გვაქვს და არც განზრახვა ანტონის ქომაგობისა, მისი დამსახურება ბრწყინვალედ გაშუქებულია ქართველი მეცნიერების შრომებში, მაგრამ რადგან ეს

შრომები მეტწილად სპეციალისტებისთვისაა ცნობილი, ხოლო ფართო საზოგადოებრიობა ჯერჯერობით საშუალო სკოლიდან მიღებული შთაბეჭდილებებით საზრდოობს, ჩვენ ერთი საბუთი მაინც გვინდა მოვიტანოთ.

ცნობილი გრამატიკა ანტონმა სასკოლო სახელმძღვანელოდ (სემინარიაში სასწავლად) შეადგინა, ამიტომ მასში დიდი ადგილი დაეთმო სავარჯიშოებს, რომელთა უმრავლესობა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ან მის მიერვე თარგმნილი თხზულებებიდან ამოკრია. ბევრი სავარჯიშო კი თვითონ შეუდგენია (ლაპარაკია გრამატიკული გარჩევებისათვის შედგენილ სავარჯიშოებზე - ა. ფ.) თავის შეთხზულ ერთ (წინადადებაში) სავარჯიშოში ანტონი წერს: „შენ გენება ჯგომად ხეარძელხა ზედა. მახ ენება გალობად შაირნი შოთახნი“ (ხაზი ანტონისა).

უეჭველია, აქ „შაირნი“, რომელსაც გალობენ, ვეფხისტყაოსანზე მიუთითებს, ხოლო შოთა მისი ავტორია. როგორ აეხსნათ ეს ფაქტი? შეიძლება დავიჯეროთ, რომ ანტონმა „ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ვეფხისტყაოსანი, ხოლო მისი შაირის გალობაზე საგანგებოდ მიუთითა სასკოლო სახელმძღვანელოში? ამასთან ამავე წიგნში - ერთადერთი ქართული - მისი მიერვე განადგურებული წიგნის ავტორი მოიხსენია? თანაც ასეთ მომხიბვლელ სიტუაციაში? - ვგონებ არა! („ლიტერატურული საქართველო“, 1970. 3. III).

სწორედ ამ შრომების გამოსვლის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა აზრი, რომ ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ დევნისა და, მით უფრო, მისი ფიზიკურად განადგურების ვერსია არ შეესაბამება სინამდვილეს - ამ აზრმა ასახვა პპოვა „ძველი ქართული ლიტერატურის“ სასკოლო სახელმძღვანელოშიც. 1974 წლიდან მასში უკვე აღარაა ლაპარაკი არც პოემის დაწვაზე და არც ქართველი სამღვდელოების მიერ მის „ცეცხლითა და მახვილით დევნაზე“.

მაინც რა მასალას ვეყრდნობოდით „ანტონისტები“, როცა ასე დაბეჯითებით უარყოფდით ვეფხისტყაოსნის დევნის ვერსიას საერთოდ და ანტონის რაიმე ბრალეულობას კერძოდ. როგორც ზემოთ არაერთხელ მივუთითებდით, რუსთაველის დევნის ვერსიის ავტორებს არ აღმოაჩნდათ არც ერთი წერილობით წყაროზე დამყარებული ჩვენება, ან ისეთი მთხრობელი, რომელიც მომხდარი ფაქტის თვითმხილველი ყოფილიყო. უფრო მეტიც, ამბის მთხრობელები თავადაც არ იყვნენ თვითმხილველის მნახველი. ასეთ პირობებში რჩებოდა ერთადერთი შესაძლებლობა: მოგვესმინა მეორე მხარისთვის, შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ყველაფერი, რაც თავად ანტონის ხელიდან იყო გამოსული და წერილობითი წყაროებიდან დადასტურებული.

როგორც უკვე ვნახეთ, პლატონ იოსელიანი თვითონ იყო მხილველი ხალხისა, რომელთაც ანტონისაგან ზეპირად მოუსმენიათ ვეფხისტყაოსნის კება.

ახლა ვნახოთ, რას წერს ანტონი შოთას შესახებ:

1. თუ როგორი სიყვარულითა და ჩოკრძალებით მოიხსენებდა შოთას და მის შაირს ანტონი სასწავლო სახელმძღვანელოდ დაწერილ „გრამატიკაში“, რაც პოემის სასარგებლოდ უკვე წერილობით გამოთქმულ აგიტაციას ნიშნავდა – ჩვენ ვნახეთ და ამაზე აღარ შევწერდებით.

2. უფრო საინტერესოა „წყობილსიტყვაობის“ ჩვენება. ამ წიგნის მეშვიდე ნაწილის („ქართველთა სიბრძნის-მოყვარეთა კაცთა მწიგნობართა შესახებ“) პირველი შვიდი თავი ეძღვნება კათალიკოსებსა და გამოჩენილ სასულიერო მოღვაწეებს (ათონელებს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, არსენ იყალთოელს...), მერვე თავში შექებულნი არიან მეფე-პოეტები: თეიმურაზ I, არილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II. ამათ შემდეგ კი შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, საბა და სხვები.

მეფეების შემდეგ შოთას დასახელება შემთხვევითი არაა.

შოთას შესახებ ნათქვამია:

1. შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყვარე ფრიად;
2. ფილოსოფოსი, მეტყველ სპარსთა ენისა!
3. თუ სამ სწადოდა, – ღმრთის-მეტყველი მაღალ;
4. უცხო საკვირველ პიტიკოსი-მესტიხე;
5. მაგრამ ამაოდ დაძვრა, საწუხ არს ესე.

ამ იამბკოს პირველ, მეორე და მეთხუთე ტაეპებში რომ შოთა შემანიშნავი ეპითეტებითაა შემკული ცხადია. განმარტებას მოითხოვს მესამე და მეხუთე ტაეპები.

რას უნდა ნიშნავდეს: „თუ ხამ ხწადოდა“? ზოგის აზრით, აქ ნათქვამია: „თუ მოიწადინებდა“, „ თუ მოისურვებდა“. ე. ი. ტაეპი ნიშნავს: „ თუ მოიწადინებდა. მაღალი ღმრთის-მეტყველი“. მაგრამ აქ შეჩერება არ შეიძლება. საჭიროა შემასმენლის მიმატება. თუ იმ ზმნას გამოვიყენებთ, რაც პირველ ტაეპშია ნახმარი, გამოვა: „თუ მოიწადინებდა. მაღალი ღმრთის მეტყველი იყო“ რაც გრამატიკულად დაუშვებელია.

თუ მოიწადინებდას“ ზმნა „იქნებოდა“ ეფარდება და ტაეპი ასე გაიწყობა. „ თუ მოიწადინებდა. მაღალი (დიდი) ღმრთის-მეტყველი იქნებოდა“. მაშასადამე, იგულისხმება, ანტონმა (რალაცაში) დანახა, რომ შოთა დიდი ღმრთის მეტყველი (ე. ი. ქრისტეს შესახებ მოძღვრების მცოდნე) შეიძლებოდა დამდგარიყო, თუ ამახ მოიხურვებდა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, საიდან შეეძლო ანტონს ასეთი შეხედულება კქონოდა შოთაზე. ხომ წარმოუდგენელია პიროვნების შესახებ არაფერი იცოდე და ამტკიცო, იგი დიდი მხატვარი ან ასტრონომი იქნებოდა?

შოთას ღმრთისმეტყველებაში განსწავლულობის სამხილი სწორედ ვეფხისტყაოსანი იყო და თავად დიდ ღმრთისმეტყველ ანტონს არ შეეძლო ეს არ დაენახა.

თუმცა ეს ტაეპი შეიძლება ისეც გავიგოთ როგორც მას J. რატიანი კითხულობს: „სოუ ხადმე მოიწადინა (როცა მოიწადინა) დიდი ღმრთისმეტყველი იყო“, ე. ი. ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ადგილას გამოსტყვივის შოთას ღმრთისმეტყველებაში განსწავლულობაო.

როგორც არ უნდა იყოს, ფაქტი ერთია, ანტონისა სწორედ ვეფხისტყაოსანში იპოვა ის მამტიციებელი საბუთი, რომ მისი ავტორი დიდი ღმრთისმეტყველი (იქნებოდა თუ) იყო. ბარემ აქვე უნდა ითქვას, ისიც რომ შოთა ერთადერთი პირია ამ წიგნში, რომლის „ღმრთისმეტყველებას“ ეკითვტი „მალალი“ ახლავს. და ისიც საინტერესოა, რომ მკვლევარი ზვიად გამსახურდია, ანტონის „ღმრთისმეტყველებაზე“ სწორედ შოთას პოემის იდეების გავლენას ხედავს.

ერთი სიტყვით, შოთა რუსთაველი, ანტონის აზრით, არა მხოლოდ დიდი პოეტი და ფილოსოფოსია, არამედ საღმრთო რჯულშიაც დიდი განსწავლული. და ყველაფერი ეს მეხუთე ტაეპის აზრის გასაღებს გვაძლევს .. „ამაოდ დაშურა. ხაწუხ არხ ეხე“ — ანტონის გულიბტკივილსა. რომ ახეთი ნიჭიხა და ცოდნის კაცო არ გაყუა უფრო მნიშვნელოვან ხაქმეს — ხახულიერო მწერლობახ. არ უნდა დავივიწყოთ ანტონ ბაგრატიონი საქართველოს სასულიერო ცხოვრების ხელმძღვანელი იყო და სხვანაირი განცხადების უფლება მას არ აქონდა. მით უფრო, რომ ვეფხისტყაოსანში ფაქტიურად გამოყვანილი იყვნენ არაქრისტიანი ხალხების შვილები.

ასე ესმის ამ ტაეპის აზრი ყველას დიდ და მცირე რუსოველოლოგს, გარდა ალ. ბარამიძისა, რაც მართლაც რომ „საწუხარ არს“.

მაგრამ შოთას აპოლოგია ამით არ დამთავრებულა „წყობილსიტყვაობაში“. ანტონისთვის შოთა არის კრიტერიუმი და ავტორიტეტი სხვათა შეფასებისას.

ანტონი შავთელზე ამბობს:

„ნეტარ ესე — პიტიკოსი კაცი,
მალალ-გამომთქმელ, მოძღვრებით, ბრწყინვალე,
სიბრძნის-მოყვარე, მართალ-მესილოგიზმე,
ღმრთისმეტყველები, შეზმნილ ყოვლისა შინა —
იოანე ბრძენ შავთელ ზედწოდებული.

შოთამ თქვა მიხთიხი: „უქეხო ლექხი შავთელს“ —

ასევე შოთას ავტორიტეტს იმოწმებს ანტონი სარგის თმოგველი-სადმი მიძღვნილ იამბიკოში:

„თვითო შოთა იტყვის: დილარგეთ უქია მას“..

ანტონის ყველა ეს გამონათქვამი, დოკუმენტურად დადასტურებული და ხელნაწერი თუ ნაბეჭდი სახით ჩვენამდე მოღწეული, გვაძლევდა სრულ უფლებას დაგვეცვა იგი და ქართული ეკლესია უსაფუძვლო ბრალდებებისაგან.

ასე და ამგვარად, საბოლოოდ დასამარდა ქართული ეკლესიის მხრით ვეფხისტყაოსნის დევნის ვერსია და, თავისთავად ცხადია, ყოველგვარი ბრალდება მოეხსნა როგორც ანტონ ბაგრატიონს, ასევე მის ბიძას დომენტის. მაგრამ პასუხს მოითხოვდა მხოლოდ არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი: საიდან და რა საფუძველზე გაჩნდა ცნობები ვახტანგის ნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის

განადგურების თაობაზე, მართალია, არც ერთი ცნობა არ ემყარება მომხდარი ფაქტისდროინდელ წერილობით დოკუმენტებს, ყველა ცნობა ვილაცის ნათქვამს გადმოგვცემს, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს გადმოცემებსაც.

ამიტომ საჭირო იყო აპრიორი დაგვეშვა, რომ ნაბეჭდი წიგნები მართლაც განადგურდა და გვეცადა დაგვედგინა ასეთი ქმედების დრო, მიზეზი და შემსრულებელი.

ასეთი ძიების გზაზე სრულიად მისაღები ჩანდა ის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ნაბეჭდი ცალების განადგურების მიზეზი იყო ვახტანგის „თარგმანებანი“. ვეფხისტყაოსნის პირველ გამოცემაზე დართული. ეკლესიამ „თარგმანებში“ რელიგიის საწინააღმდეგო აზრები ამოიკითხა, გადაწვევითა მისი განადგურება და ამას თავის თავად მოჰყვა პოემის განადგურებაც (როგორც ს. ყუბანეიშვილი ფიქრობდა).

ასეთი ვარაუდი სამართლიანიც ჩანს, მაგრამ მას აბათილებს ის დადებითი დახასიათება, რაც ვახტანგის მიმართ ორგონისაა გამოთქმული “წყობილსიტყვაობაში“. მკვლევრების ერთსულოვანი აზრით, თარგმანების წინააღმდეგ, რომ ეკლესიას რაიმე ფორმით გაელაშქრნა. ეს აუცილებლად აიხსნებოდა „წყობილსიტყვაობაში“.

მაშასადამე, ნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის განადგურების მიზეზი სხვაგან უნდა გვეძებნა და 1978 წელს მკვლევარმა გ. შარაძემ წამოაყენა (თვით ალექსანდრე ბარამიძის თქმითაც) საინტერესო მოსაზრება. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ბოლხოვიტინოვის წიგნში ორ ადგილას იყო ლაპარაკი ვახტანგის სტამბაში ნაბეჭდი წიგნების განადგურებაზე; პირველად, როცა ავტორი სასულიერო წიგნებს ეხებოდა, მეორედ, როცა ვეფხისტყაოსნის შესახებ იყო საუბარი. სასულიერო წიგნების განადგურების მიზეზად ე. ბოლხოვიტინოვი (უფრო სწორად მისი ინფორმატორი) თვლიდა „გარეშე აგრესიული ძალების“ თავდასხმას თბილისზე 1723 წელს, რასაც მოჰყვა სტამბის განადგურებაც. ვეფხისტყაოსნის ცალების მოსპობასთან დაკავშირებით კი მითითებული იყო მხოლოდ მომხდარ ფაქტზე. მაგრამ ფაქტების აღწერის ფორმა იმდენად გავს ერთმანეთს, რომ გვაფიქრებინებს, ვეფხისტყაოსნის განადგურებაც იმავე მიზეზითა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც სასულიერო წიგნები გაანადგურებოდა – ასეკნიადა გ. შარაძე.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერდა ბოლხოვიტინოვის ცნობაში ნახმარი სიტყვა „ესკორე“.

მართლაც, რადგან ვიცით, რომ წიგნები იბეჭდებოდა 1709–12 წლებში, თუ ისინი „ესკორე“ გაანადგურეს, ყველაზე უფრო უპრიანია, ვიფიქროთ, რომ სწორედ 1723 წელს სტამბასთან ერთად განადგურდა ნაბეჭდი წიგნებიც.

ერთი სიტყვით, თუ მე-19 საუკუნის ავტორთა (ე. ბოლხოვიტინოვი, პ. იოსელიანი, თ. ჟორდანიას) ცნობა ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ეგზემპლარების განადგურების თაობაზე მართალია, წიგნები გაუნადგურებიათ სტამბის განადგურებასთან ერთად, 1723 წელს თბილისის აოხრების დროს. ამ საქმეში ანტონ

ბაგრატიონის მონაწილეობის ბრალდება გიორგი XII და ონისიძე იოსელიანის „ოჯახური ლეგენდა“ (ანტონის მიმართ მათი მტრული დამოკიდებულება თვით პ. იოსელიანის მიერაა დოკუმენტურად დადასტურებული). არც დომენტი კათალიკოსს მიუძღვის რაიმე ბრალი ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ე. წ. ბრძოლაში, არც პოემა, არც მისი ვახტანგისეული „თარგმანები“ ამის საბაბს არ იძლეოდა.

ახლა თუ იმას დავუბრუნდებით, რითაც დავიწყეთ. არავითარი ახალი საბუთი (რომელიც კამათის თავიდან დაწყების უფლებას მისცემდა) აღ. ბარამიძეს არ აღმოუჩენია. აშკარაა, წერილის დაწერის საბაბი გახდა საკითხის გადაწყვეტა მისი მოსაზრების საწინააღმდეგოდ. ამიტომაცაა რომ პატივცემული მეცნიერი შესწერომა ყველას; ზოგს (მაგ. აკ. გაწერელიას) იმიტომ, რომ ძველი მოსაზრებები უარპყვეს, ზოგს იმიტომ, რომ ახლის დასაბუთება სცადეს.

მკითხველს აღარ დავდლით ამ წერილის შინაარსის გადმოცემით, მოვიტანთ მხოლოდ ორ მაგალითს. იგი ნათელს გახდის, თუ რა „საბუთების“ მოშველებით და, რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რა მეთოდებით ცდილობს პატივცემული მეცნიერი თავს მოგვახვიოს თავისი აზრები.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ებოლხოვეტინოვის ცნობაზე პირველად სწორედ აღ. ბარამიძემ მიუთითა გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ 1936 წელს გამოქვეყნებულ წერილში. შემდეგ სხვადასხვა წელს მან ორჯერ დაბეჭდა „ნარკვევებში“ იგივე წერილი. სამივეგან ბოლხოვეტინოვის წიტიდან მოტანილ ციტატაში თავის ადგილზე იჯდა სიტყვა „ეხთორე“.

1966 წელს აღ. ბარამიძემ გამოსცა: „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, რომელიც მეორედ 1975 წელს გამოვიდა. ამ ნაშრომში ვეფხისტყაოსნის დევნის მისეულ მოსაზრებას ცალკე თავი ეთმობა. მასში გატარებულია ის აზრი, რომ ვეფხისტყაოსნის დევნა და განადგურება დაიწყო მას შემდეგ, რაც ანტონის „წყობილსიტყვაობა“ დაიწერა (ე. ი. 1768 წლიდან), ანუ ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვიდან გასული იყო 56 წელიწადი. აშკარაა ამ მოსაზრებას არ ეტყუებოდა ბოლხოვეტინოვის ცნობის „ეხთორე ხსტრებლენა“ და მკვლევარმაც ეს წინააღმდეგობა იოლად დაძლია — „ციტატიდან ხიტყვა „ეხთორე“ ამოიღო. ეს „ეშმაკობა“ შენიშნა გ. შარაძემ და მიუთითა, რომ „უამხიტყვოდ მეცნიერული ღირებულება ეკარგება ტექსტით“.

ახლა ვნახოთ რა უპასუხა აკად. აღ. ბარამიძემ ოპონენტის სრულიად სამართლიან შენიშვნას: „გ. შარაძის შენიშვნა უადგილო და უსაფუძვლოა. ფაქტის მიფუსიჩება (თუ დამალვა) ჩვენ აროდეს გვიკადრებია. ბოლხოვეტინოვის საანალიზო ტექსტის პირველად გამოქვეყნებულ ნარკვევებში რამდენიმეჯერ სრულად ვიმოწმებთ, ხოლო, ბოლოს კი, შეკუმშულად, მრავალწერტილის გამოყენებით, (რადგან) უბრალოდ ხაჟიროდ არ ჩაეთუალეთ ზუთჯერ მთლიანად გაგვემორებინა ერთი და იგივე ტექსტი“. („მაცნე“, 1986, №3, გვ. 13 შნშ — ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

ვთქვათ, დავიჯერეთ, რომ მეცნიერებაში ასეთი ქცევა მიღებულია, კერძოდ, თუ ავტორმა ერთ რომელიმე წიგნში ციტატა მოიტა-

ნა. ოცი სხვა დროს ამავე საკითხზე მსჯელობისას აღარაა ვალდებული იგივე ციტატა სრულად მოიტანოს იმ იშედიო, რომ მკითხველი დაძებნის მის ძველ ნაშრომს და ციტატას სრულად იქ ამოიკითხავს.

მაგრამ იქნებ გვითხრას პატივცემულმა მეცნიერმა, მაინც რა მიზანი ჰქონდა ციტატიდან ერთადერთი (ისიც ექვსასოიანი) სიტყვის ამოღებას? თუ ეს მოხდა სასტამბო ნიშნების ეკონომიისათვის, სამი ნიშნის ეკონომიას (მრავალწერტილმა სამი ნიშანი მაინც მოითხოვა) რა ფასი ჰქონდა? უჩველესი არ იყო ბოლო სამი სიტყვა „მუნატიე ონიე ეგზემპლარი“ ამოვლო? – ტექსტი მართლაც „შეიკუმშებოდა“, მაგრამ აზრის დაუმახინჯებლად.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ამ მართლაც არასაკადრისი საქციელის კომენტირებას, ისედაც ყველაფერი ნათელია.

ასევე უსაფუძვლოა ალ. ბარამიძის „არგუმენტაცია“ გ. შარაძის იმ მოსაზრების გასაბათილებლად, რომლის მიხედვითაც ვეფხისტყაოსნის ნაბეჭდი ეგზემპლარები უნდა დაღუპულიყო თბილისის ალექსისა და სტამბის განადგურების დროს 1723 წელს.

ალ. ბარამიძე ღიმილნარევი კილოთი შენიშნავს: „ვითომ ჩაწოლილი“ წიგნების კატეგორიას ეკუთვნოდა ვეფხისტყაოსანი?.. 1712 წელს დაბეჭდილ სანუკვარ წიგნებს 11 წლის მანძილზე ვინ გააჩერებდა სტამბაში უმოძრაოდ „აგრესორების“ გასაჩანაგებლად?“ („მაცნე“, გვ. 15).

საინტერესოა, როგორ ფიქრობს პატივცემული მეცნიერი: მე-18 საუკუნის დასაწყისშიც ისეთი ბუმი იყო წიგნისა, როგორც დღესა და მაშინაც ვეფხისტყაოსანი დახლის ქვეშიდან იყიდებოდა ორ და სამამაფე ფასად? ხოლო, თუ მას პკონია, რომ პოემის დაბეჭდილი ეგზემპლარები მაშინვე გასაღდა. რა გზებითა და საშუალებებით იქნა უკვე გაყიდული ეგზემპლარები შეგროვებული „მრავლად“ (80 ცალი) და „დამწვარი თუ მტკვარში გადაყრილი“? გლეხების ოჯახში ამ ძვირფასი წიგნის არსებობა გამორიცხულია. ასევე არ შეიძლებოდა იგი ეკლესია-მონასტრების ბიბლიოთეკაში ჰქონოდათ, სხვა სახის ბიბლიოთეკები საქართველოში არ არსებულა. დაგვრჩა თავად-აზნაურთა ოჯახები, რომლებიც მართლაც რომ ძირითადი დამკვეთი და მომხმარებელი იყვნენ მსგავსი პროდუქციისა. და უნდა ვიგულისხმეთ, რომ ანტონ კათალიკოსმა ერთ მშვენიერ დღეს ქართველ თავადაზნაურობას გამოუცხადა: – გადავწყვიტეთ აკრძალო თქვენთვის საყვარელი ვეფხისტყაოსნის კითხვა. ყველა ვისაც წიგნი გიყილიათ, ვალდებული ხართ, მითიანთ და ჩამაბაროთ! ვირწმუნოთ, რომ თავადაზნაურთა 80 ოჯახმა იმ დღესვე გამოუგზავნა თავიანთი ფასდაუდებელი რელიქვია კათალიკოსს თბილისში, მტკვარში ჩასაყრელად? და თუ ისინი ასე მოიქცნენ, როგორღა ვამტკიცოთ, რომ „ეს საქციელი“... სრულიადაც არ აკნინებს იმჟამინდელ საზოგადოებრივი აზრის ხასიათს („მაცნე“ გვ. 27). თუ იქნებ სხვა ვარიანტი დაუშვათ. იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი მართლაც ჯანსაღი იყო და ვეფხისტყაოსანს იცავდა. კათალიკოსი იძულებული გამხდარა არარსებული ჯარებით მიხტომოდა 96

ბარათაშვილებსა და ამილახვრებს, თარხნიშვილებსა და ერისთავებს და ძალით წაერთმია მათთვის საგვარეულო განძი?

ვერა, ბატონო, ასეთ რამეს ვერ დავიჯერებთ!

თუ ვეუხისტყაოსნის ნაბუკდი ცალების მოსპობა ნამდვილია, ერთადერთ დასაშვებ ვარიანტად ჩვენც იმ ეგზემპლარების განადგურებას მივიჩნევთ, რომლებიც „სტამბის საწყობში“, თუ სადმე სხვაგან შეგროვილი ინახებოდა. და თუ ეს ბარბაროსობა წიგნის დაბუკლვიდან „ესკორე“ მოხდა, იგი სწორედ 1723 წლის ამბებს უნდა უკავშირდებოდეს.

P. S. ჩვენ დავასრულეთ სამუშაო და არაჩვეულებრივად დიდი შვება ვიგრძენით; თითქო უზარმაზარი ლოდი მივიხსენით მხრებიდან, ვიგრძენით საოცარი სულიერი სიმშვიდე, ჩვენ ვალი მოვიხალეთ დიდი წინაპრების წინაშე, უსაფუძვლო ბრალდებებისაგან დავიცავით ისინი – ხალხი, რომელთა შრომამ და თავდადება შექოგინახა სულიერი და მატერიალური კულტურის ის საგანძურები, დღეს რომ ასე გვემაყუბა და ძველი კულტურული ერის სახელს გვქენს.

მყოფე მხრით, გულს გვტყენს იმის აღიარება, რომ ქართული ეკლესიის ისტორიული წარსულის ინტერესების დაცვა გვიხდება არა ეინსე, „ათეიზმის დროში“ მეზრძოლი გარეწარისაგან, რომელიც რევოლუციის პირველ დღეებში ეკლესია-მონასტრების ნგრევითა და მათში შემონახულ განძეულობის დატაცება-განიავებით მომავალი უშრომელი ცხოვრებისა და კარიერისათვის ვექსილებს აგროვებდა, არამედ იმ მეცნიერისაგან, რომლის შოღვაწეობის ახარეზი ხწორეჲ ძეული ქართული ლიტერატურაა.

აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ ალ. ბარამიძეს ამ წერილში თუნდაც უამრავი ახალი საბუთი წარმოედგინა, მაშინაც კი ამ ძველისძველი „საქმის“ არქივიდან ამოღება არ ეღირებოდა და მისი ავტორის შრომა კეთილ საქმედ ვერ ჩაითვლებოდა. ახლა კი მით უფრო.

და როცა ასეთი განცდები დაგვეუფლებიან, ვფიქრობთ, ნუთუ აღარ დადგა დრო სამართლიანად შევაფასოთ ქართული ქრისტიანული რელიგიის მოღვაწეობის ის ხანა, როცა ქართველ კაცს ქართველობა და ქრისტიანობა ერთ ცნებად წარმოედგინა; ანდა არ უნდა ვხედავდეთ იმ უბედურებას, რაც ქართველი ხალხის ერთს, თავის დროზე უბრწყინვალეს ნაწილს, სწორედ ქრისტიანობის დაკარგვამ მოუტანა? და ისიც დავივიწყოთ, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ მოგვცა ის უზარმაზარი სასულიერო ლიტერატურა, რითაც ასე მოგვწონს თავი და რომ ყოველი საპატიო სტუმარი უპირველესად ჯერისა და სვეტიცხოვლის სანახავად მიგვყავს?!

VI ბაუმაისტერის ფილოსოფიურ თხზულებათა ძართულად თარგმნის გარემო¹

1977 წ. „მნათობის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა სერგი ავალიანის წერილი „რა ენიდან ითარგმნა ქართულად ბაუმაისტერის თხზულებანი?“

ავტორი წერს: XVIII საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი, ლაიბნიცისა და ვოლფის მიმდევარი ქრისტიან ბაუმაისტერი (1709-1785 წწ.) ფართოდ ცნობილი იყო იმავე პერიოდის ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, ფილოსოფოსმა, მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ბაგრატიონმა (1720-1788 წწ.) ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად ყოფნის დროს ქართულ ენაზე თარგმნა ბაუმაისტერის თხზულებანი: „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“, „საყოფაცხოვრებო ფილოსოფია“ ანუ ეთიკა და „განსაზღვრება ფილოსოფიისა“. ამ თხზულებათა ქართულ თარგმანებს ანტონ ბაგრატიონმა მრავალრიცხოვანი კომენტარები დაურთო და ქართველი მკითხველისათვის სპეციალურად განმარტა. ეს ნაშრომები განკუთვნილი იყო თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიების სახელმძღვანელოებად“... „ბაუმაისტერის ფილოსოფიური და ფიზიკური თხზულებანი იმ დროინდელ რუსულ სემინარიებში სახელმძღვანელოდ იხმარებოდა... ამიტომ ეს თხზულებანი იმ დროს ძალიან პოპულარული იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 50-იან წლებში მოსკოვში ლათინურ ენაზე დაიბეჭდა ბაუმაისტერის თხზულებათა სრული კრებული – ფილოსოფიის კურსი რუსი სემინარიელებისათვის“... მე-18 საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო ბაუმაისტერის თხზულებათა რუსულ ენაზე თარგმნა, კერძოდ 1960 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა ბაუმაისტერის „ლოგიკა“, რომელიც თარგმნა აღ. პავლოვმა“ (გვ.158).

ბაუმაისტერის თხზულებათა რუსული თარგმანები შეიმდგომაში მუქსრულებით: დ.სინკოვსკის, ი.ისაევსა და სხვებს.

ამრიგად ბაუმაისტერის თხზულებანი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის ინტელიგენციაში ფართოდ ცნობილი იყო. მას

¹ გ.კობახიძის წიგნიდან „ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები“ ნა. თბ., 1981 წ.

თციობდნენ როგორც დედნის (ლათინურ ენაზე) ისევე რუსული თარგმანების მიხედვით. სწორედ ამავე პერიოდს (კერძოდ 1762 წელს) მიეკუთვნება ანტონ ბაგრატიონის მიერ შესრულებული ბაუმისტერის თხზულებათა ქართული თარგმანები და კომენტარები. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რა ენიდან ითარგმნა ქართულ ენაზე ბაუმისტერის თხზულებანი, ლათინურიდან თუ რუსულიდან? (იქვე).

საავალიანმა იცის, რომ: „ეს საკითხი მკვლევართა დავასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბაუმისტერის თხზულებანი ქართულად თარგმნილია ლათინური ენიდან, სხვები კი თვლიან, რომ ისინი ანტონმა რუსული თარგმანებიდან გადაჰოილო“ (იქვე).

ავტორის მოხმობილი საბუთებით ლათინურიდან თარგმანს მხარს უჭერს:

1. ანტონის ერთი წერილი ერეკლესადმი, რომელშიც იგი წერს, როს „საზღვარი ფილოსოფიისა“ თარგმნა ლათინურიდან. ამასვე იმეორებს იგი „წყობილისტყვაობაში“.

2. ლათინურიდან თარგმნის სასარგებლოდ აზრს გამოთქვამდა თეიქურაზ ბაგრატიონი და სხვები.

რუსულიდან თარგმანს მხარს უჭერს:

1. თავად ანტონის განცხადება ბაუმისტერის თხზულებათა კრებულის ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში, რომ „ფილოსოფიისა ამისა შინა, რაიცღა შეუძლებელ იყო მოსვლად ჩვენსა ზედა ენასა, სახელი ელინური დამიდევს, მით რამეთუ ლათინურიდან ითარგმნა ესე რუსულად და მერმეღა ქართულად (საზი საავალიანისა) და არცღა რუსულსა ზედა ენასა მოვიდოდიან ლექსნი იგი“ (იქვე).

საავალიანი საგანგებოდ მიუთითებს იმაზე, რომ კრებულში სწორედ „საზღვარი ფილოსოფიისა“ არაა.

2. დავით ბაგრატიონი დავით რექტორისთვის გაგზავნილ წერილში ამ თხზულებებს რუსულიდან თარგმნილად მიიჩნევს.

3. რუსულიდან თარგმანს ემხრობა ვ. ბაგრატიონი.

4. რუსული კალკების სიუხვე ტექსტში (положение – დადებულება; наставление – ზედდებულება...) „...თუმცა ...თავისთავად ბევრს არაფერს ამტკიცებსო – შენიშნავს ავტორი – მაგრამ სხვა საბუთებთან ერთად მათ მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ“ (იქვე).

5. დაბოლოს, თავად ანტონი ამბობს, რომ: „მე ქართულისა კიდე სხვაი არარაი უწყოდი ენაო“. მართალია, საავალიანი კამეკელიძეზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ანტონს რუსეთში რუსულის გარდა ლათინურიც უნდა შეესწავლაო, მაგრამ, მისი აზრით, „ეს ალბათ

არ იქნებოდა ხაკმარაიხი ბაუშაისტერის თხზულებების ქართულად ხათარგმნე-
ლად“ (გვ.158 – ხაზი ჩვენია – ა.ფ.).

თვითონ სავალიანი სარწმუნოდ მიიჩნევს მეორე მოსაზრებას –
ბაუშაისტერის თხზულებათა რუსულიდან თავრმანს: „ყველა ეს მო-
საზრებანი გვაფიქრებინებს, რომ ბაუშაისტერის თხზულებანი თარ-
გმნილია არა ლათინურდან, არამედ რუსული ენიდანო“ (იქვე).

მაგრამ საკითხის ასე გადაწყვეტას თურმე ახლავს თითქმის გა-
დაულახავი წინააღმდეგობა. კერძოდ, კრებული რომელშიაც ბაუშა-
ისტერის თხზულებათა ქართული თარგმანებია მოთავსებული, და-
თარიღებულია 1762 წლით. ამ დროს კი რუსულად თარგმნილი იყო
(1760 წელს) მხოლოდ „ლოგიკა“, ე.ი. ანტონს არ შეეძლო დანარჩე-
ნი თხზულებები რუსულიდან ეთარგმნა.

„ამრიგადო – ასკენის ავტორი – მივიღეთ პარადოქსული მდგომა-
რეობა. ერთი მხრით, ბაუშაისტერის თხზულებანი თარგმნილია რუ-
სული ენიდან, მეორე მხრივ, ეს თხზულებანი: ყოველ შემთხვევაში,
მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეიძლება იყოს თარგმნილი რუ-
სულიდან, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი რუსულად ჯერ
კიდევ არ არსებობდა“ (გვ.160).

ამ პარადოქსის დასაძლევად სავალიანმა წამოაყენა ასეთი მო-
საზრება: ანტონს, როგორც ამას მისი მუშაობის სტილი ადასტუ-
რებს, ჰყავდა მრავალი თანამშრომელი და დამხმარე, საერთოდ, და,
კერძოდ, თარგმანის საქმეშიც.

„როგორც ჩანს, ეს სტილი მან შორეულ ვლადიმირშიც დანერგა“
რადგან ანტონმა ლათინური ენა, ცხადია, რუსულზე გაცნობილი უფრო ხუტად
იცნოდა“. (ხაზი ჩვენია – ა.ფ.). ლათინური ენის სპეციალისტი კი ესა-
ჭიროებოდა, „ანტონი უთუოდ მოძებნიდა ლათინური ენის სპეცია-
ლისტს და თავის ეპარქიაში მიიწვევდა“... „ასეთი სპეციალისტის
პოვნა ანტონისათვის ძნელი არ იყო, ვინაიდან იგი უთუოდ ჩადიოდა
მოსკოვხა და პეტერბურგში“.

ანტონი „მზამეტყველების“ შესავალში მოგვითხრობს, რომ ლა-
თინთა წერილთა თარგმანებისას შეეწეოდა: „...იოანე ვინმე ხუცეს-
მონაზონი ლათინთაგანი“, ასეთი „ლათინთაგანი“ ან ყოველ შემ-
თხვევაში ლათინური ენის სპეციალისტი ანტონს უეჭველად ვლადი-
შირშიც ეყოლებოდა“ (გვ.160, ხაზი ყველგან ჩვენია – ა.ფ.).

ავტორის ამ განცხადებებიდან შეიძლება დავესკვნათ, რომ ან-
ტონს ლათინური ენის სპეციალისტი რუსეთში უნდა ეშოვნა. თუქ-
ცა მისი ერთი გამონათქვამის მიხედვით თუ ვიძსჯვლეკთ, ლათი-
ნური ენის სპეციალისტი მას საქართველოდან წაუყვანია: „რო-
გორც აკად. კაკელიძე ამბობს, ანტონ ბაგრატიონმა რუსეთში

ყოფნისას რამდენადმე შეისწავლა ლათინური ენა. ეს გარემოებაც იმაზე მიუთითებს, რომ მას თან ახლდა ლათინური ენის ხეციალისტები, რომელთაგანაც (ან რომელთაგანაც) მთარგმნელობითი მოღვაწეობის პროცესში პარალელურად ლათინურ ენასაც ეუფლებოდა“ (გვ.161, ხაზი ჩვენია - ა.უ.).

და თურმე ეს ლათინური ენის სპეციალისტი (თუ სპეციალისტები) თარგმნიდნენ ჯერ ლათინურიდან რუსულზე (ამდენად ბაუმაისტერის თხზულებანი ლათინურიდან თარგმნილადაც უნდა ჩავოვლოთ), მერე უკვე ახალი სპეციალისტები (რუსულისა და ქართული მკოდნენი) რუსულიდან - ქართულზე - ამიტომ ეგ თხზულებები რუსულიდან თარგმნილადაც უნდა ჩაითვალოს და პარადოქსიც მოიხსნება: „უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაუმაისტერის თხზულებანი ანტონის „ლაბორატორიაში“ ორგზის ითარგმნებოდა ჯერ ლათინურიდან რუსულად, ხოლო შემდეგ რუსულიდან ქართულად“ (გვ.161).

თავისთავად საკითხის ასე დაყენება და გადაწყვეტა შესაძლებელიცაა და დასაშვებიც. მაგრამ, ეჭვისათვის დიდი ადგილი რჩება.

მართალია, ავტორი ძალიან ხშირად ხმარობს გაითქმეხს: „ცხადია“, „უთუოდ“, „უეჭველად“ და ა.შ., მაგრამ საკმარისია საკითხს ჩაუღრმავდეთ, რომ ეს „უეჭველი“ და „ცხადი“ საკითხებია სწორედ მეტად საეჭვო და ნაკლებ სარწმუნონი.

ასე, მაგალითად, ავტორი წერს: „ანტონს რუხეაში რუხულის გარდა ლათინურიც უნდა შეესწავლა. მაგრამ ეს ალბათ ხაკმარისი არ იქნებოდა ბაუმაისტერის თხზულებების ლათინურიდან ქართულად ხათარგმნელოდო“ ე.ი. ისიც არ ვიცით, „შეისწავლა თუ არა ლათინური რუსეთში ანტონმა და იმ საკითხს ვწყვეტ, რისთვის იკმარებდა და რისთვის არა ეს ლათინური.

მერე, „ანტონმა ლათინური ენა ცხადია რუხულზე გატალებით უფრო ხუხტად იცოდაო.“ - აცხადებს ავტორი, თუცა არავითარი ცნობები არა გვაქვს რომელი ენა მან უკეთ იცოდა და რომელი ნაკლებ.

„ანტონი უთუოდ მოქმენიდა ლათინური ენის ხეციალისტებს და თავის ეპარქიაში მოიყვანდაო“. რა საბუთი არსებობს „უთუოდ“ დასკვნისათვის? - აბსოლუტურად არაფერი, გარდა მკვლევარის სურვილისა, რომ ასე ყოფილიყო.

ცოტა ქვემოთ კი ავტორი კატეგორიულად აცხადებს: „ლათინური ენის ხეციალისტი ავტორს უეჭველად ვლადიმერშიც ვყოლებოდაო“. საბუთი? - კვლავ არავითარი საბუთი. და რომ საბუთი არაა, თავად ავტორმაც იცის: „მართალია, ჯერ-ჯერობით არა გვაქვს რაიმე უტყუარი ცნობა ანტონის მთარგმნელ-თანამშრომელთა შესახებ, მაგრამ მათი არსებობა უეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ“.

ვიმეორებ, შეიძლება ყველაფერი ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ამ საფიქრებელ და დასაშვებ აზრს რომ ვენდოთ, რა თქმა უნდა, მეტი საბუთია საჭირო.

ვისაც ანტონის შემოქმედებაზე უმუშავია, გაოცებული რჩება მისი მცენიერული კეთილსინდისიერებით. ანტონის ლიტერატურული დამოწმებები აბსოლუტურად უეჭვო და დასაჯერებელია. ახლა ისიც ვნახოთ, როგორ კეთილსინდისიერად ასახელებს იგი ყველას, ვისაც მისთვის რაიმე დახმარება გაუწევია. უფრო მეტიც, იგი ერთ ადგილას „ქართულ ღრამატიკაში“ მიუთითებს, რომ: „...თურმანიცა მაქენდა ვითარიმე მათდამი რომელნიცა შემეწოდეს ქმნისა ჩვენისა ენისა ღრამატიკისასა“ და იძულებული ვიყავი ზოგ რამ, რაც ჩვენ ენისათვის უცხო იყო გრამატიკაში მაინც დამეტოვებიაო.

ერთი სიტყვით, ანტონი ლიტერატურული დამოწმებისა და დამხმარეთანამშრომელთა მოხსენიების საქმეში პირდაპირ მისაბამ მაგალითს იძლევა, ამავე დროს კრინტსაც არ ძრავს იმ „ლაბორატორიის“ წევრებზე, რომელთაც ორგზის უნდა ეთარგმნათ ბაუშაისტერის თხზულებები, ჩვენ კი ასეთთა არსებობას მაინც ვუშვებთ, რაც, ვფიქრობთ, მთლად ლოგიკური არ ჩანს.

ამას გარდა, ანტონი, როგორც თავად საველიანიც ამბობს, ორჯერ მიუთითებდა, რომ „საზღვარი ფილოსოფიისა“ ლათინურიდან „ვიმხარკეო“, ჩვენ კი მისი არ გვჯერავს.

რატომ, რა უფლებით და საბუთით? – პასუხი არ ჩანს.

ამასთან დაკავშირებითა გაოცებას იწვევს საველიანის მსჯელობა დ.ბაგრატიონის ცნობის უეჭველობის თაობაზე, დავით რექტორმა კარგად იცოდა ანტონის მოღვაწეობა და მას დავით ბაგრატიონი „ვერ შექადრებდა საეჭვო და, მით უმეტეს, არა სწორ ცნობებსო“.

რა გამოქდის? – დავით ბაგრატიონი უზუსტო ცნობებს ვერ შექადრებდა დავით რექტორს. ანტონი კი მეფე ერეკლეს საგანგებო წერილში ტყუილს მისწერდა.

სხვათაშორის „საზღვარი ფილოსოფიის“ თარგმანის საკითხში თავისი პოზიციის სისუსტე, როგორც ჩანს, ოკით ავტორსაც დაუნახავს და საბოლოო დასკვნაში ამ საკითხისათვის გვერდი აუგლია. ჩვენ არ ვიცით, რას ფიქრობს საველიანი – ეს ნაწარმოებიც იმავე მეთოდითაა თარგმნილი, როგორც სხვა დანარჩენები, (ჯერ – ლათინურად და მერე ლათინურიდან – რუსულად) ქალაქ ვლადიმირში, თუ ანტონს უნდა ვერწმუნოთ და ამდენი შუამავალი რგოლები გამოვირიცხოთ?

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თავისი „შუალობით-კოლექტიური“ თარგმანის თეორიით ავტორმა, სურდა თუ არა ეს, ანტონის საერთოდ წამოართვა მთარგმნელობითი მოღვაწეობა და მას მხოლოდ რექტორ-გამომცემლის როლი დაუტოვა. აკი, თვითონ ამბობს, რომ „ანტონი, რომელმაც ლათინური ენა „რამდენაღმე იცოდა“ (კ.კეკელიძე), უთუოდ გულდასმით აჯერებდა ქართულ თარგმანს ლათინურ დედანთან, ასწორებდა, აშალაშინებდა ქართულ ტექსტს, წერდა კომენტარებს ქართულ თარგმანისთვის“ (გვ.161) – ყველაფერი ეს, როგორც ცნობილია, სწორედ რექტორ-გამომცემლის საქმეა და არა მთარგმნელისა.

რა არგუმენტები მოაქვს ავტორს მთარგმნელობითი მუშაობის უარსაყოფად და იმის სამტკიცებლად, რომ მის „ლაბორატორიაში“ განადგებული იყო „შუალობით-კოლექტიური“ თარგმანა?

1.ანტონმა იმდენი შრომა თარგმნა რუსთეში ყოფნის დროს, რომ „წარმოუდგენელია ერთმა კაცმა, თუნდაც გენისომმა, ასე მოკლე დროში უცხო ენებიდან თარგმნოს (კომენტარებითურთ) ესოდენ მრავალრიცხოვანი შრომები ამ ენის არახაკმაოდ ცოდნის პირობებში“ (გვ. 162, ხაზი ჩვენია – ა.ფ.).

ჩვენ გვეჩვენება, რომ, როცა არავითარი საბუთი არა გვაქვს, ცოტა უხერხულია, იმის გადაჭრით მტკიცება, რისი გაკეთება შეეძლო და რისი – არა 220 წლის წინათ კაცს. მაგრამ უფრო საკვირველია, რა ხაფუჟეღით აცხადებს ავტორი ახე კატეგორიულად: „ამ ენის (იგულისხმება ლათინური ენის – ა.ფ.) არახაკმაოდ ცოდნის პირობებში“. რამაც მერე ყოველგვარი პარადოქსი წარმოშვა.

როგორც ჩანს, სავალიანი ემყარება აკად. კ.კეკელიძის მოსაზრებას, რომ ანტონმა რუსთეში „ცოტაოდენი ლათინურიც შეისწავლა“ ე.ი. აქ, საქართველოში, მან ეს ენა არ იცოდა.

თავად ბატონი კორნელი ამ მოსაზრების წყაროდ ასახელებს თვითონ ანტონის განცხადებას: „მე ქართული ენის კიდე სხვა არა-რა უწყოდი ენაო“.

ბატონი კორნელის თქმით, ანტონი ორჯერ აცხადებს, რომ არ იცის ქართულის გარდა სხვა ენა: 1.ჯერ „მზამეტყველების“ შესავალში „რამეთუ მე ქართულისა ენისა კიდე სხვად არარად უწყოდი ენა, გარნა მხოლოდ წიგნი ოდენ სომეხთა უწყოდი და იგიცა ფრიად მცირედ“ და იქვე დაუმატებს „შემეწეოდა მე ფილიპე ხუცესი სომეხთა გუარისაგანი, თარგმანებითა სომეხთა წერილთათა, ხოლო ლათინთა წერილისთა თარგმანებითა ზედა – იონანე ვინმე ხუცეს-მონაზონი ლათინთაგანიო“.

2. მეორედ თითქმის ამასვე აცხადებს იგი „თოუნის“ წინასიტყვაობაში „მართალი არს და ცხად, ვითარმცა ქართულისა კიდე ენაი არა ვიცი და ვერცაღა მივსწევთ ენასა სლავენურისა უმკვეთრეს“ და იქვე შენიშნავს: „სლავენურისა თარგმანი მივანდევე გავრიილს ხუცესს თარგმანს ჩემსა“ (კ.კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, თბ., 1941 წ., გვ.342-43).

„მზამეტყველება“ ანტონმა 1750 წელს დაწერა და იოანე ლათინთაგანის მოხსენებით გვამცნო, რომ იგი, თუ ადრე არა, ამ დროისათვის კათოლიკე მისიონერებთან ახლო ურთიერთობაშია. ექვსი წლის შემდეგ ანტონს გადააყენებენ კათალიკოსობიდან იმ ბრალდებით, რომ იგი „მიიქცა კათოლიკობაზე“ და გაიჩინა მიმდევრები.

რას გვეუბნება ეს ფაქტი?

ყოველ შემთხვევაში იმას, რომ 1750 წლიდან მისი კავშირი კათოლიკე მისიონერებთან იმდენად მჭიდრო გახდა, რომ ერთ დროს მის მიერვე შეკაცრად გაკრიტიკებული „მწვალებლობა“ ახლა მას საკუთარ რწმენად გაუხდია, მაშასადამე, იგი მეტად ღრმად ჩასწვდა კათოლიკურ ტიბიკონს და დაინახა, ჯერ ერთი, რომ ღიდად არაფრით განსხვავდებოდა ქართული, მართლმადიდებლური, ტიბიკონისაგან და, მეორეც, მასში რაღაც, ალბათ, მიმზიდველიც აღმოაჩინა.

ახლა ჩვენი აზრით, შესაძლებელია, დაუშვათ, რომ, როცა ქვეყნის ეკლესიის მეთაური და სულიერი მამა კათოლიკეა, იგი ეცდებოდა, იმავე რწმენაზე გადაიყვანოს თავისი სამწყსო. ჩვენთვის ცნობილია, რომ ანტონი სწორედ ასე მოიქცა და, რომ დასცლოდა, თანამოაზრეთა წრეს უთუოდ გააფართოებდა.

ამის შემდეგ, ვფიქრობთ, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტონს ლათინური ენის ცოდნა აუცილებლად სჭირდებოდა¹ და მისი ნიჭისა და ნებისყოფის ადამიანისთვის ამ მიზნის მიღწევა საძნელო არ იყო. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირება არ იყო მხოლოდ რწმენის საქმე. ანტონს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში გაეხსნა ევროპის ტიპის სასწავლებლები და კათოლიკე მისიონერების დახმარება ამ საქმეში აუცილებელი იყო უპირველესად სწორედ იმ სა-

¹ კათოლიკურ ეკლესიის ძირითადი განსხვავება მართლმადიდებლობისგან იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქრისტეს ამ ქვეყნურ უშუალო მოადგილედ რომის პაპს თვლის, კათოლიკური ტიპიკონი კი მოთხოვნა, რომ ლეონისმსახურება წარმოებდეს მხოლოდ ლათინურ ენაზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ მორწმუნეებს. ხეათაშორის ამ საკვადებულ წესის გაუქმების მოთხოვნით გამოდის ახლანდელი პაპი იოანე-პავლე II, რომელიც წარმოშობით პოლონელია (ქრაკოვის არქიუპისკოპოსი იყო), რეუორმის ხაჭირებად ალბათ ამან განსაზღვრა, თუშცა თაეად პაპი, როგორც გადმოგვცემენ, ევროპის თითქმის ყველა ენაზე ლაპარაკობს ძალიან კარგად.

ხელმძღვანელობით, რომლებიც, როგორც ცნობილია, მასწინ თითქმის მხოლოდ ლათინურ ენაზე იწერებოდა.

ერთი სიტყვით, ანტონხ თავად მიხივე ინსტიტუტით შექმნილი მდგომარეობა აიძულებდა აქ. ხაქართველოში ყოფნის დროსვე შეეხწავლა ლათინური. რუსეთში კი ასეთის არც საჭიროება იყო და არც შესაძლებლობა – წინა პლანზე იდგა რუსული და სლავური.

ამიტომ ვფიქრობთ, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანტონმა ლათინური არ იცოდა აქ, საქართველოში და იგი ცოტათი მხოლოდ რუსეთში შეისწავლა, არ შეეფერება სინამდვილეს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ანტონი სხვა ენის უცოდინარობის შესახებ აცხადებს რუსეთში ყოფნის დროსაც (როცა „ოთენი“ თარგმნა), თანაც უფრო კატეგორიულად და ყოველი ენის გამორიცხვით, რაც ცხადს ხდის იმას, რომ უცხოური ენის უცოდინარობის აფიშირება იმ დროისათვის რადიკალური ხტერეოტიპულ გამოთქმად იქცა.

მოვიგონოთ სულხან-საბას განცხადება „სიტყვის კონის“ წინასიტყვაობაში: „უშრავლესი დამიშოა ამისთვის, რამეთუ მე ქართულისა ენისაგან კიდე სხვა ენა არა ვიცოდით“ („ქართული ლექსიკონი“, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1966 წ., გვ. 27).

დაუშვათ, რომ ჩვენ არა გვექონდა მიხეილ თამარაშვილის უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ საბამი მშვენივრად იცოდა ყიზილბაშურ-თათრული (აღბათ, სპარსული) და თათრული (აღბათ, ოსმალური) (იხ. მთამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902 წ., გვ. 316-318; 328), საბას ამ განცხადებაზე დაყრდნობით შეგვეძლო, გვერწმუნა, რომ დიდი ლექსიკოგრაფი მარტო ქართულის ანაბარა იყო?

თუ დავაკვირდებით: ორივე მეცნიერის გამოთქმა ქართულის გარდა სხვა ენის არცოდნის თაობაზე, ფორმითაც ემთხვევა ერთმანეთს, რაც მათ სტერეოტიპულობაზე მიუთითებს; ან, შეიძლება, არცოდნა გულისხმობდა მეტად ღრმა არცოდნას.

ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, ანტონმა ლათინური ენა იცოდა რუსეთში გამგზავრებაამდე, ამ აზრის დასამტკიცებელ საბუთად გვეჩვენება 1753 წელს დაწერილი გრამატიკის შესავალში ანტონის კატეგორიული განცხადება, რომ იყენებდა ლათინურ ენასაც (იხ. აკად. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-531, გვ. 5; იხ. აგრეთვე ებაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970 წ., გვ. 11).

ახლა ანტონის იმ გამონათქვამზე, რომ: „ფილოსოფიისა ამისა შინა, რაცადა შეუძლებელ იყო მოსულად ჩვენსა ზედა ენასა, სახე-

ლი ელანურიდან დაძვირებს მით რამეთუ ლათინურიდან ითარგმნა ესე რუსულად და მერსჳდა ქართულად და არცა ლა რუსულსა ზე და ენასა მოვიდოდიან ლექსნი იგი“.

საეკლიანი ამ ადგილის კომენტირების დროს სვამს კითხვას, ხომ არ უნდა ვიგუღვოთ აქ მხოლოდ ცალკეული ტერმინებით და თითონვე პასუხობს, რომ „ასეთი ვარაუდი უსაფუძვლო იქნებოდა, ვინაიდან ანტონი თვითონ მიუთითებთ, რომ ამ ტერმინების თარგმნა რუსულ ენაზე შეუძლებელი აღმოჩნდა და ამიტომ ბერძნული დარჩაო, ახვე შეც ხაჲც ქართული შეხატყვისი ვერ ვიპოვე ბერძნული ხატყვისი ვიხმარეო. ამრიგად, აქ ლაპარაკია ბაუმაისტერის თხზულებებზე და არა მასში მოხმარებულ ცალკეულ ტერმინებზე“ (გვ. 159, ხაზი ჩვენია – ა.ფ.).

როგორც ვხედავთ, ანტონის მსგავსად, თავად საეკლიანიც ყველგან მხოლოდ „სიტყვებზე“ და „ტერმინებზე“ მსჯელობს, ბოლოს კი ასკენის, ლაპარაკია ბაუმაისტერის თხზულებებზე და არა ცალკეულ სიტყვებზეო.

ასე ფაქტების საწინააღმდეგო დასკვნები გამოგვივა ყოველთვის, როცა მათი ანალიზი წინასწარ შეუქმნავებული ყალიბის მიხედვით ხდება.

ამ ციტატაში ისიც იქცევს ყურადღებას, რომ ავტორის თქმით, ანტონს დაუწერია ბერძნული სიტყვები იქ, სადაც რუსულის შესატყვისი ტერმინი ვერ უპოვია. საინტერესოა, ეს ბერძნული სიტყვები ვინ ჩაუწერა მას? თუ იქნებ აბჯერად ვერაწმუნოთ ანტონს და იგი ბერძნული ენის მცოდნედაც ვაღიაროთ?

საეკლიანი, როგორც ვხახეთ, რუსულიდან თარგმნის სასარგებლოდ, მართალია, არც თუ მაინც და მაინც მტკიცე საბუთად, მაგრამ „გარკვეული მნიშვნელობის მქონედ“ ასახელებდა ქართულ ტექსტში კალკების სიმრავლეს.

ჩვენ კი დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ეს არგუმენტიც მოწვევებითია მსგავსად იმისა, როგორც მოწვევებითი იყო იგი გრამატიკის ტექსტში.

ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმრავლესობა ანტონის შექმნილია და გვხვდება გრამატიკის პირველსავე რედაქციაში, რომელიც დაიწერა 1753 წელს. საკმარისია ბევრ ამ ტერმინს (ვთქვათ: არსებით სახელს, ნაცვალსახელს, სახელობით ბრუნვას, ნათესაობითს, მიცემითს, მოქმედებითს და სხვებს) შევეუდაროთ რუსული შესატყვისი ტერმინები და სრულიად აშკარად წარმოიქმნება ილუზია, რომ ისინი წარმოადგენენ კალკას (ИМЯ существительное – სახელი არსებითი; местоимение – ნაცვალსა-

ხელი; სახელობითი ბრუნვა – **ИМЕНИТЕЛЬНЫЙ ПАДЕЖ** ; ნათესაობითი – **РОДИТЕЛЬНЫЙ** ; მიცემითი – **ДАТЕЛЬНЫЙ**; მოქმედებითი – **ТВОРИТЕЛЬНЫЙ**), მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ, როცა ანტონი პირველ გადრამატიკას წერდა, მას წარმოდგენაც არა ჰქონდა რუსულ ენაზე.

მაშ საიდან მივიღეთ ასეთი „აბსოლუტური“ დამოხვევები?

ქართული გრამატიკის წერისას ანტონი იყენებდა სომხური და ლათინური ენის გრამატიკებს, რომლებშიაც ყველა ეს ტერმინი კალკირებული იყო ბერძნული გრამატიკული ლიტერატურიდან. რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაშიც ლათინურის მეშვეობით იმავე ბერძნული ტერმინების კალკასთან გვაქვს საქმე და ამიტომაცაა, რომ რუსულიცა და ქართულიც ასე ჰგვანან ერთმანეთს.

ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა ფილოსოფიური ტერმინების კალკის შემთხვევაშიც: უმეტესობა ამ ტერმინებისა ბერძნულიდან კალკირებული თუ ნასესხებია ლათინურშიც, რუსულშიცა და ქართულშიც, ამიტომაცაა, რომ ერთმანეთიდან კალკირებული ილუზია იქმნება.

ასეთია ჩვენი მოსაზრებები, თუ შეიძლება ითქვას, „წმინდა გონების“ თვალსაზრისით. მაგრამ ამ მოსაზრებას, კერძოდ იმას, რომ ანტონმა ბაუშაისტერის თხზულებები თარგმნა პირდაპირ ლათინურიდან, მხარს უჭერს ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტიც. მხედველობაში გვაქვს ანტონის განცხადება იმის შესახებ, თუ რომელი ნაწარმოები რომელი ენიდან თარგმნა.

1885 წელს თბილისში გამოცემულ „ქართული ღრამატიკის“ 220-ე გვერდზე ანტონი საგანგებოდ ჩერდება იმ განსხვავების მიზეზებზე, რომლებიც პირველ (1753 წლისა) და მეორეს (1767 წლის) გრამატიკებს შორის არის. პირველი გრამატიკის წერის დროსო, ამბობს იგი, გამოუცდელი ვიყავი, ან ბრმად მიეყვებოდი იმ გრამატიკებს, რომელთა გამოყენება აუცილებელი იყო, ქართულზე მსგავსი ნაშრომის უქონლობის გამო, თანაც ნაშრომში ზოგი დებულება შემქონდა იმათი ხათრიო, ვინც ამ სამუშაოში დახმარებას მიწევდაო.

მეორე გრამატიკის წერის დროს ანტონი თავს სრულიად თავისუფლად გრძნობს, სრულიად ახალ მოსაზრებებს აყენებს, ძველებს უარყოფს, აღარც სხვების ავტორიტეტს ენდობა ბრმად, და მეცნიერებაში ხათრიც რომ არაფერი ბედენაა, იცის.

რა საფუძველით?

„გარნა მიერიოთაგან აქამომდე მრავალთა ენათა ქართველებს თარგმანებასა შინა დამსწრებმან, ესე იგი.

პირველად პარაკლიტიკოსისა, რომელა ნუგეშისცემითა კლინურისგან,

მეორე სათუო?სა ყოველისა და ტ?ბიკონისა სლავენურისგან ენისა,

მესამე ათთა წიგნთა კურციოსისათა, რომელა ისტორია აღექსანადრე დიდისა რუსულისგან,

მეოთხე ლოგიკისა და ყოველისა მეტაფსიკაისა და იტიკაისა ფილოსოფიისა ლათანურისაგან,

მეხუთე იტიკაისა თეორეტიკებრისა ახლად თარგმნილსა რუსულისგან,

მექვსე, განსაზღვრებისა ყოველისა ფილოსოფიისა, რომელა საზღუარი, რომელსა შინა წერილ არიან საზღვარნი 1263 მოკლედ განმარტებითურთ,

მეშვიდე რიტორიკაისა მხითარისაგან ქმნილისა სომხურისაგან,

მერვედ კატელორიათა არისტოტელითთა სომხურისაგანვე,

ხოლო ჩუშნისაშებრ ენისა წერილნი არა ფრიად მცირენი მაქუნ¹...

როგორც ვხედავთ, აქ სრულიად აშკარად და ნათლად ნათქვამი, თუ რომელი ნაწარმოები რომელი ენიდან ითარგმნა, არაა მითითება მხოლოდ „საზღვარი ფილოსოფიისაზე“ და ეს გასაგებობაა, ანტონმა ამ ნაწარმოების ლათინურიდან თარგმნის თაობაზე ორგზის განაცხადა და აქ გაიმეორება აღარ დაუნახავს საჭიროდ.

ჩვენი აზრით, ალბათ პატ. სავალიანიც ვერ უარყოფს იმ დებულებას, რომ ანტონმა კარგად იცოდა რომელ ენაზე დაიწერა, ვთქვათ, „აღექსანადრე დიდის ისტორია“ ან არისტოტელეს „კატეგორიები“. მიუხედავად ამისა, ანტონი აშკარად აცხადებს, რომ ქართულზე ამ ნაწარმოების თარგმანი შესრულდა არა ორიგინალის ენიდან, არამედ პირველისა – რუსულიდან; მეორისა – სომხურიდან. და თუ, ვთქვათ, არისტოტელეს „კატეგორიების“ სომხურიდან თარგმან არ მიუჩნევია უხერხულ და საძაგ საქმედ, რატომ ჩასთვლიდა ასეთად ბაუმაისტერის თხზულებების რუსულიდან თარგმანს, ასეთს რომ ადგილი ჰქონოდა? რა აიძულებდა ტყუილი ეთქვა საგანგებოდ ბაუმაისტერის თხზულებების მიმართ?

რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება ერწმუნოს ან არ ერწმუნოს წინაპართა ამა თუ იმ ცნობას და ფაქტი ნამდვილად ჩათვალოს მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარი თვალთ იხილავს. ამდენად ანტონის ამ ნათქვამშიც შეგვიძლია დავეჭვდეთ. მაგრამ როცა საწი-

¹ ანტონ I, ქართული ღრამბატია, თბ., 1885 წ., გვ.220.

ნააღმდეგო მოსაზრებას წამოვყენებთ, საჭიროა გაცილებით მეტი საბუთი გვექონდეს, ვიდრე პატ. სავალიანმა წარმოგვიდგინა.

ამრიგად, საკითხი, თუ საიდან, ანუ რომელ ენიდან ითარგმნა ბუმბისტერის ფილოსოფიური თხზულებანი ქართულად, ვფიქრობთ, სრულიად გარკვეულია – ლათინურიდან.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ ვფიქრობდეთ, ასევე გარკვეულია მეორე საკითხი – ყველა ზეპირთ ჩამოთვლილი 'მრომა თარგმნა მხოლოდ თავად ანტონმა, თუ მას ამ საქმეში ჰყავდა დამხმარეები?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროსაც კვლავ ანტონის განცხადებით უნდა ვიხედმიღვანელოთ „მსამეტყველებზე“ მუშაობისას, მას ეხმარებოდა იოანე ხუცესი და ფილიპე პლედელი; „თოუენის“ სლავურული ნაწილის თარგმანზე – „გავრილ პერეგოლშნიკი“. სხვა შემთხვევაში კი ძირითადად დამოუკიდებლად მუშაობდა, განსაკუთრებით ფილოსოფიური თხზულებების თარგმნისას – რადგან ძნელი საფიქრებელია, რომ „გავრილ პერეგოლშნიკ“-ის მსგავსი პირები შესაძლებლად ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ურთულეს ლაბირინთში გზის გაკვლევას.

P.S. ჩვენს რეცენზიას უპასუხა ს. ავალიანმა ამ ცოტა ხნის წინათ გამოსულ წიგნში, „ანტონ პირველი“.

ს. ავალიანი წერს: „ცნობილია, რომ ანტონის ეპოქა რუსეთისაკენ დიდი მიდრეკილებით ხასიათდებოდა, ხოლო ევროპულ აზროვნებას კი ამ დროს ჩვენში მეორე ხარისხოვანი ყურადღება ექცეოდა. ასეთ შემთხვევაში ანტონს, ცხადია, უფრო მეტად უნდა სცოდნოდა რუსული ენა (თუმცა მან ეს ენაც რუსეთში გამგზავრებაზედ საკმაოდ სუსტად იცოდა) ვიდრე ლათინური, რომელიც იმდენად არ ესაჭიროებოდა; ამ დასკვნის გაკეთებას ელემენტარული ლოგიკა გვიკარნახებს...“¹

თუ ანტონის შემოქმედების მეორე პერიოდს (რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ) ვიგულისხმებთ, ასეთი დასკვნა მართლაც სწორი იქნება, მაგრამ რუსეთში წასვლამდე, ე. ი. 1756 წლამდე ანტონი კათოლიკე მისიონერებთან სიახლოვის გამო, უნდა ვიგულისხმოთ, უკეთ იცნობდა ლათინურს, ვიდრე რუსულს.

ჩვენი მოსაზრება: „ანტონს თავად მისივე ინიციატივით შექმნილი მღვთმადრეობა აიძულებდა აქ, საქართველოში, ყოველის დროსვე შეესწავლა ლათინური“. პატივცემულ ავტორს აფიქრებინებს, რომ

¹ ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბ., 1987, გვ. 71

ჩვენ გვგონია, ანტონს ლათინური იმიტირი სჭირდებოდა, რომი მღვდელმსახურება შეეხრულებინა ლათინურზე.

ჩვენ კი ასეთი რამ აზრადაც არ მოგვსვლია. როცა ანტონისავე 'შექნილ მღვთმპარობაზე ვაპობდით, ვგულსხმოვლით ევროპული განათლების შემოტანის სურვილს. ხომ ცნობილია ანტონმა თბილისის სემინარია გახსნა 1755 წელს, მაშინ, როცა რუსეთთან და რუსულ მეცნიერებთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა, კათოლიკე მისიონერებთან კი მჭიდრო კავშირში იყო.

კათოლიკე მისიონერებთან დაახლოების და ახლო ურთიერთობის სურვილი, რაც, როგორც ჩანს, თვითონ ანტონის ინიციატივით მოხდა, აიძულებდა მას კათოლიკეთა ენა სცოდნოდა.

პატივეცემული ს. ავალიანი ერთხელ კიდევ იმეორებს იმ არგუმენტს, რომ ანტონი თავისი თხზულებების თარგმნის 'შესრულების თარიღად მიუთითებს 1762 წელს და მოგვიწოდებს „საჭიროა ღრმად ჩავეკვირდეთ ასეთ ფაქტს“. მას უკვირს: „დავუშვათ, ერთი კაცი – თუნდაც გენიოსი – ყოველგვარი თანამშრომლის გარეშე თარგმნის ბაუმიანსტერის ფილოსოფიური თხზულებების ვეებერთელა ტომს, ამავე ბაუმიანსტერის საკმაოდ მოზრდილ წიგნს „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“ (ანუ „განსაზღვრება ფილოსოფიისა“) წერს ორიგინალურ (თუ ნახევრად ორიგინალურ) სქელტანიან წიგნს „შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკური“ და ამის დამატებით კვინტოს კურციოსის „ალექსანდრე დიდის ისტორიას“ თარგმნის ათ წიგნად. თანაც ყოველივე ეს ხდება ლათინური ენის არასაკმაო ცოდნის პირობებში, ხომ დაუჯერებელია, რომ ასეთი რამ ერთმა კაცმა შესძლოს?“ (გვ.73).

ღიახ, ასეთი რამ დაუჯერებელია, მაგრამ ამ მსჯელობაში არის აპრიორად მიღებული ორი ისეთი დაშვება, რისი მამტიციცებელი საბუთები არა გვაქვს: 1. არ ვიცით, რა მნიშვნელობისაა 1762 წელი. არსად მიუთითებს ანტონი იმაზე, თითქოს ეს თარიღი ნიშნავდეს იმას, რომ იმ კრებულში არსებული ყველა თხზულება ამ წელს შეიქმნა; 2. წინასწარვე ვუშვებთ თეზისს იმის შესახებ, რომ ანტონმა ლათინური ცუდად იცოდა.

ერთი სიტყვით, ისეთი მოცემულობების შემდეგ, რაც ავტორის მსჯელობას ახლავს, რა თქმა უნდა, გასაკვირია ამდენი თხზულების ერთ წელს შესრულება, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ანტონმა ლათინური კარგად იცოდა, ხოლო 1762 წელს სულაც არ ნიშნავდა ყველა თხზულების დაწერას, გასაკვირი არაფერი იქნება.

არის კიდევ ერთი ფაქტი. ს. ავალიანი „კვინტოს კურციოსის“ ისტორიასაც ლათინურიდან ნათარგმნად მიიჩნევს. „გრამატიკაში“ კი,

როგორც ვნახეთ, ანტონი ამ თხზულებაზე ამბობს, რომ რუსულიდან ითარგმნაო.

დაბოლოს, მთავარი და ძირითადი: ჩვენი შეკამათება აბსტრაქტულ მსჯელობებს და დაშვებებს არ ეყრდნობოდა, ჩვენ მივიტანეთ კონკრეტული ადგილი ანტონის ორიგინალური შრომიდან – „ქართული გრამატიკიდან“ – სადაც თვითონ იგი მიუთითებს, თუ საიდან რა თარგმნა და დავსვით კითხვა: „თუ კვინტოს კურციოსის ისტორიის“ თარგმნაზე მიუთითა ანტონმა, რომ იგი რუსულიდან გადმოიღო, რისთვის დასჭირდებოდა ტყუილი ბაუპაისტერის თხზულებების მიმართ. რა ჩიხანი ექნებოდა არასწორი ინფორმაციის მიწოდებას?“

ამ კითხვაზე ს. ავალიანს არ უპასუხნია და საერთოდ გვერდს აუარა ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ანტონისეულ განმარტება-ცნობას, რაც უფლებას გვაძლევს, დავრჩეთ ერთგული ადრინდელი მოსაზრებისა.

ამავე შრომაში ს. ავალიანმა წამოაყენა სრულიად მიუღებელი და თეორიულადაც წარმოუდგენელი მოსაზრება: „(ანტონ პირველმა) 1753 წელს სომხურიდან გადმოაკეთა მხითარ სევასტიელის „ღრამატიკა“, რომელიც სახელმძღვანელოდ იყო განკუთვნილი“ (გვ. 21).

რადგან ამ მოსაზრებას არ ახლავს რაიმე განმარტება ან ვინიმეზე მითითება, იგულისხმება იგი თავად ავტორის შეხედულებაა, რისი უფლებაც, რასაკვირველია, მას აქვს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საკითხავია, იცნობს თუ არა ს. ავალიანი ჩვენს შრომას „ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან“ (თბ., 1979 წ.), რომელშიც, ვფიქრობთ, საკმაო საბუთიანობით დავამტკიცეთ, რომ ანტონმა მხითარისგან აიღო მხოლოდ გრამატიკის აკების ზოგადი პრინციპები, რაც თავად მხითარს ბერძნულ-ღაღათინური მოძღვრებიდან პქონდა აღებული. ეს პრინციპები საფუძვლად დაედო არა მხოლოდ სომხურისა და ქართულის, არამედ საერთოდ ახალი ევროპული ენების ყველა გრამატიკას, ვინაიდან იგი სათავეს იღებდა იმ პოსტულატებიდან, რაც ენაში, როგორც ასეთში, აზროვნებიდან იყო მომდინარე, ამდენად უნივერსალური. ხსენებულ წიგნში და შემდეგ სტატიების კრებულში („წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე“, თბ., 1981 წ. საიდანაც წინა ჩვენებარე წიგნში გადმოვიტანეთ თავი „მოსოვრაფია ანტონ ბაგრატიონის „ქართულ ღრამატიკაზე“) სრულიად ცხადად ვაჩვენეთ, რომ უსაფუძვლოა დებულება თითქო ანტონმა ქართული გრამატიკა დაწერა სომხურის გაკლენით. უსაფუძვლოა იმიტომ, რომ ანტონის პირველსავე,

1753 წლის, გრამატიკაში აისახა ქართული ენის ისეთი სტრუქტურული თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ ქართულის კუთვნილებაა და, თუ ავტორი სომხური ენის გრამატიკის გაკვლევის ქვეშ იქნებოდა, მათ ვერაფერად შეითხვევაში ვერ შეაჩინებდა. ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა, ვწერდით ჩვენ, მაშინაც სომხური და ქართული ენები მონათესავენი რომ ყოფილიყვნენ. სინამდვილეში კი ამ ორი ენის სტრუქტურული ელემენტები კარდინალურად განსხვავდებიან ეროშანეთისაგან.

ერთი სიტყვით, ჩვენ გამოვირიცხავდით სომხური ენის გრამატიკის გაკვლენასაც კი.

რადგან ს. ავალიანი თავის შრომაში ჩვენს ზემოთ დასახელებულ ორივე წიგნს მიუთითებს, ვაღდებულები იყო ჩვენი დებულებები (რადგან მათ მეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ) ჯერ დაერღვია და მერე წაშოყვნებინა საწინააღმდეგო მოსაზრება. იგი ასე არ მოიქცა და, ვფიქრობთ, საკითხის არსის გაუცნობიერებლად წამოაყენა, როგორც უკვე ვთქვით, თეორიულადაც შეუძლებელი მოსაზრება. გრამატიკა არც ზღაპარია და არც ლიტერატურული ნაწარმოები მოქმედი გმირებმის სახელები შეცვალო, მოქმედების ადგილი სხვაგან გადაიტანო და ახალი ქმნილება მიიღო. გრამატიკას მოცემული ენის სისტემის აღწერა ევალება და ამ სისტემის ლაბორინთში გზის გასაკვლევად მხოლოდ საკვლევი ენის სტრუქტურული ელემენტების გათვალისწინებით შექმნილი კოშპასია საჭირო.

VII. მატნიერული არაკეთილსინდისიერების გზით..¹

ენათმეცნიერების ისტორიკოსი და, საერთოდ ყოველი მეცნიერების ისტორიკოსი, ვიდრე კალამს ხელში აიღებს ან სამეცნიერო მუშაობას შეუდგება, წინასწარ უნდა შეეგუოს ერთ, თუმცა არასასიამოვნო, მაგრამ მიუცილებელ რეალობას: იგი სხვისი უკვე აღმოჩენილის „აღმოჩენია“, რეგისტრატორ-აღმწესხველია და ვალდებულია, მკითხველამდე მიიტანოს ყველა ფაქტი და მოვლენა, მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება აქვს მას ამ ფაქტებთან და მოვლენებთან, რა ურთიერთობაშია მათ ავტორთან. სამაგიეროდ იგი აღჭურვილია უფლებამოსილებით, უფრო მეტიც, ვალდებულია, მოგუცეს აღწერილის ანალიზი, გამოთქვას თავისი მოსაზრება, გამოამყვლავნოს პირადი სიმპათია-ანტიპათია.

ფაქტების მიჩქვალვა ან დამახინჯებული სახით წარმოდგენა თუ შემოხვევით, უნებლიეთ მოხდა, შეცდომაა, თუ წინასწარ განზრახვითა და ამდენად, ანგარებით, – დანაშაული. ამ კუთხით დანაშაული ზოგჯერ იმდენად მძიმეა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი მასზე საგანგებო სასჯელსაც კი ითვალისწინებს. ოღონდ ეგაა, სასჯელი აშკარა პლაგიატისთვისაა დაწესებული (როცა რომელიმე „ავტორი“ სხვის შრომას თავისად ასაღებს, ბეჭდავს და პონორარსაც იღებს), ასეთი ძალადობა იშვიათია და პლაგიატობისთვის სამართლო პროცესიც თითქმის არასდროს იმართება. სწორედ ამის გამოა, რომ არაკეთილსინდისიერი მეცნიერები თავიანთ უკეთურ საქმეებს იოლად ახორციელებენ.

ერთი შეხედვით, ასეთი ქმედება დიდი დანაშაული არაა: თუ მიმთვისებელი ჭეშმარიტ აზრებს იჯიბავს და მერე თავისად ასაღებს, მეცნიერება არ ზარალდება, მეცნიერების წინსვლისათვის სულერთია, კოსკრეკტულად ვინ აღმოაჩინა ესა თუ ის ჭეშმარიტება, მისთვის მთავარია ჭეშმარიტების არსებობა. სამწუხაროდ, ალბათ, ამის გამოა, რომ მეცნიერება ისე მკაცრად არ უბრძვის სხვის წიგნებში ხელის მოფათურეს, როგორც პოლიცია – ბინის ქურდს. სამაგიეროდ სულ სხვანაირია დამკარგველის, პირველადმოჩენილის რეაგირება. საქმე მეცნიერულ პრიორიტეტს ეხება და საკუთრებაზე ხელის აღება მეტად მტკივნეულად განიცდება ადამიანური ყოფის

¹ გადმოუქვლილი წიგნიდან: „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“, თბ., 1995 წ.

ყოველ სვეროში. ამიტომაც არავის არ უნდა გაუკვირდეს „დაზარალებულის“ იქნებ ზედმეტად ვადიზიანებული ტონი.

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება იმ ფაქტებისადმი, რის შესახებაც უნდა მოგახსენოთ და იძულებული ვარ მკითხველის ყურადღებება შევაჩერო.

1990 წელს გამოვიდა ჩვენი წიგნი „პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო“. მასში მიმოვიხილეთ შრომები, რომლებშიც მოცემული იყო ანტონ ბაგრატიონის (ანტონ I კათალიკოსის) ღვაწლის შეფასება. ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ იმ მკვლევარებს, რომლებიც ანტონის „ქართული გრამატიკის“ შეფასების საქმეში სხვებზე მეტად ცოდავდნენ. არვის არ მოერიდებივართ; ვცადეთ ობიექტურად წარმოგვეჩინა ყველაფერი, რაც ჩვენი ამ დიდი წინაპრის შესახებ ითქვა.

ანტონის მოღვაწეობის შეფასებისას დაუდევრობებს, დამახინჯებებს, შეცდომებს ადრე გამოცემულ წიგნშიც („ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან“, თბ., 1979) შევვხეთ, ოღონდ მაშინ არნ.ჩიქობავასა და ელ. ბაბუნაშვილის შრომებზე შედარებით ზერეულედ შევჩერდით. წინამდებარე წიგნში კი (იხ. შესავალი გვ. 23–38 და თავი XVIII, გვ. 606–620) ეს შრომები უფრო დეტალურად განვიხილეთ და აშკარად ვაჩვენეთ ის უარყოფითი პოზიცია, რაც ორივე ავტორს ანტონის ღვაწლთან დამოკიდებულების საქმეში ეჭირათ. ბარემ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ელ.ბაბუნაშვილის ნაშრომის – „ანტონ I და ქართული გრამატიკის ხაზოხები“ — განხილვა ჩვენ 1980 წელს გამოცემულ წიგნშიც („ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები“, თბ.) შევიტანეთ.

რაც ერთ ამ შრომას არავისი, მათ შორის არც ელ. ბაბუნაშვილის, გამოხმაურება არ მოჰყოლია. ამ დუმილს შეიძლება ორგვარი ახსნა პქონდეს: 1. ავტორი არ იზიარებდა კრიტიკას და, რადგან პასუხის ღირსად არ გეთვლიდა, არაფერს წერდა, ან 2. იგი ეთანხმებოდა ყველა ჩვენს შენიშვნას და ამის გამო განუშვებელი იყო.

1991 წელს ელ. ბაბუნაშვილმა დუმილი დაარღვია თ. უოურგაძის თანაავტორობით გამოცემიულ წიგნში – „ანტონ პირველის.. ქართული ლრამმატიკა და მისი ეროვნულ ისტორიული მნიშვნელობა“. მან მთელ ადრეულ ნააზრევს ზურგი შეაქცია და მკვეთრი, ნახევარწრიული შემობრუნების შემდეგ, განაცხადა... XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ანტონ პირველის ხანა საქართველოში. XVIII საუკუნის I ნახევრის მეცნიერული, საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრება საქართველოში მთლიანად ანტონ პირველის (ბაგრატიონის), საქართველოს კათალიკოსის სახელთან არის დაკავშირებული

“... ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე სამი დიდი სახელია აღმართული: იოანე პეტრიწი, ანტონ კათალიკოსი და ილიაჭავჭავაძე. თითოეული მათგანი წარმოადგენს დაგვირგვინებას განსაზღვრული დროის თაობათა თავდადებული მოღვაწეობისა ქართული სალიტერატურო ენის შექმნისათვის ბრძოლაში” (გვ. 5).

და აქვე, ალბათ, გაოგნებული მკითხველის დასაშვინებლად, სავსებით კანონზომიერი და კეთილშობილური პირობა დადეს ავტორებმა: „ჩვენი მიზანია ვილაპარაკოთ ანტონ პირველზე, როგორც გრამატიკოსზე. ამ მხრივაც ანტონის შეფასება არ არის ერთგვარი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომში ვუჩვენოთ ეს დაპირისპირებანი და მათი საფუძველი“ (იქვე).

თქმა არ უნდა, ამ სტრიქონებმა სიხარული მოგვგვარეს. ჩავთვალეთ, რომ, რადგან ბოლოს და ბოლოს ავტორებმა ყურად იღეს ჩვენი შენიშვნები, დატოვეს ძველი, დაუსაბუთებელი და მცდარი პოზიციები, რადგან პირობა დადეს, რომ „დაპირისპირებულ“ მოსაზრებებს განიხილავენ (იგულისხმება, კეთილსინდისიერად წარმოაჩენენ იმ უთანასწორო ბრძოლას, რასაც ჩვენ მთელი 20 წლის განმავლობაში მარტოდმარტო ვეწოდით), მკითხველს საკითხის ისტორიის ნამდვილ სურათს აჩვენებენ.

სამწუხაროდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა. ავტორებმა ვერ სძლიეს ცდუნებას, რომ ანტონის დადებითად შეფასების საქმეში დამსახურების სახელი თავიდან ბოლომდე საკუთარი პერსონებისთვის მიეწერათ, ჩვენი მოსაზრებები კი მკითხველისათვის სავანგუბოდ დაეძალათ.

უფრო მეტიც. საქმე ისე წარმოადგინეს, თითქოს ჩვენი შრომები საერთოდ არ არსებულებოდა და ანტონის შეფასება იმავე დონეზე იყოს, როგორც 30-50-იან წლებში გვექონდა. აი, როგორ შეასრულეს მათ თავიანთი დანაპირები: „სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის აღინიშნა, რომ მწერლობაში ანტონი იოანე პეტრიწის სტილს მიჰყვებოდა; ეს ზოგჯერ ასეთი სიმკაცრითაა ნათქვამი: „იოანე პეტრიწის სტილი.. მიქანიკურად იქნა გადანერგილი და ფორმალზეებული ანტონის სკოლაში XVIII საუკუნეში“: ანტონს ქართული ენის წახდენასთან (გაცილებით უფრო მკვახე სიტყვებიც უხმარიათ!) დაკავშირებით სხვა ბრალდებაც ბევრი წაუყენეს: ორთოგრაფიული და

ვრამატოკული შეუსაბამობანი, სხვა ენის
ვრამატოკული მაწარმოებლის პირდაპირ
გადმოტანა ქართულში...“ (გვ. 62). მითითებულია ამ მოსაზ-
რებათა ავტორები: დ. მელიქიშვილი, აკ. შანიძე, არ. მარტიროსიანი.
ამის შემდეგ საფიქრებელი იყო, აქვე იქნებოდა მითითება იმასზე,
რომ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა აღ. ფოცხიშვილის შრომე-
ბი, რომლებშიაც ასეთი შეხედულებები გაკრიტიკებულია და ან-
ტონს მოხსნილი აქვს ყველა ეს ბრალდება: ოღონდ ასეთ შემთხვე-
ვაში აუცილებელი იყო კეთილსინდისიერების გზასზე დადგომა. სამ-
წუხაროდ, მათ უკეთური გზა აირჩიეს, მითხველებს განუცხადეს:
„დღეისათვის საქმის ვითარება ახვა წარმოდგენილი, თითქო ანტონმა XVIII ხა-
უუნახ II ნახევრიდან მიიღეს ხაუკუნით შეაფერხა ქართული ხალიტერატურის
ენის ბუნებრივი განვითარება თავიანი ხაში სტილის თეთროითა და ხელაფნურის
ხალიტერატურის ენით“. (იქვე). ამ დებულების საილუსტრაციოდ ნაშ-
რომში მითითებულია არნ. ჩიქობავას 1938 წელს დაბეჭდილი წიგნი
„ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“, რაც იმის მასუწყებელია, რომ ავ-
ტორების მტკიცებით, აღნიშნული შრომის გამოსვლის შემდეგ ქარ-
თულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირე-
ბით არაფერი დაწერილა.

აღამიანები ვართ და აღამიანური არაფერი უნდა გაგვიკვირდეს,
ამიტომ ჩვენი შრომების უგულვებლყოფა შეიძლება მოსათქმენადაც
ჩავვეთვალა. მაგრამ მაშინ იმის ვაჟკაცობაც უნდა პყოფნოდათ,
რომ ეს შრომები საერთოდ გვერდზე გადავდეთ და საკუთარი
გზით ველოთ. ეს კი არ ქნეს. იმიტომ, რომ, უბრალოდ, შეუძლებე-
ლი იყო. ჩვენს შრომებში ანტონ ბაგრატიონის საენათმეცნიერო
მოღვაწეობის ყველა ასპექტი იყო განხილული და გენიოსი შემოქ-
მედის ნაანდერძევი დვაწლი სათანადოდ დაფასებული, და, როცა
გადაწყვიტეს ჭეშმარიტების გზას დადგომოდნენ, როცა იძულებულ-
ნი იყვნენ ანტონისათვის დამსახურებული ხარისხები დაებრუნებო-
ნათ, მისი სრული რეაბილიტაცია მოეხდინათ, ვაჟკაცობის ძიებაზე
ხელი აიდეს, ჩემი შრომები წინ დაიდეს და ყველა, ვამოიარებ. ყველა ძირითა-
დი დებულება პირწმინდად გააიწერეს.

ნათქვამის დასასაბუთებლად საჭირო იქნებოდა წიგნების თით-
ქმის გვერდ-გვერდ შედარება, ჩვენ კი მხოლოდ ორი მაგალითით
დავეკმაყოფილდებით, დანარჩენი მკითხველისთვის მიგვიჩვენია:

ანტონის წინააღმდეგ მებრძოლი „მეცნიერები“ მიუთითებდნენ მი-
სი სამეცნიერო შრომების (განსაკუთრებით „ქართული ღრამატი-
კის“) მძიმე ენაზე. ჩვენ ეს, რასაკვირველია, ვიცოდით, მაგრამ მ-
ინც ვწერდით... „უნდა ითქვას, რომ ამ, მძიმე ენას“

სულაც არ შეუშლია ხელი მისი მომდევნო გრამატიკოსებისთვის აეღოთ ანტონისგან ყველაფერი, რაც ქართული ენის სისტემის დამახასიათებელ სურათს ქმნიდა“ („ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან“, თბ. 1979, გვ. 14 – 15). სხვაგან კი ვამბობდით: „ფაქტია, ანტონი მძიმე ენით წერდა, ეს მისი პიროვნული მანკი იყო“ („ლიტ. საქართველო“, 1970, 13, XI; „პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო“, თბ. 1990, გვ.“!).

ეს აზრები ოცი წლის შემდეგ „უფრო ღამიზად“ გადმოცეს ავტორებმა: „მაგრამ ერთია ანტონ პირველის მეცნიერულ ნაშრომთა ხაკუთარი სტილი და ხხეა არის გრამატიკული დებულებები. რომელთაც ვეთაყვანობხ „ქართულ დრამატიკაში“. ახლა სიტყვასიტყვით გადმოწერის მაგალითი. ავტორები წერენ: „ჩვენ დაეახეენით ანტონ პირველი ხამი სტილის თეორია არაეის უხხენებია „შვილთა და მამათა დაეაში“ (გვ. 66. ხაზი ავტორებისაა. ა. ფ.). და ეს აზრი თითქო მათ მიერ ჩატარებული კვლევის შემდეგ მიღებული დასკვნა იყოს, ავტორებმა მკითხველს ხაზგასმული ფორმით მიაწოდეს. ჩვენ კი ჯერ – ოცი წლის წინათ „ლიტ. საქართველოში“, მერე კი, წიგნში „პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო“ ვწერთ... „ამ ასპექტში უნდა დალინიშნოს შემდეგი გარემოება(ც: „ციხკრის“ მოკამათთ და არც ერთ მხარე არც ერთხელ არ უხხენებთაო „ხამი სტილის“ თორია და ანტონი“ (მითითებული წიგნი, გვ. 49).

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ამ ორი სტრიქონისათვის ამოდენა ამბის ატეხვა ღირდაო? უნდა განვმარტო: ამ ორი სტრიქონის დაწერას წინ არც თუ მცირე სამუშაო უძლოდა. როგორც ცნობილია, (სამწუხაროდ, ამაზე სასკოლო სახელმძღვანელოებშიც მითითებდნენ ხოლმე), ანტონსა და მისთვის მიწერილ „სამი სტილის“ თეორიას ბრალად სდებდნენ ქართული ენის განვითარების შეჩერებას. ცნობილია ისიც, რომ მე-19 საუკუნის 50-იან წლებში „ციხკრის“ ფურცლებზე გაიშალა კამათი ამ ჟურნალის ენის თაობაზე. უფრო გვიან კი „მამათა და შვილთა ბრძოლა“ გაჩაღდა. აქაც ერთერთი საკითხი სალიტერატურო ენა იყო. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ არც ლიტერატურათმცოდნეებს, არც ენათმეცნიერებს აზრად არ მოსვლიათ, გაერკვიათ, პქონდა თუ არა ამ „დავასთან“ ანტონსა და „სამ სტილს“ რაიმე კავშირი. ჩვენ სწორედ იქედან დავიწყეთ, რომ შევისწავლეთ ამ საკითხთან დაკავშირებული მოელი ლიტერატურა და, როგორც ადრეც ვფიქრობდით, აღმოჩნდა, ან-

ტონს ამ კამათთან მართლაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა. ამიტომაც მას არავინ არ ახსენებდა. ჩვენი კვლევის შედეგი იმავე წელს მოვახსენეთ შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის შესაბამის განყოფილებას (მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია) და დავბეჭდეთ კიდევ ელ. ბაბუნაშვილისადმი საპასუხო წერილში („ქასუხი რეცენზენტს“, „ლიტსაქართველო“, 1970, 13.XI). ამის შემდეგ მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ ელ. ბაბუნაშვილი და თ. უთურგაიძე მეცნიერული ეთიკის ნორმებს იოტის ოდენ ანგარიშს გაუწევდნენ, ექნებოდათ უფლება, მკითხველისთვის ასე თავაწეული ეთქვათ: „ჩვენ დაეახვენითო...?“

თუმცა ავტორების წაბაძვა რომ არ გამოგვივიდეს, უნდა აღვნიშნოთ, სარეცენზიო წიგნში რამდენიმე ახალი საკითხიცაა განხილული, კერძოდ, უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული „სამი სტილის“ თეორიასთან დაკავშირებით რუსული საენათმეცნიერო ლიტერატურა: გადაწვდნენ ევროპასაც. ოღონდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ „მჩხრეკელობას“ საკითხის გადაწყვეტის ძველ ვარიანტში არავითარი კორექტივი არ შეუტანია.

უფრო საინტერესო ჩანს ანტონისა და იტალიელი მისიონერების და ანონიმი ქართველი ავტორის გრამატიკების ურთიერთობის საკითხი. ავტორები ფიქრობენ: დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს თეზა – ანტონი იცნობდა და იყენებდა აღნიშნულ გრამატიკებს. ჩვენ კი ისევ გვგონია, არავითარი საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ, სხვა ყველა შემთხვევაში უტყუარ, ანტონის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ თავისი შრომის წერის დროს არავითარი ქართული გრამატიკით არ უსარგებლია.

დაბოლოს, გვინდა სინანულით აღვნიშნოთ, რომ ასეთ საკითხებზე ასე მკაცრად და ისიც წიგნში მოგვიხდა ლაპარაკი, მაგრამ, როგორც იტყვიან, მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა (ავტორები) განსაკუთრებით თ. უთურგაიძე არაკეთილსინდისიერად იქცევა და, მიუხედავად ჩემი არაერთი საყვედურისა, თავისას არ იშლის. მას უკვე ჩვევად გადაექვა სხვისი შრომების უგულვებელყოფა და, როგორც ვნახეთ, სხვისი იდეების მითვისებასაც არ ერიდება. და რადგან ამ ბოლო დროს ენათმეცნიერული აზრის ისტორიაშიც მუშაობს, საჭიროა მისი დროზე შეჩერება.

როგორც ვთქვით, ისტორიკოსს უფლება არა აქვს დამალოს სხვისი მოსაზრებები, თუნდაც იგი ამ მოსაზრებების სრულიად საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგეს. უფრო მეტიც, სწორედ მაშინაა იგი ვალდებული, სხვისი აზრები ბოლომდე გარკვევითა და დაუმახინჯებლად მოიტანოს და საწინააღმდეგო პოზიცია არგუმენტებით დაამტკიცოს. თ. უთურგაიძე კი სრულიად საწინააღმდეგოდ იქცევა. უკანასკნელ წლებში მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა ჩვენი ტერმინით „მარცვალთლიაობის ა“-ს („სავრცობ ა“-ს). ამ საკითხზე 1958 წლამდე ყველასაგან გაზიარებული, ნ. მარისაგან მომდინარე მოსაზრება ბატონობდა. ჩვენ ეჭვი შევიტანეთ ამ მოსაზრების სისწორეში და წამოვაყენეთ სრულიად სხვაგვარი ახსნა. ჩვენს შრომაზე სხვადასხვა დროს მიუთითეს: ს. ჟღენტმა, გ. კლიმოვმა, გ. ნებიერიძემ, პ. პალმაიტისმა – ზოგმა გაიზიარა იგი, ზოგმა ეჭვი გამოთქვა, ოღონდ ყველამ აღნიშნა, რომ საქმე აქვთ ახალ თეორიასთან. თ. უთურგაიძე სხვაგვარ პოზიციებზე დგას, მაგრამ მკითხველს არ ეძლევა შესაძლებლობა ჩვენი პოზიციების შედარებისა, რადგან იგი არსად ჩვენს შრომებს არ ასახელებს ან იშვიათად ასახელებს.

თ. უთურგაიძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ ელ. ბაბუნაშვილის შრომებში ანტონის ღვაწლი, თუ სრულიად უკულებელყოფილ არა, დამცრობილად მაინც იყო წარმოდგენილი, და, რომ ანტონის შრომების დადებითი შეფასება ჩვენი სტატიებით დაიწყო. მიუხედავად ამისა, 1989 წელს გაზ. „სახალხო განათლების“ ფურცლებიდან (№39) მკითხველს ამცნო: „ელ. ბაბუნაშვილის შრომებმა საფუძველი დაუდეს ანტონ ბაგრატიონის ღვაწლის დადებით შეფასებას“.

ცოტა ხნის წინათაც არაკეთილსინდისიერი იყო მისი გამოსვლა გაზ. „ივერია-ექსპრესის“ (1993, 30.1) ფურცლებზე ინტერვიუერის როლში.

ინტენსიუს ჟურნალისტი (თუ ენათმეცნიერი?) კახა გაბუნია უძღვებოდა. მან თ. უთურგაიძეს ასეთი კითხვა დაუსვა: „ქართული გრამატიკული აზროვნება, როგორც აქამდე იყო ცნობილი, ზურაბ შანშოვანის გრამატიკიდან იწყება, ე.ი. პირველადი (!) ქართული გრამატიკები სომხურსა და ბერძნულ წყაროებს ეყრდნობოდნენ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ განსხვავებული შეხედულება გაგაჩნიათ,

გვითხარით ორიოდე სიტყვა ამ საკითხის თაობაზე“.

როგორც ვხედავთ, ამ კითხვის დამსმელის ქართულიც მთიკოტლებს და აზროვნების ლოგიკაც, მაგრამ ამჯერად წყნთვის საინტერესოა თ. უთურგაიძის მეცნიერული კეთილსინდისიერების ზომა და დონე. მას რომ არათუ მეცნიერული, არამედ, უბრალოდ სვეულელებრივი, კაცური ვალი მოეხადა, „ღრმად განსწავლული“ ჟურნალისტისათვის უნდა ეთქვა: „არავის არასოდეს არსად არ უთქვამს, რომ ქართული გრამატიკული აზროვნება ზურაბ შანშოვანის გრამატიკიდან იწყება. სამეცნიერო ლიტერატურაში, აღ.ფოცხიშვილის შრომის გამოსვლამდე, მას (შანშოვანს) მიაწერდნენ პირველი ქართული გრამატიკის ავტორობას. ქართული გრამატიკული აზრი კი ვაცილებით ადრე ჩაისახა. აღ. ფოცხიშვილმა დაასაბუქოა, რომ, რადგან ზ. შანშოვანმა პირდაპირ თარგმნა (როგორც ეს ადრე დამტკიცეს: ი. აბულაძემ და პ. მურადიანმა) სომხური გრამატიკა, და იმის გამოც, რომ ამ გრამატიკის ხელნაწერს 1878 წლამდე არავინ იცნობდა, მისი ქართული გრამატიკული ლიტერატურის სიაში შეტანა უადგილოა. მე კი იქ არაფერ შუაში არა ვარო“. თ. უთურგაიძეს აქაც წასმლია სულმა და სხვისი დამსახურება „მოკრძალებით“ მიისაკუთრა.

სასურველი და აუცილებელიცაა, თ. უთურგაიძემ მომავალში მინც გაითვალისწინოს ჩვენი შენიშვნები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი ენათმეცნიერების ისტორიაში აპირებს მუშაობის გაგრძელებას. ავტორებისა და ფაქტების მინქმალვის გზით ისტორია არ იწერება.

VIII. პასუხი თ. უთურგაიძის

1995 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“, რომლის ბოლო პარაგრაფი „მეცნიერული არაკეთილსინდისიერების უზით“ (ვადმოებგდილია ამ წიგნშიც), ეხებოდა ელ. ბაბუნაშვილისა და თ. უთურგაიძის უკადრის ქმედებებს, რაც წლების მანძილზე გრძელდებოდა.

იმის შემდეგ, რაც განვიხილეთ საკითხთა მთელი წყება, რომელთაც ავტორები შევნიშნულად ჩქალაქდინენ და პირველ წყაროს არ მიუთითებდნენ, ვთქვი: „დაბოლოს, გვინდა სინანულით აღვნიშნოთ, რომ ასეთ საკითხებზე, ასე მკაცრად და ისიც წიგნში მოგვიხდა ლაპარაკი, მაგრამ, როგორც იტყვიან, მოთმინებასაც სახლგარე აქვს. ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა (ავტორები), განსაკუთრებით თ. უთურგაიძე არაკეთილსინდისიერად იქცევა და, მიუხედავად ჩემი არაერთგზის საყვედურისა, თავისას არ იშლის. მას უკვე წვევად ექცა სხვისი შრომების უგულვებელყოფა და, როგორც ვნახეთ, სხვისი იდეების მითვისებასაც არ ერიდება. და, რადგან ამ ბოლო დროს ენათმეცნიერული აზრის ისტორიაშიც მუშაობს, საჭიროა მისი დროზე შესწავლა“ (ვ. 631).

წიგნის მითითებულ პარაგრაფში კი ძირითადად ლაპარაკი იყო ავტორების შრომაზე „ანტონ პირველის“ „ქართული ღრამშატია“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა“ (თბ. 1991 წ.), რომელშიაც იმის სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული, რასაც ათეული წლების განმავლობაში იცავდნენ. მათი ახალი პოზიცია კი იმეორებს იმ დებულებებს, რასაც ამ სტრიქონების ავტორი 1970 წლიდან ავითარებდა. ამის გამო დაეწერე, „რომ: არ ვრიდებიან სხვისი იდეების მითვისებასაც-მეთქი“.

ჩემი ამ „იძულებითი“ თავდაცვის საპასუხოდ თ. უთურგაიძემ შარშან შრომების კრებულში – „საენათმეცნიერო ძიებანი VI“ – გამოაქვეყნა საპასუხო წერილი, რომელშიც სხვა უსაფუძვლო თავის მართლებასთან ერთად წერს: „რაც უნდა უნდა მოგახსენოთ, მას არაფერი აქვს საერთო სადისკუსიო თემასთან.. აღ. ფოცხიშვილმა ეს წიგნში იმიტომ შეიტანა, რომ აჩვენოს ჩემი არაკეთილშეიქცევა და მოკიდებულება მის ნაღვაწთან. საქმე ეხება „მარ-

ცვალთლიაობის ა-ზე“ აღ. ფოცხიშვილის თვალსაზრისს, რომელიც, მისი თქმით, ყველას „ახალ თეორიად“ უღიარებია, მე კი არად ვაგდებ თურმე. იგი წერს: „თ. უთურგაიძე სხვაგვარ პოზიციებზე დგას, მაგრამ მკითხველს არ ეძლევა შესაძლებლობა ჩვენი პოზიციების შედარებისა, რადგან იგი არსად ჩვენს შრომებს არ ასახელებს ან იშვიათად ასახელებს...“

მინდა მოვახსენო მას, რომ „მაცნეში“ 1985 (№2) დაბეჭდილ ჩემს წერილში, რომელიც სპეციალურად ემიფატიკურ ა-ს ეძღვნება, სალიტერატურო ენასა და დიალექტებში „მარცვალთლიაობასთან“ დაკავშირებით თავისი სახელის ხსენება უთუოდ დამაკმაყოფილებლად მოეჩვენება... სამწუხაროდ, აღ. ფოცხიშვილის თვალსაზრისი მარცვალთლიაობის ა-ს შესახებ მე უსაფუძვლოდ მქვენება და ამიტომაც, გასაგებია, რაიმე „ახალ თეორიაზე“ მსჯელობაც არ მქონია. მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ აღ. ფოცხიშვილი გამუდმებით თავის ხსენებას მოხოვს, რაც აღმაშფოთებელ სახეს იღებს უკვე“.

ანცობს თ. უთურგაიძე, როცა ჩემს თვალსაზრისთან დაკავშირებით „ახალ თეორიას“ წინწკლებში სვამს, თანაც ამბობს – „მისი თქმით“; ხოლო, როცა წერს „აღ. ფოცხიშვილი გამუდმებით თავის ხსენებას მოხოვს, რაც აღმაშფოთებელ სახეს იღებს“ – ცილს მწამებს.

მე მას აღ. ფოცხიშვილის ხსენებას არ ვთხოვ, არამედ მოვიხსნო მეცნიერული მოხაზრებების ხსენებას. რაც აუცილებელია, მით უფრო მაშინ. აუ ეს მოხაზრებები განხსენავებულია, რაც ყოველმა კეთილხინდისიერმა მეცნიერმა უნდა იცოდეს და განსაკუთრებით კარგად იმან, ვინც ამა თუ იმ დარგის მეცნიერული აზრის ისტორიკოსია, რაზედაც, ეგონებ. ამ ბოლო ხანს პრეტენზიას თ. უთურგაიძეც აცხადებს.

რაც შეეხება იმას, თითქო „მარცვალთლიაობის“ შესახებ ჩემი მოსაზრება ახალ თეორიად მე თვითონ მომინათლავს, თ. უთურგაიძე უბრალოდ ცრუობს, რადგან ძალიან კარგად იცნობს გ. კლიმოვის წიგნს „Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте“ (М. 1962 г.), რომლის 28-ე გვერდზე წერია: „Однако наряду с приведённым предположением в картвельстике выдвинута и другая теория происхождения этого а в грузинском языке. В недавнее время выдвинуто мнение, что гласный а в исходе падсжных морфем, возможно, возникает для преодаления скопления согласных на стыке согланого исхода падсжной морфемы“... სქოლიოში მითითებულია ჩემი მოხსენების თეზისები.

ამ წერილში არ მინდოდა „ანცობასე“ უფრო მკაცრი გამოთქმა მეხმარა, მაგრამ სხვანაირად როგორ მოვიქცე, როცა თ. უთურგაიძე თავის „შრომაში – „გავრცობის ხმოვანი ქართულში“ („ქართული ენა“, წერილების კრებული, თბ., 1984 წ.) – გ. კლიმოვის აქვე დასახელებულ წიგნზე მიუთითებს, ხოლო ალ. ფოცხიშვილის „შრომაზე კრინტსაც არა სძრავს, თითქო იგი საერთოდ არ არსებულებოდა. ასევე ერთი სიტყვითაც არ ახსენებს იგი ალ. ფოცხიშვილის მოსაზრებას ცალკე გამოცემულ წიგნში – „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თბ., 1980 წ.) – საჭირო და აუცილებელი კი იყო, რადგან წიგნში, თუმცა დაუსაბუთებელი, მაგრამ ჭეშმარიტად გასაღებელი (როგორც თ. უთურგაიძეს საერთოდ სჩვევია), წამოყენებულია „თეორია“, თითქოს და ქართული სიტყვის აბსოლუტური ბოლო მეტწილად თანხმოვანზეა დამთავრებული, ჩემს „შრომაში კი საწინააღმდეგო დებულებაა დასაბუთებული.

„მარცვალთლიაობის ა-ს“ შესახებ გ. კლიმოვის მსგავსი მოსაზრება გამოთქვა კიდევ ერთმა არაქართველმა მეცნიერმა.

ლიტველი ქართველოლოგი ლეტა პალმაიტისი სტატიაში – „ემფატიკური ა სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით“ („მაცნე“, 1978 წ. №1) წერდა: „ემფატიკური ა-ს“ შესახებ ფაქტობრივ მხოლოდ ორი პრინციპულად განხილავებული მოხაზრება არსებობს. ერთის მიხედვით „ემფატიკური ა“ მადეტერმინებული ბუნებისაა. ასე ნ. მარი მას ჩვენებით ნაცვალსახელს პა-ს უკავშირებდა. კ. დონდუა და არნ. ჩიქობავა მიიჩნევენ მას მადეტერმინებულ ნაცვალსახელურ ნაწილაკად. მეორე მოსაზრების მიხედვით „ემფატიკური ა“-ს ბუნება არის არა მორფოლოგიური, არამედ ფონეტიკური... ალ. ფოცხიშვილი მიუთითებს მის მარცვალთლიაობაზე. მან პირველმა ხაზგახმით აღნიშნა, რომ „ემფატიკური ა“ ჩნდება მხოლოდ თანხმოვნიანი ამოხავლის (თანხმოვანზე დამთავრებული ხიტყეას – ა. ფ.) შემდეგ“. სხვათაშორის – თ. უთურგაიძე ლ. პალმაიტისის ამ „შრომაზეც არსად არ მიუთითებს, თუმცა გამორიცხულია, მან შრომის არსებობა არ იცოდეს.

ახლა ვეკითხები თ. უთურგაიძეს: – რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ არაქართველი მეცნიერები საჭიროდ და აუცილებლად თვლიან ალ. ფოცხიშვილის „შრომებზე მითითებას. ამ „შრომებში გამოთქმულ შეხედულებებს ახალ თეორიად (თუ პრინციპულად განხილავებულ მოხაზრებად მიიჩნევენ) თავად თ. უთურგაიძე კი იმავე „შრომებს უგულვებელყოფს და დაინტერესებულ მკითხველს სიმართლეს უმაღლავს, თანაც პირმიბრუნებული ქირქილებს: – ალ. ფოცხიშვილი თავის მოსაზრებას თავადვე ასაღებს ახალ თეორიადო?!

ამ კითხვაზე მიუღწევადელი პასუხი მკითხველისთვის მიმინდვია.

რა შემატყო თ. უთურგაიძემ, რატომ მთვლის ასე იოლად დასაბ-
როსებებულ კაცად, ვერ გააჩივია?!

ახლა ერთი მაგალითი იმისაც მინდა მოვიტანო, თუ როგორ იქ-
ცვიან კეთილსინდისიერი მეცნიერები:

1992 წელს ქუთაისის გამომცემლობა „სარანგმა“ დასტაბა აკ.
წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ენის კათედრის დოცენტის ქ-ნ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის
„ქართველოლოგიის საკითხები“. სამწუხაროდ, ქ-ნ ჟუჟუნას პირა-
დად არ ვიცნობ და თანაც, რადგან ქუთაისში ცხოვრობს, ჩემი აღ-
ბათ, ძალიან არ შეეშინდებოდა. მიუხედავად ამისა, მეცნიერულმა
კეთილსინდისიერებამ იგი აიძულა, ანტონ პირველი (ბაგრატიონის)
გარშემო მსჯელობისას- ეთქვა: „ზემთ წარმოდგენილი მიმოხილვი-
დან ჩანს, რომ, ტრადიციული შეხედულებით, ანტონ კათალიკოსის
მოღვაწეობამ გარკვეულად შეაფერხა სალიტერატურო ენის განვი-
თარება. მაგრამ ხაგანგებოდა უნდა აღინიშნოს, რომ XX ხაუკუნის 70-იანს
წლებიდან ქართულ ფილოლოგიაში არაერთგზის გამოითქვა განხვევებული
თეალხაზრისი, რომელიც მაღალ შეფახებას აძლევს ანტონ პირველის ხაზოგ-
დობებზეა და მეცნიერულ ნაღვაწხ. ეს პირველყოფილია ალ. ფოცხაშვილის
დამსახურება“ (გვ.104).

საქმე ის კი არაა, იზიარებს თუ არა ყოველთვის ქ-ნი ჟ. ფეიქ-
რიშვილი ჩემს მოსაზრებებს, არამედ ის, რომ არ დალატობს მეც-
ნიერულ სინდისს და საკვლევი საკითხის გარშემო შეძლებისდაგ-
ვარად ამომწურავად ასახელებს ყველა ავტორს, ვისაც რაიმე დაუ-
წერია, მიუხედავად ავტორის მიძართ პირადი სიმპათია-ანტიპათი-
სა.

ჰოდა, თ. უთურგაიძეს რომ შრომების ავტორები არ დაეჯგუფე-
ბინა სიმპათიურებად და არადნასაგდებლებად, ახლა, აღბათ, ასე-
თი არც თუ მაინცდამაინც სასიამოვნო დებატების მონაწილენი
ვიქნებოდით?!

როგორც ზემოთაც განვაცხადე, მე სინანული გამოვთქვი იმის
გამო, რომ წიგნიში მიხედებოდა თ. უთურგაიძისათვის შემეხსენებინა
ქემარტების ფასი. ვფიქრობდი, მიხედება თავის შეცდომებს და
მოინანიებს-მეთქი. მაგრამ, როგორც ვხედავთ იგი ძველ პოზიციებ-
ზე დარჩა. უფრო მეტიც, აქეთ შემომიღია, თავად ფოცხიშვილი არ
იქცევა კეთილსინდისიერადო, იგი მეცნიერთა ერთ ჯგუფს აკრიტი-
კებს, აკ. შანიძეს კი არაო. „საკითხავია ქონდა კი მას წინ აღდგო-
მის ძალა? თუ ქონდა, რატომ შეიკავა თავი?“

მართალი რომ ვთქვა, პირველი კითხვის აზრი მთლად კარგად არ მესმის .. „ჩქონდა თუ არა წინ აღდგომის ძალა?“. რას ნიშნავს „წინ აღდგომა?“ ვ. ი. შექმელო თუ არა გადაშეთქმევიანებინა აკ. შანიძისათვის ანტონის წინააღმდეგ გამოსვლა, თუ ავტორი გულისხმობს, მე არსად ვახსენე აკ. შანიძის ნაშრომი, რომელშიაც გაკრიტიკებულა ანტონ პირველის როლი ახალი აღთქმის ტექსტის გამოცემაში დაშვებულ ორთოგრაფიულ შეცდომებთან დაკავშირებით?

როგორც არ უნდა იყოს, ერთი აშკარაა: თ. უთურგაიძე ნაწყენია იმის გამო, რომ ანტონის წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვში არ დავასახელე აკ. შანიძე და ძირითადი გეზი მივიმართე არნ. ჩიქობავას წინააღმდეგ. ამ შემთხვევაშიც ასცდა უთურგაიძის ისარი მიზანს. ხაქმე ხაა. რომ მე არც არნ. ჩიქობავას შეცნაურულ მოღვაწეობას ვინილაუფი და არც აკ. შანიძისა. რაღა დრო მთუა და ამას გაეკეთებ. ვეცადები შეძლებისდაგვარად დამხატვრებისა მიხედვით პატყვი მთავრ თრთვე შეცნაურს — არც არაფერი დაეკლო და არც მიუშალო გაბორცებოდა..”

ჩემს შრომებში, და, საერთოდ ბოლო წლების მოღვაწეობაში, განსაკუთრებულ ადგილს ეუთობოდა ანტონ პირველის დეკლარაციის ადგილის მიჩენას ქართულ ეროვნულ აზროვნების ისტორიაში. ამ ბუქმბერაზ შეცნაურთან პირველსავე შეხებისას დაერწმუნდი იმ ბრალდებების აბსოლუტურ უსაფუძვლობაში, რასაც მას უყენებდნენ: 1. „ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლა (მისი დაწვა თუ მტკვარში გადაყრევიანება!); 2. „სამი სტილის თეორიის“ შემოტანა და დანერგვა; 3. ამ უკანასკნელ ბრალდებაზე დაყრდნობით („სამი სტილის თეორია“ რეაქციულ მოძღვრებად წარმოადგინეს), ქართული სალიტერატურო ენის განვითარების წინააღმდეგ ბრძოლა და მისი მთელი ასი წლით შეჩერება.

გასაოცარი მდგომარეობა იყო შექმნილი: მიუხედავად იმისა, რომ ანტონ პირველის მოღვაწეობას დადებითად აფასებდნენ: ქართული ლიტერატურის ისტორიის პატრიარქი-მკვლევარი აკად. კაკელიძე; ქართული ფილოსოფიის ისტორიის უდიდესი სპეციალისტი აკად. შ. ნუცუბიძე; ქართული ფსიქოლოგიური აზრის ისტორიის გამორჩენილი მკვლევარი აკად. აღ. ფრანგიშვილი; ქართული ფიზიკური მეცნიერების ისტორიის მკვლევარი პროფ. ვ. პარკაძე; საქართველოს ისტორიის ცნობილი სპეციალისტი პროფ. აპოლ. რიგავა; მე-18 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ცნობილი მკვლევარი ფილ. მეცნ. დოქტორი მ. ქავთარია და მრავალი სხვაც, ანტონის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები ძალაში რჩებოდა. საშუალო სკოლის მე-8-მე-9 კლასების ქართული ლიტერატურის სა-

ხელმძღვანელოებში საგანგებოდ იყო მითითება ამ ბრალდებებზე, რის გამოც ქართველი საზოგადოებრიობა ანტონს იცნობდა (და სამწუხაროდ ზოგჯერ დღემდე ასეა) როგორც ყოველგვარი პროგრესულის წინააღმდეგ მებრძოლ ურეაქციონერეს მოღვაწეს.

ყველაზე გასაკვირი კი მაინც ის იყო, რომ ანტონის წინააღმდეგ უპირველესად ენათმეცნიერები იბრძოდნენ, სწორედ ისინი, ვისი საზოგადოებრივი დისციპლინის საფუძველჩამყრელიც ჩვენამდე მოღწეული პირველი ფუნდამენტური ქართული გრამატიკის ავტორი – ანტონ პირველი (ბაკრატიონი) გახლდათ. ენათმეცნიერთაგან ამ ბრძოლის წამომწყებად და სულისჩამღვრელად, ჯერ, წიგნში „ილია ჭავჭავაძის ენა“ (1938 წ.), მერე – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ I ტომის შესავალ წერილში „ქართული ენის დახასიათება“ (1950 წ.) არნ. ჩიქობავა გვევლინებოდა. სწორედ მის შრომებში წამოყენებული დებულებები მეორდებოდა საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების ფურცლებზე სიტყვა-სიტყვით.

ასეთ ვითარებაში საქმის სიძნელე მხოლოდ ის როდი იყო, დაგუნახა და დაგესაბუთებინა ამ დებულებათა მცდარობა, არამედ არნ. ჩიქობავას სიცოცხლეში მისი უსაშველო ავტორიტეტის წინააღმდეგ ხმა ამოგელო. იქნებ უხერხულიც კია ახლა საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ იძულებული ვარ ვთქვა: 1962 წელს ქართველ ენათმეცნიერთა დიდი უმრავლესობის თანდასწრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის ღია სხდომაზე (მოგვიწვია მაშინდელმა კათედრის გამგემ – ვ. თოფურია) არნ. ჩიქობავას ყველას გასაგონად ვუთხარი, რომ იგი ცილს სწამებდა ანტონ პირველს, რომ ანტონ პირველი არც შემომტანია და არც დამნერგავი „სამი სტილის თეორიისა“ (თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, ამაში საძრახისი არაფერი იქნებოდა), მით უფრო არც შემაჩერებელია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისამეთქი. (საბედნიეროდ, იმ სხდომის მონაწილეთაგან ბევრი დღესაც კარგად არის და დამემოწმებიან).

თ. უთურგაიძის მიერ ნახსენები აკ. შანიძის შრომა გამოქვეყნდა რამდენიმე წლის შემდეგ მეცნიერთა ვიწრო წრისათვის გათვალისწინებულ „უნივერსიტეტის შრომების კრებულში“. არავითარი განსაკუთრებული გავლენა აკ. შანიძის შრომებს ანტონ პირველის დამსახურება-ღვაწლის შეფასების საკითხში არა ჰქონია.

ბარემ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იმ სხდომის შემდეგ თითქმის ათი წლის ბრძოლა დამჭირდა, ვიდრე ჩემს მოსაზრებებს საზოგადოებას გავაცნობდი. (ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში ანტონ კათალიკოსის შესახებ დადებითი აზრის გაგონებაც არ სურდათ).

მხოლოდ 1970 წელს (ისიც ჩემი ყოფილი მასწავლებლის გიორგი ახვლედიანის სარეკომენდაციო წერილის დახმარებით, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე სტატია „ანტონ პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების შუქზე“. სწორედ ამ წერილმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ანტონის რეაბილიტაციის საქმეში. და ეს იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ, როგორც ქ-ნი უუუუნა ფეიქრიშვილის „შრომიდან მოტანილი ადგილის მიხედვითაც ჩანს, ყველამ იცის.)

ღიახ, ეს ისტორია, თითქო ყოველმა ქართველმა ენათმეცნიერმა იცის, მაგრამ ის არ იცის, უფრო სწორად, მისი ცოდნა არ სურს გააქვლავნოს იმ კაცმა, ვინც ამ ისტორიის მომსწრეა და, თუ შეიძლება ითქვას, მონაწილეც. იგი იყო ჩემი ოპონენტი სადოქტორო დისერტაციის დაცვისას, იგი იყო რედაქტორი იმ წიგნისა (1979 წ.), როდემდე შიდად გადმოცემულია ჩემი ორი ათეული წლის მეცნიერული შრომის შედეგები და ეხება ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზებს მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, იმ გზებს, რომლებიც სათავეს ანტონის გრამატიკიდან იღებენ, ამიტომაც ამ წიგნის თითქმის მესამედი ეთჩობა ანტონს.

თ. უთურგაიძისთვის ანტონის კვლევა და მისი გრამატიკის მნიშვნელობის მტკიცება 1991 წლიდან იწყება, იმ წლიდან, როცა გამოქვეყნდა მისი და ელ. ბაბუნაშვილის ბროშურა „ანტონ პირველის ქართული გრამატიკა და მისი ეროვნული ისტორიული მნიშვნელობა“.

ამ წიგნში ანტონი, სრულიად სამართლიანად, იღია ჭავჭავაძის გვერდითაა დასახელებული და ორივე დიდი ქართველის შოღვაწეობა – პროგრესულ მოვლენად მინიშნული (რასაკვირველია, მადლობის მეტი რა მეტქმის!), ოღონდ ესაა, რომ მთლიანად მივიწყებულა იმ ბრძოლის ისტორია, რომელიც წინ უძღოდა ასეთი თამაში განცხადების უფლების მოპოვებას. რა თქმა უნდა, არც იმაზეა კრინტი დაძრული, რა დრო იყო, როგორ კანკალებდნენ ცოცხალი ავტორიტეტების წინაშე და განსხვავებულ აზრს, ასეთი რომც პქონოდათ, შიშით ხმამაღლა საკუთარ სახელშიც ვერ იტყოდნენ.

! აი, ასეთი სამრახი საქციელის წინააღმდეგ იბრძვის, ბატონებო, ენათმეცნიერული აზრის ისტორიკოსი ა. ფოცხიშვილი, რადგან ეს მისი პროფესიული მოვალეობაა და, თუ მეცნიერული ზნეობის ნორმებს პატიოსნად დაიცავთ, ნურაფრის შეგეშინდებათ.